ვირჯინია ვულფი

„გზა შუქურისკენ“

ნაწილი I ფანჯარა

თავი 1

„რა თქმა უნდა, თუ ხვალ კარგი ამინდი იქნა“, თქვა მისიზ რემზიმ და დასძინა, „ოღონდ ხვალ მამლის ყივილზე მოგიწევთ გაღვიძება“.

დედის სიტყვებმა ბიჭს უზომო სიხარული მოჰგვარა; გაიფიქრა, მგონი, ყველაფერი მოგვარდა, ჩვენს ლაშქრობას წინ აღარაფერი ეღობება და სასწაულს, რომელსაც, როგორც ეჩვენებოდა, ამდენი წელი მოუთმენლად ელოდა, სულ რაღაც ერთი ბნელი ღამე და კიდევ ერთი დღე ნავით მგზავრობაღა მაშორებსო. და მართალია, ჯერ მხოლოდ ექვსი წლის იყო, ის იმ ადამიანების დიდებულ ერთობას მიეკუთვნებოდა, რომელთაც არ შესწევთ უნარი, ერთი გრძნობა მეორისგან ცალკე აღიქვან, და სამომავლო გეგმებს, მათ თანმდევ სიხარულებსა თუ გულისტკივილებთან ერთად, ხელს არ უშლიან, დაჩრდილონ უშუალოდ იმწამიერი რეალობა, რადგან მოვლენათა ნებისმიერი ცვლილება მათ გონებაში ისე მკვეთრად კრისტალიზდება და განმსჭვალავს წამს, რომელიც მის პირქუშ თუ ხალისიან ბუნებას განაპირობებს, რომ ჯეიმს რემზიმ, რომელიც იატაკზე იჯდა და სამხედრო ჟურნალ „არმი ენდ ნეივის“ ილუსტრირებული კატალოგიდან სურათებს ჭრიდა, დედის სიტყვების გაგონებისას ჟურნალიდან მაკრატლით ახლახან ამოჭრილი მაცივრის გამოსახულება ღვთაებრივი ნეტარებით შემოსა, ნეტარების ნათელი დაადგა; ურიკა, ბალახის საკრეჭი, ვერხვების შრიალი, წვიმის მოლოდინში ფერწასული ფოთლები, ჭილყვავების ჩხავილი, ცოცხის შრაშუნი, ქალების კაბის შარიშური – ამ ყოველივემ ისეთი ფერი შეიძინა და ისე გამოიკვეთა ბიჭის გონებაში, რომ უკვე საკუთარი საიდუმლო კოდი, საკუთარი საიდუმლო ენაც კი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გარეგნულად მკაცრი და შეუვალი მოგჩვენებოდათ – მაღალი შუბლისა და უმწიკვლო, წრფელი, კრიალა, გამჭოლი ცისფერი თვალების გამო, ოდნავ რომ მოეღუშებოდა ხოლმე ადამიანური სისუსტის დანახვაზე, – დედამისმა, რომელიც თვალს ადევნებდა, როგორი ოსტატობით ჰქონდა მომარჯვებული შვილს მაკრატელი ჟურნალიდან ილუსტრაციების ამოსაჭრელად, ის ჯერ მოსამართლის წითელ მოსასხამსა და ყარყუმში გამოწყობილი წარმოიდგინა, მერე კი რომელიღაც დიდი საზოგადოებრივი კრიზისის აღმომფხვრელი კამპანიის თავკაცად.

„ჰო, მაგრამ“, თქვა მამამ და მისაღები ოთახის ფანჯარასთან შედგა, „ხვალ არ იქნება კარგი ამინდი“.

ჯეიმსს რომ იქ და იმწამს ხელთ ნაჯახი, ბუხრის საჩხრეკი, ანდა რამე იარაღი ჰქონოდა, დაუფიქრებლად დასტაცებდა ხელს, მამას გულში ჩასცემდა და განგმირავდა. სწორედ ასეთ მძაფრ გრძნობებს აღძრავდა შვილებში მისტერ რემზი თავისი არსებობით; როცა ასე იდგა, დანასავით შემართული, დანის პირივით ალესილი და სარკასტულად იღრიჯებოდა, თავად არათუ კმაყოფილებას გრძნობდა იმის გამო, რომ ილუზიები გაუფანტა თავის ვაჟს და აბუჩად აიგდო ცოლი, რომელიც (ყოველ შემთხვევაში, ჯეიმსის აზრით) ათასგზის სჯობდა ქმარს ყოველი თვალსაზრისით, არამედ თვითკმაყოფილებაც ეუფლებოდა, რომელსაც საკუთარი შეუმცდარი მსჯელობის უნარი უნერგავდა. რაც გინდა ეთქვა, სიმართლე იყო, ყოველთვის სიმართლე. ის ხომ არასოდეს არ ცდებოდა; არასოდეს აყალბებდა ფაქტებს; არასდიდებით არ შეარბილებდა მკაცრ სათქმელს არავის, და მით უფრო საკუთარი შვილების ხათრით; მათ, მის ჯიშსა და ჯილაგს, სიყრმიდანვე კარგად უნდა სცოდნოდათ, რარიგ რთულია ცხოვრება; მთელი სისასტიკით უხატავდა მკაცრ რეალობას; და არც იმ მოჩვენებით მიწაზე გარდასვლას გაუადვილებდა, სადაც ჩვენი სანუკვარი ოცნებები გაცამტვერებას იწყებს, ჩვენი სუსტი გარსი იშლება წყვდიადში (აქ მისტერ რემზი წელში გაიმართებოდა ხოლმე და თვალმოჭუტული მიმართავდა მზერას ჰორიზონტისკენ), და სადაც ადამიანს ყველაზე მეტად სიმამაცე, სიმართლე და გამძლეობა სჭირდება.

„მაგრამ ხომ შეიძლება, კარგი ამინდი იყოს – იმედი მაქვს, ასეც იქნება", თქვა მისიზ რემზიმ და გაღიზიანებულმა ჩაარჭო ჩხირი მოწითალო-ყავისფერ წინდაში. თუ ამაღამ დაამთავრებს, და თუ ბოლოს და ბოლოს, მიაღწევენ შუქურამდე, ამ წინდას შუქურის დარაჯს გაუგზავნის პატარა ვაჟისთვის, რომელსაც ძვლის ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს. და კიდევ, დაგროვილ ძველ გაზეთებს და ცოტა თამბაქოს და ათას წვრილმანს მიუტანს, რასაც შინ წააწყდება და აქ ნამდვილად არ სჭირდებათ. მიუტანს იმ საბრალო ადამიანებს, ლამისაა სული რომ ამოხდეთ მოწყენილობისგან. მათ ხომ საქმე არაფერი აქვთ, ერთადერთი, ნავთის ლამპას თუ გააპრიალებენ ხოლმე და მთელ დღეებს პატრუქის მოწესრიგებაში და ფოცხით პატარა ბაღის დასუფთავებაში ატარებენ თავის შესაქცევად. აბა, როგორია, თითო ჯერზე მთელ ერთ თვეს გამოკეტილი ცხოვრობდე, თან, როგორც წესი, საშინელ უამინდობაში, თავსხმაში, ჩოგბურთის მოედნისხელა კლდეზეო, იტყოდა ხოლმე მისიზ რემზი; და თანაც, არც წერილები მოგდის, არც გაზეთები, და ვერც ვერავის ხედავ; როგორია ცოლიანი კაცისთვის, ცოლს ვერ ხვდებოდეს, არ იცოდეს, როგორ არიან მისი შვილები; იქნებ ავად გახდნენ, იქნებ დაეცნენ და ხელ-ფეხი მოიტეხეს; როგორია, კვირიდან კვირამდე ჩაგესმოდეს ტალღების ერთნაირი დგაფუნი; მერე კიდევ ეს საშინელი ქარიშხალი ამოვარდება და ფანჯრები ზღვის ქაფით იფარება, ფრინველები კი ნავთის ლამპას ეხეთქებიან და მთელი არემარე ირყევა და ცხვირსაც ვერ გამოყოფ გარეთ იმის შიშით, ზღვამ არ გაგიტაცოს; აბა, როგორია ასეთი ცხოვრება? თქვა და შეკითხვა განსაკუთრებით თავისი ქალიშვილებისკენ მიმართა. „ასერომ", – დასძინა მისიზ რემზიმ სულ სხვა კილოთი, „ადამიანებმა არაფერი უნდა დაინანონ მათთვის, რომ როგორმე მძიმე ყოფა შეუმსუბუქონ".

„დასავლეთის ქარი უბერავს", თქვა ათეისტმა ტენსლიმ, რომელსაც გაშლილი თითები ქარისთვის მიეშვირა, და თან მისტერ რემზისთან ერთად დასეირნობდა ბინდშეპარულ ტერასაზე წინ და უკან, წინ და უკან. ეს კი იმაზე მიანიშნებდა, რომ ქარის მიმართულება ხელს შეუშლიდა შუქურამდე

ნავით მიცურვას. დიახ, აღიარა მისიზ რემზიმ, მისტერ ტენსლის მართლაც უყვარს უსიამოვნო რამეებზე საუბარი; გულისამრევია მისგან განუწყვეტლივ ამ მტკივნეულ თემაზე ლაპარაკი, რაც კიდევ უფრო გულს სწყვეტს ჯეიმსს. და მიუხედავადა ამისა, შვილებს მაინც არ რთავდა მისი დაცინვის ნებას. „ათეისტი", ასე იხსენიებდნენ მისტერ ტენსლის, „პატარა ათეისტი". როუზი აქილიკებდა; ფრუ აქილიკებდა; ენდრიუც, ჯასპერიც, როჯერიც, ყველა აქილიკებდა. ერთხელ უკბილო ბებერმა ბეჯერმაც კი დაგესლა იმის გამო, რომ (როგორც ნენსიმ თქვა) ასმეათე ახალგაზრდა კაცი იყო, რომელიც ბავშვებს აეკიდა და ჰებრიდებამდე გაჰყვა მაშინ, როცა მათ მარტო უნდოდათ დარჩენა.

„სისულელეა", ძალიან მკაცრად თქვა მისიზ რემზიმ. ვერ იტანდა, როცა შვილები ყველაფერს აზვიადებდნენ, ეს თვისება სწორედ დედისგან დაჰყვათ მემკვიდრეობით, და მინიშნებასაც კი ვერ იტანდა იმის თაობაზე, რომ ამდენ სტუმარს პატიჟებდა (რაც სრული სიმართლე იყო), იმდენს, რომ ხანდახან იძულებული ხდებოდა, ბინაც კი ექირავა მათთვის ქალაქში, მაგრამ არასდიდებით არ დაუშვებდა, რომ მისი შვილები უზრდელად მოპყრობოდნენ რომელიმე სტუმარს, მით უმეტეს, ახალგაზრდა კაცებს, ეკლესიის თაგვებივით უპოვართ, „განუზომლად ნიჭიერებს", როგორც მისი ქმარი მოიხსენიებდა ხოლმე თავის დიდ თაყვანისმცემლებს, რომლებიც არდადეგებს მათთან ატარებდნენ. უნდა ითქვას, მისიზ რემზი ზოგადად მფარველობდა საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს; ამის მიზეზი თავადაც ვერ აეხსნა; ალბათ მათი რაინდული ბუნების და სიმამაცის გამო, იმის გამო, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, ინდოეთს მართავდნენ, ფინანსებს განაგებდნენ; დაბოლოს, იმ დამოკიდებულების გამო, რომელსაც მის მიმართ ავლენდნენ, რაც, გამორიცხულია, ქალმა ვერ იგრძნოს, ან არ ესიამოვნოს; ერთგვარი მიმნდობი, ბავშვური, მოწიწებით აღსავსე დამოკიდებულება; რაღაც ისეთი, რაც ხანდაზმულ ქალს შეუძლია, ღირსების შეულახავად მიიღოს, მაგრამ ვაი იმ ქალიშვილს – ღმერთმა დაიფაროს მისი რომელიმე ქალიშვილი ასეთი რამისგან! – რომელიც ვერ დააფასებს ამას და ვერ შეიგრძნობს ყველაფერს, რაც ამაში იგულისხმება, თხემით ტერფამდე!

მისიზ რემზიმ მკაცრად დატუქსა ნენსი. მისტერ ტენსლი კი არ აგეკიდათ, უთხრა შვილებს, არამედ მას შესთავაზეს თქვენთან ერთად წამოსვლაო.

როგორმე გამოსავალი უნდა მოიძებნოს ამ ყველაფრიდან. იქნება რამე უფრო იოლი, ნაკლებად რთული ხერხიც არსებობს, გაიფიქრა მისიზ რემზიმ და ამოიოხრა. როცა სარკეში იყურებოდა და თმაში შერეულ ჭაღარას და ჩავარდნილ ლოყებს ხედავდა, ფიქრობდა, ხომ შეიძლება, ყველაფრისთვის უკეთ დამედგა თავი – ჩემი ქმრის საქმეებისთვის; ფულისთვის; მისი წიგნებისთვისო. მაგრამ თავს წამითაც ვერ დაიდანაშაულებდა იმაში, რომ ან გადაწყვეტილების მიღებას უფრთხოდა, ან სირთულეებს გაურბოდა, ანდა პასუხისმგებლობას ირიდებდა. ახლა მრისხანე იერი ჰქონდა და გოგონები, ფრუ, ნენსი და როუზი, რომლებიც სადილის სუფრას შემოსხდომოდნენ და დროდადრო თავს წამოსწევდნენ მათლაფებიდან და ამოიხედავდნენ ხოლმე, რადგან დედამ ასე დატუქსა ჩარლზ ტენსლის გამო, ახლა უჩუმრად იქცევდნენ თავს ურწმუნო აზრებით, მაჭარივით რომ უდუღდათ გონებაში და დედის ცხოვრებისგან სრულიად განსხვავებულ ცხოვრებას წარმოიდგენდნენ; შესაძლოა, პარიზში; რაც მთავარია, უფრო ლაღს და თავისუფალს; როცა

გამუდმებით არ მოუწევდათ ამა თუ იმ მამაკაცზე ზრუნვა; რადგან გულის სიღრმეში არც ერთ მათგანს არ ჰქონდა სრული ნდობა ამ პატივის თუ რაინდობის, ინგლისის ბანკის თუ ინდოეთის იმპერიის, ბეჭდებასხმული ხელების თუ დახვეწილ მაქმანებიანი სამოსისა, თუმცა კი, ვერც ერთი მათგანი ვერ უარყოფდა იმას, რომ ამ ყოველივეს ერთგვარი ხიბლიც ახლდა თან, და მათ ნორჩ გულებს უდავოდ იზიდავდა მამაკაცური ღირსება, და ახლა, როცა გრძნობდნენ დედის მზერას, ძალაუნებურად პატივისცემით განიმსჭვალნენ მისი უცნაური სიმკაცრის, მისი ხაზგასმული თავაზიანობის მიმართ, დედოფლის დარად რომ არ თაკილობს, ფეხი დაბანოს ტალახიდან წამომდგარ მათხოვარს; თუნდაც იმ სიმკაცრის მიმართ, რომელიც იმ საძაგელი ათეისტის გამო გამოავლინა, ბავშვებს რომ აეკიდა და ყველგან თან დაჰყვებოდა – ან, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, კუნძულ სქაიზე მათთან დასარჩენად მიწვეული ათეისტის გამო.

„ხვალ შუქურამდე ვერ მივაღწევთ", თქვა ჩარლზ ტენსლიმ, რომელიც მის ქმართან ერთად ფანჯარასთან იდგა, და ხელი ხელს შემოჰკრა. ნამდვილად ზედმეტი მოუვიდა. მისიზ რემზიმ ინატრა, ნეტავი ორივემ თავი გაგვანებოს მე და ჯეიმსს და თავისთვის ისაუბრონო. მისტერ ტენსლის ახედა. როგორც ბავშვები ამბობენ, ის ერთი საცოდავი, აჩონჩხილი არსებაა. ვერც კრიკეტს თამაშობს; სიარულისას ფეხს ითრევს. ენდრიუ ამბობს, გესლიანი უკულტურო ველურიაო. ბავშვებმა იციან, რა უყვარს ყველაზე მეტად – აი ასე, დაუსრულებლად მისტერ რემზისთან ერთად აღმა-დაღმა, წინ და უკან სიარული და იმაზე საუბარი, ვინ რა მოიგო, ვინ იყო „უმაღლესი რანგის პოეტი" ლათინურ ლიტერატურაში, ვინ იყო „ბრწყინვალე, მაგრამ, ჩემი აზრით, ზედაპირული", ვინ იყო ის უდავოდ „ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდაბალიოლში", ვინც თავისი ბრწყინვალე ნიჭი და გონება დროებით ბრისტოლში და ბედფორდში დამარხა, თუმცა კი უეჭველად მოიხვეჭდა დიდებას მოგვიანებით, როცა მისი „პროლეგომენები", – რომლის პირველი რამდენიმე გვერდი მისტერ ტენსლის თან დაჰქონდა, ვინიცობაა, ერთხელაც მისტერ რემზის გასჩენოდა მისი წაკითხვის სურვილი, – მისი ნაშრომი მათემატიკის თუ ფილოსოფიის რომელიღაც სფეროდან, დღის სინათლეს ნახავდა. აი, რა თემებზე საუბრობდნენ ხოლმე ისინი.

ხანდახან თავადაც წასკდებოდა ხოლმე სიცილი. ამას წინათ რაღაცა უთხრა „მთასავით ტალღებზე". დიახ, მიუგო ჩარლზ ტენსლიმ, ზღვა ცოტა არ იყოს ღელავდაო. „მთლიანად გაილუმპეთ?" ჰკითხა მან. „ოდნავ დავსველდი, ოღონდ წყალმა, მგონი, მთლად არ გაატანა", მიუგო მისტერ ტენსლიმ და სახელო და წინდები მოისინჯა.

ოღონდ მას არაფერს ვერჩითო, ამბობდნენ ბავშვები. განსაკუთრებული არაფერი სჭირს, ჩვეულებრივი სახე აქვს და, საერთოდაც, არაფერი უჭირსო; ოღონდ მისი განწყობა აღიზიანებდათ. როცა რამე სასიამოვნოზე ვიწყებთ საუბარს, ადამიანებზე, მუსიკაზე, ისტორიასა თუ ნებისმიერ თემაზე, აი, მაგალითად, საკმარისია ვთქვათ, რა მშვენიერი საღამოა გარეთ და ეზოში ხომ არ დავმსხდარიყავითო, ჩიოდნენ ბავშვები, მაშინვე ყველაფერს უკუღმა დაატრიალებს და უცნაურ მსჯელობას გამართავს, და იქამდე არ მოისვენებს, ვიდრე არ დაგვამცირებსო. მერე კიდევ, ხშირად დადის სამხატვრო გალერეებში და წასვლის წინ აუცილებლად უნდა გვკითხოს, ჩემი ჰალსტუხი თუ მოგწონთო. იცის ღმერთმა, თქვა როუზმა, ნამდვილად არ მოგვწონსო.

სადილი დასასრულს მიუახლოვდებოდა თუ არა, მისტერ და მისიზ რემზის რვა ვაჟი და ქალიშვილი უჩუმრად წამოფრინდებოდნენ ხოლმე სუფრიდან და თავ-თავიანთ საძინებლებს მიაშურებდნენ. ეს ამ სახლის ბრალი იყო, სადაც ვერსად ვერ ახერხებდნენ განმარტოებით კამათს რამე თემაზე, რაზეც მოესურვებოდათ, ვთქვათ, ტენსლის ჰალსტუხზე; რეფორმის კანონპროექტის დამტკიცებაზე; ზღვის ფრინველებზე და პეპლებზე; ადამიანებზე; და ვიდრე მზის სხივები იღვრებოდა სახლის სხვენში, სადაც ოთახებს ცალფა ფიცრული კედელი ყოფდა ერთმანეთისგან, ისე, რომ მკაფიოდ ისმოდა ყოველი გაფაჩუნება და შვეიცარიელი გოგონას ქვითინი, რომელიც გრიზონზის ხეობაში კიბოთი მომაკვდავ მამას გლოვობდა; სადაც მზეზე კაშკაში გაუდიოდა ბეისბოლის კომბლებს, ფლანელის შარვლებს, ჩალის ქუდებს, სამელნეებს, საღებავების ქილებს, ხოჭოებს და პაწია ჩიტების ფიტულებს, სადაც კედელზე მიმაგრებული ზღვის გრძელი მცენარეების ხორკლიან ზოლებს მზე ზღვის მარილის და წყალმცენარეების სუნს ადენდა, სწორედ ისეთს, ბანაობის მერე ქვიშიან პირსახოცებს რომ გაუჯდება ხოლმე.

პაექრობა, განხეთქილებები, განსხვავებული აზრი, ამპარტავნება მათი ყოფის არსში ჩახლართულიყო, ვაი რომ, ასეთ ადრეულ ასაკში, წუხდა მისიზ რემზი. მისი შვილები ისეთი მომთხოვნები, ისეთი კირკიტები იყვნენ; ისეთ აბდაუბდას მიედ-მოედებოდნენ. მან ხელი ჩაჰკიდა ჯეიმსს, რომელსაც არ უყვარდა და-ძმებთან ერთად ოთახიდან გასვლა და ერთად გავიდნენ. ჯეიმსი ოთახიდან დედის გარეშე არ გადიოდა. მისიზ რემზის სრულ უაზრობად ეჩვენებოდა ამდენი აზრთა სხვადასხვაობა, როცა, უფალმა უწყის, ადამიანები უამისოდაც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ბუნებრივი განსხვავებებიც საკმარისია, სავსებით საკმარისიო, ფიქრობდა სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან მდგომი. იმწამს ღარიბებზე და მდიდრებზე, ყველა ფენის ადამიანზე დაფიქრდა; დაბადებით დიდგვაროვნებას ოდნავ უხალისოდ, მაგრამ მაინც, პატივს სცემდა, რადგან მასაც თავად ძარღვებში უდუღდა იმ უაღრესად დიდგვაროვანი, თუმც ოდნავ მითური იტალიური ოჯახის სისხლი, რომლის შთამომავალი ქალიშვილები, მეცხრამეტე საუკუნის ინგლისის მისაღებ ოთახებში მიმოფანტულნი, მომხიბვლელად ჩლიფინებდნენ და ხმაურიანად და თავშეუკავებლად ცხარობდნენ და კამათობდნენ; ენამახვილობა, თავდაჭერა და ტემპერამენტიც ხომ სწორედ მათგან ერგო წილად და არა იმ დუნე ინგლისელების თუ გულცივი შოტლანდიელებისგან; მაგრამ უფრო მეტად ახლა მეორე პრობლემა აფიქრებდა – ღარიბებისა და მდიდრების, და ის, რასაც საკუთარი თვალით ხედავდა ყოველკვირა, ყოველდღიურად, აქაც, ლონდონშიც, როცა ხან ერთ ქვრივს, ხანაც არსებობისთვის მებრძოლ რომელიმე ქალს მოინახულებდა ხოლმე ხელზე გადაკიდებული ჩანთით, ფანქრითა და ბლოკნოტით შეიარაღებული, რომლის გულდასმით გამოყვანილ სვეტებში მათ ჯამაგირსა და ხარჯებს, დასაქმებას თუ დაუსაქმებლობას აღნიშნავდა, იმ იმედით, რომ ასეთი ქცევით ერთი კერძო ქალი კი აღარ იქნებოდა, რომლის ქველმოქმედება ნაწილობრივ მისივე აღშფოთების სატყუარა, ნაწილობრივ საკუთარი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაა, არამედ – და ეს მის გაუწაფავ გონებას მეტად ხიბლავდა – გახდებოდა მკვლევარი, რომელსაც სოციალური პრობლემები გამოაქვს სამზეოზე.

ეს თემები გადაუჭრელ პრობლემად ესახებოდა, როცა ფანჯარასთან იდგა შვილთან ხელჩაკიდებული. ის ახალგაზრდა კაცი კი, რომელსაც ყველანი

დასცინოდნენ, მისაღებ ოთახში გამოჰყვა; ახლა მაგიდასთან იდგა და რაღაცას უხერხულად აწვალებდა თითებით, რადგან საკუთარ უადგილობას გრძნობდა – მისიზ რემზიმ მისკენ მიუხედავადაც მშვენივრად იცოდა ეს. ოთახიდან უკვე ყველა გასულიყო: ბავშვები; მინტა დოილი და პოლ რეილი; ოგასტას კარმაიკლი; მისი ქმარი – ყველანი გასულიყვნენ. ასე რომ, მისიზ რემზიმ ამოიოხრა და თქვა: „ ხომ არ დაიზარებთ ჩემთან ერთად გასეირნებას, მისტერ ტენსლი?".

ქალაქში ერთი მოსაწყენი საქმე აქვს მოსაგვარებელი; ერთი-ორი წერილი აქვს დასაწერი; მოსამზადებლად ათ წუთზე მეტი არ დასჭირდება; მხოლოდ ქუდს დაიხურავს. და აი, ათიოდე წუთის შემდეგ, მისიზ რემზი მართლაც დაბრუნდა, კალათითა და მზის ქოლგით ხელში, და აგრძნობინა, რომ უკვე მზად იყო, რომ სათანადოდ იყო აღჭურვილი სეირნობისთვის, რომელიც გზად სულ ერთი წამით უნდა გაეწყვიტა, როცა ჩოგბურთის მოედანს ჩაუვლიდნენ, რათა მისტერ კარმაიკლისთვის, რომელიც ამ დროს მზეს ეფიცხებოდა თავის თვალდაჭყეტილ ყვითელ კატასთან ერთად, ხოლო მის თვალებში, როგორც კატის თვალებს ახასიათებს, ტოტების რხევა თუ ღრუბელთა დინება ირეკლებოდა ისე, რომ სხვა მხრივ ფიქრის ან გრძნობის არანაირი ნიშანწყალი არ ემჩნეოდა, ეკითხა, რამე ხომ არ გნებავთო. „და აი, დიდი ლაშქრობაც წამოვიწყეთ," სიცილით თქვა მისიზ რემზიმ. „ქალაქში მივდივართ. საფოტო მარკები, საწერი ქაღალდი, თამბაქო?" შესთავაზა მოხუცს და გვერდით დაუდგა. მაგრამ არა, მას არაფერი უნდოდა. ხელები მოზრდილ ღიპზე გადაეჭდო, თვალებს ახამხამებდა, თითქოს უნდოდა, ამ ტკბილ სიტყვებზე კეთილად ეპასუხა (მისიზ რემზი მაცთუნებელი, თუმცა კი ოდნავ აღელვებული იყო), მაგრამ ვერა და ვერ ახერხებდა, რადგან მორუხო-მომწვანო ძილ-ბურანში ჩაძირული, განუზომელი და კეთილი სურვილების ყოვლისმომცველ ტკბილ საღათას ძილს მისცემოდა, რომელსაც სიტყვის უთქმელად გრძნობდა ყველა; მთელი სახლი; მთელი დედამიწა; მასზე მცხოვრები ყველა ადამიანი, რადგან სადილობისას რამდენიმე წვეთი რაღაც სასმელი ჩაისხა ჭიქაში, რომელიც, ბავშვების აზრით, აშკარად დააჩნდა თვალისმომჭრელ ყვითელ ზოლად მის წვერსა და ულვაშს, რომელიც სხვა დროს თოვლივით თეთრი ჰქონდა. არა, არაფერი მინდაო, ჩაიბუტბუტა მოხუცმა პასუხად.

წესით, დიდი ფილოსოფოსი უნდა გამხდარიყოო, უთხრა მისიზ რემზიმ თავის თანამგზავრს, როცა მეთევზეების სოფლისკენ მიმავალ გზას დაუყვნენ, მაგრამ უიღბლო ქორწინებამ შეუშალა ხელი. შავი ქოლგა ისე შემართული ეკავა და ისეთი ენით აუწერელი მოლოდინის იერით მიაბიჯებდა, გეგონებოდათ, ქუჩის მოსახვევში ვიღაცასთან შესახვედრად მიიჩქარისო; მისიზ რემზი თხრობას განაგრძობდა; ოქსფორდელ გოგონასთან გააბა რომანი; ნაადრევად იქორწინა; ამას სიღატაკე მოჰყვა; ინდოეთში გაემგზავრა; შიგადაშიგ პოეზიას თარგმნიდა „ჩემი აზრით, ძალიანაც კარგად", უნდოდა, ბიჭებისთვის სპარსული ან ჰინდი ესწავლებინა, მაგრამ, აბა, რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს? – და მერე, დაინახეს, როგორ იწვა ბალახზე.

ტენსლის ეამა ამის გაგონება. დატუქსული, თავს დაჩაგრულად გრძნობდა და ესიამოვნა, რომ მისიზ რემზიმ ამ თემაზე წამოიწყო მასთან საუბარი. ჩარლზ ტენსლი ერთბაშად გამოცოცხლდა. მისიზ რემზიმ ისიც კი შეაპარა, ჩემი აზრით, მამაკაცის დიდ ინტელექტს, თუნდაც მისი უძლურების ჟამს, ყველა

ცოლი დღემუდამ ერთგულად უნდა ემსახურებოდესო – არა, განა იმ გოგოს, ანდა მათ ქორწინებას კიცხავდა, რომელსაც საკმაოდ წარმატებულადაც კი მიიჩნევდა – ქმრის ინტერესებს უნდა ემსახურებოდესო, და ამან ტენსლის თავი იმაზე უკეთ აგრძნობინა, ვიდრე ოდესმე, და ახლა სიამოვნებით გადაიხდიდა, მაგალითად, ტაქსით მგზავრობის საფასურსაც. და სხვათა შორის, ამ პატარა ჩანთის ტარების ნებას ხომ არ დამრთავთ, მისიზ რემზიო? ჰკითხა. მაგრამ არა, არაო, ქალმა იუარა. ამას ყოველთვის თვითონ ვატარებო. და მართლაც ასე იყო. დიახ, ეს ისედაც იგრძნობოდა. ტენსლი ბევრ სხვა რამესაც გრძნობდა, ისეთს, რაც განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა და თან აწუხებდა მისთვის აუხსნელი მიზეზებით. მაგალითად, ძალიან უნდოდა, მისიზ რემზის ის მაგისტრის მანტიაში გამოწყობილი ენახა საუნივერსიტეტო მსვლელობისას. გრძნობდა, რომ ყველაფერი შეეძლო: სამეცნიერო საზოგადოების წევრობაც, პროფესორობაც, და საკუთარ თავს ხედავდა – თუმცა, ვნახოთ ერთი, რას უყურებს ახლა მისიზ რემზი? – როგორ აკრავს კაცი აფიშას. უშველებელი მოფრიალე ქაღალდი თანდათან სწორდება და ფუნჯის ყოველი მოსმა ცინცხალ სურათს აჩენს, ჯერ ფეხებს, მერე ლაგამს, ცხენებს, მოლაპლაპე წითელსა და ცისფერს, ლამაზ გლუვ ზედაპირს; და ასე გაგრძელდა, ვიდრე კედლის ნახევარი ცირკის რეკლამით არ დაიფარა; ასი მხედარი, ოცი გაწვრთნილი სელაპი, ლომები, ვეფხვები...

მისიზ რემზიმ ყელი მოიღერა, რადგან ახლომხედველი იყო და ხმამაღლა წაიკითხა... „ეწვევიან ამ ქალაქს", ამოიკითხა წარწერაზე. „საშინლად სახიფათო სამუშაოა ცალხელა მამაკაცისთვის ასე დგომა კიბის თავზე – მას ხომ სამკალმა მანქანამ ორი წლის წინ მარცხენა ხელი მოჰკვეთა. მოდი ყველანი წავიდეთ!" შესძახა მერე და წინ წაიწია, თითქოს იმ მხედრებმა და ცხენებმა ბავშვური სიხარულით აღავსეს და სიბრალულის გრძნობა გაუქარწყლეს. „დიახ, წავიდეთ", – უპასუხა ტენსლიმ და ისე გაიმეორა ქალის ნათქვამი, ისე მკაფიოდ გამოთქვა ყოველი სიტყვა და ისეთი თვითშეგნებით, რომ მისიზ რემზი შეკრთა. „მოდი, ყველანი წავიდეთ ცირკში". არა. ამას არასწორად ამბობს. არასწორად გრძნობს. მაგრამ რატომაც არა? ქალი ჩაფიქრდა. მაშ რა სჭირდა ტენსლის? იმწამს მისიზ რემზის მოსწონდა ტენსლი. ჰკითხა, როცა პატარა იყავით, ცირკში არ დაჰყავდითო? არასოდეს, მიუგო ტენსლიმ ისე, თითქოს სწორედ ის ჰკითხეს, რაც ძალიან უნდოდა, რომ მისთვის ეკითხათ; თითქოს ბოლო დღეების განმავლობაში სწორედ იმის თქმას ნატრობდა, რომ ბავშვობაში ცირკში არ დაჰყავდათ. დიდი ოჯახიდან იყო, ცხრა ძმა და დები, მამამისი მშრომელი კაცი იყო. „მამაჩემი აფთიაქარია, მისიზ რემზი. თავისი აფთიაქი აქვს." თავად კი დამოუკიდებლად გაიკვლია გზა მას შემდეგ, რაც ცამეტი წლის გახდა. ხშირად ზამთარს უპალტოოდატარებდა. იმის შესაძლებლობაც არ ჰქონდა, რომ კოლეჯში ყოფნისას მის მიმართ გამოვლენილი „სტუმართმოყვარეობის სანაცვლოდ" (ეს სიტყვები გაჭირვებით ამოღერღა) პატივი ეცა. როგორმე უნდა მოეხერხებინა და ტანსაცმელი ორჯერ მეტხანს ეტარებინა, ვიდრე დანარჩენებს; ყველაზე იაფ თამბაქოს ეწეოდა; სრულებით უვარგისს; ისეთს, როგორსაც მაწანწალა მოხუცები ეწევიან სანაპიროზე. ძალიან ბევრს მუშაობდა – დღეში შვიდ საათს; მისი საკვლევი თემა იყო, როგორ გავლენას ახდენს ესა თუ ის ნივთიერება ამა თუ იმ ადამიანზე – თან სიარულს განაგრძობდნენ და მისიზ რემზის ბოლომდე არც ესმოდა, რას ეუბნებოდა ტენსლი, მხოლოდ აქა-იქ ჩაესმოდა სიტყვები: დისერტაცია... სამეცნიერო წოდება... პროფესორის ასისტენტობა... ლექტორობა... მისიზ

რემზის უჭირდა აკადემიური ჟარგონის აღქმა, რომელსაც ასეთი რიხით ჩამოთვლიდა ტენსლი, მაგრამ გულში გაიფიქრა, ახლა კი ვხედავ, რატომ ამოაგდო კალაპოტიდან ცირკში წასვლის თემამ ეს კაცუნა და რატომ დაიწყო მაშინვე მამაზე და დედაზე და ძმებზე და დებზე ლაპარაკი; ამიერიდან არავის მივცემ ამ კაცის დაცინვის ნებას; დიახ, აუცილებლად ეტყვის ფრუს ამის შესახებ. ალბათ ტენსლი უფრო იმით კი არ მოიწონებს თავს მეგობრებთან, თუ როგორ წავიდა ცირკში, არამედ როგორ წავიდა რემზების ოჯახთან ერთად თეატრში იბსენის პიესის სანახავად. აუტანელი მორალისტია. დიახ, დიდი აბეზარი ვინმეა. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ქალაქს მიუახლოვდნენ და ცენტრალურ ქუჩაზე გავიდნენ, სადაც ოთხთვალები დახრიგინებდნენ რიყის ქვაფენილზე, ის მაინც განაგრძობდა ლაპარაკს საქმიან გარიგებებზე, მასწავლებლობაზე, მშრომელ ხალხზე, როგორ უნდა დავეხმაროთ ჩვენს კლასს, ლექციებზე, და ასე გაგრძელდებოდა იქამდე, ვიდრე, როგორც მისიზ რემზი მიხვდა, ბოლომდე არ მოიპოვებდა თავდაჯერებას, არ განიკურნებოდა ბავშვობის დროინდელი უკმარისობის გრძნობისგან ცირკთან დაკავშირებით და, სადაცაა, ეტყოდა კიდეც (და ახლა ისევ განიმსჭვალა სიმპათიით მის მიმართ), მაგრამ ამ დროს ისეთ ადგილზე გავიდნენ, სადაც ქუჩის ორივე მხარეს სახლები გაუჩინარდა და სანაპიროზე ამოყვეს თავი. მთელი ყურე გადაიშალა მათ თვალწინ და მისიზ რემზიმ თავი ვეღარ შეიკავა და აღტაცებულმა შესძახა, შეხედეთ, რა სილამაზეაო, ვინაიდან მის წინ ლურჯი წყლით სავსე უშველებელი მათლაფა იდგა; და ამ მათლაფის შუაში, შორი, კუშტი, შევერცხლილი შუქურის ლანდი წამოიმართა ნისლში; ხოლო მარჯვნივ, სადამდეც თვალი მიუწვდებოდა, გახუნებული და დამრეცი, ზღვის ტალღებივით მოლივლივე მწვანე ქვიშის დიუნების რბილი ნაოჭები და ზედ ველურად ამოზრდილი ბალახი გადაიშალა, რომელიც ყოველთვის ისე გამოიყურებოდა, თითქოს სადღაც, რომელიღაც მთვარის ქვეყნისკენ გაქცევას ლამობდა, რომელზეც ადამიანიშვილს არ დაუდგამს ფეხი.

„აი, ასეთი ხედი უყვარს ჩემს ქმარს," თქვა მისიზ რემზიმ და ნაცრისფერი თვალები უფრო ჩაუმუქდა.

წამით შეყოვნდა. „მაგრამ, ხედავთ," დასძინა მან, „ახლა აქ მხატვრები მოსულან".

და მართლაც, სულ რამდენიმე ნაბიჯი აშორებდათ ფართოფარფლებიან პანამასა და ყვითელ, მაღალყელიან ფეხსამელებში გამოწყობილი მხატვრისგან, რომელიც სერიოზულად, დინჯად მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ ათი პატარა ბიჭუნა უთვალთვალებდა, მრგვალ, წითურ პირისახეზე უსაზღვრო ბედნიერება აღბეჭდვოდა და გაფაციცებით აცქერდებოდა რაღაცას და როცა გულს იჯერებდა, მერე საღებავში აწობდა ფუნჯს; მერე კი ფუნჯის წვერს საგულდაგულოდ ჟღენთდა საღებავების მწვანე თუ ვარდისფერ მსუყე ბურცობში. და მისიზ რემზიმ თქვა, მას მერე, რაც მისტერ პონსფორტე სამი წლის წინ ჩამოვიდა, ყველა მისი სურათი ერთმანეთს ჰგავსო, მწვანე და რუხი, ლიმონისფერი აფრიანი ნავები და ვარდისფერი ქალები სანაპიროზე; მაგრამ ბებიაჩემის მეგობრები, – განაგრძო ლაპარაკი და როცა ახლოს ჩაუარეს, შეფარვით გააპარა თვალი მხატვრისკენ, – იმ დროს ბევრად მეტს წვალობდნენ; ჯერ თავიანთ საკუთარ საღებავებს

შეაზავებდნენ, მერე ფქვავდნენ, და ბოლოს კი ნოტიო ქსოვილს მიაფარებდნენ ხოლმე გამოშრობისგან დასაცავადო.

და ჩარლზ ტენსლის ეგონა, ამით იმაზე მიმანიშნებს, რომ ამ მხატვრის სურათი მწირია, მგონი, ასე იტყვიან ხოლმე, არა? ფერები მსუყე არ არის? ამას ასე ჰქვია, არა? იმ არაჩვეულებრივი გრძნობის გავლენით, ბაღში რომ დაიწყო, როცა მისიზ რემზის ჩანთის წამოღება შესთავაზა და სეირნობისას თანდათან უმძაფრდებოდა, და კიდევ უფრო გაძლიერდა ქალაქში, როცა ამ ქალისთვის მთელი თავისი თავგადასავლის გამხელა მოუნდა, მან საკუთარ თავს ახლებურად შეხედა, და ყველაფერი, რაც მანამდე იცოდა, ოდნავ გამრუდებული ეჩვენა. საოცრად უცნაური გრძნობა დაეუფლა.

მერე კი იდგა აქ, ღარიბულ პატარა სახლთან, სადაც მისიზ რემზიმ მიიყვანა და ელოდა, ვიდრე ის ზედა სართულზე ავიდოდა წამით, ვიღაც ქალის მოსანახულებლად. ესმოდა მისი ფეხის სწრაფი ბაკაბუკი, როცა ზედა სართულზე ადიოდა; ჯერ მხიარული, შემდეგ კი ხმადაბალი ლაპარაკი მოესმა; თვალი შეავლო ფეხის საწმენდ ტილოს, საჩაიეებს, მინის ჭაღებს; ლამის სულმოუთქმელად ელოდა მისიზ რემზის გამოჩენას; ერთი სული ჰქონდა, როდის დაადგებოდნენ გზას უკან, შინისკენ; გადაწყვიტა, ჩანთა გამოერთმია; მერე გაიგონა, როგორ გამოვიდა გარეთ; როგორ გამოიხურა კარი; როგორ დაარიგა, ფანჯრები მუდამ გაღებული გქონდეთ, კარი კი ჩაკეტილიო, და თუკი რაიმე დაგაკლდებათ შინ (ეტყობა ბავშვს ელაპარაკებოდა), მოურიდებლად მითხარითო, და მერე უეცრად მის წინგაჩნდა, წამით ხმა აღარ ამოუღია (თითქოს იქ, ზემოთ, თავს იკატუნებდა, ახლა კი თავს უფლება მისცა, ისეთი ყოფილიყო, როგორიც სინამდვილეში იყო) და სრულიად გაუნძრევლად იდგა იმ სურათის ფონზე, რომელზეც დედოფალ ვიქტორიას წვივსაკრავის ორდენის ლურჯი ბაფთა უკეთია; და მაშინ, სრულიად მოულოდნელად, ჩარლზ ტენსლიმ გააცნობიერა, თუ რა იყო ეს – მისიზ რემზი ყველაზე ლამაზი ადამიანი იყო, ვინც კი ამქვეყნად ეგულებოდა.

თვალში ვარსკვლავები, თავზე კულულები, თმაში ყოჩივარდები და მინდვრის იები! – რა სისულელეები მოსდის აზრად? ის ხომ, სულ ცოტა, ორმოცდაათი წლისაა; თანაც რვა შვილი ჰყავს. მიაბიჯებდა ყვავილებით მოფენილ მინდორში, გულში იკრავდა დაკრეფილ ყვავილებს და დაცემულ კრავებს; თვალებში ვარსკვლავები უციმციმებდა და თმაში ქარი... – და ჩარლზ ტენსლიმ მისიზ რემზის ხელჩანთა გამოართვა.

„ნახვამდის, ელსი", – უთხრა მისიზ რემზიმ და ასე აუყვნენ ქუჩას. შემართული, ქოლგით ხელში, ისე მიაბიჯებდა, გეგონება, ვიღაცასთან შესახვედრად მიიჩქარის ქუჩის კუთხეშიო, ხოლო ჩარლზ ტენსლიმ, ცხოვრებაში პირველად, უჩვეულო სიამაყე იგრძნო; მუშამ, რომელიც სადრენაჟო არხს თხრიდა, თხრა შეწყვიტა და მისიზ რემზის დანახვაზე ხელები დაუშვა და ასე უყურებდა გარინდული; ცხოვრებაში პირველად ჩარლზ ტენსლი უჩვეულო სიამაყით აღივსო; მან ქარის და ყოჩივარდების და იების მოზღვავება იგრძნო, რადგან ის ახლა ლამაზი ქალის გვერდით მიაბიჯებდა. და თანაც, მისი ჩანთა ეჭირა ხელში.

თავი 2

„შუქურაზე ლაშქრობა ჩაიშალა, ჯეიმს", თქვა მან ისეთი კილოთი, თითქოს მისიზ რემზის პატივისცემით ერთგვარად სათქმელის შერბილებას ცდილობდა.

ავყია კაცუნა, გაიფიქრა მისიზ რემზიმ, ნეტავი რა რჯის, ისევ ამას რომ იმეორებს?

თავი 3

„სავსებით შესაძლებელია, გაიღვიძო და აღმოჩნდეს, რომ მზე ანათებს და ჩიტები ჭიკჭიკებენ", თანაგრძნობით თქვა მისიზ რემზიმ და ბიჭუნას თავზე ხელი გადაუსვა, რადგან შეატყო, რომ ცუდი ამინდის თაობაზე წამოსროლილმა ქმრის გესლიანმა შენიშვნამ მას გუნება წაუხდინა. დედამ იცოდა, რომ შუქურასთან მისვლა შვილს გატაცებად ექცა და, გეგონება ის არ კმაროდა, რომ მისმა ქმარმა ენამწარედ შენიშნა, ხვალ ცუდი ამინდი იქნებაო, ახლა ეს საძაგელი ჩია კაციც აჰყვა და დაჟინებით იმავეს გაიძახოდა.

„შეიძლება ხვალ კარგი ამინდი გამოვიდეს", თქვა მისიზ რემზიმ და კვლავ თავზე გადაუსვა შვილს ხელი.

ახლა მხოლოდ ისღა შეეძლო, შვილის მიერ ჟურნალიდან ამოჭრილი სურათი შეექო; ჟურნალის იმ გვერდების თვალიერებას შეუდგა, რომლებზეც გასაყიდი ნივთების ნუსხა ეგულებოდა, რომ რამე, ფოცხის, ანდა ბალახის საკრეჭი მანქანის მაგვარი ენახა, რამე ისეთი, რის ამოჭრასაც განსაკუთრებული ოსტატობა და გულისყური სჭირდება. ყველა ეს ახალგაზრდა ჩემს ქმარს ბაძავს, გაიფიქრა; ჯერ თქვა, იწვიმებსო; მერე ორივემ თქვა, ნამდვილი ტორნადოა მოსალოდნელიო.

მაგრამ, როგორც კი ჟურნალი გადაფურცლა, ფოცხის და საკრეჭი მანქანის ძიება გააწყვეტინეს. კაცების ბოხი ხმით ჩურჩულმა, რომელიც მხოლოდ დროდადრო წყდებოდა, როცა ჩიბუხს მოქაჩავდნენ, სიმშვიდე მოჰგვარა, მიუხედავად იმისა, რომ არ ესმოდა, რაზე საუბრობდნენ (ფანჯარასთან იჯდა, რომელიც ტერასას გადაჰყურებდა), რადგან იგრძნო, რომ მამაკაცები მხიარულად ბაასობდნენ; ეს ხმა, რომელიც უკვე ნახევარი საათის განმავლობაში უწყვეტლივ ჟღერდა და მანუგეშებლად ჩაესმოდა მრავალ სხვა ხმასთან ერთად, რომელიც ერთმანეთს შერეოდა და ყურთასმენას უძაბავდა – ტაფელაზე ბურთის დგაფუნი, ძაღლის უეცარი მჭახე დაყეფება თუ კრიკეტის მოთამაშე ბავშვების ხალისიანი შეძახილები „რაო, რა თქვი? რაო, რა თქვი?" უცაბედად შეწყდა; და სანაპიროდან ტალღების მონოტონური დგაფუნი მოისმა და მის ფიქრებს თანაბარი, მშვიდი, საღამოს ბუკის ხმებად შეერია და თითქოს მანუგეშებლად იმეორებდა ისევ და ისევ, როცა ბავშვებთან ერთად იჯდა, ძველი იავნანას სიტყვებს, თავად ბუნების ენაზე გამოთქმულს: „მე თქვენ დაგიცავთ, თქვენი მცველი ვარ", თუმცა სხვა დროს, უცებ, მოულოდნელად, განსაკუთრებით როცა მისი გონება ოდნავ ამაღლდებოდა

ხოლმე ყოველდღიურ საზრუნავსა თუ იმწამიერ ხელსაქმეზე, მას ასეთი კეთილი ზემოქმედება კი აღარ ჰქონდა, არამედ დაფდაფების ავისმომასწავებელ ცემასავით უმოწყალოდ ზომავდა სიცოცხლის წუთებს და ადამიანს უბიძგებდა, დაეწყო ფიქრი ამ კუნძულის განადგურებაზე, იმაზე, თუ როგორ შთანთქავდა ზღვა და აფრთხილებდა მას, ვისი დღეებიც ისე იპარებოდა ხან ერთი საქმის, ხანაც მეორის სულმოუთქმელ ორომტრიალში, რომ ყველაფერი წამიერი და სწრაფწარმავალია, როგორც ცისარტყელა – და ამ ხმამ, რომელიც მანამდე სხვა ბგერების ზემოქმედებით მოგუდული და შეუმჩნეველი ჩანდა, უეცრად გამაყრუებლად დაიგრგვინა და, თავზარდაცემული, ზემოთ აახედა.

მამაკაცებს საუბარი შეეწყვიტათ; აი, თურმე რა მოხდა. იმ დაძაბულობიდან, რომელმაც ერთიანად შეძრა, წამში მეორე უკიდურესობაში გადავარდა, რომელიც თითქოსდა იმ უაზრო დაძაბულობის საპასუხოდ და ასანაზღაურებლად საოცრად გულგრილი, სახალისო, ის კი არა, ოდნავ მზაკვრულიც კი იყო, რადგან, როგორც დაასკვნა, საბრალო ჩარლზ ტენსლი თავიდან მოიშორეს. ეს კი მას დიდად არ ანაღვლებს. თუ მის ქმარს სჭირდება მსხვერპლი (რაც მართლაც სჭირდება), ის ხალისით შესწირავს მსხვერპლად ჩარლზ ტენსლის, რომელმაც ასე აწყენინა მის პატარა ბიჭუნას.

კიდევ ერთი წამიც, და თავი წამოსწია, ყური მიუგდო, თითქოს ჩვეული, ნაცნობი, ჩვეულებრივი, მექანიკური ხმების გაგონებას მოელოდა; და შემდეგ, როცა რაღაც რიტმულმა, საუბრისა თუ ღიღინის მსგავსმა ხმებმა მოაღწია მის ყურამდე, როცა მისი ქმარი ტერასაზე ბოლთის ცემას შეუდგა, და რაღაცა, ყიყინის თუ ჩხავილისმაგვარი გაიგონა, ისევ დამშვიდდა, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზეა, დახედა მუხლებზე გადაშლილ წიგნს და ექვსპირიანი ჯაყვა აღმოაჩინა, რომლის გამოჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ჯეიმსი დიდ ყურადღებას გამოიჩენდა.

უეცრად ხმამაღალი ყვირილი, მთვარეულივით, ძილ-ბურანში, თითქოს რაღაც

„ტყვიების და ჭურვების სეტყვა დააყარეს."

სიმღერა მოესმა ძალიან ხმამაღლა, პირდაპირ ყურში ჩაჰყვირა თითქოს, მისიზ რემზიმ დამფრთხალმა მიმოიხედა, აინტერესებდა, ვინმემ ხომ არ გაიგონა მისი სიმღერა. და შვებით აღმოაჩინა, რომ მხოლოდ ლილი ბრისკომ; მაშ არა უშავს. მაგრამ როცა დაინახა, რომ მდელოს განაპირას იდგა და ხატავდა, გაახსენდა, რომ რაც შეიძლება გაუნძრევლად უნდა მჯდარიყო. ლილის სურათი! მისიზ რემზის გაეღიმა. ჩინელივით წვრილი თვალების და შეჭმუხნილი სახის პატრონი, ვერასოდეს გათხოვდებოდა; მის სურათს სერიოზულად არავინ აღიქვამდა; ის პაწია დამოუკიდებელი არსება იყო და მისიზ რემზის მოსწონდა ამის გამო; ამრიგად, დანაპირები მოაგონდა და თავი დახარა.

თვი 4

უცებ ცხენზე ამხედრებული წამოადგა თავზე, ხელებს იქნევდა და გაჰყვიროდა და კინაღამ მოლბერტი გადმოუყირავა: „უშიშრად მიქროდნენ მხედრები, მარდად", მაგრამ, მადლობა ღმერთს, სხარტად და მკვეთრად შეტრიალდა და ჭენება განაგრძო, რათა, როგორც მისიზ რემზის წარმოედგინა, სახელოვანი სიკვდილი განეცადა ბალაკლავის ფერდობზე. ვინ შეიძლება იყოს ასეთი სასაცილო და თან ასეთი შემაშფოთებელი. მაგრამ ვიდრე ასე იქნევდა ხელებს და გაჰყვიროდა, ლილი თავს უსაფრთხოდ გრძნობდა; რადგან იცოდა, რომ მისტერ რემზი არ დაუდგებოდა გვერდით და სურათის თვალიერებას არ დაიწყებდა. და სწორედ ამას ვერ იტანდა ლილი ბრისკო. მაშინაც კი, როცა სურათს მთლიანობაში – ხაზს, ფერს და ფანჯარასთან ჯეიმსთან ერთად მჯდომ მისიზ რემზის გაფაციცებით აკვირდებოდა, გუმანით შეიგრძნობდა ყოველ გაფაჩუნებას, რადგან ღელავდა, ვინმე უჩუმრად არ მომეპაროს და ნახატი არ ნახოსო. მაგრამ ახლა ნაბიჯების ხმით იგრძნო, რომ ეს უილიამ ბენქსი იყო, და მიუხედავად იმისა, რომ ხელში ფუნჯი შეუკრთა, სურათი პირით ბალახისკენ არ შეუტრიალებია; ამას იმ შემთხვევაში იზამდა, მისტერ ტენსლი, პოლ რეილი, მინტა დოილი ან ნებისმიერი სხვა ვინმე რომ ჰგონებოდა, და სურათისთვის ხელი აღარ უხლია.

ორივე სოფელში ქირაობდა ბინას და როცა აქეთ მოდიოდნენ, ან შინ ბრუნდებოდნენ, ანდა კარის ზღრუბლთან ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, საუბრობდნენ ხოლმე ხან იმაზე, თუ რა ხდებოდა სადილობისას, ხან ბავშვებზე, ათას წვრილმანზე, რამაც ისინი მოკავშირეებად აქცია; ასე რომ, ახლა, როცა მის გვერდით იდგა, ჩვეული სერიოზული იერით (თანაც ასაკით მამად ერგებოდა, ბოტანიკოსი, ქვრივი, მუდამ საპნის სუნი რომ ასდიოდა, ფრიად აზიზი და სისუფთავის მოყვარული კაცი), ლილი არც კი განძრეულა. უბრალოდ იდგა. უილიამ ბენქსმა შენიშნა, შესანიშნავი ფეხსაცმელები აცვია, ფეხის თითებზე არ უჭერსო. ბინას ერთ სახლში ქირაობდნენ და შეამჩნია, როგორი მოწესრიგებული იყო ლილი, ისაუზმებდა თუ არა, მაშინვე სახატავად გადიოდა, და ფიქრობდა, რომ სულ მარტო იყო: სავარაუდოდ, ღარიბი. მართალია, მას აკლდა ის გარეგნული ხიბლი, რომელიც მის დოილს გამოარჩევდა, მაგრამ ჰქონდა საღი გონება, რომელიც მის დოილთან უპირატესობას ანიჭებდა. აი, მაგალითად, როცა მისტერ რემზი დაესხმოდა ხოლმე თავს, ატეხდა ყვირილს და ხელების ქნევას. მისი აზრით, მის ბრისკოს ყველაფერი კარგად ესმოდა. სხვა შეიძლება ამას ვერც მიმხვდარიყო.

ვიღაცამ უხეში შეცდომა დაუშვა.

მისტერ რემზი მრისხანე მზერას მიაპყრობდა ხოლმე, მაგრამ ისე, თითქოს ვერავის ხედავდა. ეს ორივეს ოდნავ უხერხულად აგრძნობინებდა თავს. უილიამ ბენქსი და ლილი ისეთი რამის მომსწრენი იყვნენ, რაც, წესით, უცხოს არ უნდა ენახა. ისინი მათ პირად ცხოვრებაში შეიჭრნენ. ასე რომ, ლილის აზრით, ალბათ სწორედ ეს უბიძგებდა მისტერ ბენქსს გარიდებოდა იქაურობას, რათა მათი საუბარი არ გაეგონა და მაშინვე იტყოდა ხოლმე რამეს სუსხიან ამინდზე, ან გასეირნებას შესთავაზებდა. და ისიც მიჰყვებოდა, დიახ. მაგრამ ახლა თვალს ვერ აცილებდა თავის ნახატს. ბრდღვიალა იისფერი ყვავილები; თეთრად მომზირალი კედელი. უსამართლობა იქნებოდა, რამე შეეცვალა, მიეჩქმალა ამ ბრდღვიალა იისფერში და თვალისმომჭრელ

სითეთრეში, რადგან სწორედ ასეთებს ხედავდა, მიუხედავად იმისა, რომ, მისტერ პონსფორტეს აზრით, დღეს მოდაში იყო ყველაფრის მკრთალად, ნარნარად, ნახევრად გაუმჭვირვალედ გამოსახვა. და გარდა ამისა, ფერებს მიღმა ფორმაც იყო. როცა უყურებდა, ყველაფერს ისე მკვეთრად, ისე შთამბეჭდავად აღიქვამდა, მაგრამ, როცა ფუნჯს იღებდა ხელში, მაშინ ყველაფერი იცვლებოდა. სწორედ ასეთ დროს ხდებოდა, რომ წამიერად, წარმოსახვასა და ტილოს შორის ავი სულები ჩაიბუდებდნენ და ხშირად ცხარე ცრემლსაც ადენდნენ და ჩანაფიქრის ხორცშესხმა ისეთივე სატანჯველი ხდებოდა, როგორიც ბნელი დერეფნის გავლაა ბავშვისთვის. ასეთი რამ ხშირად უგრძნია – უწევდა ბრძოლა საოცარი სირთულეების წინააღმდეგ, რომ საკუთარი სიმამაცე არ დაეკარგა; რომ ეთქვა: „დიახ, მაგრამ მე ასე ვხედავ; ესაა ჩემი ხედვა", და ამგვარად ჩაებღუჯა, მკერდში მაგრად ჩაეკრა მისეული ხედვის საცოდავი ნარჩენი, რომლის გამოგლეჯასაც ლამობდა ათასობით ძალა. და სწორედ ასე დაიწყო ხატვა, ამ სუსხსა და ქარში, და როგორც კი ხატვას შეუდგა, თავს დაატყდა უამრავი სხვა რამ: უკმარისობის გრძნობა, საკუთარი არარაობის შეგრძნება, მამის სახლის მოვლა ბრომპტონ როუდზე, და დიდ ძალისხმევად დაუჯდა თავის შეკავება, რომ არ აჰყოლოდა წამიერ იმპულსს და ფეხებში არ ჩავარდნოდა (მადლობა უფალს, დღემდე ახერხებდა თავის შეკავებას) მისიზ რემზის და არ ეთქვა მისთვის – მაგრამ რა შეიძლება ეთქვა მისთვის? „მე თქვენ შემიყვარდით"? არა, ეს ხომ სიმართლე არ არის. „მე შემიყვარდა ეს ყველაფერი", და ხელი გაეშვირა ბუჩქნარით შემოღობილი ეზოს, სახლის, ბავშვებისკენ. ეს ხომ სისულელეა, ეს ხომ შეუძლებელია. ასე რომ, ახლა ფუნჯები კოხტად ჩაალაგა ყუთში გვერდიგვერდ და უილიამ ბენქსს უთხრა:

„რაღაც აცივდა უცბად. ეტყობა, მზემ სიმხურვალე დაკარგა". თქვა და მიმოიხედა, რადგან ჯერ კიდევ არ ბნელოდა, ბალახი ისევ ნაზი ხასხასა მწვანე იყო, სახლიც ძველებურად ბრწყინავდა სიმწვანეში, რომელშიც ლილისფერი ყვავილები ელავდა და ჭილყვავების მჭახე ჩხავილი მოისმოდა ლაჟვარდისფერი ციდან. მაგრამ რაღაც შეირხა, იელვა, და ვერცხლისფერი ფრთა დაუსვა ჰაერს. ბოლოს და ბოლოს, უკვე ხომ სექტემბერია, სექტემბრის შუა რიცხვები, საღამოს შვიდი საათი დაიწყო უკვე. ასე რომ, გაკვალული გზით შეუყვნენ ბაღს, ჩაუარეს ჩოგბურთის მოედანს, ხშირი, აქოჩრილი ბუჩქნარის ღობის ღიობს მიადგნენ, რომელსაც გაღვივებული ნაკვერცხლებივით,ხასხასა, მანათობელი შროშანები ედგნენ მცველად, ხოლო მათ შორის მოჩანდა ზღვის ლურჯი უბე, ბევრად უფრო ლურჯი, ვიდრე ოდესმე.

თითქოს რაღაც უხილავი ძალა იზიდავდა ორივეს. როგორც წესი, ყოველ საღამოს მოდიოდნენ აქ შებინდებისას. თითქოს ზღვის წყალი გადმოიღვრებოდა ხოლმე და ხმელეთზე დაგუბებულ ფიქრებს შორეულ ზღვებში მიაქანებდა სამოგზაუროდ და ის კი არა, ტანითაც კი შეიგრძნობდნენ ერთგვარ შვებას.

თავიდან ფერის რიტმმა ცისფერი უხვად გადმოღვარა ყურეზე და მასთან ერთად გულიც გაიშალა და ტანმა შეცურა მასში, ვიდრე სულ ერთი წამის შემდეგ არ შეფერხდა და არ ჩაცხრა აწეწილი ტალღების სიშავის შემხედვარე. და შემდეგ, ზემოთ, ვეება შავი კლდის უკან, თითქმის ყოველ საღამოს უჩვეულოდ ამოხეთქავდა ხოლმე თეთრი წყლის შადრევანი, და რომ არ

გამოგრჩენოდა, თვალყური უნდა გედევნებინა, და დიდ სიხარულს განიცდიდი მისი დანახვისას. ასე რომ, ვისაც მისი დანახვა სურდა, უნდა დადარაჯებოდა და დაინახავდა, მკრთალი, ნახევარწრის ფორმის სანაპიროზე როგორ იფრქვეოდა ტალღები გლუვად, თანდათან, და იკვრებოდა სადაფის თხელი ნაქსოვი ასხმა.

იდგნენ და ორივეს ეღიმებოდა. ორივე ერთნაირ სიხარულს გრძნობდა. აღტაცებით შესცქეროდნენ ტალღების რხევას; მქროლავ ნავს, რომელმაც სხარტად გაკვეთა ტალღები, წრიულად გასერა ყურე, შედგა, შეირხა, აფრები დაუშვა და მერე სურათის მთლიანობის აღქმის ქვეცნობიერმა მოთხოვნილებამ ორივე შორეული დიუნებისკენ გაახედა და მხიარულების ნაცვლად, იმწამს რომ განიცადეს, ორივეს ერთგვარი სევდა მოერია – ერთი მხრივ იმიტომ, რომ რაღაც დასრულდა, მეორე მხრივ კი იმის გამო, რომ ეს თვალუწვდენელი ხედები, როგორც ლილი ბრისკოს გაუელვა წამით, მილიონი წლით მეტხანს იცოცხლებდნენ, ვიდრე მისი ცქერით დამტკბარი ადამიანები, ისინი უკვე ზეცას იყვნენ ნაზიარები, ზეცას, რომელიც ისე დასცქერის მიწას ზემოდან, როგორც განსვენებულს.

უყურებდა შორეულ ქვიშის დიუნებს უილიამ ბენქსი და თან რემზიზე ფიქრობდა: გაახსენდა ვესტმორლანდის გზა, გაახსენდა, როგორ მიუყვებოდა გზას რემზი თავისთვის, სიმარტოვით გარემოცული, რომელიც მის ბუნებრივ მდგომარეობად აღიქმებოდა. მაგრამ სიმშვიდე უცაბედად დაირღვა, და უილიამ ბენქსს გაახსენდა (და ეს რომელიღაც შემთხვევასთან იყო დაკავშირებული), რომ ეს კრუხის გამო მოხდა, რომელიც თავის ახლად გამოჩეკილ წიწილებს გადაეფოფრა, მისტერ რემზი კი შედგა, ხელჯოხი კრუხისკენ გაიშვირა და თქვა, საუცხოოა, საუცხოოაო, და ბენქსს მოეჩვენა, რომ რემზის წამით უცნაურად გაუნათდა გული, რაც რემზის გულწრფელობაზე, უბრალო ცხოვრებისეული მოვლენების მიმართ მის თანაგრძნობაზე მიანიშნებდა; თუმცა მოეჩვენა, თითქოს მათი მეგობრობა მაშინ დასრულდა, სწორედ იქ, გზის იმ მონაკვეთზე. ამის შემდეგ რემზიმ ცოლი შეირთო. და ასე მოხდა, რომ მათ მეგობრობას თანდათანობით ნიადაგი გამოეცალა. ბენქსი ვერ იტყოდა, ვისი ბრალი იყო ეს; ოღონდ დროთა განმავლობაში სიახლის ადგილი განმეორებამ დაიკავა. მათი შეხვედრებიც განმეორებად იქცა. მაგრამ დიუნებთან ამ უტყვი დიალოგისას ბენქსმა დაასკვნა, რომ რემზის მიმართ გრძნობა ოდნავადაც არ განელებოდა; ოღონდ საქმე ისაა, რომ ეს მეგობრობა, მთელი თავისი სიმწვავით და რეალობით, ახლა იმ ჭაბუკს ჰგავდა, ტუჩებზე ცინცხალი ვარდისფერი რომ შერჩენია, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ერთი საუკუნის შემდეგ აღმოაჩინეს ტორფში ჩამარხული, ყურის გადაღმა, ქვიშის გორაკებში.

მას აღელვებდა ეს მეგობრობა და, შესაძლოა, თან სურდა ერთგვარი დანაშაულის გრძნობა მოეხსნა, იმის გამო, რომ გამოიფიტა და დაჩიავდა – რემზი ხომ ახლა მთლიანად შვილებით იყო მოცული, მაშინ, როცა ბენქსი უშვილო იყო, დაქვრივებული – ღელავდა, ლილი ბრისკოს არ დაემცირებინა რემზი მის წინაშე (ის ხომ თავისებურად დიდი პიროვნება იყო) და მაინც, სურდა უკეთ ჩასწვდომოდა ამ მეგობრობის, ამ ურთიერთობის აზრს. მრავალი წლის წინათ ჩასახული მათი მეგობრობა ვესტმორლენდის გზაზე დასრულდა, სადაც კრუხმა ფრთები გაშალა და წიწილებს გადაეფოფრა; ამის შემდეგ რემზი დაოჯახდა და მათი გზები გაიყარა, თუმცა ამაში არც ერთს

არ მიუძღოდა ბრალი, და მაინც, როცა ხელახლა შეხვდნენ, აშკარად ერთგვარი განმეორების სურვილი წარმოიშვა.

დიახ. სწორედ ასეთი იყო საქმის ვითარება. მან ფიქრი შეწყვიტა. ხედს ზურგი აქცია. და როცა შეტრიალდა, რათა საპირისპირო მიმართულებით გზისპირა ხეივანს აჰყოლოდა, მისტერ ბენქსი გამოცოცხლდა და ცხადად დაინახა ის, რასაც ყურადღებასაც არ მიაქცევდა, ქვიშის გორაკებს რომ არ გამოეაშკარავებინა მათი მეგობრობის ცხედარი, კვლავინდებურად ვარდისფრად შეფაკლული ბაგეებით რომ იყო ტორფში, ქვიშის დიუნებში ჩამარხული – მაგალითად, კემი, პატარა გოგონა, მისტერ რემზის უმცროსი ქალიშვილი. ყვავილებს აგროვებდა სანაპიროზე. ჯიუტობდა და ანჩხლობდა. არასგზით არ სურდა, ყვავილი მიეცა „ჯენტლმენისთვის", რასაც ძიძა ეუბნებოდა. არა და არა! არასგზით არ იზამს ამას! გოგონამ მუშტები შეკრა. ფეხი დააბაკუნა. და უილიამ ბენქსმა იგრძნო ასაკის სიმძიმე და სევდა და დანაღვლიანდა და გოგონას საქციელმა თითქოს მათ მეგობრობას ჩრდილი მიაყენა. ეტყობა, მართლაც გამოიფიტა და დაჩაჩანაკდა.

რემზები მდიდრები არ იყვნენ და მართლაც გასაკვირია, როგორ ახერხებდნენ ოჯახის ყაირათიანად შენახვას. რვა შვილი! როგორია, რვაბავშვს ფილოსოფიით აჭამო პური! აი, კიდევ ერთი მათგანი, ამჯერად ჯასპერი, გვერდით ჩაუარა, ჩიტებზე სანადიროდ მივდივარო, არხეინად თქვა და გზად ლილის მაგრად ჩამოართვა ხელი, რის გამოც მისტერ ბენქსმა მწარედ ჩაილაპარაკა, სწორედ ლილია ბავშვების რჩეულიო. განათლებაც არ უნდა დაგვავიწყდეს (მართალია, შესაძლოა, მისიზ რემზისაც ჰქონდა რაღაც ქონება), თავი რომ გავანებოთ იმას, თუ რა ელვისებურად უცვდებათ და უპატარავდებათ ამ „დიდებულ ბავშვებს" ტანსაცმელი, წინდები თუ ფეხსაცმელი, რომელიც უთუოდ სჭირდებათ ამ გაკნაჭულ, უკვე კარგა მოზრდილ, ულმობელ მოზარდებს. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რომელი რომელია, ან რომელი რომელს მოსდევს ასაკით, ამის გარჩევა მისტერ ბენქსის შესაძლებლობებს აღემატებოდა. გულში ყოველ მათგანს ინგლისის მეფეების და დედოფლების სახელებით იხსენიებდა; უზნეო კემი, სასტიკი ჯეიმსი, სამართლიანი ენდრიუ, ლამაზი ფრუ, რადგან ამას ვერაფერი აღუდგებოდა წინ და ფრუ აუცილებლად ლამაზი გაიზრდებოდა, ენდრიუ კი – ჭკვიანი. ვიდრე ასე მიუყვებოდნენ გზისპირა ხეივანს, და ვიდრე ლილი ხან დიახს იტყოდა, ხანაც არას, და ყველა მის შენიშვნაზე აღმატებით კომენტარს აკეთებდა (რადგან ყველა ბავშვზე ერთნაირად იყო შეყვარებული – ის მთელ სამყაროზე იყო შეყვარებული), ბენქსი რემზის მდგომარეობას აფასებდა, თანაუგრძნობდა მას, შურდა მისი, თითქოს ცხადად ხედავდა, როგორ შემოიძარცვა რემზიმ განმარტოების და ასკეტიზმის შარავანდედი, რომელიც გვირგვინივით ამკობდა ოდესღაც, და ერთმნიშვნელოვნად აირჩია ოჯახური გარემო – ფრთების ფრთხიალი და კრიახ-კრიახი. უილიამ ბენქსი აღიარებდა – ამან მას რაღაც მისცა; რა სასიამოვნო იქნებოდა, კემს რომ მისი პიჯაკის ღილკილოში ყვავილი გაეყარა, ან მხარზე ასცოცებოდა, როგორც მამას ააცოცდა, როცა სურათის ნახვა მოუნდა, რომელზეც ვეზუვის ამოფრქვევა იყო გამოსახული; მაგრამ მათ ხომ, როგორც მისი მეგობრები უთუოდ ხედავდნენ, რაღაც დაუზიანეს კიდეც. რას იფიქრებდა ამაზე უცხო ადამიანი? რა აზრის იყო ამაზე ლილი ბრისკო? ნუთუ შეიძლება, ვინმეს არ ეგრძნო, როგორ გაუჩნდა უცნაური ჩვევები? ახირებები, შესაძლოა, თავისებური სისუსტეებიც? გასაოცარია, როგორ შეიძლება ასეთი ინტელექტის

პატრონი ასე დაეცეს – თუმცა ეს ალბათ მეტისმეტად მკაცრი ნათქვამია – და ასე იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ასხამენ ხოტბას ადამიანები.

„ჰო, მაგრამ, ნუ დაივიწყებთ მის ნაშრომებს!"

როცა „მის ნაშრომებზე" იწყებდა ფიქრს, ლილი ბრისკოს მუდამ თვალწინ დაუდგებოდა ხოლმე სამზარეულოს დიდი მაგიდა. ეს ენდრიუს ბრალი იყო. ერთხელ ჰკითხა, იცი, რის შესახებ წერს მამაშენიო. სუბიექტზე და ობიექტზე და რეალობის არსზეო, მიუგო ენდრიუმ. და როცა ლილის ამაზე უნებურად წამოსცდა, ღმერთო ჩემოო, წარმოდგენა არ ჰქონდა, რას გულისხმობდა ენდრიუ. ენდრიუმ კი უთხრა, მაშინ სამზრეულოს მაგიდაზე იფიქრეთ, ოღონდ როცა იქ არა ხართო.

ასე რომ, როცა კი მისტერ რემზის ნაშრომებზე იწყებდა ფიქრს, ლილის მაშინვე სამზარეულოს მაგიდა წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ, გახეხილი სამზარეულოს მაგიდა. ამჯერად მას მსხლის ხის ტოტებში დაედო ბინა, რადგან უკვე ბოსტანს მიადგნენ. და გაფაციცებულმა, მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ფიქრი მიაპყრო არა ხის ვერცხლისფრად დახორკლილ ქერქს, ანდა მის თევზის ფორმის ფოთლებს, არამედ სამზარეულოს მაგიდის წარმოსახვით ლანდს, ხალებიან და ხორკლიან მაგიდას, რომლის მთელი ღირსება თითქოს ერთიანად გაეშიშვლებინა მრავალწლიან ერთგულ მსახურებას და გაჩხერილიყო იქ, ჰაერში, ფეხებაშვერილი. ბუნებრივია, თუ ადამიანი ცხოვრებას კუთხოვან არსთა ჭვრეტაში ატარებს და მას ერთი თეთრი ფიცრის ოთხფეხა მაგიდაზე დაკვირვებას მიუძღვნის, ნაცვლად იმისა, რომ ფლამინგოსებრი ღრუბლებითა და ლაჟვარდოვანი და შევერცხლილი საღამოებით დატკბეს, ის ვერ ჩაითვლება რიგით, ნორმალურ ადამიანად.

მისტერ ბენქსს ესიამოვნა, რომ ლილი ბრისკომ მოუწოდა, არ დაგავიწყდეთ მისი ნაშრომებიო. ამაზე თავადაც ნაფიქრი ჰქონდა, ძალიან ხშირად. ვინ მოთვლის, რამდენჯერ უთქვამს, რემზი ერთი იმათგანია, ვინც საუკეთესო ნაშრომს ორმოცი წლის ასაკამდე ქმნისო. მას თვალსაჩინო წვლილი ჰქონდა შეტანილი ფილოსოფიაში ერთი წიგნით, რომელიც ოცდახუთი წლისამ დაწერა; ის, რაც მერე შექმნა, მეტ-ნაკლებად იმ იდეის განვრცობა და განმეორება იყო. მაგრამ იმათი რაოდენობა, ვისაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ნებისმიერ საქმეში, მეტად მცირეაო, თქვა მან, და მსხლის ხესთან შედგა, აკურატულად დავარცხნილი, ზედმიწევნით ზუსტი და სრულიად მიუკერძოებელი. და უცებ, გეგონებოდათ, მისი ხელის მოძრაობას უნებურად მოჰყვაო, ამ კაცზე დაგროვილი შთაბეჭდილებების ტვირთი ამოყირავდა და უშველებელ ზვავად ჩამოწვა ძირს ყველაფერი, რასაც ლილი მის მიმართ გრძნობდა. ეს იყო ერთი შეგრძნება. შემდეგ კი თითქოს მის თვალწინ ამოიფრქვა მისი ყოფიერების არსი. ეს იყო მეორე შეგრძნება. იგრძნო, როგორ განიმსჭვალა არსში წვდომის მძაფრი უნარით; ეს იყო ბენქსის სიმკაცრე; მისი სიკეთე; მე თქვენ პატივს გცემთ (უსიტყვოდ მიმართავდა პირადად), პატივს ვცემ ყველაფერს თქვენში; თქვენ არა ხართ ამპარტავანი; არანაირი პირადი ინტერესები არ გამოძრავებთ; თქვენ მისტერ რემზიზე უკეთესი ხართ; თქვენ ყველაზე დახვეწილი ადამიანი ბრძანდებით, ვისაც კი ვიცნობ; არც ცოლი გყავთ, არც შვილები (ყოველგვარი სექსუალური გრძნობის გარეშე სურდა, მის სიმარტოვეს მოფრთხილებოდა), თავი მეცნიერებისთვის გადადეთ (უნებურად დასერილი კარტოფილი წარმოუდგა თვალწინ); ხოტბა თქვენთვის

შეურაცხყოფის ტოლფასია; გულკეთილი,გულმართალი, გმირული ბუნების მამაკაცი ხართ! თუმცა იმავე წამს მოაგონდა, როგორ წამოიყვანა შინიდან, ამ სიშორეზე, მოსამსახურე; როგორ ღიზიანდებოდა, თუ სკამზე ასულ ძაღლს დაინახავდა; როგორ შეეძლო საათობით ლაპარაკი (სანამ მისტერ რემზი არ გავიდოდა ოთახიდან კარის გაჯახუნებით) ბოსტნეულის შემადგენელ მარილებსა და ინგლისელი მზარეულების უზნეობაზე.

მაშ როგორ გამოდის ეს ყველაფერი? როგორ უნდა განსაჯოს კაცმა ადამიანები, როგორ უნდა შეაფასოს ისინი? როგორ უნდა შეაჯეროს მათი თვისებები და დაასკვნას, რომ ერთი მოსწონს, მეორე კი – არა? და იმ სიტყვებს რა მნიშვნელობა მიეწერება? ლილი ბრისკო იდგა იქ, აშკარად განგმირული იმ მსხლის ხით, თავზე ეყრებოდა შთაბეჭდილებები ამ ორ მამაკაცზე, და უცაბედად მოხეთქილი ფიქრების დაჭერა ისეთივე რთული იყო, როგორიც ლაპარაკისა, როცა მოსაუბრე იმდენად სწრაფად ყვება, რომ ფანქარი ვერ ასწრებს ნათქვამის ჩაწერას, ხოლო ეს ხმა მისი საკუთარი ხმა იყო, რომელიც კარნახის გარეშე გამოთქვამდა უდავო, მარადიულ, ურთიერთგამომრიცხავ აზრებს ისე, რომ მსხლის ხის ქერქის ბზარები და კოპებიც კი, სამარადისოდ აღბეჭდილიყო მასში. თქვენ დიდი გაქანების კაცი ხართ, მისტერ რემზი კი – არა; ის ერთი პატარა, თავკერძა, ამპარტავანი, ეგოცენტრული პიროვნებაა; გარყვნილი; ტირანი; მისიზ რემზის სიქას აცლის; მაგრამ მას აქვს ის, რაც თქვენ (გუნებაში მისტერ ბენქსს მიმართავდა) არ გაგაჩნიათ; საოცარი არაამქვეყნიურობა; ის წვრილმანებით თავს არ იწუხებს; უყვარს ძაღლები და ბავშვები. მას რვა შვილი ჰყავს. მისტერ ბენქსს კი არც ერთი; განა ის არ იყო, ორი დღის წინ ორ პიჯაკში გამოწყობილი რომ გამოცხადდა და მისიზ რემზის ნება დართო, მისი თმისთვის პუდინგის ფორმა მიეცა? მერე თმა აეწეწა და ქინქლების ბუდესავით აქეთ-იქით ირხეოდა, თითქოს თმის ყოველი ღერი ცალ-ცალკე, მაგრამ გასაოცრად ინარჩუნებდა ფორმას ელასტიკური ბადის წყალობით – და ეს ფიქრები აქეთ-იქით დაქროდნენ მსხლის ხის ტოტებში, სადაც კვლავ უცნაურად დაბრეცილად ეკიდა გახეხილი სამზარეულოს მაგიდა, როგორც მისტერ რემზის აზროვნების უდიდესი პატივისცემის სიმბოლო, სანამ მისმა ფიქრმა უფრო და უფრო სწრაფად არ დაიწყო დართვა და არ აფეთქდა საკუთარი სისწრაფისგან; შვება იგრძნო; შორიახლო სროლის ხმა მოისმა და აი, გამოჩნდა დანაწევრებული, დამფრთხალი, აწეწილი, ხმაურიანი ტოროლების პატარა გუნდი.

„ჯასპერ!" დაიძახა მისტერ ბენქსმა. ორივე იქით მიბრუნდა, საითაც ტოროლები მიფრინავდნენ, ტერასისკენ. და როცა თვალს ადევნებდნენ ფრთამალ ჩიტებს, სხვადასხვა მხარეს რომ იფანტებოდნენ ცაზე, მაღალი ბუჩქნარის ღობის ღრიჭოში შეაბიჯეს და პირდაპირ შეეყარენ მისტერ რემზის, რომელიც ტრაგიკული შეძახილით შეეგება დაუპატიჟებელ სტუმრებს: „ვიღაცამ უხეში შეცდომა დაუშვა!"

გრძნობით ანთებული, ტრაგიზმით აღსავსე თვალები წამით მომხდურთა თვალებს შეეყარა, და როცა ნაცნობები შეიცნო, შეკრთა, მაგრამ შემდეგ ხელი ასწია, სახემდე არც კი მიუტანია, თითქოს სირცხვილისგან გამწარებულს სურდა გაეფანტა, აერიდებინა მათი უნებური მზერა, თითქოს ევედრებოდა, არ შეემჩნიათ, რაც კარგად იცოდა, რომ გარდაუვალი იყო, და მაინც, სურდა, იმის გამო, რომ სიამოვნება გააწყვეტინეს, ისეთი შთაბეჭდილება

მოეხდინა, თითქოს ბავშვივით გაღიზიანდა, და იმწამსაც კი, როცა წაასწრეს, გაუჩინარება არ განუზრახავს, არამედ გადაწყვიტა, საუცხოო შეგრძნებიდან თუნდაც მცირედი შეენარჩუნებინა, უწმინდური რაფსოდიიდან, რომლისაც რცხვენოდა, მაგრამ, რომელიც ტკბობას ანიჭებდა – ერთბაშად შეტრიალდა და მოურიდებლად გაიჯახუნა კარი; და ლილი ბრისკომ და მისტერ ბენქსმა უხერხულად ახედეს ცას და შენიშნეს, რომ გუნდურად მფრინავი ტოროლები, რომლებიც ჯასპერმა დააწიოკა თოფის გასროლით, თელებზე ჩამომსხდარიყვნენ.

თავი 5

„და თუნდაც არ გამოვიდეს კარგი ამინდი ხვალ", თქვა მისიზ რემზიმ და საკერავიდან აიხედა, რათა დაენახა, როგორ ჩაიარეს უილიამ ბენქსმა და ლილი ბრისკომ, „ახალი დღე გათენდება. ახლა კი," თქვა მან და გაიფიქრა, რომ ლილის ხიბლი მისი ჩინური თვალები იყო, ირიბად აჭრილი თეთრ, ნაოჭებიან პატარა სახეზე, მაგრამ ამის დანახვას მხოლოდ ჭკვიანი კაცი შეძლებდა, აბა, ახლა წამოდექი, ფეხი უნდა გაგიზომო", რადგან, ხომ შეიძლება, მაინც წავიდნენ ხვალ შუქურისკენ, და უნდა დარწმუნდეს, რომ მაღალყელიანი წინდა მოკლე არ არის.

გაეღიმა, რადგან მართლაც მომხიბვლელი აზრი დაებადა სწორედ იმწამს, – უილიამი და ლილი უნდა დაქორწინდნენ – აიღო ჭრელი ნაქსოვი წინდა, ყელთან ჯვარედინად გაყრილი ჩხირებით, და ჯეიმსს ფეხზე მოაზომა.

„გენაცვალე, ნუ ცქმუტავ", უთხრა ბიჭს, რადგან ჯეიმსი განზრახ ცქმუტავდა, რადგან იცოდა, რომ დედა შუქურის დარაჯის პატარა შვილისთვის ქსოვდა წინდას და მას საზომად იყენებდა. „და თუკი ცქმუტავ, როგორ უნდა მივხვდე, მოკლე იქნება თუ გრძელი", უთხრა დედამ.

მისიზ რემზიმ თავი ასწია – რა ეშმაკი შეუჩნდა მის უმცროს, მის უსაყვარლეს შვილს? – და დაინახა ოთახი, დაინახა სკამები, და გაიფიქრა, რა საშინლადაა გაცრეცილიო. სკამების შიგთავსი, როგორც ამას წინათ ენდრიუმ შენიშნა, მთელ იატაკზე იყო მიყრილ-მოყრილი; მაგრამ რა აზრი აქვს ახალი, კარგი სკამების ყიდვას, იკითხა მან, თუკი ბავშვები ისევ გააფუჭებენ გრძელი ზამთრის განმავლობაში, როცა ერთადერთი ხანდაზმული დამლაგებელი ქალი ჰყავთ და ყველაფერი ნესტით იჟღინთება? არაფერია, ქირა ზუსტად ორპენსნახევარია; ბავშვებს მოსწონთ აქაურობა; მისი ქმრისთვისაც კარგია, რომ სამი ათასი, უფრო ზუსტად კი სამასი მილია აქედან მის ბიბლიოთეკებამდე და მის ლექციებამდე და მის შეგირდებამდე; აქ მათ სტუმრის ოთახიც აქვთ. ფარდაგები, გასაშლელი საწოლები, სკამების და მაგიდების საშინელი აჩრდილები, რომლებმაც უკვე საკმარისად იმსახურეს ლონდონში და – და აქ მშვენივრად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას; და კიდევ ერთიც – ორი ფოტოსურათი და წიგნები. აი წიგნები კი, გაიფიქრა მან, თავისთავად მრავლდებიან. ამ წიგნების საკითხავად დრო არასდროს არ ჰყოფნიდა. რას იზამ! ის წიგნებიც კი არ ჰქონდა წაკითხული, რომლებიც აჩუქეს, და საკუთარი ხელით გაუკეთეს წარწერები პოეტებმა: „მას, ვისი ყველა სურვილი უნდა შესრულდეს"... „ჩვენი დროის მშვენიერ ელენეს – ბევრად უფრო ბედნიერს". სირცხვილია სათქმელად, მაგრამ ვერასოდეს

მოახერხა მათი წაკითხვა. ვერც „კრუმზე ფიქრში“ და ვერც „ბეითსი პოლინეზიის ველურ ადათებზე“ (საყვარელო, ხომ გითხარი, არ გაინძრე-მეთქი, უთხრა შვილს) – ამ წიგნებიდან ვერც ერთს ვერ გაგზავნიდა შუქურაზე. მალე სახლი ისე შეილანძღება, რომ რამე უნდა ვიღონოთო, გაიფიქრა. ამათ რომ ისწავლონ ფეხის წესიერად გაწმენდა შინ შემოსვლამდე და ქვიშა და მიწა რომ არ შემოჰქონდეთ თან, დიდი საქმე იქნებოდა. აი, კიბორჩხალების მოტანას ენდრიუს ვერ აუკრძალავს, თუ მათი გაკვეთა მოუნდება, ან, თუ ჯასპერს ჰგონია, რომ ზღვის სარეველათი წვნიანის მომზადებაა შესაძლებელი, ვერც ამას აუკრძალავს კაცი; ვერც როუზის საყვარელ მონაპოვარს – ნიჟარებს, ლერწამს, კენჭებს; მისი შვილები ხომ ყველანი ნიჭიერები არიან, ოღონდ ყველა სხვადასხვანაირად. ამის შედეგი კი ისაა, ამოიოხრა მან და მთელ ოთახს, იატაკიდან ჭერამდე, თვალი მოავლო, თან ჯეიმსს წინდას აზომებდა ფეხზე, ზაფხულიდან ზაფხულამდე ამ სახლში ყველაფერი თანდათანობით სულ უფრო ცვდება და ხუნდება. ჭილოფი გახუნდა; კედლებს ალაგ-ალაგ შპალერი სძვრება. უკვე ვეღარც იტყვი, თუ ზედ ოდესღაც ვარდები ეხატა. და უნდა ითქვას, რომ, თუ სახლის ყველა კარი მუდმივად ღიაა და მთელ შოტლანდიაში ვერ მონახავ კარის საკეტის შემკეთებელს, ბუნებრივია, ყველაფერი გაფუჭდება. რა აზრი აქვს სურათის ჩარჩოზე მწვანე ქიშმირის შალის შემოხვევას? ორ კვირაში მუხუდოს წვნიანის ფერი გახდება. მაგრამ ყველაზე მეტად კარების ამბავი აწუხებდა; არც ერთი კარი არ იკეტება; ჰოლის კარი ღიაა; ლამის საძინებლების კარებიც ღიაა და, რასაკვირველია, კიბის თავზე ფანჯარა უნდა იღებოდეს, კარი კი იკეტებოდეს – ამაზე მარტივი რა შეიძლება იყოს, მაგრამ არავის რომ არ ახსოვს კარის მიხურვა? საღამოობით გოგონების ოთახში შედის ხოლმე და ყველას ღუმელივით ჩახუთულ ოთახში სძინავს. მხოლოდ მერი, შვეიცარიელი გოგონა ამბობს, უჰაერობას მირჩევნია აბაზანა არ მივიღოო. სუფთა ჰაერის გარეშე ვერ ძლებს, ამბობს, ჩვენთან, ჩემს სამშობლოში, მთები ისეთი ლამაზიაო. ასე უთხრა სწორედ გუშინ საღამოს, როცა აცრემლებული იყურებოდა ფანჯარაში. „მთები ისეთი ლამაზიაო“. მამა უკვდებოდა სამშობლოში. მისიზ რემზიმ იცოდა ეს. ბავშვები უმამოდ რჩებოდნენ. შვილები მკაცრად დატუქსა და უჩვენა, როგორ უნდა გაესწორებინათ ლოგინები, როგორ უნდა გაეღოთ ფანჯრები, და ვიდრე ხელებს ფრანგი ქალის დარად კეცავდა და შლიდა, ამ დროს გოგონამ ლაპარაკი დაიწყო და ირგვლივ თითქოს ყველაფერი ჩამოიკეცა, ჩიტის ფრთებივით, თავისთავად, უჩუმრად რომ იკეცება და ფრთების სილურჯე ჯერ კაშკაშა ფოლადისფრად, მერე კი ნაზ ზამბახისფრად იფერება. იდგა და ხმას ვერ იღებდა, რადგან არაფერი ჰქონდა სათქმელი. გოგონას მამას ყელის კიბო სჭირდა. როცა მოაგონდა, როგორ იდგა იქ გუშინ, და როგორ უთხრა გოგონამ, ჩვენთან მთები ისეთი ლამაზიაო, და რომ არანაირი იმედი აღარ ჰქონდათ, იმედის ნატამალიც კი, უნებურად ისეთი ბრაზი მოერია, რომ მკვახედ შეუძახა ჯეიმსს:

„არ გაინძრე, ნუ დამღალე!“ ასე რომ, ბიჭმა გუმანით იგრძნო – დედა არ ეხუმრებოდა, ფეხი გაასწორა და საშუალება მისცა, ზომა აეღო.

სორლის პატარა ბიჭუნა ჯერ არ იქნებოდა ჯეიმსის სიმაღლისა, ასე რომ, წინდა აშკარად მოკლე აღმოჩნდა, სულ ცოტა, ერთი დუიმით მაინც.

„ძალიან მოკლეა," თქვა მისიზ რემზიმ, „ბევრად უფრო მოკლე, ვიდრე საჭიროა".

არავინ იყო მისიზ რემზივით სევდიანი. დადარდიანებულს და სასოწარკვეთილს, თითქოს წყვდიადში, უძირო უფსკრულში ჩაძირულს, მზის სხივს რომ გაურბის უკუნეთისკენ, სიღრმისკენ გაურბის, თვალში ცრემლი დაუგუბდა; აევსო თვალის უპეები; მომდგარი წყალი აქეთ-იქით დაირწა, ჩაგუბდა და ისევ ჩადგა. არავის შეეძლო ასეთი სევდიანი იერის მიღება. ვერავის ნახავდით მასავით სევდიანს.

მაგრამ იქნებ ეს მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებაო, ამბობდა ხალხი. რა იმალება ამ სევდის უკან – მისი სილამაზე და მშვენიერება? როგორც მავანნი ამბობდნენ, იქნება მართლაც თავი მოიკლა იმ სხვა, მისმა უწინდელმა შეყვარებულმა, გათხოვებამდე სულ რაღაც ერთი კვირით ადრე? ან იქნებ არც არაფერი იმალება? არაფერი, გარდა სწორუპოვარი სილამაზისა, რომელსაც ის თავს აფარებდა და რომელსაც ვერაფერი შელახავდა? ასე რომ არ ყოფილიყო, განა არ შეეძლო გულწრფელობის რომელიღაც წამს, როცა დიდ ვნებაზე, ჩაფუშულ სიყვარულზე, გაცრუებულ იმედებზე წამოიწყებდნენ ხოლმე საუბარს, უბრალოდ ეთქვა, რომ მისთვისაც ნაცნობი იყო ეს, ან რომ მასაც განეცადა ან გადაეტანა ასეთი რამ? მაგრამ არა; არასოდეს არაფერი წამოსცდენია. ასეთ დროს ის მუდამ დუმდა. და იცოდა; უსწავლელადაც კარგად იცოდა ყველაფერი. მისი თანდაყოლილი უბრალოება უმალ ალღოთი აგრძნობინებდა, რის გაყალბებას ცდილობდნენ ჭკვიანი ადამიანები. მისი ფხიზელი, გამორჩეული გონება უბიძგებდა, კენჭივით ეტყორცნა ლოტი, ზუსტად ისე, როგორც ჩიტი ეშვება ძირს შურდულივით და ბუნებრივად ანიჭებდა მის სულს და გონებას საოცარ უნარს – ფრთამალი სისწრაფით დასტყდომოდა თავს ჭეშმარიტებას, რაც მას აღტაცებას, შვებას ჰგვრიდა და ამავე დროს, სიმტკიცეს მატებდა, თუმც, შესაძლოა, მცდარადაც.

„ბუნებაში ცოტა თუ მოიძევება ისეთი თიხა", უთხრა ერთხელ მისტერ ბენქსმა, როცა ტელეფონში გაიგონა მისი ხმა, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც რიგით ამბავს უყვებოდა მატარებლის შესახებ, „რომლისგანაც თქვენ გამოგძერწათ".

მისტერ ბენქსი ხედავდა მას სატელეფონო ხაზის შორეულ ბოლოში, ბერძნულ ყაიდაზე ჩამოსხმული სახის ნაკვთებით, ხედავდა მის ცისფერ თვალებს, ჩამოქნილ ცხვირს. როგორ არ ეხამება ტელეფონით საუბარი ასეთ ქალს. თითქოს გრაციები განზრახ შეიკრიბნენ და ხელი ჩაჰკიდეს ერთმანეთს ასფოდელოებით მოფენილ მდელოზე ამ უმშვენიერესი სახის შესაქმნელად. დიახ, ის თერთმეტისნახევრიან მატარებელს გამოჰყვება იუსტონიდან.

„ოღონდ მას საკუთარი სილამაზის შესახებ ისევე არ გაეგება არაფერი, როგორც ბავშვს," თავისთვის თქვა მისტერ ბენქსმა, ყურმილი დადო და ოთახი გადაკვეთა, რომ ენახა, რა შემატეს მუშებმა სასტუმროს შენობას, რომელიც მისი სახლის უკან შენდებოდა. და როგორც კი ჯერ დაუსრულებელ კედლებს შორის მოფუსფუსე ხელოსნები დაინახა, ისევ მისიზ რემზი მოაგონდა, რადგან ყოველთვის", გაიფიქრა მან, რაღაც შეუხამებელი არღვევს ხოლმე მისი სახის სრულყოფილებას. ხან უცბად ირმებზე მონადირის კეპს ჩამოიფხატავს თავზე; ხან სირბილით გადაირბენს მინდორს კალოშებით,

რომელიმე ბავშვის ხიფათიდან დასახსნელად". ასე რომ, თუ კაცი მხოლოდ ამ ქალის სილამაზეზე დაიწყებდა ფიქრს, არ უნდა დავიწყნოდა მისი მფეთქავი, ცოცხალი შემადგენელი (ახლა ის ხედავდა, როგორ ეზიდებოდნენ მუშები პატარა ფიცარნაგზე აგურს) და ასე შეექმნა ერთიანი შთაბეჭდილება; ხოლო თუ კაცი მასზე იფიქრებდა, მარტო როგორც ქალზე, მაშინ მისი გადამეტებული მგრძნობიარობაც არ უნდა დავიწყნოდა – მისიზ რემზი ვერ იტანდა, როცა მისით აღტაცებას გამოხატავდნენ – და, სავარაუდოდ, ფარულად სურდა, შემოეძარცვა გარეგნული სამეფო დიდებულება, ისე, თითქოს მისი სილამაზე, და ყველაფერი, რასაც მამაკაცები ზოგადად ამბობენ სილამაზეზე, თავს აბეზრებდა, და მხოლოდ ის სურდა, რომ სხვებივით ყოფილიყო, შეუმჩნეველი. თუმცა ამას სრული დარწმუნებით ვერც იტყოდა, ვერა. ახლა კი თავის სამუშაოს უნდა მიუბრუნდეს.

მისიზ რემზი იჯდა და ისევ იმ მოწითალო-ყავისფერ წინდას ქსოვდა. ისე იჯდა, რომ მისი თავი კომიკურად იყო გამოკვეთილი მიქელანჯელოს შედევრის ორიგინალის მოვარაყებული ჩარჩოს ფონზე, რომელზეც ცოტა ხნით ადრე დაუდევრად შეაგდო მწვანე შალი; მოლბა; სიმკაცრე, რომელიც ერთი წამის წინ შვილის მიმართ გამოიჩინა, მოადუნა, თავი წამოსწია, საყვარელ ბიჭუნას შუბლზე აკოცა და უთხრა, მოდი ახლა სხვა სურათი ვიპოვოთ ამოსაჭრელადო.

თავი 6

მაგრამ რა მოხდა?

ვიღაცამ უხეში შეცდომა დაუშვა.

მისიზ რემზი ჩაფიქრდა და შეეცადა სიტყვებიდან, რომლებიც კარგა ხნის განმავლობაში უაზრობად ეჩვენებოდა, აზრი გამოეტანა. „ვიღაცამ უხეში შეცდომა დაუშვა", – ახლომხედველი თვალები ქმრისკენ მიმართა, რომელსაც ახლა მისთვის მიეპყრო მომლოდინე მზერა, და თვალის დაუხამხამებლად უყურებდა იქამდე, ვიდრე მისმა სიახლოვემ არ მიახვედრა (გონებაში ზარივით დარეკა რაღაცამ), რომ რაღაც მოხდა, რომ ვიღაცას რაღაც შეეშალა. მაგრამ რომ მოგეკლათ, მაინც ვერ მიხვდებოდა, რა.

მისტერ ბენქსი შედრკა, აცახცახდა. მთელი მისი ამპარტავნება, საკუთარი დიდებით ტკბობა – მეხივით დაეცა და მისი მხედრული შემართება, შევარდენივით რომ მიქროდა სიკვდილის ხეობაში, ერთბაშად გაცამტვერდა, დაიმსხვრა. „ტყვიების სეტყვას არ შეუშინდნენ", მამაცად მიქროდნენ მხედრები, თელავდნენ სიკვდილის ველს, ქუხილით გრგვინავდა ტყვიები... – და პირდაპირ ლილი ბრისკოს და უილიამ ბენქსს შეეტაკა. ის შედრკა; ის აცახცახდა.

რომ მოგეკლათ, მისიზ რემზი არასდიდებით ხმას არ გასცემდა ქმარს, რადგან ხვდებოდა, მისთვის ნაცნობი ნიშნებით, იმით, რომ ქმარმა თვალი აარიდა, რომ რაღაც უცნაურად შეიკრა მის პიროვნებაში, თითქოს რაღაცა მოიხვია, შეიფუთა და წონასწორობის აღსადგენად მარტოობა სჭირდებოდა,

რომ ის აღშფოთებული იყო და იტანჯებოდა. მისიზ რემზიმ თავზე ხელი გადაუსვა ჯეიმსს; მან შვილს გადასცა ის, რასაც ქმრის მიმართ გრძნობდა, და როცა დაინახა, როგორ აფერადებდა ცარცის ფანქრით კაცის გამოსახულებას საზღვაო ფლოტის ჟურნალის კატალოგიდან, გაიფიქრა, რა შენისანიშნავი იქნება, ჩემი შვილი დიდი მხატვარი რომ გამოვიდესო; და ვითომ რა იყო ამაში შეუძლებელი? ბიჭს დიდებული შუბლი აქვს; მერე თავი ასწია, აიხედა, როცა ქმარმა მეორედ ჩაუარა გვერდით, და შვება იგრძნო, რადგან დაინახა, რომ ნგრევის შედეგები უკვე შენიღბულიყო; ოჯახურ სიმყუდროვეს გაემარჯვა; ჩვეულება იავნანას მშვიდი რიტმით აღუღუნდა, ისე რომ, როცა შეგნებულად შედგა ფანჯარასთან, რათა ჩვეულებისამებრ მოტრიალებულიყო და ცოლთან მისულიყო, ონავრულად და უხერხულად დაიხარა, და ჯეიმსს შიშველ კანჭზე ხის ლერწით შეუღიტინა. ამ დროს მისიზ რემზიმ უსაყვედურა, რატომ დაითხოვე „ის საწყალი ყმაწვილი", ჩარლზ ტენსლიო. რაზეც მისტერ რემზიმ ირონიულად მიუგო, მას მალე თავისი საკუთარი დისერტაციის დაწერა მოუწევსო, და ხის წვრილი რტო ჰაერში გაატლაშუნა.

მამაზე გაბრაზებულმა ჯეიმსმა ხელის აქნევით მოიშორა წკეპლა, რომლითაც მამამ, მისთვის ჩვეული მანერით, ანუ, სიმკაცრისა და იუმორით ნაზავით, შიშველ ფეხზე შეუღიტინა.

დავიღალე ამ წინდების ქსოვით, და ერთი სული მაქვს, ხვალ დილისთვის მოვამთავრო, რომ სორლის შვილს გავუგზავნოო, თქვა მისიზ რემზიმ.

მისტერ რემზიმ კი მკვახედ მიახალა, ტყუილად გაქვს იმედი, რომ ხვალ შუქურაზე გავემგზავრებითო.

საიდან იცი, ჰკითხა ქმარს, ქარი ხომ მიმართულებას ხშირად იცვლისო.

ამ ნათქვამის ზღვარგადასული უგუნურება, ეს ქალური აზროვნება, მისტერ რემზის რისხვას იწვევდა. მან ხომ ცხენზე ამხედრებულმა გადაკვეთა სიკვდილის ხეობა, დაემხო, გაცამტვერდა და მისი ცოლი კი ამ დროს, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ხედავს არსებულ ვითარებას, მაინც იმედს უნერგავს ბავშვებს, რაც სრულიად დაუშვებელია, და რეალურად, კიდეც ატყუებს მათ. მისტერ რემზიმ ფეხი დააბაკუნა ქვის საფეხურზე. „ჯანდაბას შენი თავი", თქვა მან. კი მაგრამ, რა თქვა ასეთი? მხოლოდ ის, რომ ხვალ შეიძლება კარგი ამინდი გამოვიდეს. დიახაც, რომ შეიძლება.

ოღონდ არა მაშინ, როცა ბარომეტრზე ტემპერატურა ეცემა და დასავლეთის ქარი უბერავს.

გასაოცარია, ადამიანი სიმართლის ძიებაში ასე არად აგდებდეს მის გარშემო მყოფი ადამიანების გრძნობებს, ასეთი ხარბი მგზნებარებით, ასე დაუნდობლად კარგავდეს ცივილიზებული ადამიანის სახეს; მისიზ რემზისთვის ეს ადამიანური ღირსების ისეთი საშინელი შელახვა იყო, რომ არც კი უპასუხია, თავზარდაცემული, თვალდაბინდული იჯდა, თავი ისე ჩაექინდრა, თითქოს დაკბილული სეტყვის ღვარი ეხლებოდა, ბინძური წყალი შეასხეს და მას კი ერთი საყვედურიც არ დასცდენია. ანდა რა უნდა ეთქვა.

მისტერ რემზი მის გვერდით დადგა, ხმას არ იღებდა. ბოლოს, დიდი მოკრძალებით მიმართა ცოლს, თუ გინდა, გავალ და სანაპირო დაცვას გამოვკითხავ ამინდის ამბავსო.

მისიზ რემზის არ ეგულებოდა ადამიანი, რომელსაც ქმარზე მეტად სცემდა პატივს.

ჩემთვის შენი სიტყვაც საკმარისია, თქვა მან. ოღონდ მაშინ სენდვიჩებს აღარ მოვამზადებ, ეგაა და ეგო. მთელი დღე ხან ერთი მოვიდოდა მასთან რაიმე თხოვნით, ხან მეორე, ბუნებრივია, ის ხომ ქალია; ერთს ერთი უნდა, მეორეს მეორე; ბავშვები იზრდებიან; ხშირად ეჩვენებოდა, ერთი ღრუბელი ვარ ადამიანური გრძნობებით გაჟღენთილი და სხვა არაფერიო. ამას ისიც დაემატა, რომ ქმარმა უთხრა, ჯანდაბას შენი თავიო. უთხრა, ალბათ იწვიმებსო. მერე შეიძლება ეთქვა, არ იწვიმებსო; და უმალ ისე უსაფრთხოდ იგრძნობდა თავს, გეგონება სამოთხეშიაო. მასზე მეტად არავის სცემდა პატივს. გრძნობდა, იმის ღირსიც არ იყო, მისთვის ფეხსაცმლის თასმა შეეკრა.

უკვე დარცხვენილი იმის გამო, რომ ასეთი გულფიცხობა გამოავლინა, რომ ხელებს იქნევდა, როცა მხედრიონს მიუძღოდა და ბრძანებებს გასცემდა, მისტერ რემზიმ, ახლა უკვე დამორცხვებულმა, კიდევ ერთხელ მოუცაცუნა შვილს შიშველ ფეხებზე და მერე, თითქოს ცოლს დაერთო მისთვის ნება, ტანის ისეთი მოძრაობით დაიძრა, რომელმაც მისიზ რემზის რატომღაც დიდი ზღვის ლომი მოაგონა ზოოპარკიდან, – თავის თევზს რომ გადასანსლავს და უკან-უკან მიფართხუნებს წყალზე ისე, რომ აქაფებული წყალი აუზის კედლებს ეხეთქება, – და საღამოს ჰაერში ჩაყვინთა, რომელმაც, უკვე ძალაგამოცლილმა, ფოთლებსა და ბუჩქნარს არსი გამოაცალა, მაგრამ თითქოს ამის სანაცვლოდ, ვარდებსა და მიხაკებს შთაბერა ელვარება, დღისით მიმქრალი. „ვიღაცამ უხეში შეცდომა დაუშვა", ისევ გაიმეორა გარეთ გასულმა და ტერასაზე ბოლთის ცემას მოჰყვა.

მაგრამ რა გასაოცრად შეეცვალა ტონი! გუგულივით დაემართა; „ივნისში რომ აერევა ბგერა, გუგული სხვა ჰანგზე იწყებს მღერას". გეგონება, ხელახლა ცდილობდა, დიდი სიფრთხილით სინჯავდა და ეძებდა რაღაც ფრაზას ახალი გუნება-განწყობილების გამოსახატად, და რაკი სხვა ვერაფერი მოიძია, იმას იყენებდა, რაც ხელთ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ბგერა გაიბზარა. მაგრამ ძალიან უცნაურად და სასაცილოდ კი ჟღერდა ეს „ვიღაცამ უხეში შეცდომა დაუშვა", ისე ნათქვამი, თითქოს შეკითხვა ყოფილიყოს და არა ბრალდება, ჰანგივით წამღერებული. მისიზ რემზის უნებურად გაეღიმა, და სულ მალე, ბოლთის ცემისას, რემზიმ მართლაც წაიმღერა ეს სიტყვები, მერე ღიღინი გაწყვიტა და დადუმდა.

ახლა უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, და სიმარტოვეს დაუბრუნდა. შეჩერდა, თამბაქოს ცეცხლი მოუკიდა, ერთხელ გახედა ცოლსა და შვილს ფანჯრიდან და, როგორც კითხვისას, ჩქარ მატარებელში მჯდომი ადამიანი ხანდახან თვალს რომ მოაშორებს საკითხავს და დაინახავს ფერმას, ხეს, შეყუჟულ ქოხებს, როგორც ილუსტრაციას, როგორც რაღაცის დასტურს ნაბეჭდ გვერდზე, რომელსაც ისევ მიუბრუნდება, უკვე ძალღონემოკრებილი და კმაყოფილი, სწორედ ისე, რომ არც კი გაურჩევია, რომელი იყო მისი ვაჟი

თუ ცოლი, მათმა დანახვამ გააძლიერა და კმაყოფილება მოჰგვარა მისტერ რემზის და ძალისხმევა იმ ამოცანის სრულად და მკაფიოდ ამოსახსნელად მიმართა, რომლითაც მისი ბრწყინვალე გონებრივი ენერგია იყო ამჯერად დაკავებული.

მართლაც ბრწყინვალე გონების პატრონი იყო. რადგან, თუ ფიქრს ფორტეპიანოს კლავიატურას შევადარებთ, ნოტების მრავალ წყობად დაყოფილს, ან, ვთქვათ, ინგლისურ ალფაბეტს, რომელიც ოცდაექვსი ასოსგან შედგება და მწყობრად მოსდევს ერთიმეორეს, მაშინ მის ბრწყინვალე გონებას არანაირი გასაჭირი არ დაადგება, ყოველ ამ ასოს თითო-თითოს, მტკიცედ და უშეცდომოდ რომ გადაუაროს, სანამ არ მიაღწევს, ვთქვათ, ასო ქ-ს. მან მიაღწია ასო ქ-ს. ცოტა თუ მოინახება მთელ ინგლისში ადამიანი, ვისაც ქ-მდე მიუღწევია. აქ წამით შედგა ქვის ურნასთან, რომელშიც ნემსიწვერები ხარობდა, დაინახა, ოღონდ ახლა შორიდან, როგორც ბავშვმა, ნიჟარებს რომ აგროვებს, ღვთაებრივად გულუბრყვილომ და მის ფერხთით მიმობნეული პაწაწინა წვრილმანებით გართულმა, და რაღაცნაირად სრულიად დაუცველმა ბედისწერის გარდაუვლობისგან, რომელსაც მწვავედ შეიგრძნობდა, ცოლი და შვილი, ერთად მსხდომნი, ფანჯარაში. მათ მისი მზრუნველობა სჭირდებოდათ; და ისიც ზრუნავდა მათზე. მაგრამ რა არის ქ-ს მერე? რა მოდის ქ მერე? ქ-ს მერე, მოდის რამდენიმე ასო, და მათგან ბოლო თითქმის უხილავია მოკვდავის თვალისთვის, მაგრამ წითლად ციმციმებს შორიდან. ძ-ს მხოლოდ ერთხელ თუ მიაღწევს ვინმე მთელ ერთ თაობაში. და მაინც, თუ შეძლებს ღ-მდე მისვლას, ეს უკვე დიდი ამბავი იქნება. თუმცა, ქ ხომ მაინც ხელთა აქვს. ქ-დან ფეხს არ მოიცვლის. ქ-ში ეჭვი არ ეპარება. მას შეეძლო ქ-ს დასაბუთება. და რაკი ქ-ს შემდეგ მოდის ღ, – აქ მისტერ რემზიმ ჩიბუხი გამოფერთხა, ორჯერ თუ სამჯერ დააკაკუნა ურნის სახელურზე და ფიქრი განაგრძო, „და მერე ღ...“ სული მოითქვა. ძალ-ღონე მოიკრიბა.

ხასიათის თვისებები, რომლებიც მცხუნვარე მზეში ექვსი ორცხობილასა და ერთი მათარა წყლის იმედად დარჩენილი გემის ეკიპაჟს დაღუპვისგან დაიხსნიდა – გამძლეობა და სამართალი, შორსმჭვრეტელობა, თავდადება, ფხა და უნარი, უცებ ხსნად მოევლინა. შემდეგ მოდის ღ – და რა არის ღ?

რაღაც, სარქვლისებრი, ხვლიკის ტყავის ქუთუთოსავით, გადაეფარა მის მახვილ მზერას და ასო ღ დაბინდა. ხელახლა ავიღოთ გეზი ასო ღ-ზე.

თვისებები, რომლებიც პოლარული სიმარტოვის ყინულოვან მხარეში, უიმედოდ მიტოვებულ ექსპედიციაში მას უდავოდ ლიდერად, წინამძღოლად, მრჩევლად აქცევდა, ტეპერამენტი – რომელიც არ გამოირჩეოდა არც სანგვინიკის თავდაჯერებულობით და არც უიმედო პესიმიზმით, და ცივი გონებით აფასებდა, რა უნდა მოხდეს და უშიშრად უპირისპირდებოდა მოსალოდნელს, ისევ მხსნელად მოევლინა ღ.

კვლავ იელვა ხვლიკის თვალმა. შუბლზე ძარღვები დაებერა. გამაოგნებლად თვალსაჩინო გახდა ნემსიწვერები ურნაში, და მათ ფოთლებშორის, ისე, რომ არც კი უფიქრია ამაზე, მის თვალწინ გამოიკვეთა კარგად ნაცნობი, აშკარა განსხვავება ორი სახეობის მამაკაცებს შორის; ერთ მხარეს იდგნენ ისინი, ვინც თავდაუზოგავად გაიღებდა ზეადამიანურ ენერგიას, მძიმე ჯაფის და ხასიათის სიმტკიცის ხარჯზე იმეორებენ მთელ ალფაბეტს თანმიმდევრობით,

ოცდაექვს ასოს მთლიანობაში, თავიდან ბოლომდე; მეორე მხარეს იდგნენ ნიჭიერი, ღვთაებრივი შთაგონებითდაჯილდოებული ადამიანები, სასწაულებრივად, ერთი ამოსუნთქვით რომ შთანთქავენ ყველა ასოს თვალის და-ხამხამებაში – გენიოსები. თავად არ იყო გენიოსი; არც ჰქონია ამის პრეტენზია: მაგრამ ჰქონდა უნარი, ანდა იქნებ ოდესღაც ჰქონდა ასეთი უნარი, ალფაბეტის ყოველი ასო, ა-დან ძ-მდე, უშეცდომო თანმიმდევრობით გაემეორებინა. ამასობაში კი ქ-ზე გაიჭედა. მაშ წინ, ღ-ისკენ!

გრძნობამ, რომელიც თვით ისეთი წინამძღოლისთვისაც კი არაა საძრახისი, რომელმაც იცის, რომ ახლა, როცა ყინულოვან მხარეში თოვლი მოვიდა და მთის წვერები ნისლმა დაბურა, და იცის, რომ მარტო ისღა დარჩენია, დაწვეს და მწოლიარე დაელოდოს სიკვდილს დილამდე, თანდათანობით მოიცვა მისი არსება, თვალში სხივი ჩაუქრო, და იმ ორიოდე წუთის განმავლობაში, როცა ტერასაზე ბოლთის ცემისას ურნასთან შედგა, გამოფიტული, ღრმა სიბერით გახუნებული გამომეტყველება დაედო. და მაინც, არასდიდებით არ დანებდება სიკვდილს მწოლიარე; სადმე კლდის უფსკრულს იპოვის, ქარიშხალს დაჟინებულ მზერას მიაპყრობს, მთელი არსებით შეეცდება განმსჭვალოს წყვდიადი, და ფეხზე მდგომი გარდაიცვლება. ის ვერასოდეს მიაღწევს ღ-ს.

სარივით გაშეშებული იდგა ურნასთან, რომლიდანაც ლამის გადმოღვრილიყვნენ ნემსიწვერები. „მაინც რამდენი ადამიანი აღწევს ძ-ს, კაცმა რომ თქვას?", ჰკითხა თავის თავს. ორი აზრი არ არის, სრულიად უიმედო მდგომარეობაში აღმოჩენილი ექსპედიციის წინამძღოლს უფლება აქვს, ასეთი კითხვა დაუსვას საკუთარ თავს, და ამაში არ იქნება მისთვის მინდობილი ექსპედიციის წევრების არანაირი ღალატი, „ალბათ ერთი". მხოლოდ ერთი ერთ თაობაში. და განა შეიძლება მისი დადანაშაულება იმაში, რომ ის – ის ერთი არ არის? იმ პირობით, თუ ის ბოლომდე თავგანწირვით იღვწოდა პატიოსნად და თავდაუზოგავად გასცა მთელი ენერგია, ბოლო წუთამდე, ვიდრე აღარაფერი დარჩა გასაცემი? თავად მომაკვდავი გმირისთვისაც კი არ არის საძრახისი, იმაზე იფიქროს, თუ რას იტყვიან მასზე მომავალი თაობები. დიდებამ შეიძლება ორი ათას წელს გასტანოს. და რა ფასი აქვს ორი ათას წელს (ირონიულად ჰკითხა თავის თავს მისტერ რემზიმ)? მართლაც, რა, თუ მთის წვერიდან გადახედავ საუკუნეთა თვალუწვდენელ ნაშთებს? უბრალო კენჭიც კი, რომელსაც ფეხს წავკრავთ ხოლმე, ისიც კი უფრო დიდხანს იცოცხლებს, ვიდრე შექსპირი. და მისი პაწია შუქიც გაანათებს, არც ისე მძლავრად, ერთ-ორ წელიწადს, და შემდეგ შეერწყმება რომელიმე უფრო ძლიერი სინათლის წყაროს, ის კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო დიდს. (მან ბუჩქნარს ჩახედა, ტოტების რთულ ხლართებს). მაშ ვის შეიძლება ჰქონდეს უფლება, დაადანაშაულოს განწირული ექსპედიციის წინამძღოლი, რომელმაც, ყველაფრის მიუხედავად, ექსპედიცია ისე მაღლა აიყვანა, რომ ყველამ დაინახა განვლილი წლების ამაოება და ვარსკვლავთცვენა, თუ სიკვდილის წინ, მეორე სუნთქვა გაეხსნება და, შესაძლოა, შეგნებულად მიიტანოს გაყინული თითები შუბლთან და მხრებში გაიმართოს, იმისათვის, რომ, როდესაც მაშველები მოვლენ, პოსტზე გარდაცვლილი იპოვონ, გულადი ჯარისკაცის ცხედარი.

ვისა აქვს უფლება, დაადანაშაულოს, თუ ასე მდგომი, წამით სახელსა და დიდებაზე დაიწყებს ფიქრს, მაშველებზე, მემორიალზე, რომელსაც მადლიერი

თაყვანისმცემლები აღმართავენ იმ მთის წვერზე მისი სახელის უკვდავსაყოფად? დაბოლოს, ვინ დაადანაშაულებს განწირული ექსპედიციის წინამძღოლს, თუკი მას შემდეგ, რაც ათას ფათერაკს გადაურჩება და მთელ ძალ-ღონეს ბოლო წვეთამდე შეალევს მიზანს და ძილს მიეცემა, ისე, რომ აღარ ადარდებს, კვლავ გაიღვიძებს თუ არა დილით, იმაში, რომ უცბად შეიგრძნობს ფეხის თითებით, რომ ცოცხალია, და თურმე სულაც არაა წინააღმდეგი, რომ კვლავ იცოცხლოს, არამედ თანაგრძნობას და ვისკის ითხოვს, და ვინმე ისეთს, ვისაც მაშინვე უამბობს თავისი ტანჯვის თავგადასავალს? ვინ დაადანაშაულებს ამაში? ვის არ გაახარებს გულის სიღრმეში იმის დანახვა, რომ ჯარისკაცმა აბჯარი შეიხსნა, დგას ფანჯარასთან და თავის ცოლსა და ვაჟს შესცქერის, რომლებიც, თავიდან მეტად შორეულნი, თანდათანობით იკვეთებიან, თანდათანობით სულ უფრო და უფრო ახლოს მოდიან, იქამდე, ვიდრე წიგნი და გამოსახულება მკაფიოდ ხილული არ გახდება, თუმც მაინც მშვენიერი და უცხო, ასეთი სიმარტოვის და დაკარგული წლების შედეგად და, საბოლოოდ, ჩიბუხს ჯიბეში ჩაიდებს, დიდებულ თავს ცოლის წინაშე დახრის – ვინ შეიძლება უსაყვედუროს, თუ ამქვეყნიურ სილამაზეს მიაგებს პატივს?

თავი 7

მაგრამ ჯეიმსს სძულდა მამა. სძულდა იმის გამო, რომ უცებ თავზე წამოადგებოდა ხოლმე ბავშვებს და ზემოდან დაჰყურებდა; სძულდა, რადგან თამაშს აწყვეტინებდა; სძულდა გრძნობების გადამეტებული გამოხატვის და მედიდური მანერების გამო; დიდებული თავის ფორმის გამო; იმის გამო, რომ მეტად მომთხოვნი და ეგოისტი იყო (რადგან აი, დადგა აქ და მბრძანებლობს და მოსვენებას არ აძლევს, მუდამ თვალყურს ადევნებს), მაგრამ ყველაზე მეტად სძულდა იმის გამო, რომ გრძნობებს მუდამ აღგზნებული, ზეაწეული ტონით გამოხატავდა, და როცა მისი ხმა გაისმოდა, თითქოს ყველაფერი თრთოდა ირგვლივ და წამში არღვევდა დედამისთან დამყარებულ სრულ უბრალოებას და ჯანსაღ ურთიერთობას. ის წიგნს ჩააშტერდებოდა ხოლმე და ფიქრობდა, ამით ვაიძულებ, გზა განაგრძოსო; თითს რომელიმე სიტყვასთან მიიტანდა და ასე ცდილობდა შეენარჩუნებინა დედის ყურადღება, რომელიც, იცოდა, მამის გამოჩენისთანავე გაეფანტებოდა, რაც საშინლად აღიზიანებდა. არა. მისტერ რემზის ვერაფერი აიძულებდა ადგილიდან დაძვრას. იდგა იქ, და თანაგრძნობას ითხოვდა.

მისიზ რემზი, რომელიც მანამდე მოდუნებული იჯდა და ცალი ხელით შვილი ჰყავდა ჩახუტებული, მაშინვე გაიმართა, ნახევრად შებრუნდა ქმრისკენ, თითქოს ძალას იკრებდა წამოსადგომად; და ჰაერში ენერგიის წვიმა, შხეფების სვეტი აუშვა, ერთდროულად გამოცოცხლებული და შემართული იერით, თითქოს მთელი მისი სასიცოცხლო ძალები მოქმედებაში მოვიდა, აგიზგიზდა და გაანათა (მიუხედავად იმისა, რომ წყნარად იჯდა და კვლავ წინდა ჰქონდა მომარჯვებული საქსოვად) და ამ უმშვენიერეს ცხოველმყოფელ ნოყიერებაში, სიცოცხლის ამ მჩქეფარებასა და შხეფებში, მამრის საბედისწერო უნაყოფობა ისე ჩაყვინთავდა ხოლმე, როგორც სპილენძის ნისკარტი, ბერწი და შიშველი. ის თანაგრძნობას ითხოვდა. თქვა,

ხელმოცარული ვარო. გამალებით იელვა მისიზ რემზის ჩხირებმა. მისტერ რემზიმ, ისე რომ წამით არ მოუცილებია ცოლის სახისთვის თვალი, გაიმეორა, ხელმოცარული ვარო. ქალმა სიტყვები უკან შეუბრუნა ქმარს. „ჩარლზ ტენსლი...“ თქვა მან. მაგრამ კაცი ბევრად მეტს ითხოვდა. ის თანაგრძნობას ითხოვდა, პირველ ყოვლისა, დასტურს, რომ გენიოსია, აი, მერე კი, ცხოვრების ყოველდღიურ დინებას უნდა მიჰყოლოდა; ის უნდა გაეთბოთ, ნუგეში უნდა ეცათ მისთვის, რათა აზროვნების უნარი დაბრუნებოდა, მისი სიბერწე ნაყოფიერებად უნდა ექციათ და სიცოცხლით უნდა აევსოთ სახლის ყოველი ოთახი: მისაღები ოთახი; სამზარეულო, მისაღები ოთახის უკან; საძინებლები სამზარეულოს თავზე; და ამას გარდა, საბავშვო ოთახები; მათ არაფერი უნდა ჰკლებოდა, ყველაფერი სიცოცხლით უნდა ყოფილიყო აღვსილი.

აი, ჩარლზ ტენსლი მას თანამედროვეობის უდიდეს მეტაფიზიკოსად მიიჩნევს, თქვა ქალმა. მაგრამ კაცს მეტი უნდოდა. მას თანგრძნობა სჭირდებოდა. ის უნდა დაერწმუნებინათ, რომ ისიც მჩქეფარე სიცოცხლის განუყოფელი ნაწილი იყო; რომ ის სჭირდებოდათ; და არა მარტო აქ, არამედ ყველგან, მთელ მსოფლიოში. გამალებით იელვეს მისიზ რემზის ჩხირებმა. თავდაჯერებულმა, წელგამართულმა, მან შექმნა მისაღები ოთახი და სამზარეულო, ყველაფერს სიცოცხლე შთაბერა; ხელს უწყობდა, რომ უზრუნველად ეცხოვრა აქ, შემოსულიყო და გასულიყო, როცა მოეპრიანებოდა, თავი შეექცია. მისიზ რემზის გაეცინა, ის ქსოვდა. ჯეიმსმა, რომელიც დედის მჭიდროდ შეკრულ მუხლებს შორის იდგა, იგრძნო, როგორ აბრიალდა დედის სხეულში მთელი ენერგია, რომელიც უნდა შეესვა და დაეცალა სპილენძის ნისკარტს, მამაკაცის უნაყოფო, გაღუნულ თურქულ ხმალს, რომელიც ყველაფერს ულმობლად მუსრავდა, ისევ და ისევ, და თან თანაგრძნობას ითხოვდა.

ის ხელმოცარულია, გაიმეორა კაცმა. მაშ მოდი, შეხედე, იგრძენი. გამალებით იელვეს ჩხირებმა და მისიზ რემზიმ მიმოიხედა; ჯერ ფანჯარაში გაიხედა, მერე ოთახს მოავლო თვალი, თავად ჯეიმსსაც შეხედა; ქმარს არწმუნებდა, რომ მის ნათქვამს წყალი არ გაუვა, მისი სიცილით, მისი თავდაჭერით, ცოდნით, უნარით (როგორც ძიძა უბრუნებს რწმენას დამფრთხალ ყრმას, როცა ჩაბნელებულ ოთახში სინათლე შეაქვს), რომ ეს მართლა ასეა; მათი სახლი სავსეა; აყვავებული ბაღი ღაღანებს. თუ ის ირწმუნებს მის სიტყვებს, ვერაფერი მოერევა; რაგინდ ღრმად უნდა დაიმარხოს თავი, ან დიდ სიმაღლეს მიაღწიოს, ქალი მას მაინც არ მიატოვებს წამით. როცა ასე ტრაბახობდა საკუთარი უნარით, რომ მზრუნველობას არ მოაკლებდა, მუდამ მის გვერდით იქნებოდა და დაიცავდა, თვითონ ერთ ნამცეცსაც აღარ იტოვებდა თავისთვის, რომ შეძლებოდა თავის შეცნობა; ყველაფერს ისე უხვად გასცემდა და ფლანგავდა; და ჯეიმსმა, დედის მჭიდროდ შეკრულ მუხლებს შორის მდგომმა, იგრძნო, როგორ გარდაისახა დედამისი ვარდისფრად აყვავებულ, ფოთლებით დახუნძლულ, მთრთოლარე ტოტებით შემკულ ხილის ხედ, რომელშიც სპილენძის ნისკარტით, თავის თავზე შეყვარებული მამაკაცის უნაყოფო, გაღუნული ხმალი ყვინთავდა და მუსრავდა ყველაფერს, და თან თანაგრძნობას ითხოვდა.

ცოლის სიტყვებით გამაძღარმა, როგორც ბავშვმა, რომელიც კმაყოფილი ეძლევა ძილს, ბოლოს, როგორც იქნა, მოკრძალებული მადლიერებით შეხედა

მას, და ძალებაღდგენილმა, განახლებულმა, თქვა, სასეირნოდ გავალ, შევხედავ ერთი, როგორ თამაშობენ ბავშვები კრიკეტსო. თქვა და წავიდა.

და მისიზრემზის, თითქოს უმალ ჩაიფუშაო, ერთი ბილილა მეორეში ჩაიკეცა და მთელი ქსოვილი, ქანცმილეული, ჩამოიშალა, ისე რომ, მას შემდეგ, რაც სრულად მიეცა ტკბილ თავდავიწყებას, მხოლოდ იმის ძალაღა შერჩა, თითი უნებურად მიედევნებინა გრიმების ზღაპრების წიგნის პწკარზე, და ამავე დროს, მასში გაზაფხულის გულისცემის მსგავსად, ჯერ რომ სრულად გაშლის ფრთებს და მერე მინელდება, ფრთხიალებდა ბედნიერი ქმნადობის ნეტარება.

როცა გარეთ გავიდა, ქალს მოეჩვენა, რომ მისი ყოველი გულისცემა ისე შემოფარგლავდა მასა და მის ქმარს და ისეთი შვების მომგვრელი იყო თვითეული მათგანისთვის, როგორიც ორი სხვადასხვა, ერთი მაღალი და ერთი დაბალი რეგისტრის ბგერაა ერთმანეთისთვის ურთიერთშერწყმისას. თუმცა, როცა შერწყმულ ბგერათა ჟღერა თანდათანობით მინელდა და „ჯადოსნური ზღაპრების" კითხვა განაახლა, მისიზ რემზიმ იგრძნო, რომ არათუ ფიზიკურად დაიცალა (უშუალოდ იმ დროს არა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყოველთვის ასე გრძნობდა თავს), არამედ ფიზიკურ გამოფიტვას სულ სხვა ხასიათის, ოდნავ უსიამოვნო შეგრძნებაც ახლდა. როცა ხმამაღლა კითხულობდა „მეთევზის ცოლის" ზღაპარს, მას არ შეეძლო, ზუსტად განესაზღვრა, საიდან მოდიოდა ეს გრძნობა; ვერც იმას დაუშვებდა, რომ სიტყვებით გამოეხატა დაუკმაყოფილებლობა, როცა მიხვდა, წიგნის ერთი გვერდიდან მეორეზე გადაფურცვლისას, კითხვა რომ შეწყვიტა და ტალღის დაცემის ყრუ, ავბედითი დგაფუნი მოესმა, თუ საიდან მოდიოდა ეს უსიამოვნო გრძნობა: მას არ სურდა, თუნდ ერთი წამით, ქმარზე უფრო დახვეწილ ადამიანად ეგრძნო თავი; და მეტიც, ქმართან საუბრისას ვერაფრით დაუშვებდა, ეჭვი შეჰპარვოდა იმაში, რომ სრულ სიმართლეს ეუბნებოდა. უდავოა, უნივერსიტეტებს და სამეცნიერო საზოგადოებას მართლაც სჭირდებოდათ ის, მისი ლექციები, მისი წიგნები და მათი დიდი მნიშვნელობა – ამაში იოტისოდენადაც არ ეპარებოდა ეჭვი; ოღონდ მას მათი ურთიერთობა აღელვებდა, ის, თუ როგორ დააცხრებოდა ხოლმე ქმარი დაუფარავად, როგორც ახლა, ყველას დასანახად; აი, რა ურღვევდა წონასწორობას; რადგან მაშინ ხალხი ამბობდა, ხედავთ, როგორაა ცოლზე დამოკიდებულიო, სინამდვილეში კი ყველას უნდა სცოდნოდა, რომ ორი მათგანიდან სწორედ ისაა განუზომლად უფრო მნიშვნელოვანი, და რა სახსენებელია მისი ქალური წვლილი იმასთან შედარებით, რასაც ის აძლევს სამყაროს. მაგრამ, ამავე დროს, კიდევ იყო ერთი რამ, რაც აბრკოლებდა – მას არ შეეძლო, ქმრისთვის სიმართლე ეთქვა, მაგალითად, ორანჟერეის სახურავის თაობაზე და იმ ხარჯზე, ალბათ ორმოცდაათიოდე ფუნტზე, რომლის გაღებაც მოუწევდათ; და აგრეთვე მის წიგნებზე, რადგან ეშინოდა, ვაითუ მიმიხვდეს, რისი ოდნავი ეჭვიც ჰქონდა, რომ მისი ბოლო წიგნი, შესაძლოა, ვერ არის მისი საუკეთესო ნაშრომიო (ამას უილიამ ბენქსთან საუბრისას მიხვდა); და ასევე, უამრავი ყოველდღიური წვრილმანის დამალვა უწევდა, ბავშვები კი ყველაფერს ხედავენ, ხედავენ, რამხელა ტვირთად აწვება ეს ყველაფერი – აი, რა აკნინებდა მის სიხარულს, წმინდა სიხარულს, რომელიც ორი ბგერის უნისონში შერწყმით იბადება, და ახლა ეს ბგერა ავბედითი პირდაპირობით დაიხშო მის ყურთან.

წიგნის გვერდს ჩრდილი დაადგა; მისიზ რემზიმ საკითხავს თვალი მოსწყვიტა. ეს ავგუსტუს კარმაიკლი იყო, რატომღაც მაინცადამაინც ახლა მოუნდა მის წინ ჩავლა, როცა ასეთი გულისტკივილით დაფიქრდა ადამიანური ურთიერთობების არასრულფასოვნებაზე, იმაზე, რომ თავად ყველაზე სრულყოფილიც კი არ არის უმწიკვლო, რომ ადამიანები ვერ იტანენ ზედმეტ კითხვებს, ჩაძიებას, რაზეც მან, ქმრის გულწრფელი სიყვარულით აღტყინებულმა და სიმართლის ამოცნობის გუმანით დაჯილდოებულმა, სწორედ ახლა დაიწყო ფიქრი; როცა ასეთი გულისტკივილით ადანაშაულებდა თავს საკუთარ უღირსობაში, იმაში, რომ ამდენი სიყალბე და თავის მოკატუნება თუ გაზვიადება ხელს უშლიდა საკუთარი მოვალეობის აღსრულებაში, მაინცადამაინც იმწამს, როცა ასე სულმდაბლად მოეძალა წუხილი ქმრის ამდენი ხოტბის და განდიდების მერე, მისტერ კარმაიკლმა, თავისი განუყრელი ფოსტლებით, თითქოს ჯიბრზე ჩაუარა ფეხის თრევით და ისე, რომ თავადაც ვერ ხვდებოდა, რა ეშმაკმა უბიძგა ამისკენ, მისიზ რემზიმ მისტერ კარმაიკლს გასძახა,

„რაო, იჯერეთ გული სეირნობით, მისტერ კარმაიკლ?"

თავი 8

მისტერ კარმაიკლმა პასუხი არ გასცა. ის ოპიუმს ეტანებოდა. ბავშვებმა თქვეს, წვერი ოპიუმმა გაუყვითლაო. იქნებ ასეც იყო. მაგრამ დანამდვილებით ის იცის, რომ ეს საბრალო კაცი ძალიან უბედურია, ყოველ წელს ჩამოდის მათთან სტუმრად უღიმღამო ყოფის ოდნავ გასახალისებლად; და მაინც, ყოველ წელს ერთი და იგივე გრძნობა ებადება; მისტერ კარმაიკლი მას არ ენდობა. ერთხელ უთხრა, „ქალაქში მივდივარ. ხომ არ მოგიტანოთ მარკები, საწერი ქაღალდი და თამბაქო?" და იგრძნო, როგორ შეკრთა. ის მას არ ენდობა. და ამაში მისი ცოლია დამნაშავე. მისიზ რემზიმ გაიხსენა, რა უსამართლოდ მოექცა მას ერთხელ ცოლი, და ისე საშინლად იგრძნო თავი, ენა მუცელში ჩაუვარდა, თითქოს ადგილზე გაქვავდა, იმ საშინელ პატარა ოთახში, სენტ ჯონს ვუდზე, როცა საკუთარი თვალით ნახა, როგორ გააძევა ცოლმა ქმარი სახლიდან. მოუვლელი, აჩეჩილ-დაჩეჩილი დადიოდა; საჭმელი პიჯაკზე ეღვრებოდა; ისეთი იერი ჰქონდა, როგორიც ბერიკაცს, ამქვეყნად რომ აღარაფერი დარჩენია საკეთებელი; და ასეთი კაცი ცოლმა ოთახიდან გააძევა. და რა საშინლად იგრძნო თავი, როცა გაიგონა, „ახლა მე და მისიზ რემზის სალაპარაკო გვაქვს", მისიზ რემზის ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ ამ კაცის უთვალავი ცხოვრებისეული დამცირება. ნეტავი ჰქონდა თამბაქოს შესაძენი ფული? თუ იძულებული იყო, ცოლისთვის ეთხოვა? ნახევარკრონიანი? რვაკრონიანი? არა, აუტანელია ღირსების შემლახველი იმ უამრავი წვრილმანის და აგდებული დამოკიდებულების გახსენება, რომელსაც მისი ცოლი ავლენდა მის მიმართ. და ახლა ყოველთვის (ვერ ხვდებოდა რატომ, იმ ქალის გამო) მისტერ კარმაიკლი გაურბოდა მას. ხმას არასოდეს სცემდა. მაგრამ აბა რა უნდა ექნა მეტი? მშვენიერი მზიანი ოთახი დაუთმო; ბავშვებიც კარგად ექცეოდნენ. თავადაც არასოდეს უგრძნობინებია, რომ მისი სტუმრობა არ იყო სასურველი. პირიქით, აღარ იცოდა, როგორ გამოეხატა ყურადღება. მარკები ხომ არ გნებავთ, თამბაქო ხომ არ მოგართვათ? აი,

წიგნი, რომელიც შეიძლება მოგეწონოთ, და ათასი ამგვარი რამ. და ბოლოს და ბოლოს – ბოლოს და ბოლოს (აქ მისიზ რემზიმ ძალ-ღონე მოიკრიბა, თავი მოთოკა, საკუთარი სილამაზის შეგნება, რაც იშვიათად ეუფლებოდა, საჩუქარივით იყო მისთვის), ბოლოს და ბოლოს, მას ხომ, როგორც წესი, არანაირად არ უჭირდა ადამიანების კეთილგანწყობის მოპოვება, ის ყველას მოსწონდა; მაგალითად, ჯორჯ მენინგს; მისტერ უოლისს; და მართალია, უდავოდ სახელოვანი ადამიანები იყვნენ, მასთან საღამოობით შინაურულად მოდიოდნენ ხოლმე, დასხდებოდნენ მშვიდად ბუხართან და საუბრობდნენ. მისიზ რემზის თავისი სილამაზე ლამპარივით თან დაჰყვებოდა და მან, თავისდა უნებურად, იცოდა ეს; ის მას თან დაჰყვებოდა, სადაც არ უნდა შესულიყო, და როგორც არ უნდა ეცადა მისი შენიღბვა და თავის არიდება ამ მოსაბეზრებელი ერთფეროვნებისთვის, რასაც ეს მდგომარეობა იწვევდა, მისი სილამაზე ყოველთვის თვალში საცემი იყო. მას თაყვანს სცემდნენ. იგი უყვარდათ. ის შესულა ჭირისუფლებით სავსე ოთახში. მისი თანდასწრებით ადამიანები ტირილს წყვეტდნენ. მამაკაცები, და ქალებიც, ივიწყებდნენ სირთულეებს და თავს მოდუნების უფლებას აძლევდნენ. მას გულს სტკენდა, სწყინდა, რომ მისტერ კარმაიკლი გაურბოდა. და კიდევ ის, რომ უსამართლოდ ექცეოდა. სწორედ ეს არ მოსწონდა, რომ აი, როგორც ახლა, თითქოს ის არ ეყოფოდა, ქმარზე რომ იყო გაღიზიანებული, ისე გულგრილად ჩაუარა გვერდით და კითხვაზე პასუხის ნაცვლად ისე გულგრილად დაუკრა თავი, იღლიაში ამოჩრილი წიგნით, თავის ყვითელ ფოსტლებში, თითქოს რაღაცაში ადანაშაულებდა; და თითქოს მისიზ რემზის გულწრფელი სურვილი, რამე გაეღო, დახმარებოდა, ამპარტავნება იყო და სხვა არაფერი. ნუთუ მართლა თვითკმაყოფილება იყო მიზეზი, ასე უნებურად რომ უჩნდებოდა დახმარების, სიკეთის გაცემის სურვილი, რათა ხალხს ეთქვა, „ო, მისიზ რემზი! ძვირფასო მისიზ რემზი... რა თქმა უნდა, მისიზ რემზი!“ და ყველას სჭირდებოდა, და სთხოვდნენ, მათთან მისულიყო და აღტაცებას გამოთქვამდნენ? იქნებ მართლაც, გულის სიღრმეში მას სწორედ ეს უნდოდა, და ამდენად, როცა მისტერ კარმაიკლმა ელდანაკრავივით ჩაუარა გვერდით ახლა, და სადღაც, მოყუჩებულ კუთხეში დასაჯდომად გაემართა, სადაც დაუსრულებლად თხზავდა აკროსტიქებს, მხოლოდ შეურაცხყოფილად კი არ იგრძნო თავი, რომ მადლიერების ნაცვლად გულგრილობა მიიღო, არამედ გააცნობიერა, როგორი უბადრუკი იყო რაღაც მასში, როგორი არასრულყოფილი იყო ადამიანების ურთიერთოებები, საუკეთესო შემთხვევაში – ანგარებიანი. ამ ფიქრებით დაღლილს და გათანგულს, და სავარაუდოდ უკვე არც ისე მომხიბლვლელს და ლამაზს, როგორც ადრე (ლოყები ჩაუცვივდა, თმა გაუჭაღარავდა), რომ ადამიანების თვალში სიხარული აღეძრა, გადაწყვიტა, აჯობებს, თუ მეთევზის და მისი ცოლის ამბავზე დავფიქრდები და ჩემს შვილს, ჯეიმსს – ამ გრძნობების გორგალს (არც ერთი მისი შვილი არ იყო მასავით მგრძნობიარე), მაინც დავაწყნარებო.

„კაცს გული დაუმძიმდა“, წაიკითხა ხმამაღლა, „და აღარ მიდიოდა. თავის თავს უთხრა, „არ არის სწორი“, და მაინც წავიდა. და როცა ზღვას მიადგა, წყალი იისფრად და ლურჯად შეიღება, მერე მოიქუფრა, აიმღვრა და აღარ იყო ძველებურად კრიალა მწვანე და ყვითელი, ოღონდ მაინც წყნარი იყო. დადგა ზღვის პირას და თქვა ...“

მისიზ რემზის ერჩივნა, მისტერ რემზი მაინცდამაინც ახლა არ შეჩერებულიყო მის გვერდით. რატომ არ წავიდა ბავშვების თამაშის საყურებლად? ხომ თქვა, წავალ, ვნახავ, კრიკეტს როგორ თამაშობენო?შედგა, მაგრამ არაფერი უთქვამს; გამოიხედა; თავი დაუკრა; კმაყოფილი იყო; გზა განაგრძო. თანდათანობით, ბუჩქნარის ღობის დანახვისას, რომელიც ფიქრის შემდეგ დასკვნის გაკეთების სიმბოლოსავით, ერთგვარი შეყოვნების საბაბივით აღიმართებოდა ხოლმე მის წინ, და ცოლისა და შვილის და კვლავ ნემსიწვერას ყვავილებით დახუნძლული ურნის შემხედვარემ, ყვავილებით, რომლებიც ასე ხშირად ამშვენებდნენ მისი ფიქრის მდინარებას, ხოლო ამ ყვავილების ფოთლები თითქოს ქაღალდის ნაგლეჯებივით, ჩანაწერებს ინახავდნენ სწრაფი კითხვისას, თანდათანობით მშვიდად გადაეშვა ფიქრებით ჟურნალ „ტაიმსის" ერთ სტატიაში, რომელიც იუწყებოდა, თუ რამდენი ამერიკელი სტუმრობს შექსპირის სახლს ყოველწლიურად. კითხვა დაებადა, შექსპირი რომ საერთოდ არ გაჩენილიყო, რამდენად განსხვავებული იქნებოდა დღევანდელი სამყარო? რამდენადაა ცივილიზებული სამყაროს განვითარება დამოკიდებული დიდ ადამიანებზე? არის კია თანამედროვე ადამიანის ხვედრი რამით უკეთესი, ვიდრე ფარაონების ეპოქაში? და არის კია რიგითი ადამიანის ხვედრი, ეკითხებოდა საკუთარ თავს მისტერ რემზი, ის კრიტერიუმი, რომლითაც ცივილიზაციის განვითარების დონე იზომება? შესაძლოა, არა. შესაძლოა, საუკეთესო განვითარებისთვის სწორედ მონათა კლასის არსებობაა აუცილებელი. მელიფტის არსებობა ლიფტის შახტისთვის მარადიული აუცილებლობაა. ამ აზრმა შეზარა. თავი აიქნია. ამ აზრის უარსაყოფად რამე ხერხს გამონახავს, რომ ხელოვნების და ჰუმანიტარული მეცნიერებების გაბატონებული მდგომარეობა გააკრიტიკოს. ის დაასაბუთებს, რომ ეს სამყარო რიგითი ადამიანისთვის არსებობს; რომ ხელოვნება ერთგვარი სამკაულია, რომელიც ადამიანის ცხოვრებას თავს მოახვიეს; ხელოვნება არ გამოხატავს ხალხის აზრს. არც შექსპირია აუცილებელი მათთვის. და თავადაც არ ესმოდა, რატომ სურდა, ასე დაეკნინებინა შექსპირი და რატომ სურდა, მხსნელად მოვლენოდა ადამიანს, რომელიც ლიფტთან უნდა იდგეს მარადიულად, როცა მკვეთრი მოძრაობით მოწყვიტა ფოთოლი ბუჩქიდან. ეს ყველაფერი კარგად უნდა შევკაზმო და მოვამზადო კარდიფელი სტუდენტებისთვის მომავალ თვეშიო, გაიფიქრა მან; აქ, ამ ტერასაზე, ის მხოლოდ პიკნიკისთვის ეძებდა ადგილს (ფოთოლი მოისროლა, რომელიც გაღიზიანებულმა მოწყვიტა), როგორც მოჯირითე, ცხენიდან რომ გადმოიხრება ვარდების თაიგულის დასაკრეფად, ან რომ ჯიბეები აივსოს თხილით, როცა დინჯად და ნებივრად მისეირნობს სოფლის ორღობეებსა და მინდვრებში, რომელთაც ადრეული ბავშვობიდან იცნობს. ეს ყველაფერი ხომ საოცრად ნაცნობი და ახლობელია მისთვის; ეს შესახვევი, ეს ღობეზე გადასაძრომი კიბე, ის არხი ყანებს შორის. საათობით შეეძლო ასე სეირნობა, ჩიბუხით ხელში, საღამოობით, ფიქრებში ჩაფლულს აღმა-დაღმა, დიდი ხნის ნაცნობ მშობლიურ ორღობეებსა თუ უბრალო ადამიანებში, აქ ყველაფერში აღბეჭდილიყო წინანდელი კამპანიის ამბავი, ამ შესანიშნავი სახელმწიფო მოხელის ცხოვრება, მისი ლექსები და ანეკდოტები, და ორი ფიგურა – ერთი მოაზროვნის და მეორე – გულადი ჯარისკაცისა; ყველაფერი ისეთი ცოცხალი და ნათელი იყო; მაგრამ საბოლოოდ, ამ ყანას, ხალხს, მსხმოიარე თხილნარს და ყვავილებით დახუნძლულ ღობეს, ის გზის მორიგ გასაყარამდე მიჰყავდა, სადაც ყოველთვის ჩამოდიოდა ცხენიდან, ცხენს ხეზე მიაბამდა და ფეხით აგრძელებდა სეირნობას მარტო. მისტერ რემზიმ მინდვრის კიდეს მიაღწია და მის ქვემოთ გადაშლილ ყურეს გახედა.

ეს იყო მისი ხვედრი, მისი თავისებურება, ნებსით თუ უნებლიეთ, ასე გამოდიოდა ხოლმე უფსკრულის პირას, რომელსაც ზღვა ნელა-ნელა აცლიდა ნიადაგს, და იდგა იქ, მიტოვებული ზღვის ფრინველივით, მარტოდმარტო. ეს იყო მისი ძალა, მისი ნიჭი, უეცრად შემოიძარცვავდა ყოველგვარ ზედმეტობას, განმარტოვდებოდა და თითქოს ტანადაც კი დაჩიავდებოდა, უფრო დაცლილად, უფრო მოცლილად გრძნობდა თავს, და მაინც, წამით არ კარგავდა გონების სიფხიზლეს, ასე იდგა შიშველი ქანის პატარა ნაგლეჯზე ადამიანური სიბნელის და უმეცრების პირისპირ, და ფიქრობდა იმაზე, რომ ჩვენ არაფერი გაგვეგება, ზღვა კი ძირს აცლის მიწას, რომელზეც ვდგავართ – ეს იყო მისი ხვედრი, მისი ნიჭი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩამოქვეითდებოდა, ყოველგვარ ზედმეტობას, ყოველგვარ მანერულობას, პირობითობას, ზიზილ-პიპილებს, დაკრეფილი თხილისა თუ ვარდების ნადავლს შემოიძარცვავდა, ისე მოიბუზებოდა, რომ არათუ დიდებას, საკუთარ სახელსაც კი ივიწყებდა და ამ სრული განმარტოების ჟამსაც კი ინარჩუნებდა სიფხიზლეს, რომელსაც არ სწამს ლანდების და არც ფუჭი ხილვებით იტკბობს თავს, და სწორედ მისი ეს უნარი ხიბლავდა და აღაფრთოვანებდა უილიამ ბენქსს (ხანგამოშვებით) და ჩარლზ ტენსლის (ფარისევლურად), მის ცოლს კი, რომელმაც სწორედ ახლა ასწია თავი და დაინახა, როგორ იდგა მისი ქმარი მდელოს განაპირას, ღრმა პატივისცემითა და თანაგრძნობით და მადლიერებით აღავსებდა, როგორც წყლის არხში ჩასობილი სარყე, რომელზეც თოლიები სხდებიან და რომელსაც ტალღები ეხეთქება, და რაც მხიარულ მეზღვაურებს მადლიერების გრძნობას უნერგავს, რადგან მარტოდმარტომ იკისრა წყალდიდობისას წყლის მატების აღნიშვნა და შეუძლიათ, განსაზღვრონ გემის ტვირთზიდვა მომავალი ზღვაოსნობისას. „მაგრამ რვა შვილის მამას სხვა არჩევანი არ გააჩნია", ჩაიბურდღუნა ძლივს გასაგონად, უეცრად შეწყვიტა ფიქრი, შემოტრიალდა, ამიოხრა, გაიხედა, თვალით ცოლი მოიძია, რომელიც მის უმცროს ვაჟს ზღაპრებს უკითხავდა, და ჩიბუხი დატენა. ასე აქცია ზურგი ხედს, სადაც ადამიანური უმეცრება ეგულებოდა, ადამიანის ხვედრი და ზღვა, მიწას რომ ჭამდა, მიწას, რომელზეც ადამიანი დგას, ხედი, რომელმაც, თუ მას დიდხანს და ყურადღებითდააკვირდები, შეიძლება მიგიყვანოს კიდეც სადღაც; და შვებას პოვებდა სრულიად უმნიშვნელო ყოველდღიურ წვრილმანებში, რომლებიც ბევრად უღიმღამოდ გამოიყურებოდა იმ ბრწყინვალე საფიქრალთან შედარებით, რომელიც ხელისგულზე ედო ახლა, რომ მზად იყო ახლა არად ჩაეგდო, ზურგი ექცია ამ სანუგეშო სიმყუდროვისთვის, თითქოს პატიოსანი კაცისთვის ყველაზე დამამცირებელი ისაა, რომ ამ ტანჯვით და ვაებით აღვსილ სამყაროში ბედნიერების მახეში გაბმული აღმოჩნდეს. და ეს მართლაც ასეა; შეიძლება ითქვას, რომ ის, საერთო ჯამში, ბედნიერი კაცია; ჰყავს ცოლი; შვილები; პირობა დადო, რომ ექვსი კვირის შემდეგ „რამე სისულელეს" მოუყვება კარდიფელ ახალგაზრდებს ლოკზე, ჰიუმზე, ბერკლიზე და საფრანგეთის რევოლუციის გამომწვევ მიზეზებზე. მაგრამ ეს და ამით მოპოვებული სიამოვნება, პოპულარობა, რომელსაც მის მიერ შეთხზული ფრაზები, ახალგაზრდების მგზნებარე შემართება, საკუთარი მეუღლის სილამაზე თუ მაღალი შეფასება და ხოტბა ანიჭებდა, მის ყურამდე სვონსიდან, კარდიფიდან, ეგზეტერიდან, საუთჰემპტონიდან, კიდერმინსტერიდან, ოქსფორდიდან, კემბრიჯიდან რომ აღწევდა – ყოველივე ეს უნდა დაეკნინებინა და მიეჩქმალა ერთადერთი ფრაზით – „რამე სისულელე", რადგან ფაქტობრივად, მას არ გაუკეთებია ის, რის გაკეთებაც

შეეძლო. ეს ყველაფერი ერთგვარი თვალთმაქცობა იყო; თავშესაფარი კაცისა, რომელსაც საკუთარი გრძნობების ეშინია, რომელსაც არ შეუძლია თქვას, აი, რა მომწონს მე – აი, როგორი ვარ მე; და ამიტომაც ეჩვენებათ უილიამ ბენქსს და ლილი ბრისკოს ის ასე უმწეოდ და გულისამრევად; მათ არ ესმით, რისთვისაა ასეთი ფარისევლობა საჭირო; რა აუცილებელია, მუდამ აქებდნენ, ხოტბას ასხამდნენ; რატომაა აზროვნებით ასეთი გაბედული კაცი ცხოვრებაში ასეთი გაუბედავი; და რა უცნაურია, კაცი ერთდროულად თან ასეთი პატივსაცემი იყოს და თან ასეთი სასაცილო.

ლილის აზრით, ქადაგება და ჭკუის სწავლება ადამიანის ძალებს აღემატება (ამ დროს თავის ნივთებს ალაგებდა). თუ აღგაზევებენ, დაცემაც უნდა შეგეძლოს. მისიზ რემზი მეტისმეტად ადვილად გაიღებს ქმრისთვის ყველაფერს, რასაც ის მისგან ითხოვს. და მერე, გარემოს ასეთი ცვლილებაც ხომ ალბათ საშინლად ძნელი ასატანიაო, თქვა ლილიმ. „როგორია, წიგნებს მოსწყდე და უცებ აქ ამოყო თავი, სადაც ყველანი რაღაცით თავს ვიქცევთ, ვთამაშობთ და რაღაცას მივედ-მოვედებით. წარმოიდგინეთ, რამხელა განსხვავებაა ამასა და იმას შორის, რაზეც ის ფიქრობს," თქვა მან.

ის მათ ყოველთვის მოულოდნელად წამოადგებოდა ხოლმე თავზე. როგორც ახლა – ჯერ მოვიდა და ადგილზე გაირინდა, ერთხანს უხმოდ იდგა და ზღვას გაჰყურებდა, მერე კი ისევ უკან გაბრუნდა.

თავი 9

დიახ, თქვა მისტერ ბენქსმა, და თვალი გააყოლა, როგორ მიდიოდა ბატონი რემზი. რა სამწუხაროა (ლილიმ მანამდე რაღაც თქვა იმის თაობაზე, თუ როგორ აფრთხობდა მისტერ რემზი – სრულიად მოულოდნელად რომ ეცვლებოდა ხოლმე გუნებ-განწყობა). დიახ, თქვა უილიამ ბენქსმა, რა სამწუხაროა, რომ რემზის არ შეუძლია, ცოტათი მაინც, სხვა ადამიანებივით ეჭიროს თავი (რადგან მას მოსწონდა ლილი ბრისკო; მასთან სრულიად გულღიად შეეძლო რემზიზე საუბარი). სწორედ ამიტომ არ კითხულობენ ახალგაზრდები კარლაილს, თქვა მან. ის უხიაკი ბებერი ბუზღუნა, უმალ რომ წამოენთებოდა ხოლმე, როგორც კი ფაფა ცივი მოეჩვენებოდა, ასეთი კაცი რატომ უნდა გვასწავლიდეს ჭკუასო. მისტერ ბენქსის აზრით, ასე მოიხსენიებდნენ მას ახალგაზრდები. და ეს მით უფრო სამწუხაროა, თუ თქვენი აზრით, და მეც ასე მგონია, კარლაილი კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მასწავლებელიაო. ლილის შერცხვა იმის თქმისა, რომ, რაც სკოლა დაამთავრა, კარლაილი აღარ წაუკითხავს. მაგრამ, მისი აზრით, მისტერ რემზი კიდევ უფრო მომხიბვლელი იყო იმის გამო, რომ საკმარისი იყო ოდნავ თითი წამოსტკენოდა, რომ ეგონა, აი, ქვეყანა დაიქცაო. მაგრამ ლილის ეს სულაც არ აწუხებდა. თუ გინახავთ მისი მოტყუებული კაციო, თქვა მან. ის ხომ სრულიად დაუფარავად ითხოვს პირფერობას, მისით აღტაცებას, მაგრამ არავინ ტყუვდება ამ წვრილმანი ხრიკებით. ერთადერთი, რაც სინამდვილეში არ მომწონს, მისი ერთგვარი სიბეცე და დაუნახაობაა, თქვა ლილიმ და თვალი გააყოლა.

„ოდნავ ფარისეველი?" ივარაუდა მისტერ ბენქსმა და მანაც გააყოლა თვალი მათგან მიმავალი მისტერ რემზის ზურგს და გაახსენდა, რომ სულ ახლახან ფიქრობდა მასთან მეგობრობაზე, იმაზე, რომ კემმა უარი უთხრა ყვავილის ჩუქებაზე, და მის გოგო-ბიჭებზე, და თავის სახლზე, მყუდრო სახლზე, რომელშიც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სრულმა სიჩუმემ დაისადგურა. არა, რა თქმა უნდა, ბედს არ უჩივის, სამუშაო ბევრი აქვს... ასეა თუ ისე, ახლა ძალიან მოუნდა, ლილი დასთანხმებოდა მის აზრს, რომ მისტერ რემზი „ოდნავ ფარისეველია".

ლილი ბრისკომ განაგრძო ფუნჯების ალაგება, ხან თავს ასწევდა, ხან საღებავებს დახედავდა. მერე მისტერ რემზის მოჰკრა თვალი, რომელიც მათკენ მოეშურებოდა, რწევა-რწევით, უდარდელი, არხეინი, შორეული. „ოდნავ ფარისეველი?" გაიმეორა მან. ო, არა, ის კაცთაგან უგულწრფელესი, უწესიერესი (აი, ისიც), საუკეთესო ადამიანია; მაგრამ თვალები დახარა და გაიფიქრა, მთლიანად საკუთარ თავშია ჩაკეტილი, დესპოტი და უსამართლოაო; და ლილი შეგნებულად განაგრძობდა ასე დგომას თვალდახრილი, რადგან სხვაგვარად ვერ შეძლებდა რემზების ოჯახში სტუმრობას. როგორც კი თავს ასწევდა და რემზებს დაინახავდა, უნებურად ეუფლებოდა გრძნობა, რომ „შეუყვარდა ისინი", როგორც ლილიმ დაარქვა ამ მოზღვავებულ გრძნობას. და ყველანი იმ წარმოსახვითი სამყაროს ნაწილად იქცეოდნენ, რომელიც მათ გულებში შემოდიოდა და აღაფრთოვანებდა, და რომელსაც შეყვარებულის თვალით დანახული სამყარო ჰქვია. ზეცა ღვთაებრივ შუქს ასხივებდა; გულში ჩიტები გალობდნენ; და რაც კიდევ უფრო ამაღელვებლად ეჩვენებოდა, როცა დაინახა, როგორ დააცხრა მას მისტერ რემზი და მერე როგორ დაიხია ისევ უკან, და მისიზ რემზი კი იჯდა ჯეიმსთან ერთად ფანჯარასთან და როგორ გადაიარა ღრუბელმა ცაზე, როგორ გაიზნიქა ხე, მან შეიგრძნო, რომ ცხოვრება, სულ პაწია ცალკეული შემთხვევებისგან შედგება, რომელთაც ადამიანი ერთიმეორის მიყოლებით გაივლის, კულულივით ჩაიხვევა და ტალღასავით გამთლიანდება, ტალღასავით, ხან ზემოთ რომ აგაგდებს და ხანაც ერთი მოქნევით ძირს დაგანარცხებს.

მისტერ ბენქსი მისგან პასუხს მოელოდა. და ის იყო, დააპირა რაღაც კრიტიკულის თქმა მისიზ რემზიზე, როგორ აკრთობდა ხოლმე მისი მბრძანებლური კილო და ქედმაღლური თავდაჭერა, რომ მისტერ ბენქსმა სწორედ მაშინ ისეთი აღტაცებით დაიწყო მასზე ლაპარაკი, რომ ლილი მიხვდა თავისი შენიშვნის უადგილობას. რადგან ასეთი იყო ის, სამოც წელს მიტანებული, აკურატული, მიუკერძოებელი, და თითქოს მეცნიერის თეთრ ხალათში გამოწყობილი. მისტერ ბენქსი ისეთი აღტაცებით უყურებდა მისიზ რემზის, რომელსაც, ლილის აზრით, მხოლოდ ათობით შეყვარებული მამაკაცის აღტაცება თუ შეედრებოდა (თუმცა იქნებ მისიზ რემზის სულაც არ აღუძრავს სიყვარული ათობით ჭაბუკის გულში). და ეს, გაიფიქრა ლილიმ და თავი მოიკატუნა, ვითომ ტილოს უცვლიდა ადგილს, დაწმენდილი და გაფილტრული სიყვარულია; არა ისეთი, თავისი გრძნობის ობიექტის კლანჭებში მოქცევას რომ ცდილობს; არამედ უფრო ისეთი, როგორსაც მათემატიკოსები გრძნობენ თავიანთი სიმბოლოების, ანდა პოეტები თავიანთი ფრაზების მიმართ, რომლებიც მთელ დედამიწაზე გასავრცელებლად და კაცობრიობის სასიკეთოდაა ჩაფიქრებული. დიახ, მართლაც ასე იყო. სამყაროს აუცილებლად უნდა გაეზიარებინა. მართლაც ღირდა მთელი მსოფლიოს

კუთვნილება გამხდარიყო ეს გრძნობა, მისტერ ბენქსს რომ შეძლებოდა იმის გამოხატვა, თუ რით ხიბლავდა ასე ეს ქალი; რატომ ახდენდა მასზე ეს სურათი – ფანჯარასთან მჯდომი დედა, ზღაპარს რომ უკითხავს მცირეწლოვან ვაჟს – ზუსტად ისეთსავე ზემოქმედებას, როგორსაც რომელიმე სამეცნიერო ამოცანის ამოხსნა, იმდენად, რომ შეეძლო, დაუსრულებლად დამტკბარიყო ამ სანახაობით და იმასვე განიცდიდა, რასაცმაშინ, როცა რომელიღაც ჭეშმარიტება დაამტკიცა მცენარეთა მომნელებელი სისტემის თაობაზე, და ბოლო მოუღო ბარბაროსობას და ქაოსი დააცხრო.

ასეთი აღტაცების შემყურეს, – აბა, სხვა რა სახელი შეიძლება უწოდოს ამას? – ლილი ბრისკოს მთლიანად გადაავიწყდა სათქმელი. არაფერი განსაკუთრებული; რაღაცა, მისიზ რემზისთან დაკავშირებით. მაგრამ ამ „აღტაცების", ამ უსიტყვო მზერის გვერდით ყველაფერი გაფერმკრთალდა, და ამის გამო უზომო მადლიერების გრძნობა დაეუფლა; რადგან ვერაფერი სხვა ვერ მოჰგვრიდა უფრო დიდ შვებას, ვერაფერი დაავიწყებდა ცხოვრებისეულ სირთულეებს და ვერ მოხსნიდა სასწაულებრივად სიმძიმის ამ შეგრძნებას, თუ არა ეს ამაღლებული გრძნობა, ღვთიური ნიჭი, და ამ მდგომარეობის დარღვევა ისეთივე სიგიჟე იქნებოდა, როგორც იატაკის კიდიდან კიდემდე მშვიდად განფენილი მზის სხივის დამსხვრევა.

ის, რომ ადამიანებს ასეთი სიყვარული შეუძლიათ, რომ მისტერ ბენქსიც ალბათ ამავეს გრძნობდა მისიზ რემზის მიმართ (ჩაფიქრებულმა გახედა მას), იმედის მომცემ და ამაღლებულ განწყობას უნერგავდა. ლილიმ შეგნებულად წამოიწყო ფუნჯების წმენდა, ერთიმეორის მიყოლებით იღებდა ფუნჯებს და მექანიკურად წმენდდა ჩვრით. მან თავი შეაფარა ღრმა მოწიწებას, რომელიც შეიძლება ნებისმიერი ქალის ხვედრი იყოს; ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მასაც ასხამდნენ ხოტბას. და, უცქიროს ასე; ამასობაში თავად სურათს შეავლებს თვალს.

მაგრამ ცოტაღა აკლდა, რომ არ ეტირა. უვარგისია, უვარგისია, სრულიად უვარგისი! ხომ შეეძლო, სხვანაირად დაეხატა; ოდნავ უფრო მკრთალი ფერები დაედო; გამოსახულებებისთვის მეტი ჰაეროვნება მიეცა; აი, როგორ ხედავდა ამას პონსფორტე. მაგრამ საქმე ისაა, რომ თავად სხვანაირი ხედვა აქვს. ის ხედავს, როგორ ანთია ფერი ფოლადის კონსტრუქციაზე; როგორ ელავს პეპლის ფრთა ტაძრის თაღზე. და ყოველივე ამის ნაცვლად, მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევითი მონასმი შერჩა ტილოზე. მათ კი ვერავინ დაინახავს; გამოფენითაც არავინ გამოფენს, და აკი მისტერ ტენსლიმაც ჩასჩურჩულა ყურში, ქალებს ხატვა არ ეხერხებათ, წერა არ ეხერხებათო...

ახლა კი გაახსენდა, რის თქმას აპირებდა მისიზ რემზიზე. არ იცოდა, როგორ უნდა გამოეთქვა სათქმელი; თუმცა იცოდა, რომ კრიტიკული იქნებოდა. წინა საღამოს მისმა მბრძანებლურმა მანერამ გააღიზიანა. ახლა, როცა თვალი გააყოლა მისტერ ბენქსის მზერას, რომელიც მისიზ რემზისკენ იყო მიმართული, გაიფიქრა, წარმოუდგენელია, რომელიმე ქალი ისე სცემდეს თაყვანს მეორე ქალს, როგორც მისტერ ბენქსი ეთაყვანება მისიზ რემზის; მე და მისიზ რემზის ისღა დაგვრჩენია, იმ ქოლგას შევაფაროთ თავი, რომელიც მისტერ ბენქსმა გაშალა ჩვენს თავზეო. ხედავდა მის გასხივოსნებულ მზერას და თავადაც შემატა განსხვავებული სხივი, როცა გაიფიქრა, მისიზ რემზი მართლაც უმშვენიერესი არსებაა (წიგნზე თავდახრილი), იქნებ საუკეთესოცო;

მაგრამ მაინც განსხვავდებოდა იმ სრულყოფილი სურათისგან, რომელსაც ახლა ხედავდნენ. ოღონდ რით იყო განსხვავებული ან რამდენად? ჰკითხა საკუთარ თავს, და პალიტრიდან აფხიკა ყველა ლურჯი და მწვანე საღებავის გროვა, რომლებიც ახლა უსიცოცხლო ბელტებად ეჩვენებოდა, და მაინც, თავს აღუთქვა, რომ აუცილებლად შთაბერავდა სიცოცხლეს ფერებს, აიძულებდა ემოძრავათ, ედინათ, და ამ პირობას ხვალ შეასრულებდა. და მაინც, რით იყო მისიზ რემზი გამორჩეული? რა სული ედგა, რა იყო მასში ის არსებითი, რაც იმდენად განასხვავებდა ყველასგან, რომ საკმარისი იყო მისი ხელთათმანი გენახათ სადმე, ტახტის კუთხეში მიგდებული, შეუძლებელი იყო, რომელიღაც ნათითურის მოხრილი ნაკვალევით უმალ არ მიხვედრილიყავით, რომ ეს მისი ხელთათმანია? სისხარტით ჩიტს თუ შეედრებოდა, პირდაპირობით – ისარს. თავნება; მბრძანებლური (რა თქმა უნდა, ლილიმ თავს შეახსენა, ვგულისხმობ მის ურთიერთობას ქალებთან, მე კი მასზე გაცილებით ახალგაზრდა, ერთი უღიმღამო არსება ვარ ბრომპტონ როუდიდანო). ის საძინებელი ოთახების ფანჯრებს აღებს. კეტავს კარს (ახლა გონებაში მისიზ რემზისთვის დამახასიათებელი ხმისა და ინტონაციის გახსენებას შეეცადა). როცა შინ გვიან ბრუნდება, ფრთხილად მიუკაკუნებს ხოლმე საძინებელი ოთახის კარზე, ძველი ბეწვის ქურქში ჩაფუთნილი (რადგან მისი სილამაზე ყოველთვის ასეთი იყო, ნაჩქარევი, და თან სიმარჯვესთან შეზავებული), და აუცილებლად ხელახლა წარმოადგენდა ვინმეს, სულერთია, ვის, მაგალითად, როგორ ეკარგება ხოლმე ქოლგა ჩარლზ ტენსლის; მისტერ კარმაიკლი როგორ ქშენს და აქსუტუნებს ცხვირს; ან როგორ ამბობს მისტერ ბენქსი, ასე ბოსტნეულს მარილებს ვუკლავთო. ამას ყველაფერს ოსტატურად წარმოადგენს ხოლმე; ეშმაკურადაც მოიხრება წელში; ფანჯრისკენ გასწევს, თავს მოგაჩვენებს, ვითომ წასვლას აპირებს, – სადაცაა გათენდება, და აი, ხედავს, როგორ ამოდის მზე – ნახევრად შემოტრიალდება, ახლა უფრო შინაურულად, მაგრამ ყოველთვის მოცინარე, და დაიჟინებს, რომ აუცილებლად, აცილებლად უნდა გათხოვდნენ ყველანი, მინტაც უნდა გათხოვდეს, ლილიც, ვინაიდან, როგორი დაფნის გვირგვინებითაც არ უნდა შეამკონ (ოღონდ მისიზ რემზის არაფრად მიაჩნდა მისი მხატვრობა), ან როგორ დიდებას და წარმატებასაც არ უნდა მიაღწიოს (როგორც ჩანს, მისიზ რემზის უკვე ეწვნია ეს ყოველივე), და აქ სევდა მოერეოდა, მოიღუშებოდა და თავის სკამს მიუბრუნდებოდა; ამაზე ორი აზრი არ არსებობს: გაუთხოვარი ქალი (წამით ხელს ჩაჰკიდებდა მსუბუქად), გაუთხოვარი ქალი ამქვეყნად ყველაზე ძვირფასზე ამბობს უარს. სახლი სავსე იყო მძინარე ბავშვებით და მისიზ რემზი მიაყურადებდა; რბილი შუქჩრდილები და მშვიდი ფშვინვა.

ლილის უნდოდა ეთქვა, დიახ, მაგრამ მე ხომ მამა მყავს; საკუთარი სახლიმაქვს; და, სიმამაცე რომ ჰყოფნოდა, იმასაც დასძენდა, რომ საყვარელი საქმეც აქვს, ფერწერა. მაგრამ ეს ყველაფერი განუზომლად უმნიშვნელო და გულუბრყვილო ჩანდა იმასთან შედარებით, რაზეც მისიზ რემზი ელაპარაკებოდა. და მაინც, როცა ღამე მიილეოდა და თეთრი სხივები გააპობდა ფარდებს, და შიგადაშიგ რომელიღაც ჩიტის ჭიკჭიკიც შემოესმებოდა ბაღიდან, სასოწარკვეთილი, მხნეობას მოიკრებდა და ცდილობდა ხოლმე მისიზ რემზის დარწმუნებას, რომ ის გამონაკლისია საყოველთაო კანონიდან; ამ პოზიციის დაცვას შეეცდებოდა; მას უყვარს მარტო ყოფნა; მას სურს, იყოს ის, რაც არის; ის არ არის ასეთი ცხოვრებისთვის შექმნილი; და მაშინ უწევდა, სწორუპოვარი სიღრმის სერიოზული მზერისთვის გაესწორებინა

თვალი, იძულებული იყო, დაპირისპირებოდა მისიზ რემზის მარტივ ჭეშმარიტებას (და ბავშვს ემსგავსებოდა), რომ ლილი, მისიზ რემზის საყვარელი და ცქვიტი გოგონა, ჩერჩეტია. და ლილის გაახსენდა, როგორ ჩაუდო კალთაში თავი მისიზ რემზის და ახარხარდა. და ხარხარებდა და ხარხარებდა ლამის ისტერიულად იმაზე, რომ მისიზ რემზი, მისთვის დამახასიათებელი ურყევი სიმშვიდით, განაგებდა ადამიანების ბედს, რომელთა შესახებ არაფერი გაეგებოდა. და იჯდა იქ, უბრალო და სერიოზული. ახლა კი მეხსიერებაში აღიდგინა, რას გრძნობდა მის მიმართ მაშინ – ეს იყო ხელთათმანებზე აღბეჭდილი მოღუნული თითის ფორმა. ოღონდ რომელ ნაკრძალში შეიჭრა? ლილი ბრისკომ ბოლოს და ბოლოს ზემოთ აიხედა და მისიზ რემზი დაინახა, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა აცინებდა ლილის, და იჯდა კვლავინდებურად მბრძანებლურ პოზაში, ოღონდ ამჯერად თავნებობის ყოველგვარი ნიშანწყალი გამქრალიყო, და მისი ადგილი რაღაც ნათელს დაეკავებინა, ბოლოს და ბოლოს გადაყრილ ღრუბლებს შორის გამოჩენილი სივრცისმაგვარს – ცის პაწია ნაგლეჯს, რომელიც თვლემს მთვარეს მოფარებული.

რა იყო ეს, სიბრძნე? წვდომის უნარი? ან იქნებ ისევ სილამაზის ცთუნება, რომელიც ადამიანის აღქმას ერთიანად აბურდავს და სიმართლისკენ ნახევარ გზაზე ოქროს აბლაბუდაში გახლართავს? ან იქნებ გულში იმარხავდა რაღაც საიდუმლოს, იმას, რაც ლილის რწმენით, უნდა ჰქონდეთ ადამიანებს, რათა დედამიწამ არსებობა არ შეწყვიტოს? და იმ დროს, როცა იატაკზე იჯდა და ხელები მისიზ რემზის მუხლებისთვის შემოეჭდო, რომ რაც შეიძლება ახლოს შეეგრძნო იგი, და ეღიმებოდა იმაზე, რომ მისიზ რემზი ვერასოდეს შეიტყობდა, რა იყო ამის მიზეზი, ლილიმ წარმოიდგინა, რომ ქალის გულისა და გონების საკნებში, რომელსაც ფიზიკურად ეხებოდა, როგორც მეფეთა სამვალეში, განლაგებული იყო წმინდა წარწერებიანი ფილები, და თუ შეძლებდა მათ ამოკითხვას, შეიტყობდა ყველაფერს, ოღონდ ისინი არასოდეს გაუმხელდნენ ამ ცოდნას ხილულად, საჯაროდ. რა ოინი, რა ოსტატობაა ცნობილი სიყვარულისთვის, რომლითაც ამ საიდუმლო საკნებში შეღწევაა შესაძლებელი? რომელია ის ხერხი, რომელსაც შესწევს ძალა, შენ და შენი სათაყვანებელი ობიექტი ერთ სულ და ერთ ხორც გაქციოს, როგორც წყლის ნაკადები, რომლებიც ამოუხსნელი მანქანებით ერთსა და იმავე ჭურჭელში იღვრება? რომელი აღწევს ერთიანობას, სული თუ ხორცი, როცა ასე მარჯვედ შეერწყმიან ტვინის ჩახლართულ ხვეულებს? ან იქნებ გული? შეიძლება, რომ სიყვარულმა, როგორც ადამიანები უწოდებენ ამას, ერთარსად ქმნას ის და მისიზ რემზი? რადგან ის ცოდნას, ფილებზე ამოტვიფრულ წარწერებს კი არ ესწრაფოდა, არამედ ერთობას; არაფერს ისეთს, რაც იწერება კაცთა მოდგმისთვის ნაცნობ რომელიმე ენაზე, არამედ სიახლოვეს, რომელიც სწორედ ცოდნაა, ფიქრობდა ლილი, როცა თავი მისიზ რემზის მუხლებზე ედო.

არაფერი მომხდარა. არაფერი! არაფერი! – ვიდრე ასე ედო თავი მისიზ რემზის კალთაში. და მაინც, მან იცოდა, რომ მისიზ რემზის გულში ცოდნა და სიბრძნე ინახებოდა. მაშ საიდან, ეკითხებოდა ლილი თავის თავს, საიდან და როგორ იგებს ადამიანი ამას თუ იმას სხვა ადამიანის შესახებ, თუკი ეს ცოდნა ასეა დაგმანული? მხოლოდ ფუტკარივით, რომელსაც ჰაერში სურნელი თუ სიმძაფრე იზიდავს, ვერც ხელით რომ ვერ შეეხები და ვერც გემოს გაუსინჯავ, ადამიანი მარტოდმარტო დასტრიალებს თაღის ფორმის სკებს,

მთელ სამყაროს შემოივლის მათ ძიებაში და კვლავ და კვლავ უბრუნდება ამ სკებს, რომლებიც მუდამ ბზუილსა და ფუთფუთში სუფევენ; ეს სკები ადამიანები არიან. მისიზ რემზი წამოდგა. ლილიც წამოდგა. მისიზ რემზი გავიდა. და რამდენიმე დღის განმავლობაში, როგორც სიზმარში ნანახი ადამიანის მიმართ გვიჩნდება ხოლმე განსხვავებული ხედვა, და თითქოს სხვა თვალით დანახულს რაღაც უხილავ ცვლილებას ვამჩნევთ, მისიზ რემზის თან დაჰყვებოდა ბევრად უფრო მკვეთრი, ვიდრე ნებისმიერი მის მიერ ნათქვამი სიტყვა, ნაზი ბზუილის ხმა, და როცა მისაღები ოთახის ფანჯარასთან წნულ სავარძელში იჯდა, ლილის თვალში ის შეიმოსა ღვთაებრივი დიდებულებით, რომელსაც თაღის ფორმა ჰქონდა.

მისი მზერა ზუსტად ემთხვეოდა მისტერ ბენქსის მზერას, მიმართულს მისიზ რემზისკენ, რომელიც იჯდა, და კალთაში მჯდომ ჯეიმსს წიგნს უკითხავდა. მაგრამ ახლა, როცა ლილი ჯერ კიდევ მას შესცქეროდა, უილიამ ბენქსს უკვე შეეწყვიტა ცქერა. მან სათვალე მოიმარჯვა, უკან დაიხია. ხელი ასწია, ოდნავ მოეჭუტა კრიალა ლურჯი თვალები და როცა ლილი გამოერკვა და დაინახა, რას აპირებდა, უცაბედად შეკრთა, როგორც ძაღლი, რომელიც ხედავს, როგორ შემართეს მის საცემად ხელი. მას შეეძლო, სურათი სასწრაფოდ აეღო მოლბერტიდან, მაგრამ საკუთარ თავს უთხრა, ხომ უნდანახონო. ნებისყოფა მოიკრიბა და გადაწყვიტა, გაეძლო ამ საშინელი გამოცდისთვის, ნება დაერთო, რომ მისი სურათი ენახათ. ხომ უნდა ნახონ, უნდა ნახონ. და თუ ვინმემ უნდა ნახოს, მისტერ ბენქსი მათგან ყველაზე ნაკლებად შემაშფოთებელი მნახველი იქნება. მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ვიღაცის თვალი ნახავდა, რას წარმოადგენს მისი ოცდაცამეტი წლის ნაცოდვილარი, ყოველდღიური ცხოვრების ნალექი, რომელსაც ერწყმოდა რაღაც უფრო იდუმალი, ვიდრე ის, რაც ოდესმე უთქვამს ან გამოუმჟღავნებია მთელი ამ დღეების განმავლობაში, ნამდვილ სატანჯველად ეჩვენებოდა. თუმცა, ამავე დროს, ეს უსაზღვროდ ამაღელვებელიც იყო.

ამაზე უკეთეს და მშვიდ რეაქციას ვერც ინატრებდა. მისტერ ბენქსმა ჯაყვა ამოიღო და ძვლის ტარი შეახო ტილოს. რის გადმოცემა სურდა ამ სამკუთხა იისფერი ფორმით, „აი, აქ?" ჰკითხა მან.

მისიზ რემზის, რომელიც ჯეიმსს წიგნს უკითხავს, მიუგო ლილიმ. მან იცოდა, რას ეტყოდა მისტერ ბენქსი – რომ ვერავინ შეიცნობს მასში ადამიანს. მაგრამ მე ხომ არ მიცდია, რამე მსგავსებისთვის მიმეღწია, განმარტა ლილიმ. მაშ რისთვის დაგჭირდათ მათი წარმოდგენა? ჰკითხა მისტერ ბენქსმა. მართლაცდა, რისთვის? – თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აი, იქ, იმ კუთხეში, კაშკაშა, ნათელი ფერია, აი, აქ კი, ამ კუთხეში, მუქის მოთხოვნილება გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მარტივი, აშკარა და ბანალური იყო, მისტერ ბენქსი დაინტერესდა. მაშ გამოდის, რომ დედა და შვილი – ეს საყოველთაო თაყვანისცემის ობიექტები, და ამ შემთხვევაში დედა, განთქმული თავისი სილამაზით – შეიძლება დავიყვანოთ, გავიაზროთ, როგორც იასამნისფერი ჩრდილი, ისე რომ არ დავაკნინოთ მისი ღირსება?

ოღონდ ეს სურათი მათზე არ არის, თქვა ლილიმ, უფრო სწორად, არ არის ამ აზრით. არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომელიც მათ მიმართ აღტაცებას და პატივისცემას გამოხატავს. აი, აქ ჩრდილით და იქ სინათლით, მაგალითისთვის. თუკი სურათი პატივის მიგებას უნდა გამოხატავდეს, მაშინ,

როგორც ჩანს, მისი პატივისცემა სწორედ ასე გამოიხატება. დედა და შვილი, სავსებით შესაძლებელია, ჩრდილით გამოიხატოს, და ეს არ იქნება არც უპატივცემულობა და არც დაკნინება. სინათლეს აქეთ ჩრდილი სჭირდება, იქით სიმუქე. მისტერ ბენქსი დაფიქრდა. დაინტერესდა. ის ამას მეცნიერულად მიუდგა, სრული სერიოზულობით. მართალი გითხრათ, ჩემს მიკერძოებულ განწყობას სულ სხვა მიზეზი აქვსო, თქვა მან. ყველაზე დიდი სურათი მისაღებ ოთახში მიკიდია, სურათი, რომელსაც მხატვრები აქებენ და მეტ ფასსაც ადებენ, ვიდრე მე გადავიხადე, მასზე ალუბლის აყვავებული ხეებია გამოსახული მდინარე კენეთის სანაპიროზეო. თაფლობის თვე თურმე სწორედ კენეთის სანაპიროზე გაუტარებია. და თქვა, როგორმე უნდა მეწვიოთ და ნახოთ ეს სურათიო. მაგრამ მერე შეტრიალდა, სათვალე შუბლზე აიწია, რომ მეცნიერის თვალით დაკვირვებოდა ტილოს. და თქვა, უნდა ვაღიარო, რომ სინათლისა და შუქჩრდილების, ფერების ურთიერთობაზე დღემდე არასოდეს მიფიქრიაო, და დიდი სურვილი ჰქონდა, ვინმეს აეხსნა მისთვის – მაშ, რის მიღწევას ცდილობს ლილი ამ ფერებით? და მისტერ ბენქსმა მათ წინაშე გადაშლილი ხედისკენ გაიშვირა ხელი. ლილიმ იქით მიიხედა. მას არ შეეძლო იმის თქმა, თუ რის გამოხატვას ცდილობდა, ამას თავადაც ვერ ხედავდა, თუ ფუნჯი ეჭირა. ლილიმ კვლავ დაიკავა პოზიცია, რომელიც ხატვისას ჰქონდა, თვალმოჭუტულმა გაფანტული იერი მიიღო, და ყველა შთაბეჭდილება, როგორც ქალმა, დაუქვემდებარა რაღაც უფრო ზოგადს; და კიდევ ერთხელ აღმოჩნდა იმ ხილვის ზემოქმედების ქვეშ, რომელიც ერთხელ ცხადად დაინახა, და ახლა ხელის ფათურით უნდა ეპოვა ბუჩქებსა და სახლებში და დედებსა და შვილებში – თავის ტილოზე. მას ახსოვდა, რომ შეკითხვა დაუსვეს, და ის ფერთა თანაფარდობას შეეხებოდა სურათის მარცხენა და მარჯვენა მხარეს. ამის გაკეთება შეიძლება, თუ ტოტის ხაზს ცოტა უფრო განზე გაავლებს, აი, ასე; ან თუ წინა პლანზე არსებულ სიცარიელეს ობიექტით შეავსებს (მაგალითად, ჯეიმსით), აი, ასე. მაგრამ თუ ასე მოიქცევა, ჩნდება სურათის მთლიანობის დარღვევის საფრთხე. ლილიმ შეწყვიტა ლაპარაკი; არ უნდოდა, თავი მოებეზრებინა; და მსუბუქად მოხსნა ტილო მოლბერტიდან.

მაგრამ მისი სურათი ნახეს; ის მას წაართვეს. ამ კაცთან რაღაც უაღრესად ღრმა სიახლოვე დაუმყარდა. და მისიზ რემზის და მისტერ რემზის მიმართ უზომო მადლიერებით აღისვო ამ ყოველივეს გამო, ამ ადგილის, ამ წუთების გამო, ამ სამყაროში ისეთი ძალა აღმოაჩინა, რომლის არსებობა არც კი დაუშვია – თურმე შეიძლება, სურათების გალერეის გრძელი დერეფანი ასე ჩაიარო ვინმესთან ერთად, ხელიხელგაყრილმა – ყველაზე წარმოუდგენელი რამ ამ დედამიწაზე, და ყველაზე გამამხნევებელი – და საღებავების კოლოფს ჩხაკუნით დაახურა თავი, საჭიროზე უფრო ღონივრად, და ამ ჩხაკუნმა თითქოს მარადიული წრე შემოავლო ამ საღებავების ყუთს, ამ მდელოს, მისტერ ბენქსსა და დაუოკებელ კემს, გაშმაგებით რომ მოქროდა მათკენ.

თავი 10

რადგან კემმა კინაღამ გადააყირავა მოლბერტი; არც ერთს არ შეეპუა, არც მისტერ ბენქსს და არც ლილი ბრისკოს; და მიუხედავად იმისა, რომ მისტერ ბენქსმა, რომელიც ნატრობდა, ქალიშვილი ჰყოლოდა, ხელიც კი გაიწვდინა მისკენ, კემმა არავის ათხოვა ყური – არც მამამისს, რომელსაც ასევე, ბეწვზე ასცდა; არც დედას, რომელმაც გამოსძახა, „კემ! ერთი წუთით აქ მოდი!", და შურდულივით ჩაიქროლა. ისე მიქროდა, როგორც ჩიტი, ტყვია ან ისარი, და ვის შეეძლო ეთქვა, რა სურვილმა მიიზიდა, ან ვინ მოსდევდა, ან საით მიქროდა? მაინც რა სჭირს, რა? შვილის შემყურე ფიქრობდა მისიზ რემზი. იქნებ რამეს მოჰკრა თვალი, ნიჟარას, ურიკას, ან ბუჩქნარს მიღმა ჩამალულ ზღაპრულ სამეფოს; ან იქნებ თავად სისწრაფით ტკბებოდა? ვის შეეძლო ამაზე პასუხის გაცემა? მაგრამ, როდესაც მისიზ რემზიმ მეორედ დაუძახა, „კემ!", შურდულმა შუა გზაზე შეწყვიტა ქროლა, ლასლასით შემოტრიალდა, გზად ერთი ფოთოლი მოწყვიტა და დედასთან მივიდა.

ნეტავი რა მოელანდაო, გაიფიქრა მისიზ რემზიმ, როცა დაინახა, როგორ იდგა გოგონა მის წინ, საკუთარ ფიქრებში იმდენად ჩაფლული, რომ დედას ორჯერ მოუხდა დაბარება, ჰკითხე ერთი, მისიზ მილდრედს, დაბრუნდნენ თუ არა მის დოილი და მისტერ რეილიო. გეგონებოდათ, ეს სიტყვები ღრმა ჭაში ჩაცვივდა, სადაც, თუ წყალი სუფთაა, ისე არაბუნებრივად დამახინჯდებიან, რომ ფსკერზე არც იქნებიან ჩასული, აშკარა შეიქნება – ისე გადაიხლართებიან, უფალმა უწყის, რა სახეს მიიღებენ ბავშვის გონების ფსკერზე დალექვისას. რა დანაბარებს გადასცემს კემი მზარეულს? მისიზ რემზი ინტერესით ელოდა. და მართლაც, მხოლოდ მოთმინებით ლოდინის წყალობით, გაიგონა, რომ სამზარეულოში წითელლოყება მოხუცი ქალი წვნიანს შეექცეოდა ჯამიდან, და გულმა უგრძნო, რომ თუთიყუშის ინსტინქტი ამოქმედდა, რომელმაც სრული სიზუსტით გაიმეორა მილდრედის სიტყვები და ცოტაც და, კიდევ გაიმეორებდა უღიმღამო მელოდიასავით. და კემმა, უკან მობრუნებულმა, ფეხიდან ფეხზე რწევა-რწევით, მართლაც ზედმიწევნით გაიმეორა მილდრედის სიტყვები, „არა, ჯერ არ მოსულან, და ელენს ვთხოვე, ჩაის სუფრა აალაგოს".

მაშ მინტა დოილი და პოლ რეილი ჯერ არ დაბრუნებულან. ეს მხოლოდ ერთ რამეს შეიძლება ნიშნავდეს, გაიფიქრა მისიზ რემზიმ. მინტამ მისი წინადადება ან უნდა მიიღოს, ან უარი უნდა უთხრას. აბა მეტი რა უნდა იფიქროს, როცა ნასადილევს ერთად წავიდნენ სასეირნოდ, მერე რა, რომ ენდრიუც თან წაიყვანეს – სხვას რას უნდა ნიშნავდეს ეს, თუ არა იმას, რომ სავსებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო? ფიქრობდა მისიზ რემზი (მას ძალიან, ძალიან მოსწონდა მინტა); და ალბათ თანხმობაც მისცა იმ შესანიშნავ ჭაბუკს, რომელიც იქნებ ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ შემდეგ, როცა იგრძნო, რომ ჯეიმსი კაბაზე ეწეოდა, რომ დედას ზღაპრის კითხვა გაეგრძელებინა მეთევზეზე და მის ცოლზე, გაიფიქრა, ასეთი პირღია ჩერჩეტი მირჩევნია ამ ჭკუის კოლოფებს, დისერტაციებს რომ წერენო; მაგალითად, ჩარლზ ტენსლისო. ასეა თუ ისე, წესით, ამ დროისთვის ყველაფერი უნდა გარკვეულიყო.

მაგრამ კითხვა განაგრძო, „მეორე დილით ცოლმა ქმარზე ადრე გაიღვიძა, ჯერ მზეც არ ამოსულიყო, და საწოლიდან დაინახა მის თვალწინ გადაშლილი მშვენიერი ქვეყანა. ქმარი ჯერ კიდევ იზმორებოდა საწოლში..." მაგრამ ნუთუ შეიძლება მინტამ უარი უთხრას? არა მგონია, თუკი დათანხმდა მასთან

ერთად უაზროდ სეირნობას – ამასობაში ენდრიუ კიბორჩხალებზე ინადირებდა – მაგრამ იქნება ნენსი გაჰყვა თან. მისიზ რემზი შეეცადა გაეხსენებინა, როგორ იდგა ორივე სახლის შემოსასვლელ კართან ლანჩის შემდეგ. იდგნენ და ცას შესცქეროდნენ, აინტერესებდათ, როგორი ამინდი იყო მოსალოდნელი, და მისიზ რემზიმ უთხრა, რომ არ მორიდებოდათ და უფრო თამამად წასულიყვნენ ერთად სასეირნოდ (ვინაიდან ის პოლს უჭერდა მხარს),

„ერთი ღრუბელიც არ ჩანს რამდენიმე მილის მანძილზე", და იგრძნო, როგორ ჩაიქირქილა მის ნათქვამზე იქვე მდგომმა ჩია ჩარლზ ტენსლიმ. ოღონდ მისიზ რემზიმ ეს შეგნებულად თქვა. და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცდილობდა, გონების თვალით გაეხსენებინა, მაინც ვერაფრით გაიხსენა, იყო თუ არა მათთან ერთად ნენსი იმ დროს.

კითხვა განაგრძო: „რას ამბობ, დედაკაცო", უთხრა ცოლს კაცმა, „რად გვინდა მეფობა? მე არ მინდა ვიყო ხელმწიფე". „კი ბატონო", უთხრა ცოლმა, „შენ თუ არ გინდა მეფობა, მაშინ მე გავხდები მეფეო". „კემ, ან შინ შემოდი, ან გარეთ გადი", უთხრა გოგონას, რადგან იცოდა, მას ამ ზღაპარში მხოლოდ სიტყვა „ოქროს თევზი" იზიდავდა და მაშინვე აცქმუტდებოდა და, როგორც ყოველთვის, ჯეიმსთან კინკლაობას გამართავდა. კემი შურდულივით გავარდა გარეთ. მისიზ რემზიმ კი კითხვა განაგრძო, გულზე მოეშვა, რადგან მას და ჯეიმსს ერთნაირი გემოვნება ჰქონდათ და თავს ძალიან კარგად გრძნობდნენ ერთად.

„და როცა კაცი ზღვასთან მივიდა, მორუხო ბინდი ჩამოწოლილიყო და ზღვა ბობოქრობდა და სიმყრალეს აფრქვევდა. კაცი ზღვასთან მივიდა, დადგა და უთხრა:

ოქროს თევზო, ლურჯი ზღვის,

ჩემს მეუღლეს, ილსებილს

სურს, რაც არ მსურს მე, მის ქმარს,

აუხდინე ნატვრა მას.

„მაშ მითხარი, რა სურს ახლა?" ჰკითხა ოქროს თევზმა მეთევზეს. „და ნეტავი ახლა სად არიან? მისიზ რემზი თან კითხულობდა და თან ფიქრობდა; სრულებით არ უჭირდა ამის კეთება; რადგან მეთევზის და მისი ცოლის ამბავი მისთვის იგივე იყო, რაც ბანია მრავალხმიანი მელოდიისთვის. ნეტავი მას როდის ეტყვიან? და თუ არაფერი მომხდარა, მაშინ სერიოზული ლაპარაკი მოუწევს მინტასთან. აბა ასე ხომ არ იყიალებს აღმა-დაღმა მთელ სოფელში, თუნდაც ნენსი იყოს მათთან ერთად (ისევ შეეცადა, თუმცა წარუმატებლად, რომ უკნიდან დაენახა, როგორ მიუყვებოდნენ გზას, რომ გამოეთვალა, რამდენი ადამიანი წავიდა ერთად). მას ხომ პასუხისმგებლობა აკისრია მინტას მშობლების წინაშე – ჭოტის და ქარცახის წინაშე. კითხვისას გაახსენდა, როგორ შეარქვა ეს მეტსახელები. ჭოტი და ქარცახი – დიახ, ნამდვილად გაბრაზდებიან, თუ გაიგეს – და უეჭველად გაიგებენ კიდეც – რომ, როცა მინტა რემზებმა მიიწვიეს, ხალხმა თურმე ისინი ერთად ნახა აქა და იქ და ასე და ასე შემდეგ... „თემთა პალატაში პარიკით დადის და ცოლი მარჯვედ ეხმარება მიღებების დროს", გაიმეორა, და გაიხსენა ეს

ფრაზა, რომელიც ქმრის გასართობად შეთხზა ერთხელ, როცა რომელიღაც წვეულებიდან ბრუნდებოდნენ შინ. ღმერთო, ღმერთო, თავისთვის თქვა მისიზ რემზიმ, როგორ გაუჩნდათ ასეთი განსხვავებული შვილი? ეს ქალაბიჭა მინტა, გამოხეული წინდებით რომ დაიარება? რანაირად ძლებს ეს გოგო იმ შემზარავ გარემოში, სადაც მოახლე გამუდმებით აქანდაზით დადის, რომ თუთიყუშის დაყრილი ქვიშა ახვეტოს, და სადაც საუბრის თემა თითქმის უკლებლივ, თუთიყუშის საგმირო საქმეებია – იქნებ საინტერესოც, მაგრამ ძალიან უღიმღამო და შეზღუდული? ბუნებრივია, გოგონა ჯერ ჩაიზე მიიწვიეს, მერე სადილზე, ბოლოს შესთავაზეს, მათთან ფინლიში ჩამოსულიყო, რაც საბოლოოდ ერთგვარ უთანხმოების მიზეზად იქცა ჭოტთან – დედამისთან ურთიერთობაში, და მერე კიდევ უფრო მოხშირდა სტუმრობა, მოხშირდა საუბრები და ქვიშაც, დაბოლოს, იმდენი ტყუილი უამბო თუთიყუშებზე, რომ მთელი ცხოვრება ეყოფა მარაგად (ასე უთხრა ქმარს იმ ღამეს, როცა წვეულებიდან შინ ბრუნდებოდნენ). და მიუხედავად ყველაფერისა, მინტა ჩამოვიდა... დიახ, ჩამოვიდა. მისიზ რემზი დაფიქრდა, და მოეჩვენა, რომ აზრის გორგალში ეკლისმაგვარი რამ გაერია; და როცა გორგალი დაშალა, აი, რა აღმოაჩინა: ერთხელ ერთმა ქალმა მას დასწამა, თითქოს „დედას ქალიშვილის სიყვარულს ართმევდა"; და მისიზ დოილის რომელიღაც გამონათქვამმა ახლა ისევ გაახსენა ეს ბრალდება. მბრძანებლობის სურვილი, სხვის საქმეში ჩარევის სურვილი, ხალხის იძულება, აკეთონ ის, რაც მას სურს, აი, რაში სდებდნენ ბრალს, მას კი ეს უკიდურეს უსამართლობად მიაჩნდა. რა მისი ბრალია, თუ „ასე გამოიყურება" გარეგნულად? ვერავინ დასწამებს, რომ განზრახ ცდილობს ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენას. ის კი არა, ხანდახან რცხვენია კიდეც, ისეთი დაღლილი და მოშვებული იერი აქვს. არც არავის მბრძანებლობს, არც დესპოტია. ეს რომ საავადმყოფოების და კანალიზაციის და რძის ნაწარმის მიმართ მის დამოკიდებულებაზე ეთქვათ, კიდევ გასაგები იქნებოდა. ასეთი საკითხებისადმი მართლაც არ არის გულგრილი. და საშუალება რომ ჰქონდეს, სიამოვნებით ჩაავლებდა ადამიანებს ხელს ქეჩოში და უჩვენებდა, რა ხდება ამ სფეროში. ერთი საავადმყოფოც კი არ არის მთელ ამხელა კუნძულზე. სამარცხვინო ამბავია. ლონდონში რძეს კართან მოგართმევენ და მტვრისგან მთლად გაშავებული დაგხვდება. ასეთი რამ აკრძალული უნდა იყოს. ერთი საჩვენებელი რძის საწარმო და საავადმყოფო მაინც რომ იყოს აქ – აი, ესაა, რასაც სიამოვნებით გააკეთებდა თვითონ. მაგრამ აბა რანაირად? როცა ამდენი ბავშვი ჰყავს. იქნებ როცა გაიზრდებიან, მაშინ მაინც გამონახოს დრო; როცა ყველანი სკოლაში წავლენ.

ჰო, მაგრამ, როგორ არ უნდა, რომ ჯეიმსი, თუნდ ერთი დღით მაინც გაიზარდოს! ანდა კემი. რა ბედნიერება იქნებოდა, სულ ამ ხნისანი რომ დარჩნენ, ისეთები, როგორებიც არიან, ორი ეშმაკის ფეხი, ორი სიხარულის ანგელოზი, ნეტავი სულ ასეთი ლაღები დარჩნენ და გრძელფეხება ურჩხულებად არ გადაიქცნენ. ამ დანაკარგს ვერაფერი აანაზღაურებს. როცა სულ ახლახან ჯეიმსს უკითხავდა, „და ჯარისკაცები ლიტავრებით და საყვირებით", და ბიჭი მოიღუშა, მისიზ რემზიმ გაიფიქრა, რატომ, რატომ უნდა გაიზარდონ და დაკარგონ ეს ყველაფერი? ჯეიმსი მისი შვილებიდან ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე მგრძნობიარეა. თუმცა ყველანი საოცრად იმედის მომცემები არიან. ფრუ ხომ ნამდვილი ანგელოზივით ექცევა ყველას, და ახლა ხანდახან, განსაკუთრებით ღამღამობით, შეიძლება სუნთქვა შეგეკრას მისი სილამაზის შემხედვარეს.

ენდრიუს ხომ – მისი ქმარიც კი აღიარებს, რომ არაჩვეულებრივი მონაცემები აქვს მათემატიკაში. და მერე ნენსი და როჯერი? ორივე ნამდვილი ურჩი, მოუთოკავი ველურია, ლაღად დანავარდობენ ხან სად, და ხან სად, დილიდან დაღამებამდე. რაც შეეხება როუზს, მას დიდი პირი აქვს, მაგრამ საოცარი ნიჭი და სიმარჯვე დაჰყვა ხელებში. როცა შარადების გამოცნობანას თამაშობენ, როუზი კაბებს კერავს; ყველაფერს ის აკეთებს; გიჟდება სუფრის გაწყობაზე, ყვავილებზე, ყველაფერი ეხერხება. არ მოსწონს, რომ ჯასპერი შურდულით დასდევს ჩიტებს; მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ასაკის ერთი ეტაპია; მათ ხომ ყველას კიდევ მრავალი ეტაპის გავლა მოუწევს. რატომ, ეკითხებოდა თავის თავს მისიზ რემზი, რატომ უნდა იზრდებოდნენ ბავშვები ასე სწრაფად? რატომ უნდა დადიოდნენ სკოლაში? მას ყოველთვის ენატრებოდა ახალშობილი, ჩვილი. ჩვილი ბავშვის ჩახუტებას არაფერი ერჩივნა. და ამ დროს ვიღაცას შეიძლება რატომღაც აზრად მოუვიდეს, რომის, გინდა თუ არა, დესპოტია, მბრძანებლობა უყვარს, ყველას ჭკუას არიგებს; დაე, რაც უნდათ ის თქვან, თუ ასე ძალიან უნდათ; არაფერი აქვს საწინააღმდეგო. ჯეიმსს თმაზე ტუჩები შეახო და გაიფიქრა, ის ხომ ვეღარასოდეს იქნება ისეთი ბედნიერი, როგორიც ახლაო, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი, რადგან გაახსენდა, როგორ გაბრაზდა მისი ქმარი ერთხელ, როცა ეს აზრი გაუზიარა. და მაინც, ის მართალია. ბავშვები ვერასოდეს იქნებიან ისეთი ბედნიერები, როგორებიც ახლა არიან. ერთი ათპენიანი სათამაშო სერვიზიც საკმარისია, რომ კემი ბედნიერი იყოს რამდენიმე დღის განმავლობაში. დილაობით, როგორც კი გაიღვიძებდნენ, ბავშვების ფეხის ბაკაბუკი და ჟრიამული ესმის. ესმის, როგორ ცდილობენ, ერთმანეთს დაასწრონ დერეფანში გამოსვლა. მერე კარი იღება და ყველანი შემოდიან, ვარდებივით ცინცხლები, ფართოდ გახელილი თვალები უბრწყინავთ, თითქოს ნასაუზმევს სასადილო ოთახში შემოსვლა, რასაც ყოველ ცისმარე დღეს აკეთებენ, არაჩვეულებრივად სასიამოვნო მოვლენა იყოს, და ასე შემდეგ, ხან ერთი და ხან მეორე, ვინ ჩამოთვლის, რამდენი რამ ხდება მთელი დღის განმავლობაში, სანამ მეორე სართულზე არ ავა, რომ ყოველ მათგანს ღამე მშვიდობისა უსურვოს, სადაც ბავშვები ისე მოკალათდებიან ხოლმე, როგორც ჩიტები ალუბლებსა და ჟოლოებს შორის, და ისევ თხზავენ ამბებს და ჟღურტულებენ ათასგვარ წვრილმანზე, რაც იმ დღეს გაიგონეს, რისთვისაც ყური მოუკრავთ ეზოში, ბაღში. და ყოველ მათგანს თავისი განძი აქვს... ერთხელ კი, როცა ბავშვებს ძილი ნებისა უსურვა და პირველ სართულზე ჩამოვიდა, ქმარს უთხრა, რატომ უნდა გაიზარდონ და რატომ უნდა დაკარგონ ეს ყველაფერი, ასეთი ბედნიერები ხომ ვეღარასოდეს იქნებიანო. რაზეც ის საშინლად გაბრაზდა. „რატომ უნდა ხედავდე ცხოვრებას ასეთ შავბნელ ფერებში?" ჰკითხა ცოლს. მართლაც ვერაა მაინცადამაინც ჭკვიანური აზრი. ეს ხომ ძალიან უცნაურია; და მისიზ რემზის სწამდა, რომ ქმარი სიმართლეს ეუბნებოდა; რომ ის, მისთვის დამახასიათებელი სიკუშტით და სასოწარკვეთით, საერთო ჯამში მაინც მასზე უფრო ბედნიერი იყო, მასზე უფრო იმედიანიც. მას ხომ ნაკლებად აღელვებდა ადამიანური შფოთვა – შესაძლოა, ასეთი იყო საქმის ვითარება. ყოველთვის ეგულებოდა სამუშაო, რომელსაც თავს აფარებდა. თავად კი, როგორც ქმარმა დასდო ბრალი, სულაც არ იყო „პესიმისტი". ოღონდაც ცხოვრებაზე ფიქრობდა – და მისიზ რემზის დროის ხანმოკლე მონაკვეთი დაუდგა თვალწინ – მისი ასაკი, ორმოცდაათი წელი. თვალწინ დაუდგა მთელი ცხოვრება. ცხოვრება, გაიფიქრა მისიზ რემზიმ – მაგრამ ფიქრი აღარ გაუგრძელებია. უბრალოდ,

ცხოვრებას თვალი გადაავლო, რადგან იქ ის მკაფიოდ ხედავდა ყველაფერს, რაღაც ნამდვილს, რაღაც პირადულს, რომელსაც ვერც შვილებს გაუზიარებდა და ვერც ქმარს. მათ შორის ერთგვარი ურთიერთქმედება იყო დამყარებული, რომელშიც თავად გამოღმა იდგა, ცხოვრება კი გაღმა იყო, და ის მუდამ ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთ ესარგებლა ამით, რადგან ეს იყო ცხოვრება: და ხანდახან მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა მასთან (როცა მარტო რჩებოდა); და ახსოვდა, დიდი შერიგების სცენებიც ახსოვდა; მაგრამ უმეტესწილად, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, უნდა აღიაროს, რომ რაღაც შემზარავს, მტრულსაც გრძნობდა, ეს იყო რაღაც ისეთი, რასაც, თუ საშუალებას მისცემდი, აუცილებლად თავს დაგესხმოდა. მარადიულ პრობლემებს ხომ ვერ დაივიწყებს: ტანჯვას; სიკვდილს; სიღატაკეს. აქაც კი, ყოველთვის რომელიმე ქალი კიბოთი კვდებოდა. და მაინც, თავისი შვილებისთვის არაერთხელ უთქვამს, რომ ისინი ყველა სირთულეს გადალახავენ. დაუღალავად ეუბნებოდა ამას რვა ადამიანს (სათბურის შეკეთებისთვის კი ორმოცდაათფუნტიანი ქვითარი მოვა). სწორედ ამიტომ, რაკი იცოდა, რა ელოდა მის შვილებს მომავალში – სიყვარული და პატივმოყვარეობა და სასოწარკვეთა სადღაც, უღიმღამო მხარეში – და ხშირად ეუფლებოდა ეს გრძნობა, რატომ უნდა გაიზარდონ და რატომ უნდა დაკარგონ ეს ყოველივე? და მერე ეტყოდა ხოლმე თავს და თან შემართულ მახვილს უღერებდა ცხოვრებას, რა სისულელეა; ყველანი ძალიან ბედნიერები იქნებიანო. და აი, გაიფიქრა, რადგან ისევ იგრძნო, რა სასტიკია ცხოვრება, რაკი სურს, მინტა რეილის გაჰყვეს ცოლად; ვინაიდან, რასაც არ უნდა გრძნობდეს ის ცხოვრებასთან თავისი გარიგების შედეგად, ის, რაც მას გამოუცდია, სულაც არ არის აუცილებელი, სხვებსაც შეემთხვეს (საკუთარ თავსაც არ უმხელდა ამ ყველაფერს); იცოდა, რომ მეტისმეტ სიჩქარეს იჩენდა, თითქოს ეს მისთვისაც გამოსავალი, გაქცევა იყო, როცა ამბობდა, რომ ადამიანებმა ოჯახი უნდა შექმნან, ქალი უნდა გათხოვდეს; შვილები უნდა გააჩინოს.

ნუთუ ცდებოდა ამაში? ეკითხებოდა თავს მისიზ რემზი და თვალი გადაავლო თავის ქცევას ბოლო ერთი-ორი კვირის განმავლობაში. უნდოდა გაეგო, მართლა ზედმეტად ხომ არ უბიძგებდა გადაწყვეტილების მიღებისკენ მინტას, რომელიც ჯერ მხოლოდ ოცდაოთხი წლისა იყო? გული დაუმძიმდა. განა ეს სიცილით არ უთხრა გოგონას? ხომ არ დაავიწყდა ისევ, რამხელა გავლენა ჰქონდა ადამიანებზე? ქორწინება ხომ მართლაც – ოო, რა თვისებებს არ გადაეყრება ადამიანი (სათბურის შეკეთების გადასახადი ორმოცდაათ ფუნტია); ერთი რამ კი – საჭირო არ არის ამის დაზუსტება, ისედაც ყველამ იცის – ყოვლად აუცილებელია; ის, რაც მას ქმართან აკავშირებს. და ნეტავ მათაც თუ აქვთ იგივე გრძნობა?

„მერე მეთევზემ შარვალი ჩაიცვა და გიჟივით გაიქცა შინიდან", განაგრძობდა კითხვას მისიზ რემზი. „მაგრამ გარეთ ძლიერი ქარიშხალი ბობოქრობდა, ქროდა და უბერავდა და ყველაფერს აყირავებდა და მთებიცკი შეირყა, კლდეები ზღვაში ჩაინთქა, ცა უკუნ შავ ფერად შეიღება და ელავდა და ქუხდა და ზღვიდან ეკლესიის გუმბათის სიმაღლის და მთების სიმაღლის ტალღები ამოვარდა და ზედ თეთრი დუჟი მოედო".

წიგნი გადაფურცლა; სულ რამდენიმე პწკარიღა იყო დარჩენილი ბოლომდე, ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე კარგა ხანია, ბავშვის დაძინების

დრო მოვიდა, გადაწყვიტა, ზღაპარი ბოლომდე წაეკითხა. უკვე გვიანი იყო. ბაღში ანთებულმა სინათლემ მიახვედრა; ყვავილებმა ფერი იცვალეს, გაფითრდნენ და რაღაც რუხი შეეპარა ფოთლებს და შეთქმულებივით ისე შეეკრათ პირი, რომ მღელვარებამ აიტანა. ნეტავი რამ გამოიწვია ეს? თავიდან ვერ მიხვდა, მაგრამ მერე გაახსენდა; პოლი და მინტა და ენდრიუ ჯერ არ დაბრუნებულან. ისევ მოუხმო მახსოვრობას და სახლის შესასვლელ კართან წარმოიდგინა ადამიანების პატარა ჯგუფი. ტერასაზე იდგნენ და ცას აჰყურებდნენ. ენდრიუს სათევზაო ბადე და კალათა ეჭირა ხელში. ეს იმას ნიშნავს, რომ კიბორჩხალების დაჭერას აპირებდა, ანუ კლდეზე მოუწევდა ცოცვა; და მოქცევა გზას მოუჭრიდა. ხომ შეიძლება ერთიმეორის მიყოლებით, ცალ-ცალკე გამოჰყოლოდნენ რომელიმე ვიწრო ბილიკს ქარაფის თავზე და რომელიმეს ფეხი დასცურებოდა. დაგორდებოდა და დაიმტვრეოდა. უკვე მთლად დაბნელდა.

მაგრამ ზღაპრის კითხვა ისე დაამთავრა, ოდნავაც არ შეჰპარვია ხმაში მღელვარება, და როცა წიგნი დახურა, ბოლო სიტყვები ისე წარმოთქვა, თითქოს მისი მოგონილი ყოფილიყოს და ჯეიმსს თვალებში ჩახედა: „და ასე ცხოვრობენ იქ დღემდე". „და ესაა ზღაპრის ბოლო", თქვა მან და დაინახა, როგორ ჩაუქრა ბიჭს ინტერესი ზღაპრის მიმართ და რაღაც სხვამ დაიკავა მისი ადგილი; რაღაც გაოცებისმაგვარმა, სინათლის ანარეკლივით მკრთალმა, რომელმაც უმალ უბიძგა გაეხედა და გაოცდა. მისიზ რემზი შეტრიალდა, ყურეს გახედა და იქ მართლაც დაინახა, როგორ თანაბრად წამოვიდა ტალღების თავზე პირველი ორი სწრაფი ნათება და მერე ერთი ხანგრძლივი გამონათება; შუქი შუქურიდან მოდიოდა. შუქურა ენთო.

წამიც არ გავიდოდა, და ბიჭი ჰკითხავდა, „მაშ მივდივართ შუქურაზე?" მას კი მოუწევდა ეთქვა, „არა: ხვალ არა; მამა ამბობს, არაო". საბედნიეროდ, მილდრედმა მოაკითხა წასაყვანად და რია-რიამ ყურადღება გაუფანტა. მაგრამ როცა მილდრედს გაჰყვა, უკან მოიხედა, და დედა დარწმუნებული იყო, ახლა იმაზე იფიქრებს, ხვალ რომ არ მიდიან შუქურაზეო; და მისიზ რემზიმ გაიფიქრა, მას ეს მთელი ცხოვრება ემახსოვრება.

თავი 11

არა, გაიფიქრა მან, როცა ჟურნალიდან ბიჭის მიერ ამოჭრილ სურათებს ალაგებდა – მაცივარს, ბალახის საკრეჭ მანქანას, საღამოს კოსტიუმში გამოწყობილ ჯენტლმენს – ბავშვებს არაფერი ავიწყდებათ. ამიტომ იყო ასე მნიშვნელოვანი, რას ეტყოდი, როგორ მოიქცეოდი, და რამხელა შვებას გრძნობდა, როცა ბავშვები დასაძინებლად გაიკრიფებოდნენ. რადგან მაშინ შეეძლო, არავისზე აღარ ეფიქრა. შეეძლო ყოფილიყო ის, რაც იყო სინამდვილეში, თვითონ, თავისთვის. არა, ფიქრიც კი არ უნდოდა. ჩუმად, უხმოდ ყოფნა სურდა თავისთვის, მარტოს. ყოფიერება, ქმნადობა, უსასრულო, ელვარე ხმიანობა ქრებოდა; და იძირებოდა, საზეიმო რიტუალივით, საკუთარ თავში, წყვდიადის სოლისებრ ბირთვში, რომელიც სხვებისთვის უხილავი იყო. და მიუხედავად იმისა, რომ ქსოვას

განაგრძნობდა და წელგამართული უძრავად იჯდა, სწორედ ასე შეეძლო შეეგრძნო საკუთარი თავი; და მის ეგოს, რომელიც ყველასგან და ყველაფრისგან თავისუფლდებოდა, შეეძლო ყოვლად წარმოუდგენელ თავგადასავლებს მისცემოდა. როცა ცხოვრება ძილს ეძლევა, ცხოვრებისეული ცოდნის ფარგლები უზომოდ ფართოვდება. და მისი აზრით, მის დარად ყველას ეუფლებოდა ამ განუზომელი შესაძლებლობების შეგრძნება; ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდნენ ის, ლილი, ავგუსტუს კარმაიკლი, ყველანი გრძნობდნენ, რომ ეს ჩვენი ლანდი თუ ანარეკლი, რომლითაც შეგვიცნობენ და გამოგვარჩევენ, სრული სისულელეა. მის ქვეშ, წიაღში, უკუნი წყვდიადია, ის ფართოვდება, უსაზღვროდ ღრმაა; მაგრამ დროდადრო ზედაპირზე ამოვდივართ და სწორედ ესაა, რითაც ადამიანები გვხედავენ და შეგვიცნობენ. თვალსაწიერს კი სამანი არა აქვს. ვინ მოთვლის, რამდენი რამ არ უნახავს; ინდოეთის მთები; აი, თითქოს რომშია, ტაძრის სქელ ტყავის ფარდას გადასწევს და შიგ იხედება. წყვდიადის ამ ბირთვს სამყაროს ყველა წერტილში შეუძლია მისვლა, რადგან მას ვერავინ ხედავს. და ამას ვერავინ შეაჩერებსო, გაიფიქრა და განუზომელი სიხარულის გრძნობა დაეუფლა. აქ იყო თავისუფლება, სიმშვიდე, და რაც ყველაზე მეტად ახარებს, აქ ყველას შეუძლია იგემოს, თუნდ დროებით, სიმყარის განცდა. ის თავად კი არ ცდილობს ამ სიმშვიდის მოპოვებას, არამედ გამოცდილებით (სწორედ ამ დროს ჩხირით ოსტატურად ამოქარგა ჩახლართული ორნამენტი), ეს მხოლოდ იმ წყვიადის ბირთვში ჩაძირვითაა შესაძლებელი. კარგავ ყოველივე პიროვნულს, სადღაც ქრება შფოთვა, სიჩქარე, ფორიაქი; და როცა ყველაფერი ერთად მოიყრის თავს, ამ სიმშვიდეში, ამ მოსვენებულ მდგომარეობაში, ამ მარადიულობაში, ბაგეებიდან მუდამ რაღაც, სიხარულის თუ გამარჯვების ამოძახილი აღმოხდება ხოლმე; აქ შეისვენა და ფანჯარაში გაიხედა, რომ შუქურიდან მომავალ სხივს შეგებებოდა, მტკიცე ნათებას, სამიდან ბოლოს, რომელიც სწორედ მისი გამონათება იყო, ვინაიდან, როცა ამ განწყობით ერთსა და იმავე დროს იყურებოდა ხოლმე ფანჯარაში, შეუძლებელი იყო, არ შერწყმოდა რამე ერთს, განსაკუთრებით იმას, რასაც თვალით ხედავდა; და ეს ერთი რამ, ეს გრძელი სინათლის სხივი, მისი სხივი იყო სწორედ. ხშირად ნახავდით ფანჯარასთან მიმჯდარს, როგორ გასცქეროდა სივრცეს ხელსაქმით ხელში, იქამდე, ვიდრე იმად არ იქცეოდა, რასაც შესცქეროდა – მაგალითად, იმ სინათლის სხივად. და მაშინვე მოადგებოდა ხოლმე ენაზე ესა თუ ის მოკლე ფრაზა, რომელიც გონებაში უტრიალებდა, რამე ასეთი – „ბავშვებო, არ დაივიწყოთ, არ დაივიწყოთ", – იმეორებდა ხოლმე და დასძენდა, „ეს დასრულდება, დასრულდება". და მერე, „ის ისევ მოვა, ისევ მოვა", და უეცრად დასძენდა, „ყველანი უფლის ხელში ვართ".

მაგრამ უმალვე ინანებდა, ასეთი რამ რომ წამოსცდა. ვინ თქვა ეს? ეს მას არ უთქვამს; თითქოს მახეში გააბეს და ათქმევინეს ისეთი რამ, რის თქმაც არ სურდა. საქსოვიდან თავი აიღო, გაიხედა და თვალი გაუსწორა მესამე შუქის სხივს, და მოეჩვენა, რომ მისი თვალი საკუთარსავე თვალს შეეყარა, ღრმად ჩაიხედა საკუთარ სულსა და გონებაში ისე, როგორც მხოლოდ მას შეეძლო დაკვირვება, რათა ამოეცნო და განწმენდილიყო ამ სიცრუისგან, ნებისმიერი სიცრუისგან. რაკი შუქურის სხივით ტკბებოდა, მაშასადამე, საკუთარი თავითაც ტკბებოდა, ოღონდ ამპარტავნების გარეშე, რადგან ის მკაცრი და მომთხოვნი იყო, რადგან გამჭრიახი იყო, რადგან ამ სხივივით მშვენიერი იყო. რა უცნაურია, გაიფიქრა, როგორ ხდება, რომ, როცა ადამიანი მარტოა,

უსულო საგნებში ეძიებს საყრდენს; ხეებში, წყაროში, ყვავილებში; ალბათ იმიტომ, რომ ვგრძნობთ, რომ მათში ავისახებით; ვგრძნობთ, რომ ერთნი ვართ; ვგრძნობთ, რომ ვიცნობთ ერთმანეთს და გარკვეული თვალსაზრისით მართლაც ერთნი ვართ; ამიტომაა, რომ მათ მიმართ ისეთ გამოუთქმელ სინაზეს განვიცდით (გრძელსა და მტკიცე სხივს შეავლო თვალი), როგორსაც საკუთარი თავის მიმართ. იჯდა გარინდებული, ჰაერში გაშეშებული საქსოვით ხელში, და უყურებდა, უყურებდა, როგორ ამოიფუყა მისი გონების საკნიდან, როგორ ამოიზარდა მისი სულის ტბიდან ნისლი, – სატრფოს შესაცნობად გამზადებული პატარძალი.

არა, ნეტავი მაინც რამ ათქმევინა ასეთი რამ: „ჩვენ ყველანი უფლის ხელში ვართ"? ღიზიანდებოდა, როცა სიმართლეს ფარისევლობა შეერეოდა. ისევ თავის საქსოვს მიუბრუნდა. რანაირად შეიძლება, რომელიღაც ერთ უფალს შეექმნა ამხელა სამყარო? ჰკითხა თავის თავს. გონებით ყოველთვის ესმოდა, რომ არ არსებობს კეთილგონიერება, წესრიგი, სამართალი: არამედ ტანჯვა, სიკვდილი, სიღატაკე. განა იყო რაიმე სახის მზაკვრობა, რომლისჩადენასაც ეს დედამიწა ითაკილებდა; რა თქმა უნდა, არა. და მან იცოდა ეს. ბედნიერებაც ხანმოკლე იყო; ესეც იცოდა. ქსოვდა მკაცრი იერით, ტუჩები ოდნავ მოეკუმა და ისე, რომ თავადაც არ უწყოდა, ისეთი მკაცრი და შეკრული გაუხდა სახის ნაკვთები, ასკეტური ცხოვრების წესის შედეგად გამომუშავებული ჩვევა, რომ, როდესაც ქმარმა გვერდით ჩაუარა, – თუმცა ის იმ დროს სხვა რამეზე ფიქრობდა და გუნებაში ეცინებოდა, რომ ჰიუმი, ფილოსოფოსი, რომელიც უსაშველოდ გასუქდა, ერთხელ ჭაობში გაიჭედა, – მაინც შენიშნა ეს უცნაური სიმკაცრე ცოლის სილამაზეში. ამან სევდა მოჰგვარა, და მისმა სიშორემ გული ატკინა. როცა გვერდით ჩაუარა, იგრძნო, რომ ვერაფრით დაიცავდა მას, და როცა ცოცხალ ღობეს მიადგა, დანაღვლიანდა. წუხდა, რომ არ შეეძლო რამით დახმარებოდა ცოლს. უნდა მდგარიყო ასე, და ეცქირა მისთვის. ხოლო გულის გასახეთქი სიმართლე კი ის გახლდათ, რომ თავად ურთულებდა ყველაფერს. ის თავშეუკავებელია – ფიცხია და წყენია. როგორ გაბრაზდა შუქურაზე რომ ლაპარაკობდნენ. ბუჩქებს დააკვირდა, მათ წყვდიადით მოცულ ხლართებს.

მისიზ რემზიმ იცოდა, როგორ ართმევდა ადამიანი თავს მარტოობას – უხალისოდ მოჰკიდებდა ხელს რამე საქმეს, სულერთია რას, ეჭიდებოდა რამეს, თუნდაც ბგერას, ან თვალს შეავლებდა რამეს. ყურთასმენა დაძაბა, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმოდა; ბავშვებმა კრიკეტის თამაში დაასრულეს; ახლა ბანაობდნენ; მხოლოდ ზღვის ფშვინვა ისმოდა. ქსოვა შეწყვიტა; მოშვებულ ხელში წამით ჩხირზე დაეკიდა მოწითალო-ყავისფერი გრძელი წინდა. ისევ დაინახა შუქურის სხივი. და გულში ირონიანარევი განწყობით, როგორც გამოფხიზლების შემდეგ სჩვევია ადამიანს, უმალ შეეცვალა აღქმა, თვალი სინათლის მტკიცე სხივს მიაპყრო, ულმობელს, სასტიკს, რომელიც საოცრად ჰგავდა მას, და თუმც ასეთი პატარა იყო, მაინც სულ თავის ჭკუაზე ატარებდა (შუაღამისას გამოეღვიძებოდა ხოლმე და ხედავდა, როგორ ეშვებოდა მათ საწოლზე, როგორ გაწვებოდა ხოლმე იატაკზე), მაგრამ გაიფიქრა, როცა მონუსხულივით, მოჯადოებულივით შესცქეროდა სხივს, რომელიც თითქოს ვერცხლისფერი თხელი თითებით ლამობდა მისი ტვინის რომელიღაც დაგმანული სისხლძარღვის გახნას, რაც უზომო ნეტარებას ჰგვირდა, გაიფიქრა, ბედნიერება ხომ უცხო არ არის ჩემთვის, განმიცდია სრულყოფილი ბედნიერებაცო, და ამ დროს სხივმა უფრო გაანათა მღელვარე

ზღვა საღამოს ბინდში, ზღვის სილურჯე აიფოფრა და ლიმონისფრად ალივლივდა ტალღებად, რომლებიც გაფუვდნენ, გაიბერნენ, ადიდდნენ და მთელი ძალით შეასკდნენ ნაპირს და ქალის თვალებში ნეტარებამ იფეთქა და აღტაცების ტალღები ნიაღვარივით დაინთქა მისი გონების ფსკერზე, და იგრძნო, რომ ამაზე მეტი აღარ იყო საჭირო: „კმარა! კმარა!".

კაცი შემობრუნდა და ქალი დაინახა. ო! რა მშვენიერია, რა ლამაზია! ბევრად უფრო ლამაზია, ვიდრე აქამდე ეგონა. თურმე წარმოდგენაც არ ჰქონია, რა ლამაზია! მაგრამ ახლა ვერაფერს ეტყოდა. არ უნდოდა ხელის შეშლა. ისე, სიამოვნებით დაელაპარაკებოდა სწორედ ახლა, როცა ჯეიმსი, როგორც იქნა, წავიდა და მარტო დარჩა, მაგრამ გადაწყვიტა: არა, ახლა არ შეუშლის ხელს. ის ხომ უზომოდ შორსაა მისგან. უზომოდ ლამაზი, უზომოდ სევდიანი. დაე, იყოს ასე, არ დააბრკოლებს; და მართლაც, ისე ჩაუარა, სიტყვაც არ უთქვამს. თუმც კი გულს სტკენდა, რომ ვერ სწვდებოდა, რომ ასე შორს იყო მისგან და უძლური იყო, დახმარებოდა. და ალბათ ისევ ასე უსიტყვოდ ჩაუვლიდა კიდეც, სწორედ იმწამს, თავად მისიზ რემზის რომ არ გაეღო მისთვის ის, რაც არც უთხოვია; დაუძახა, სურათის ჩარჩოდან მწვანე თავსაფარი ჩამოხსნა, და ქმართან მივიდა.

რადგან იცოდა, მას მისი დაცვა უნდოდა.

თავი 12

მწვანე შალი მხრებზე მოიხვია. ხელკავი გაუყარა. და მაშინვე მებაღეზე, მისტერ კენედიზე გაუბა საუბარი, რა დიდებული გარეგნობა აქვსო, უთხრა, ისეთი ლამაზია, შეუძლებელია მისი სამსახურიდან დათხოვნაო. სათბურის კედელზე კიბე იყო მიყუდებული და აქა-იქ საგოზავის გროვები ეყარა, რადგან ამას წინათ სათბურის შეკეთება წამოიწყეს. დიახ, მაგრამ ახლა, როცა სეირნობით მიუყვებოდა ბაღს ქმართან ერთად, იგრძნო, რომ ერთი რთული საკითხი ჰქონდა გადასაჭრელი. ლამის ენის წვერზე ადგა სათქმელი, ეს ორმოცდაათი ფუნტი ეღირებაო, მაგრამ ნაცვლად ამისა, როგორც ყოველთვის, გულმა არ უქნა, ფულზე წამოეწყო საუბარი, და ქმარს შესჩივლა, ჯასპერი ჩიტებზე ნადირობსო. ქმარმა კი მაშინვე დაამშვიდა და უთხრა, ბიჭისთვის ეს ბუნებრივია, და სულ მალე ბევრად უკეთეს გასართობს იპოვისო. მისი ქმარი ხომ ისეთი მგრძნობიარეა, ისეთი სამართლიანი. ასე რომ, ქალმა მიუგო, „მართალია; ყველა ბავშვი გადის განვითარების ეტაპებს", გეორგინების თვალიერებას შეუდგა ყვავილების დიდ კვალში, და ქმარს ჰკითხა, რა ყვავილების დარგვას მირჩევ მომავალი წლისთვის და თუ იცი, რა მეტსახელი შეარქვეს ბავშვებმა ჩარლზ ტენსლისო. რა და, ათეისტი, აი, როგორ მოიხსენიებენ, პატარა ათეისტიო. „საკმაოდ გაუთლელი კაცია", თქვა მისტერ რემზიმ. „ნამდვილად", მიუგო ცოლმა.

მისიზ რემზის მიაჩნდა, რომ ხელი არ უნდა შეეშალათ მისთვის, დაე, თავისთვის ყოფილიყო, მერე დაინტერესდა, ნეტავი ბოლქვიანი ყვავილების დარგვა თუ ღირსო; რადგან არ იცოდა, მათ თესავენ თუ რგავენ. „ჰო, მაგრამ დისერტაცია რომ აქვს დასაწერი?", თქვა მისტერ რემზიმ. მისიზ

რემზიმ ეს მშვენივრად იცოდა. მისი ერთადერთი სალაპარაკო თემაც ხომ მხოლოდ ისაა, თუ როგორ გავლენას ახდენს ვიღაცა რაღაცაზე. „რას იზამ, ერთადერთი დასაყრდენი ეგა აქვს", თქვა მისტერ რემზიმ. „ოღონდ უფალს ვთხოვ, შემთხვევით ფრუ არ შეუყვარდეს", თქვა მისიზ რემზიმ. რაზეც მისტერ რემზიმ განაცხადა, რომ, თუ ფრუ მის ცოლობას გადაწყვეტს, მემკვიდრეობას დაკარგავსო. „ხომ არ გინახავს ყვავილები, რომლებზეც ამ ცოტა ხნის წინ გიყვებოდი? სულ ერთი ფუტით ზემოთ ხარობენ იმ ადგილიდან, სადაც ახლა ვდგავართ," ჰკითხა ქალმა. „ისე," თქვა მისტერ რემზიმ, „არავის არაფერს უშავებს," და ის იყო, დააპირა ეთქვა, რომ ის ერთადერთია მთელ ინგლისში, ვინც ჭეშმარიტად აფასებს მის ... – მაგრამ სასწრაფოდ დააჭირა ენას კბილი. აღარ უნდოდა, ისევ თავის წიგნებზე ლაპარაკით დაეღალა ცოლი. ეს ყვავილები კი ნამდვილად იმსახურებენ ნდობასო, თქვა მისტერ რემზიმ, როცა ძირს დაიხედა და რაღაც წითელი, რაღაც მოყავისფრო დაინახა. „დიახ, და ეს იმიტომ, რომ მე ისინი ჩემი საკუთარი ხელით ჩავრგე," მიუგო ცოლმა. საკითხავია, რა მოხდება, თუ ბოლქვები ამოიყრის? ესენი კენედიმ დარგო? გამოუსწორებელი უქნარა და ზარმაცია; დასძინა ქალმა და გზა განაგრძო. თუ თვითონ არ დაადგება თავზე ნიჩბით ხელში, ის არაფერს გააკეთებს, და მაშინაც, ერთი-ორს თუ მოჩიჩქნის მიწას, ეგ არის და ეგ. ასე განაგრძობდნენ სეირნობას ბაღში, მანათობელი შროშანას ცეცხლოვანი ყვავილებისკენ. „შენ ბავშვებს გაზვიადებას აჩვევ", უთხრა მისტერ რემზიმ საყვედურით. დეიდაშენი კამილა ჩემზე უარესიაო, მიუგო მისიზ რემზიმ. „მერედა, ვინ დასახა დეიდა კამილა ღირსების და კეთილგონიერების ნიმუშად?" თქვა მისტერ რემზიმ. „მასზე ლამაზი ქალი ცხოვრებაში არ შემხვედრია", თქვა მისიზ რემზიმ. „ვიღაცაში გეშლება, მგონი", მიუგო მისტერ რემზიმ. ფრუ ჩემზე გაცილებით ლამაზი იქნებაო, თქვა მისიზ რემზიმ. სამაგისოს ვერაფერს ვხედავო, მიუგო ქმარმა. „კარგი, მაშ, ამ საღამოს უკეთ დააკვირდი", უთხრა მისიზ რემზიმ. აქ შეისვენეს. მისტერ რემზიმ ინატრა, ნეტავი ენდრიუს სწავლის უფრო ძლიერი წყურვილი ჰქონდეს. თუ ეს თვისება არ ექნა, სტიპენდიის მიღების ყოველგვარ შანსს დაკარგავსო. „ოჰ, ეს სტიპენდიები!" თქვა მისიზ რემზიმ. მისტერ რემზის აზრით, სისულელე იყო ამის თქმა ისეთ სერიოზულ თემაზე, როგორიცაა სტიპენდია. წესით, უნდა იამაყო, თუ ენდრიუ სტიპენდიას მიიღებსო, უთხრა ცოლს. „მაგრამ მე არანაკლებ ვიამაყებ ჩემი შვილით, თუ სტიპენდიას ვერ მიიღებს," მიუგო ცოლმა. ამ საკითხზე მუდმივი უთანხმოება ჰქონდათ, მაგრამ მერე რა, მისიზ რემზის უხაროდა, რომ მის ქმარს ასე სწამდა სტიპენდიის, ხოლო მისტერ რემზის მოსწონდა, რომ მისი ცოლი ამაყობდა შვილით, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ იქცეოდა. უეცრად მისიზ რემზის ის ვიწრო ბილიკები გაახსენდა, ქარაფის პირზე.

„ხომ არ დაიგვიანეს?" ჰკითხა ქმარს. ჯერაც არ დაბრუნებულან. მისტერ რემზიმ ხელი მსუბუქი დაკვრით დაუდევრად ახსნა ხუფი ჯიბის საათს. კი მაგრამ, ჯერ ხომ შვიდს მხოლოდ რამდენიმე წუთი გადსცდა. ერთხანს საათი ასე ეჭირა, და ფიქრობდა, მოდი ვეტყვი, რას ვფიქრობდი მასზე, როცა ტერასაზე ვიდექიო. მაგრამ ჯერ ის უნდა უთხრას, რომ ასეთ ნერვიულობას არანაირი საფუძველი არა აქვს. ენდრიუ მშვენივრად მიხედავს თავს. მერე კიდევ, მას სურს, ცოლს უთხრას, რომ, როცა ამ ცოტა ხნის წინ ტერასაზე დასეირნობდა – აქ თავი უხერხულად იგრძნო, თითქოს იმ სიმარტოვეს, იმ გაუცხოებას, იმ სიშორეს არღვევდა, რომელიც მისიზ რემზისთვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ მისიზ რემზიმ დაიჟინა, ყველაფერი მითხარიო.

რის თქმა გინდოდაო, ჰკითხა, რადგან ეგონა, ეს შუქურაზე ლაშქრობას შეეხებოდა; და ეგონა, ნანობდა, რომ ასე უხეშად უთხრა, ჯანდაბას შენი თავიო. მაგრამ არა. ის თურმე შეწუხდა, რომ მისი ცოლი სევდამ მოიცვა. ალბათ მოგეჩვენაო, უთხრა და ოდნავ გაწითლდა. ორივემ უხერხულად იგრძნო თავი, და თითქოს აღარ იცოდნენ, რა ექნათ, გზა განეგრძოთ თუ უკანგაბრუნებულიყვნენ. ჯეიმსს ჯადოსნურ ზღაპრებს ვუკითხავდიო, უთხრა ქმარს. არა, შეუძლებელია ამ გრძნობის გაზიარება; შეუძლებელია ამის გამოთქმა.

უკვე აფრიკული მანათობელი შროშანას ცეცხლოვანი ყვავილების ორ ბუჩქს მიადგნენ და აი, ისევ გამოანათა შუქურამ, მაგრამ მისიზ რემზიმ ვერ გაბედა იქით გახედვა. რომ მცოდნოდა, რომ მიყურებს, გაიფიქრა მან, არაფრით არ ვიჯდებოდი ასე, ფიქრს მიცემული. ვერ იტანდა, როცა შეატყობდა, რომ ვიღაცამ შენიშნა განმარტოებით მჯდომი, ფიქრებში ჩაფლული. ამიტომ უკან გაიხედა, ქალაქისკენ. ისე თრთოდნენ და იღვრებოდნენ სინათლეები, თითქოს ქარს აყოლილი ვერცხლის წვეთები ყოფილიყვნენ. და მთელი სიღატაკე და ტანჯვა-ვაება სწორედ ამად იქცა, ფიქრობდა მისიზ რემზი; ქალაქის და ნავმისადგომის და გემების სინათლეები მოჩვენებით ბადესავით ფარფატებდნენ იქ, იმის აღსანიშნავად, რომ რაღაც ჩაიძირა. რას იზამ, თუ მე ჩემს ფიქრებს ვერ ვუზიარებ, გაიფიქრა მისტერ რემზიმ, მაშინ უნდა წავიდე და მარტო დავრჩე ჩემს თავთანო. უნდოდა, ფიქრი განეგრძო, გაეხსენებინა, როგორ ჩაეფლო ჰიუმი ჭაობში; სიცილი მოუნდა. მაგრამ ჯერ ცოლს უნდა უთხრას, რომ სისულელეა ენდრიუს გამო ღელვა. როცა ენდრიუს ხელა იყო, მთელ ქვეყანას შემოივლიდა ხოლმე, მთელ დღეს აქეთ-იქით სიარულში ატარებდა, ერთადერთი ორცხობილათი ჯიბეში და არავის აღელვებდა, სად იყო და რას შვრებოდა, და არავის ეგონა, რომ რატომღაც კლდიდან გადაიჩეხებოდა. ხმამაღლა კი მარტო ის თქვა, ალბათ ერთი დღით ლაშქრობაში წავალ, თუ კარგი ამინდი გამოვაო. უკვე საკმარისად იგემა ბენქსი და კარმაიკლი. კარგი იქნება ცოტა ხნით განმარტოება. ძალიან კარგიო, უთხრა ცოლმა. მისტერ რემზი გაღიზიანდა, რომ ასე ადვილად დაეთანხმა. მისიზ რემზიმ კი ისედაც იცოდა, რომ ქმარი არასდიდებით არ იზამდა ამას. უკვე საკმაოდ ხანში შევიდა საიმისოდ, რომ მთელი დღე ერთი ორცხობილათი ჯიბეში ისეირნოს. მას ბიჭების ამბავი აღელვებდა და არა ქმრის. მისტერ რემზის მოაგონდა, რომ მრავალი წლის წინათ, სანამ ცოლს შეირთავდა, როცა მანათობელი შროშანას ცეცხლოვანი ყვავილების ბუჩქებს შორის მდგომი ყურეს გასცქეროდა, მთელ დღეებს ხეტიალში ატარებდა. სადმე შეივლიდა ხოლმე და ხმელ პურს და ერთ ნაჭერ ყველს სჯერდებოდა. ათ საათს თავაუღებლად მუშაობდა; მოხუცი დიასახლისი შეივლიდა ხოლმე ოთახში და ღუმელს გააფიცხებდა. ყველაზე მეტად ეს მხარე, აქაურობა უყვარდა; ის ქვიშის გორაკები, ბუნდოვნად რომ კრთოდნენ სიშორეში, სიბნელეში. შეეძლო, მთელი დღის განმავლობაში ისე ემუშავა, რომ კაციშვილი არ ენახა. ირგვლივ იმ არემარეში, რამდენიმე მილის მანძილზე იშვიათად თუ შეგხვდებოდათ სახლი, ანდა სოფელი. და მარტოდმარტო ახერხებდა ყველაფრის მოგვარებას. დღესაც იყო შემორჩენილი ქვიშის სანაპიროები, სადაც უხსოვარი დრიოდან ფეხი არავის დაედგა. სელაპები თავს წამოსწევდნენ ხოლმე და გიმზერდნენ. და ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ერთ ასეთ პატარა სახლში, სადმე შორს, მარტოს რომ... – აქ ფიქრი შეწყვიტა და ამოიოხრა. არ ჰქონდა ამის ნება. რვა შვილის მამა – შეახსენა საკუთარ თავს. მხეცი უნდა ყოფილიყო, ნადირი და მაწანწალა, თუნდაც

ერთი რამის შეცვლა რომ მონდომებოდა. ენდრიუ მასზე უკეთესი მამაკაცი გაიზრდება. ფრუ მზეთუნახავი იქნება, როგორც დედამისმა თქვა. გაუძლებენ დინების საწინააღმდეგოდ ცურვას ცოტა ხანს. და მთლიანობაში, მშვენივრად გამოუვიდა ყველაფერი – რვა შვილი. ისინი ხომ საბუთია იმისა, რომ ეს საწყალი პატარა სამყარო მთლად არ უარუყვია, ვინაიდან ასეთ მშვენიერ საღამოს, გაიფიქრა მან, და მკრთალად მოლიცლიცე ხმელეთის შორეულ ლანდებს გახედა, ეს პაწია კუნძული, ნახევრად ჩაძირული ზღვაში, გულისამაჩუყებლად პაწია ჩანდა.

„საბრალო პატარა მიწა", ჩურჩულით წარმოთქვა და ამოიოხრა.

მისიზ რემზიმ გაიგონა მისი ოხვრა. ის ხშირად გამოთქვამდა უკიდურესად სევდიან აზრებს, მაგრამ ცოლმა შენიშნა, რომ, როგორც კი სათქმელს ამოთქვამდა, მაშინვე გულზე მოეშვებოდა და, როგორც წესი, კარგ გუნებაზე დგებოდა. მთელი ეს გამონათქვამების კორიანტელი ერთგვარი თამაშიაო, გაიფიქრა მისიზ რემზიმ, რადგან იცოდა, მას რომ იმის თუნდაც ნახევარი ეთქვა, რასაც ქმარი ამბობდა, დიდი ხნის წინ მოიკლავდა თავს. აღიზიანებდა ქმრის ეს ჩვევა – ხატოვანი გამონათქვამების წამოსროლა, თანაც ისე, თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. ქმარს სიტყვა შეაგება – რა გინდა, მშვენიერი საღამოაო. და სიცილნარევი საყვედურით ჰკითხა, ნეტავი რას ოხრავო, რადგან ფიქრს მიუხვდა – უკეთეს წიგნებს დავწერდი, ოჯახი რომ არ შემექმნაო.

არა, არ ვწუწუნებო, თქვა მისტერ რემზიმ. ქალმა მშვენივრად უწყოდა, რომ არ წუწუნებდა. იცოდა, რომ არაფერი ჰქონდა საწუწუნო. და მისტერ რემზიმ ცოლს ხელი ჩაჰკიდა, ტუჩებთან მიიტანა მისი მტევანი და ისეთი მგზნებარებით ეამბორა, რომ ქალს თვალზე ცრემლი მოადგა, ხოლო მისტერ რემზიმ უმალ უშვა ხელი.

ხედს ზურგი აქციეს და ხელიხელჩაკიდებულები ახლა ბილიკს აუყვნენ, იქით, სადაც მოვერცხლისფრო-მწვანე ისრებივით შემართული მცენარეები ეგულებოდათ. ლამის ჭაბუკივით მკლავი აქვს, გაიფიქრა მისიზ რემზიმ, ხმელი და მკვრივი; და აღტაცებით გაიფიქრა, რა ძლიერია ჯერ კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამოცისაა, და თან როგორი ურჩია და როგორი ოპტიმისტი; რა უცნაურია, კაცი ასეთი დარწმუნებით ლაპარაკობდეს ათასნაირ საშინელებაზე და არანაირი დათრგუნულობა არ ეტყობოდეს, ის კი არა, ამაზე ლაპარაკი თითქოს ამხიარულებს კიდეც. რა უცნაურია ეს ყველაფერი, ფიქრობდა თავისთვის. მართლაც, ხანდახან ეჩვენებოდა, რომმისტერ რემზი სრულიად განსხვავებული შეექმნა უფალს, თითქოს ის დაბადებით ბრმა, ყრუ და მუნჯი ქმნილიყო ყოველივე ჩვეულებრივის, რიგითის მიმართ, და ამავე დროს, არწივივით მახვილი თვალი ჰქონდა უჩვეულოს, განსაკუთრებულის მიმართ. ზოგჯერ აოცებდა ქმრის აღქმის სიფაქიზე. მაგრამ აბა, ყვავილებს თუ შენიშნავს? არა. და ამ მშვენიერ ხედს? არც ხედი შეუნიშნავს. ნეტავი საკუთარი ქალიშვილის სილამაზე თუ შეუნიშნავს, ანდა იმას თუ ხვდება, თეფშზე როსტბიფს დაუდებენ თუ პუდინგს? ისე ზის ხოლმე სუფრასთან ყველასთან ერთად, გეგონება, ვინმე უცხო, ოცნებებში ჩაძირული ადამიანია. ახლა კი ეს ჩვევა დასჩემდა – ხმამაღლა იწყებს ლაპარაკს, ან ლექსს იტყვის ხოლმე ხმამაღლა, ეს კი შიშს ჰგვრიდა მისიზ რემზის; რადგან ზოგჯერ მართლა უხერხული ვითარება

იქმნებოდა, როცა ზოგჯერ მართლაც უცნაურად წამოიყვირებდა ხოლმე, მაგალითად,

„რჩეულებო, გამომყევით!"

საწყალი მის გიდინგზი, ასე რომ დაჰყვირა უცებ თავზე, ლამის ტყავიდან ამოძვრა შიშით. მაგრამ ის ხომ... ფიქრობდა მისიზ რემზი და მაშინვე გუმანით ქმრის მხარე დაიჭირა ყველა ამქვეყნიური ვიღაც ჩერჩეტი მის გიდინგზების წინააღმდეგ; ის ხომ... ფიქრობდა მისიზ რემზი და ოდნავ უფრო დაეყრდნო ქმარს მკლავზე, რადგან მეტისმეტად სწრაფი ნაბიჯით აუყვა აღმართს, ის კი წამით უნდა შეყოვნდეს და ნახოს, არის თუ არა თხუნელას ამოყრილი მიწის გროვები ნაპირზე, დაიხარა, შეხედა და გაიფიქრა, რომ მისი დარი ბრწყინვალე მოაზროვნის გონება ალბათ ყოველმხრივ განსხვავებული უნდა იყოს ჩვენგან. ყველა დიდი ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში შევხვედრივარ, სწორედ ასეთიაო, გაიფიქრა და თან გადაწყვიტა, რომ ალბათ ორმოში კურდღელი ჩაძვრა; ხოლო ახალგაზრდებისთვის ისიც დიდი ამბავია (თუმცა კი უნივერსიტეტის აუდიტორიები თითქმის აუტანლად ჩახუთული და დამთრგუნველი ეჩვენებოდა), თუნდაც უბრალოდ ყური დაუგდონ, თვალი შეავლონ მას. მაგრამ ახლა ის აინტერესებდა, შესაძლებელია თუ არა ამ მცენარეების ისე შენარჩუნება, რომ კურდღლები არ დახოცონ? ეს შეიძლება კურდღლის ბრალია; ანდა თხუნელასი. ფაქტია, რომ რომელიღაც მღრღნელი აჩანაგებს მის ფურისულებს. და როცა ზემოთ აიხედა, დაინახა, როგორ დასდგომოდა თავზე ხის წვრილ ტოტებს მთელი თავისი მშვენებით გასხივოსნებული საღამოს ვარსკვლავი, და მოუნდა, რომ ქმარსაც დაენახა ის; რადგან ეს სანახაობა წარმოუდგენელ სიამოვნებას ჰგვრიდა. მაგრამ თავი შეიკავა. ის ხომ არასოდეს არაფერს უყურებს. და თუ რამეს შეხედავს, მხოლოდ რამე ამგვარს თუ იტყვის, „საბრალო პატარა დედამიწა", და ამოიოხრებს, როგორც საერთოდ სჩვევია.

და სწორედ იმწამს მისტერ რემზიმ თქვა, „რა მშვენიერია", რათა ცოლისთვის სიამოვნება მიენიჭებინა და თავი მოაჩვენა, აქაოდა ყვავილებით ვტკბებიო. მაგრამ ქალმა მშვენივრად იცოდა, რომ ყვავილები სულაც არ მოსწონდა, ან იქნება ვერც აღიქვამდა მათ არსებობას. ამას მხოლოდ იმიტომ ამბობდა, რომ სურდა, მისთვის ესიამოვნებინა. მაგრამ დახეთ, ეს ხომ ლილი ბრისკოა, უილიამ ბენქსთან ერთად რომ მისეირნობს? მისიზ რემზიმ ახლომხედველი თვალები მოჭუტა და მიმავალ წყვილს ზურგიდან დააკვირდა. დიახ, მართლაც ლილი ბრისკო იყო. ნუთუ ეს იმას მოასწავებს, რომ მალე იქორწინებენ? დიახ, ალბათ ასეა! რა დიდებული აზრია! ნამდვილად უნდა შეუღლდნენ!

თავი 13

ერთხელ ამსტერდამში ვიყავიო, ამბობდა მისტერ ბენქსი, როცა ლილი ბრისკოსთან ერთად მინდორს კვეთდა. რემბრანდტის ტილოები ნახა. მადრიდშიც იყო. სამწუხაროდ, წითელ პარასკევს მოუწია ჩასვლა და პრადო დაკეტილი დახვდა. რომშიც ყოფილა. და მის ბრისკო ყოფილა რომში? არა?

ო, მაშინ აუცილებლად უნდა მოინახულოს, ეს დიდებული გამოცდილება იქნება მისთვის – სიქსტის კაპელა; მიქელანჯელო; და პადუა, სადაც ჯოტოს ნამუშევრებს ნახავს. წლების განმავლობაში მისი ცოლი მძიმედ ავადმყოფობდა, და ამიტომ ძალიან იშვიათად ახერხებდნენ მოგზაურობას.

ლილი ბრისკო კი ბრიუსელში ყოფილა; პარიზშიც, ოღონდ მხოლოდ ერთი ხანმოკლე ვიზიტით, ავადმყოფი დეიდის მოსანახულებლად. დრეზდენშიც იყო; იქ უამრავი სურათია, რომელიც მანამდე არ უნახავს; თუმცა, იქნებ ჯობდა, საერთოდ არ ენახა დიდი მხატვრების ტილოები: ეს ხომ მხოლოდ წარმოუდგენელ დაუკმაყოფილებლობას ბადებს საკუთარი მხატვრობის მიმართ. მისტერ ბენქსის აზრით, ასეთმა თვალსაზრისმა ადამიანი შეიძლება მეტისმეტად შორს წაიყვანოს. ყველა ტიციანი ხომ ვერ იქნება, და ვერც დარვინი იქნება ყველა, თქვა მან; ამავე დროს მან ეჭვი გამოთქვა, იარსებებდნენ კია ეს ჩვენი დარვინი და ჩვენი ტიციანი, ჩვენსავით რიგითი ადამიანები რომ არაო. ლილის სურდა, მისთვის კომპლიმენტი ეთქვა; რამე ასეთი – თქვენ სულაც არა ხართ რიგითი ადამიანი, მისტერ ბენქს. მაგრამ მისტერ ბენქსისთვის ზედმეტი იყო ყოველგვარი კომპლიმენტი (თუმცა კი მამაკაცების უმეტესობას ძალიანაც უყვარს კომპლიმენტები, გაიფიქრა მან), და, ცოტა არ იყოს, დაირცხვინა იმის გამო, რომ ასეთი სურვილი გაუჩნდა და აღარაფერი უთქვამს, როცა მისტერ ბენქსმა შენიშნა, რომ, შესაძლოა, რასაც ახლა ამბობდა, მხატვრობას არც ეხებოდა. ასეა თუ ისე, თქვა ლილიმ და ყოველგვარი ფარისევლობის გარეშე განაცხადა, რომ არასოდეს შეწყვეტს ხატვას, რადგან ეს საქმე აინტერესებს. დიახ, თქვა მისტერ ბენქსმა, მას ეჭვიც არ ეპარება, რომ ლილი ასეც მოიქცევა, და როდესაც მინდორი გადაიარეს, ჰკითხა, ხომ არ გიძნელდებათ ლონდონში სახატავი ობიექტების პოვნაო; სწორედ ამ დროს შემოტიალდნენ და რემზები დაინახეს. მაშ აი, რას ნიშნავს ქორწინება, გაიფიქრა ლილიმ, მამაკაცი და ქალი, რომლებიც უყურებენ, როგორ ტყორცნის მათი ქალიშვილი ბურთს. სწორედ ამის თქმას ცდილობდა მისიზ რემზი მისთვის ამას წინათ, საღამოს. მისიზ რემზის მწვანე შალი მოესხა მხრებზე, იდგნენ ერთად და უყურებდნენ, როგორ თამაშობდნენ ფრუ და ჯასპერი ბურთს.

და უეცრად იმ აზრის მნიშვნელობამ, რომელიც სრულიად უმიზეზოდ, უცებ ეწვევა ხოლმე ადამიანს, როცა, ვთქვათ, მიწისქვეშა გადასასვლელიდან ამოდის, ანდა კარზე ზარს დარეკავს, და სიმბოლურ მნიშვნელობას შესძენს ხოლმე მათ, რაღაცის განსახიერებებად აქცევს ხოლმე, უცებ თავს დაატყდა და საღამოს ბინდში მდგომები, ბავშვების თამაშის მომზირალნი, შეუღლების სიმბოლოებად, ცოლად და ქმრად მოევლინა მათ შემყურეს. ერთი წამიც და, სიმბოლური მონახაზი, რომელიც რეალური ადამიანების მიღმა წარმოიქმნა, კვლავ მიწაზე ჩამოვიდა, და როცა ლილი და მისტერ ბენქსი მათ შეხვდნენ, ისინი მისტერ და მისიზ რემზიებად გადაიქცნენ, რომლებიც უცქერდნენ, როგორ სტყორცნიდნენ ერთმანეთს შვილები ბურთს. მაგრამ მაინც, სულ ერთი წამით, მიუხედავად იმისა, რომ მისიზ რემზი მისთვის ჩვეული ღიმილით შეეგება (ჰო, უეჭველია, ახლა იფიქრა, რომ შეუღლებას ვაპირებთ, გაიფიქრა ლილიმ) და თქვა, დღეს დიდი გამარჯვება მოვიპოვეო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ ერთხელ მაინც, მისტერ ბენქსი დაიყოლია, ვახშამს დანარჩენებთან ერთად შექცეოდა და არა თავის საკუთარ პატარა სახლში, სადაც მსახური მის გემოზე უმზადებდა ბოსტნეულს; და მაინც, სულ ერთი წამით, ისეთი შეგრძნება მოეძალა, თითქოს ყველაფერი აირ-

დაირია, რეალობას მოსწყდა და თავის ჭკუაზე დატრიალდა, და როცა ბურთი ლაღად ავარდა ცაში და თვალი შეავლეს და ის კი მერე თვალს მიეფარა, მაშინ დაინახეს ის ერთადერთი ვარსკვლავი და ხის მშვენიერი ტოტების ფარდა. გამკრთალ ბინდში ყოველი მათგანის გამოსახულებამ განსაკუთრებული სიმკვეთრე, არაამქვეყნიურობა შეიძინა და თითქოს უშველებელი მანძილით დასცილდნენ ერთმანეთს. შემდეგ ფრუ ახტა (რადგან ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს სიმყარე საერთოდ გაქრა), მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ბურთი დიდებულად დაიჭირა დიდ სიმაღლეზე მარცხენა ხელით, და დედამისმა იკითხა, „ხომ არ დაბრუნებულან?" რითაც ხიბლი უეცრად გაქრა. მისტერ რემზიმ ახლა თავს უფლება მისცა, ხმამაღლა გაეცინა იმის გაფიქრებაზე, რომ ჰიუმი ჭაობში გაეჩხირა და ვიღაც დედაბერმა გადაარჩინა, ოღონდ იმ პირობით, თუ უფლის ლოცვას იტყოდა; ჩაეცინა და სეირნობით გაუყვა გზას თავისი კაბინეტისკენ. მისიზ რემზიმ კი, როცა ფრუ ისევ დაიგულა თამაშში ჩაბმული, რომლიდანაც ცოტა ხნის წინ ამოვარდა, თქვა, „ხომ არ იცით, ნენსიც ხომ არ გაჰყვა თან?".

თავი 14

(რა თქმა უნდა, ნენსიც მათთან ერთად წავიდა, მას შემდეგ, რაც მინტა დოილმა მისთვის ჩვეული უტყვი მზერით სთხოვა, თან გაჰყოლოდა და ხელი ჩაჰკიდა, როცა ნასადილევს ნენსი სხვენში ადიოდა ოჯახური ცხოვრების კოშმარისგან თავის დასაღწევად. მაშინ იფიქრა, უნდა წავყვეო. თუმც კი არ უნდოდა გაყოლა. არ უნდოდა ამ საქმეში გარევა. მთელი გზა, ვიდრე ქარაფის პირს მიუყვებოდნენ, მინტას მისთვის ხელი არ გაუშვია. მერე დროდადრო გაუშვებდა ხოლმე ხელს, მერე ისევ ჩაჰკიდებდა. ნეტავი მაინც, რა უნდა ჩემგან? ეკითხებოდა ნენსი თავის თავს. რა თქმა უნდა, ყველას რაღაცა უნდა; რადგან, როცა მინტამ ხელი ჩაჰკიდა, ნენსიმ თავისდა უნებურად დაინახა მის ფერხთით გადაშლილი მთელი სამყარო, როგორც ბურუსში გახვეული კონსტანტინოპოლი, ასე რომ, რაგინდ ნამძინარევი და მოთენთილი ყოფილიყო, ხომ აუცილებლად იკითხავდა, „ესაა აია სოფიას ტაძარი?", „ესაა ბოსფორის სრუტის ოქროს რქა?". და როცა მინტამ ხელი ჩაჰკიდა და აღარ გაუშვა, ნენსისაც უნებლიეთ დაებადა კითხვა, გამაგებინე, ჩემგან რა გინდა? ეს გინდაო? და ნეტავი რა იყო „ეს"? ბურუსიდან აქა-იქ, თანდათანობით ამოიწვერა (როცა ნენსი დაჰყურებდა მათ ფერხთით გადაშლილ სამყაროს) კოშკი, თაღი; რაღაც წვეტებიანი, უსახელო... მაგრამ, როცა მინტამ ხელი გაუშვა და დაღმართს სირბილით დაუყვა, ყველაფერი ეს – თაღი თუ კოშკი, რაც მანამდე წამოიზიდა სქელი ნისლიდან, ისევ ჩაიძირა და თვალს მიეფარა. როგორც ენდრიუ ამბობდა, მინტა ძალიან კარგი მოლაშქრე იყო. ის ტანსაცმელს უფრო გონივრულად ირჩევდა, ვიდრე ქალების უმრავლესობა. ძალიან მოკლე ქვედაბოლოებს და შავ ბრიჯს ატარებდა. დაუფიქრებლად ჩახტებოდა ხოლმე მდინარეში და გაღმა გააბოტებდა. ენდრიუს მოსწონდა მისი სისხარტე და უშუალობა. მაგრამ მიაჩნდა, რომ ასეთი საქციელი არ არის სწორი – თუ ასე განაგრძობს, ერთ მშვენიერ დღეს რამე უბედურებას გადაეყრებაო. მინტას თითქოს არაფრის ეშინოდა, ხარებს თუ არ ჩავთვლით. საკმარისი იყო, სადმე მინდორში ხარი

დაელანდა, მაშინვე ხელებს ასწევდა და კივილით მოკურცხლავდა, მაგრამ ხარს ხომ ყველაზე მეტად სწორედ ეს აღაგზნებს, მინტას კი, ესეც უნდა ითქვას, ოდნავადაც არ რცხვენოდა თავის სისუსტის აღიარება. ის თავად ამბობდა, ხარების საშინელად მეშინიაო. და ერთხელ თქვა, ალბათ ოდესღაც, როცა ეტლით მასეირნებდნენ, ხარმა მირქინაო. დიდად არასოდეს იწუხებდა თავს იმაზე ფიქრით, რას იტყოდა, ან როგორ მოიქცეოდა. და აი, ახლაც, უეცრად ქარაფის კიდეზე ბარბაცით გაიარა და სიმღერა წამოიწყო,

„წყეულიმც იყოს თქვენი თვალები" და დანარჩენებიც იძულებულები გახდნენ, აჰყოლოდნენ და გუნდად მთელი ხმით ეყვირათ: „წყეულიმც იყოს თქვენი თვალები!"

მაგრამ დაგვიანება დამღუპველი იქნება, რადგან, თუ დროზე არ მიაღწევენ სანაპიროს, შეიძლება მოქცევა დაიწყოს და მთელი ეს მშვენიერი სანადირო ტერიტორია წყლით დაიფაროს.

„მართლაც რომ დამღუპველი იქნება", დაეთანხმა პოლი, მაშინვე წამოხტა და როცა ნელ-ნელა დაიწყეს დაღმართზე ჩაცურება, პოლი გზამკვლევის ტექსტის ციტირებას შეუდგა, რომ „ეს კუნძულები სამართლიანადაა განთქმული მათი ნაკრძალისებური ხედებითა და ფართო და მრავალფეროვანი, იშვიათი საზღვაო სანახაობებით". მაგრამ ასე, ამ ყვირილით და ღრიალით რა გამოუვათ. „წყეულიმც იყოს თქვენი თვალები", ფიქრობდა ენდრიუ და გზას მიიკვლევდა ქვემოთ, ქარაფის დამრეცზე, უკანიდან კი გრძნობდა, როგორ უტყაპუნებდნენ ზურგზე და მოსძახოდნენ, შე ძველოო, და ასეთ რამეებს; ასე არაფერი გამოუვათ. აი, რატომ არ ვარგა ქალების ლაშქრობაში წაყვანა. როცა სანაპიროზე გავიდნენ, დაიყვნენ, ენდრიუ „პოუპ ნოუზისკენ" წავიდა, ფეხზე გაიხადა, წინდების გორგალი ფეხსაცმელებში ჩადო და გოგონების წყვილი თავის ნებაზე მიუშვა; ნენსიმ კი გააბოტა წყალში თავისი საყვარელი კლდეებისკენ და თავის საყვარელ გუბეებს მიაშურა და ბედის ანაბარა მიატოვა უკან დარჩენილი წყვილი. სულ დაბლა ჩაბობღდა და ხელით შეეხო გლუვ რეზინისებრ ზღვის ფრინტებს, რომლებიც ჟელეს კოშტებივით მიჰკვროდნენ კლდის პირს. წარმოდგენაში გუბე ზღვად, ხოლო კვირჩხლები ზვიგენებად და ვეშაპებად აქცია და ხელი მზეს ააფარა და ამ ციდა სამყაროს თავზე ღრუბლები, და მასთან ერთად წყვდიადი და გაპარტახება მოუვლინა, ვითარცა უფალმა, მილიონობით უმეცარ და უმანკო ქმნილებას; შემდეგ კი მოულოდნელად ხელი ასწია და ისევ შეუშვა შიგ მზის სხივების ნიაღვარი. განზე კი, ტალღებით აწეწილ ქვიშაზე, ძლევამოსილი და დიდებული, აბჯარასხმული, მორთულ-მოკაზმული, ზღაპრული ლევიათანი გამოჩნდა (ამასობაში ის კვლავ აფართოებდა გუბეს) და მთის ფერდობის უშველებელ ღრმულებში ჩასრიალდა. მერე კი, თვალი უნებურად გააყოლა გუბის ზედაპირს და ზღვის მოლიცლიცე ზოლს და ცას ახედა, შემდეგ ხის ტოტებს გადაავლო თვალი, რომლებიც ორთქლმავლების კვამლში თრთოდნენ ზღვისა და ზეცის კიდეზე, და მთელმა ამ ზებუნებრივმა ძალამ, რომელიც ულმობლად ისრუტავდა ყველაფერს და მერე უცილობლად იხევდა უკან, მონუსხა ის, და ორმა შეგრძნებამ, ერთმა – განუზომელი სიდიდისამ და მეორემ – სიმცირის აღქმამ (მისმა გუბემ ახლა უკვე დაპატარავება დაიწყო ისევ), რომელიც მასში იფურჩქნებოდა, აგრძნობინა, რომ ხელ-ფეხი დაება და აღარ შეეძლო ადგილიდან დაძვრა მოზღვავებული გრძნობების სიმძაფრის გამო, რომელთაც მისი ტანი, მისი სიცოცხლე და დედამიწაზე მცხოვრები

ყველა ადამიანის სიცოცხლე, სამარადისოდ,არარაობამდე დაჰყავდა. და ასე გაიტაცა ფიქრებმა, როცა ტალღების დგაფუნს უსმენდა გუბესთან ჩაცუცქული. ხოლო ენდრიუმ ამ დროს დაიყვირა, მოქცევა იწყებაო, და ისიც წამოხტა და მეჩხერ ტალღებში ტლაშუნით გაიქცა ნაპირისკენ, სანაპირო აირბინა და საკუთარმა შფოთვამ და სისწრაფისაკენ სწრაფვამ წამში მიიყვანა კლდის უკან და იქ – ჰოი, მაღალო ღმერთო! დაინახა, როგორ ჩახუტებოდნენ ერთმანეთს და, შესაძლოა, კოცნიდნენ კიდეც ერთმანეთს პოლი და მინტა. აღშფოთდა, განრისხდა. მან და ენდრიუმ სამარისებურ სიჩუმეში ჩაიცვეს წინდები და ფეხსაცმელები, ისე, რომ სიტყვაც არ უთქვამთ. საერთოდ ხომ ძალიან ენამწარედ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ხომ შეგეძლო, ჩემთვის დაგეძახა, როცა ის კიბორჩხალა თუ რაც იყო, დაინახეო, ბუზღუნით უთხრა. თუმცა ორივე გრძნობდა, რომ ეს მათი ბრალი არ იყო. არც ერთს არ უნდოდა, ეს საშინელი სისულელე შემთხვეოდათ. და მაინც, ენდრიუს აღიზიანებდა, რატომ იყო ნენსი ქალი, ნენსის კი აბრაზებდა ის, რომ ენდრიუ მამაკაცი იყო, და ორივემ აკურატულად შეიბნია ზონრები ფეხსაცმელებზე და საგულდაგულოდ გამონასკვეს. მხოლოდ მაშინ, როცა ისევ ქარაფის თავზე აძვრნენ, მინტამ დაიყვირა, ბებიაჩემის ბროში დავკარგეო – ბებიამისის ბროში, ერთადერთი სამკაული, რაც გააჩნია – ძეწნა (ხომ გახსოვთო), მარგალიტებში ჩასმული. ალბათ გინახავთო, თქვა და ცრემლები ლოყებზე ჩამოეღვარა, ბროში, რომლითაც ბებიამისი სიცოცხლის ბოლო წუთამდე იმაგრებდა ქუდს. აი, რა დაკარგა! სხვა არაფრის დაკარგვას არ იდარდებდა, ოღონდ ეს არა! უკან დაბრუნდება და კარგად მოძებნის! ყველანი დაბრუნდნენ. ქვიშას ჩხრეკდნენ, ათვალიერებდნენ და ეძებდნენ. თავები ყველას ძირს ჰქონდა დახრილი, მოჭრილად და მკვახედ ისროდნენ სიტყვებს. პოლ რეილი გიჟივით დარბოდა აღმა-დაღმა მთელ კლდეზე და ეძებდა ყველგან, სადაც კი მანამდე ისხდნენ. მთელი ეს აურზაური ბროშის გამო სრული უაზრობააო, გაიფიქრა ენდრიუმ, პოლმა კი ამასობაში უთხრა, აი, აქ და იქ კარგად დაძებნეო. წყალი სწრაფად მოიწევდა წინ. ერთი წუთიც, და იმ ადგილებს, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ ისხდნენ, ზღვის წყალი დაფარავდა. ახლა ბროშის პოვნის ყოველგვარი იმედი გადაიწურა. „გზა იკეტება!" იკივლა მინტამ, რომელსაც უცებ საშინლად შეეშინდა. თითქოს საფრთხე გარდაუვალი იყო! ზუსტად ისე, როგორც ხარები ელანდებოდა ყველგან – ის ხომ გრძნობებს ვერ იმორჩილებსო, გაიფიქრა ენდრიუმ. ეს ქალების თვისებაა. უბედური პოლი იძულებული იყო, ახლა მინტა დაემშვიდებინა. მერე მამაკაცებმა (ენდრიუ და პოლი წამში იქცნენ გულად მამაკაცებად და გარდაისახნენ) უცებ მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ რეილის ხელჯოხს იმ ადგილზე ჩაარჭობდნენ, სადაც ისხდნენ და როცა წყალი უკან დაიხევდა, მერე დაბრუნდებოდნენ. სხვას ახლა მაინც ვერაფერს გახდებოდნენ. თუ ბროში იქ იყო, დილით იქვე დაგვხვდებაო, არწმუნებდნენ მინტას, მაგრამ მინტა ისევ სლუკუნებდა, მთელი გზა, სანამ კლდეზე ადიოდნენ. ბებიაჩემის ბროშიაო; ოღონდ ეგ არ დამეკარგა და სხვა არაფერს ვდარდობო, და ნენსიმ იგრძნო, მიუხედავად იმისა, რომ ბროშის დაკარგვას მართლა განიცდიდა, მარტო ამიტომ როდი ტიროდა; მას რაღაც სხვა ატირებდა. იქნებ ყველანი უნდა დავსხდეთ და ჩვენც მასავით ვიტიროთო; ოღონდ მიზეზი არ იცოდა. ისინი წინ მიიწევდნენ, პოლი და მინტა, და პოლი ამშვიდებდა, არწმუნებდა, რომ დაკარგული ნივთების პოვნა ეხერხება. ერთხელ, როცა პატარა ბიჭი ვიყავი, ოქროს საათი ვიპოვეო. დილაუთენია ავდგები და აუცილებლად ვიპოვი შენს ბროშს, აი, ნახავო. როცა გაიღვიძებს, მისი აზრით, ჯერ კიდევ სიბნელე იქნება და ის მარტო გამოვა

სანაპიროზე, რაც ალბათ საკმაოდ სახიფათოა. მაგრამ, მინტას უთხრა, დარწმუნებული ვარ, ბროშს აუცილებლად ვიპოვიო. ხოლო მინტამ მიუგო, გაგონებაც არ მინდა, რომ დილაუთენია ადგებიო: ბროში დაიკარგა. მან ეს იცის: როცა ნაშუადღევს ბროშს იკეთებდა, გულმა უგრძნო, რომ ასე მოხდებოდა. და პოლმა თავისთვის გადაწყვიტა, რომ მინტას უჩუმრად გამოიპარებოდა დილით სახლიდან, როცა ყველას ეძინებოდა, და თუ ვერ იპოვიდა, მაშინ ედინბურგში გაემგზავრებოდა და ახალს უყიდდა, ზუსტად ისეთს, ოღონდ უფრო ლამაზს. დაუმტკიცებს, რამდენის გაკეთება შეუძლია. და როცა გორაკზე გავიდნენ და ქვემოთ გადაშლილი ქალაქის მოციმციმე სინათლეები დაინახეს, მოულოდნელად, თითქოს ერთიმეორის მიყოლებით რომ ინთებოდა, როგორც ის ამბები, რაც მას მოელოდა – მომავალი ქორწინება, შვილები, სახლი; მან წარმოიდგინა, როცა მაღალი ბუჩქებით დაბინდულ შარაგზას დაადგნენ, როგორ განმარტოვდებოდნენ ორნი ერთად, და ივლიდნენ ასე, სულ წინ და წინ, ის ყოველთვის წინ გაუძღვებოდა მინტას, მინტა კი სულ ჩახუტებული ეყოლებოდა (როგორც ახლა). და როცა გზაჯვარედინთან შეუხვიეს, გაიფიქრა, ეს რა შიში გამოვიარე, აუცილებლად უნდა გავუზიარო ვინმესო – რა თქმა უნდა, მისიზ რემზის, იმიტომ, რომ სული ეხუთებოდა იმის გაფიქრებაზე, რა და როგორ მოხდა. მის ცხოვრებაში ყველაზე საშინელი ის წამი იყო, როცა მინტას ცოლობა სთხოვა. პირდაპირ მისიზ რემზისთან მივა, რადგან რატომღაც ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ სწორედ მისიზ რემზიმ აიძულა ამის გაკეთება. მან შთააგონა, რომ ყველაფერი შეუძლია. სხვა არავინ აღიქვამდა მას სერიოზულად. მაგრამ მისიზ რემზიმ რაღაცნაირად დაარწმუნა, ყველაფრის მიღწევა შეგიძლიაო. მთელი დღის განმავლობაში გრძნობდა, როგორ უყურებდა, როგორ ადევნდებდა თვალს (იმისდა მიუხედავად, რომ სიტყვაც არ უთქვამს მისთვის), თითქოს ეუბნებოდა, დიახ, შენ ეს შეგიძლია. მე მჯერა შენი. მე ამას მოველი შენგანო. დიახ, მისიზ რემზიმ აგრძნობინა ეს ყველაფერი, და როგორც კი დაბრუნდებიან (ნავსაყუდელის თავზე სახლს და მისგან მომავალ სინათლესგახედა), მივა და ეტყვის, „მე ეს გავაკეთე, მისიზ რემზი; თქვენი წყალობით". და აი, როცა სახლისკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს შეუყვნენ, დაინახა, როგორ ციმციმებდა შუქი ზედა სართულის ფანჯრებში. მაშასადამე, ძალიან დაიგვიანეს. უკვე სავახშმოდ ემზადებიან. სახლი მთლიანად იყო გაჩაღებული და სინათლემ წყვდიადის მერე თითქოს თვალი აუხილა და როცა სახლს მიუახლოვდნენ, ბავშვურად იმეორებდა გულში, „სინათლეები, სინათლეები, სინათლეები", მოჯადოებულივით იმეორებდა, „სინათლეები, სინათლეები, სინათლეები", და ასე შევიდნენ სახლში და პოლი გაოგნებული აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით. მაგრამ, ღმერთო დიდებულო, უთხრა თავის თავს და ხელი ჰალსტუხზე შეივლო, თავი სულელურ მდგომარეობაში არ უნდა ჩავიგდო).

თავი 15

„დიახ", თქვა ფრუმ, ჩაფიქრებულმა, და დედას კითხვაზე პასუხი გასცა, „მე მგონი, ნენსიც მათთან ერთად წავიდა".

თავი 16

მაშ ასე, ნენსიც მათთან ერთად წასულა, გაუელვა მისიზ რემზის. ჯაგრისი დადო, სავარცხელი აიღო, კარზე კაკუნი მოესმა და უპასუხა, მობრძანდითო (ჯასპერი და ჯონი შემოვიდნენ). ფიქრობდა, ნეტავი ნენსი რომ მათთან ერთად წავიდა, ეს უფრო სავარაუდოს ხომ არ ხდის საფრთხეს, რომ რაღაც ცუდი მოხდება, თუ ნაკლებ სავარაუდოსო; და გრძნობებს აყოლილმა გაიფიქრა, ნაკლებად სავარაუდოსო. მით უფრო რომ, კაცმა რომ თქვას, ასეთი მასშტაბის კატასტროფა საერთოდაც ნაკლებად მოსალოდნელია. შეუძლებელია, ყველანი დამხრჩვალიყვნენ. და ისევ ცხადად იგრძნო სიმარტოვე ძველი მეტოქის, სიცოცხლის პირისპირ დარჩენილმა.

ჯასპერმა და როუზმა ამცნეს, მილდრედი გეკითხება, სუფრა უკვე გავშალო თუ არა სავახშმოდო.

„არასგზით! თუნდ თავად დედოფლის გულისათვის", მტკიცედ განაცხადა მისიზ რემზიმ.

„და თუნდ მექსიკის დედოფლის ხათრითაც", დასძინა სიცილით და ჯასპერს გახედა; რადგან ჯასპერს სწორედ მისი, დედამისის სისუსტე ახასიათებდა: მასაც დედამისივით უყვარდა გაზვიადება.

შენ, კი, უთხრა როუზს, სანამ ჯასპერი მილდრედს გადასცემდეს ჩემს დანაბარებს, შეგიძლია, სამკაულები შემირჩიო ამ საღამოსთვის. როცა თხუთმეტი ადამიანი ვახშამს ელოდება, დაუსრულებლად ვერავის დაველოდებითო. თანდათანობით ნერვიულობა შეეპარა იმის გამო, რომ ასე დაიგვიანეს; ხომ აშკარა უყურადღებობაა მათი მხრიდან ასეთი საქციელი, მაინცადამაინც დღეს მოუნდათ დაგვიანება, როცა ასეთი ამბით ემზადებოდა ამ ვახშმისთვის, ხომ იციან, რომ უილიამ ბენქსი ძლივს დაითანხმეს მათთან ერთად სავახშმოდ; თან მილდრედის შედევრი ელოდათ – ბოეუფ ენ დაუბე ღვინოში მოშუშული საქონლის ხორცი. ამ კერძის ღირსება კი ისაა, რომ ზუსტად უნდა შეარჩიო დრო, რომ ყველანი მზად იყვნენ სავახშმოდ. საქონლის ხორცი, დაფნა, ღვინო – ყველაფერს თავისი დრო და რიგი აქვს. დაუშვებელია ამ კერძის დროზე ადრე გამოტანა და ლოდინი. და ხედავ, სწორედ მაინცდამაინც დღეს მოუნდათ სასეირნოდ წასვლა და როგორ დაიგვიანეს, კერძი მზადაა და ქურიდან უნდა გადმოიდგას, თან არც უნდა გაცივდეს; ასე კი ბოეუფ ენ დაუბე არაფრად აღარ ივარგებს. ჯასპერმა ოპალის ყელსაბამი შესთავაზა, როუზმა ოქროსი. აბა, რომელი უკეთ გამოიყურება მისი შავი კაბის ფონზე? მართლაც, ნეტავი რომელი, დაბნეულად თქვა მისიზ რემზიმ და სარკეში თავის კისერსა და მხრებს შეავლო თვალი (სახეზე არც შეუხედავს). და შემდეგ, ვიდრე ბავშვები მის ნივთებში იქექებოდნენ, ფანჯარაში გაიხედა, რომ დაენახა, რაც ყოველთვის ასე ახალისებდა – ჭილყვავები, რომლებიც აქეთ-იქით ფრენდნენ და ვერ გადაეწყვიტათ, რომელ ხეზე დაედოთ ბინა. თითქოს წამდაუწუმ იცვლიდნენ აზრს, თითქოს დაჯდომას დააპირებდნენ და უმალ წამოფრინდებბოდნენ ხოლმე, რადგან, როგორც მისიზ რემზის მიაჩნდა, ბებერი ჭილყვავი, ოჯახის

მამა, ბებერი იოსები, ასე ეძახდა მას, ერთი უხიაკი და უზნეო ჩიტი იყო. საეჭვო რეპუტაციის ბებრუხანა, რომელსაც ფრთებზე ნახევარი ბუმბული დასცვენოდა. ის მას ერთ ჩამოძონძილ, ბებერ, ცილინდრიან ჯენტლმენს აგონებდა, ბუკს რომ უკრავდა ერთხელ ლუდხანის წინ.

„შეხედეთ!", სიცილით შესძახა. ჩიტები აშკარად ჩხუბობდნენ. იოსები და მარიამი ჩხუბობდნენ.

მაგრამ ისევ წამოფრინდნენ და ჰაერის ტალღები შავი ფრთებით ნამგლისებურ თხელ რკალებად გააპეს. ფრთების მოქნევა, გაშლა-მოკეცვა, გაშლა-მოკეცვა – აი, ეს სანახაობა ხიბლავდა მისიზ რემზის ყველაზე მეტად, მაგრამ ვერასოდეს მოახერხა საამისო სიტყვების პოვნა და უკმარისობის გრძნობა იპყრობდა ხოლმე. ამიტომ როუზს უთხრა, აბა, ერთი იმ ჩიტს შეხედეო, რადგან იმედი ჰქონდა, როუზი მასზე უკეთ დაინახავდა ყველაფერს. შვილები ხომ ხშირად ბიძგს გვაძლევენ, რომ უკეთ შევძლოთ საგნების აღქმა.

მაგრამ მაინც, აბა, რომელი სამკაულის გაკეთება აჯობებდა დღეს საღამოს? ბავშვებს სამკაულების ყუთის ყველა განყოფილება გაეხსნათ. იტალიური ოქროს ყელსაბამი თუ ოპალის წყლისფერი ყელსაბამი, რომელიც ჯეიმსმა ინდოეთიდან ჩამოუტანა? ან იქნებ ამეთვისტოების ასხმა ჯობს.

„მიდით, აირჩიეთ ჩემო საყვარლებო," გაამხნევა შვილები, რადგან იმედი ჰქონდა, ასე უფრო სწრაფად იმოქმედებდნენ.

თუმცა არჩევანის გაკეთება მაინც ადროვა, განსაკუთრებით როუზს; აცალა, ამოეღო ხან ერთი, ხანაც მეორე სამკაული, შავ კაბაზე მიედო და ისე შეეფასებინა, რადგან იცოდა, სამკაულების შერჩევის ეს პატარა ცერემონია, რომელსაც ყოველ საღამოს იმეორებდნენ ხოლმე, როუზს ყველაფერს ერჩივნა. მას გაუმხელელი, პირადული მიზეზი ჰქონდა, რის გამოც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ რა სამკაული უნდა ჰკეთებოდა ამა თუ იმ დღეს დედამისს. ნეტა რატომო, ფიქრობდა მისიზ რემზი, რომელიც გაუნძრევლად იდგა ადგილზე, ვიდრე ქალიშვილი თავის შერჩეულ ყელსაბამს უკრავდა კისერზე და ფიქრით ცდილობდა, საკუთარ შორეულ წარსულში ამოეკითხა ის ღრმა, ის ჩამარხული, ის თითქმის ენით გამოუთქმელი გრძნობა, რომელიც როუზის ასაკში უნდა ჰქონოდა დედის მიმართ. და ყველა სხვა გრძნობის მსგავსად, რომელიც ადამიანს საკუთარი თავისადმი ეზადება, ფიქრობდა თავისთვის მისიზ რემზი, ესეც ხომ სევდის მომგვრელია. ის, რაც ადამიანს შეუძლია, სამაგიეროდ გაიღოს, სრულიად შეუსაბამოა; და რასაც როუზი დედის მიმართ გრძნობდა ახლა, არაფერი ესაქმებოდა იმასთან, რაც სინამდვილეში იყო. როუზი გაიზრდება; როუზი დაიტანჯება ამ ღრმა გრძნობებით, ვარაუდობდა მისიზ რემზი, შვილს კი ხმამაღლა მხოლოდ ეს უთხრა, ახლა კი მზადა ვარო, და ამის შემდეგ ყველანი ერთად ჩაუყვებოდნენ კიბეს პირველი სართულისკენ, ხოლო ჯასპერი, – ის ხომ ჯენტლმენია, – ხელკავს გაუყრის და როუზი, რაკი ის მანდილოსანია, დედას ცხვირსახოცს წამოუღებს (უკვე მისცა კიდეც ცხვირსახოცი), და რაღა დარჩა? ჰოო, ხომ შეიძლება აცივდეს: შალი! რამე შალი შემირჩიეო, უთხრა როუზს, რადგან იცოდა, ასიამოვნებდა, მას ხომ ამდენი ტანჯვა ელოდა მომავალში. „აი, ასე", თქვა მისიზ რემზიმ. იოსები ახლა უკვე სხვა ხის კენწეროზე მოკალათდა. „ნუთუ გგონია, არ სტკივათ,

როცა ფრთებს ამტვრევენ?" უთხრა ჯასპერს. რატომ უნდოდა საცოდავი იოსების და მარიამის მოკვლა? ჯასპერი ოდნავ შებრკოლდა კიბეზე, და თავი გაკიცხულად იგრძნო, ოღონდ დიდად არ შეწუხებულა, რადგან დედას არ ესმოდა, რამხელა სიამოვნებაა ჩიტებზე ნადირობა; ჩიტები ხომ არაფერს გრძნობენ; დედამისი კი სხვაგან ცხოვრობს, დედამიწის სულ სხვა ნაწილში, თუმცა კი დედის შეთხზული მარიამის და იოსების ამბებით ძალიან ერთობოდა. ხშირად იცინოდა კიდეც დედის მონათხრობზე. „მითხარი, რა იცი, რომ მაინცდამაინც მარიამი და იოსები არიან? ნუთუ გგონია, რომ ერთი და იგივე ჩიტი ყოველ საღამოს ერთსა და იმავე ხის კენწეროზე ჯდება?" ჰკითხა დედას. მაგრამ აი, მოულოდნელად, როგორც საერთოდ უფროსებს სჩვევიათ, დედას აინუწშიც არ ჩაუგდია მისი შეკითხვა. ის ახლა ჰოლიდან მომავალ ხმაურს უგდებდა ყურს.

„დაბრუნდნენ!" შესძახა და მაშინვე იგრძნო, რომ გულზე კი არ მოეშვა, პირიქით, უფრო გაღიზინდა მათი საქციელით. მერე იმაზე დაფიქრდა, ნეტა თუ მოხდა, რასაც ველოდიო? ქვემოთ ჩავა და ყველაფერს უამბობენ – თუმცა არა. ახლა, როცა ამდენი ხალხი ახვევიათ გარშემო, ვერაფერს ეტყვიან. ასე რომ, უნდა ჩავიდეს, ვახშამი დაიწყოს და დაელოდოს. და როგორც დედოფალი, რომელიც ხედავს, როგორ შეკრებილან მისი ქვეშევრდომები ჰოლში, ზემოდან დასცქერის და ნელ-ნელა ეშვება მათკენ, მერე კი, მათ შორის აღმოჩენილი, უხმოდ იღებს მათი პატივისცემის, ერთგულებისა და თაყვანისცემის ნიშნებს (როცა პოლს ჩაუარა და პირდაპირ თვალებში ჩახედა, მას ნაკვთიც არ შერხევია სახეზე). მისიზ რემზი ჩავიდა კიბეზე, ჰოლი გადაკვეთა და ოდნავ დახარა თავი, თითქოს უჩუმრად იღებდა ყველასგან იმას, რასაც ხმამაღლა ვერ გამოთქვამდნენ: მისი სილამაზის უსიტყვო აღიარებას.

მაგრამ უცებ შედგა. დამწვრის სუნი ეცა. წარმოუდგენელია, ნუთუ ბოეუფ ენ დაუბე მიეწვათ? გაიფიქრა და ღმერთს შესთხოვა, ოღონდ ეს არაო! და სწორედ ამ დროს, გონგის ჟღრიალმა საზეიმოდ და მბრძანებლურად ამცნო ყველას, მიმოფანტულებს აქა-იქ სახლში – ზოგს ზემოთ, სხვენში, საძინებლებში, თავ-თავიანთ მყუდრო ქანდარებზე წიგნის კითხვით თუ წერით გართულებს, ზოგს თმის ვარცხნისას, ბოლო ღერი თმის დაყენებაღა რომ დარჩენოდათ, ზოგსაც იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ღილებს იკრავდნენ კაბაზე, – რომ ყველაფრისთვის თავი უნდა მიენებებინათ, ნებისმიერი რამისთვის, რასაც აკეთებდნენ ან აბინავებდნენ პირსაბანსა თუ ტუალეტის მაგიდაზე; რომანებისთვის, რომელთაც საძინებლის პატარა მაგიდებთან კითხულობდნენ, საიდუმლო, პირადი დღიურებისთვის, და ყველას ერთად უნდა მოეყარა თავი სასადილო ოთახში.

თავი 17

კი მაგრამ, ეს რა დავმართე ჩემს ცხოვრებას? ფიქრობდა მისიზ რემზი, როცა სუფრის თავში, თავის ჩვეულ ადგილზე ჯდებოდა და თეფშების რიგი დაინახა, თეთრ წრეებს რომ წარმოქმნიდნენ უსასრულოდ გრძელ სუფრაზე. „უილიამ, ჩემ გვერდით დაბრძანდით", თქვა მან. „შენ კი, ლილი", თქვა

დაღლილი ხმით, „აი, იქ დაჯექი". ყველას თავისი ერგება, პოლ რეილის და მინტა დოილს – თავიანთი, თვითონ კი, ეს – თეფშებითა და დანა-ჩანგლით გაწყობილი უსასრულოდ გრძელი სუფრა. მისი ქმარი სუფრის საპირისპირო ბოლოში დაჯდა, მთლად მოშვებული, უხალისო და მოღუშული. ნეტა რის გამო? ეს არ იცოდა. და არც ენაღვლებოდა. ახლა ისიც კი არ ესმოდა, როგორ შეეძლო, ამ კაცის მიმართ ოდესღაც სიყვარულის მსგავსი გრძნობა გასჩენოდა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს თავად ამ ყველაფრის მიღმა არსებობდა, ყველაფერი გამოიარა, ყველაფრისგან დაიცალა; ფიქრობდა და თან წვნიანს ასხამდა. თითქოს იქ ქარბორბალა დატრიალდა – და შეიძლება ის მასში აღმოჩენილიყო, ან მის გარეთ, და ის სწორედ გარეთ აღმოჩნდა. ყველაფერი დამთავრდა, ფიქრობდა თავისთვის, ისინი კი, ყველანი, სათითაოდ მოდიოდნენ მასთან, ჩარლზ ტენსლი – „თუ შეიძლება, აი, აქ დაბრძანდით", ეუბნებოდა ის, – ოგასტას კარმაიკლი – და ისინიც სხდებოდნენ. თვითონ კი, ამასობაში იცდიდა, ელოდა, რომ რომელიმე მათგანი მაინც, ან პასუხს გასცემდა, ან რამე მოხდებოდა. მაგრამ ეს არ არის ისეთი რამ, ფიქრობდა თავისთვის და თან ჩამჩით წვნიანს ასხამდა მათლაფებში, რაზეც ადამიანები ხმამაღლა ლაპარაკობენო.

და ვიდრე ასე განაგრძობდა ჩამჩით წვნიანის ჩამოსხმას, წარბებაზიდული, ამ სრულ შეუსაბამობაზე – სწორედ ამას ფიქრობდა, და სწორედ ამას აკეთებდა – წვნიანს ასხამდა მათლაფებში – და სულ უფრო და უფრო მძაფრად გრძნობდა, რომ გამოვიდა ქარბორბალადან; ან თუ ჩრდილი ჩამოწვა, საგნებს ფერი დაეკარგა და ყველაფერი ისეთი დაინახა, როგორიც სინამდვილეში იყო. ოთახი (მიმოიხედა) – გაქუცული. სილამაზის ნატამალი არსად ჩანდა. რა აზრი აქვს, მისტერ ტენსლის რომ შეხედოს. თითქოს არაფერში არ იგრძნობოდა თანხვედრა. ყველა თავისთვის იჯდა. და თანხვედრის და სიცოცხლის შთაბერვის მთელი ძალისხმევა ახლა მას უნდა ეკისრა. ისევ იგრძნო, როგორც ფაქტი, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, მამრთა სიბერწე, რადგან თუ თავად არ იზამდა ამას, არავინ არაფერს იღონებდა, და ამგვარად, მისიზ რემზიმ ისევ გამოიფხიზლა თავი, მოულოდნელად გაჩერებულ საათს რომ შევანჯღრევთ ხოლმე, ისე, და გულმა ძველი ნაცნობი საათის წიკწიკივით დაიწყო ცემა – ერთი, ორი, სამი, ერთი, ორი, სამი და ასე შემდეგ, იმეორებდა გულში და ელოლიავებოდა და სულს უბერავდა ჯერ კიდევ მოდუნებულ გულისცემას, ისე, როგორც ცეცხლის დანთებისას სუსტი ალის გაღვივებას ვცდილობთ ხოლმე გაზეთით. და აი, დაასკვნა თავისთვის და მისკენ, მისტერ უილიამ ბენქსისკენ გადაიხარა უხმოდ – აი, საწყალი კაცი! არც ცოლი ჰყავს, არც შვილები, და სულ მარტოკა შეექცევა სადილს რომელიღაც დაქირავებულ ბინაში, დღევანდელ საღამოს თუ არ ჩავთვლით; და მის მიმართ სიბრალულმა ძალა მისცა, რომ სიცოცხლე განეგრძო ისევ, და ისევ წამოიწყო მთელი ეს ამბავი, როგორც მეზღვაურმა, დაღლილი რომ ხედავს, როგორ დაბერავს ქარი მის იალქანს და მაინც, ლამის ყოველგვარი სურვილი გაჰქრობია მოგზაურობის გასაგრძელებლად და წარმოიდგენს, როგორ ჩაიხვევდა ტალღები და ჩაიძირებოდა, და როგორ მოიპოვებდა სამუდამო განსასვენებელს ზღვის ფსკერზე, მისი გემი რომ ჩაძირულიყო.

„ნახეთ თქვენი წერილები? გავაფრთხილე, ჰოლში დაედოთ თქვენთვის გადმოსაცემად", უთხრა მისტერ ბენქსს.

ლილი ბრისკო ხედავდა, როგორ გადავიდა მისიზ რემზი იმ უცხო მიწაზე, სადაც შეუძლებელია, ადამიანს მიჰყვე, და მაინც, ასეთი წასვლა ისე თრგუნავს მაყურებელს, რომ ყოველთვის ცდილობს, როგორმე თვალით მაინც მისდიოს, როგორც გემს ვუმზერთ ხოლმე, ვიდრე თვალს არ მიეფარება ჰორიზონტს მიღმა.

რა დაბერებული ჩანს, რა ძალაგამოცლილი, ფიქრობდა ლილი მისიზ რემზიზე, და თანაც, რა შორეული. შემდეგ კი, როცა უილიამ ბენქსს მიუბრუნდა გაღიმებული, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ის გემი შემოტრიალდა და მზემ მის იალქნებს კვლავ დაჰკრა სხივი, და ლილიმ გაიფიქრა, უკვე თავშესაქცევად, რადგან გულზე მოეშვა, ნეტავი რატომ ეცოდება ასეო. რადგან სწორედ ეს აფიქრებინა მისიზ რემზის იერმა, როცა მისტერ ბენქსს უთხრა, ჰოლში წერილები გელოდებათო. საბრალო უილიამ ბენქსი, თითქოს ამას ამბობდა მისიზ რემზი ისე, რომ იფიქრებდით, მისი ასეთი დაღლილობა ნაწილობრივ სხვების სიბრალულითაა გამოწვეული, ნაწილობრივ კი მისივე სიცოცხლით, და გადაწყვეტილება, მობრუნებულიყო სიცოცხლეში, ისევ ეცოცხლა, სწორედ ამ თანაგრძნობით იყო ნაკარნახევი, რაც, ლილის აზრით, არ იყო სწორი; ეს იყო მისიზ რემზის მცდარ შეხედულებათაგან ერთ-ერთი, როგორც ჩანს, ინსტინქტური, ნაკარნახევი რომელიღაც მისი პირადი საჭიროებით და არა სხვების რეალური უბედურებით. მისტერ ბენქსს სრულებით არაფერი აქვს შესაცოდი. მას აქვს და უყვარს თავისი საქმე, ფიქრობდა ლილი ბრისკო. სრულიად მოულოდნელად, ისე, თითქოს რაღაც განძს მიაგნო, მოაგონდა, რომ თავადაც ჰქონდა ასეთივე საყვარელი საქმე. წამიერად თვალწინ გაუელვა ტილომ, რომელსაც ხატავდა და გაიფიქრა, დიახ, ხე ცენტრიდან უფრო მოშორებით უნდა ჩავწიო; ამითშევავსებ იმ გაუმართლებელ სიცარიელეს. აი, რა უნდა ვქნა. აი, რა არ მაძლევდა მოსვენებას აქამდეო. ლილიმ სამარილე აიღო და ისევ უკან დადო სუფრის ყვავილებით მოჩითულ მონაკვეთზე, თითქოს ეს მოქმედება შეახსენებდა, რომ ხე უნდა გადაეადგილებინა სურათზე.

„უცნაურია, მაგრამ ფოსტით იშვიათად თუ მიიღებ რამე ღირებულს, და მაინც, ყოველთვის ელი წერილებს", თქვა მისტერ ბენქსმა.

რა სისულელეს მიედ-მოედებიან, გაიფიქრა მისტერ ტენსლიმ და კოვზი მათლაფის ზუსტად შუაგულში დადო, რომელიც ბოლომდე ამოესუფთავებინა, და ლილიმ გაიფიქრა (ჩარლზ ტენსლი მის პირდაპირ იჯდა სუფრასთან, ზურგით ფანჯრის ხედს ზუსტად შუაში ყოფდა), ალბათ იმის დასტურად, რომ უკვე ჭამა დაამთავრაო. ამ კაცთან დაკავშირებით ყველაფერი ერთგვარ უსიცოცხლო აჩემებასავით გამოიყურებოდა, ამაზრზენი ეჩვენებოდა. და მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იყო იმის უარყოფა, რომ, თუ ადამიანს ახლოდან დააკვირდები, რამე აუცილებლად მოგხიბლავს მასში. და მართლაც, ლილის მოსწონდა მისი თვალები; მუქი ლურჯი და ღრმად ჩამჯდარი, შიშის მომგვრელი.

„წერილებს ხშირად წერთ, მისტერ ტენსლი?" ჰკითხა მისიზ რემზიმ მისტერ ტენსლის, რომელიც, ლილის აზრით, ასევე ებრალებოდა; რადგან ეს ნამდვილად ასე იყო, მისიზ რემზის ყოველთვის ებრალებოდა მამაკაცები, თითქოს მათ რაღაცა აკლდათ, და არასოდეს ქალები, ისე, თითქოს მათ

არაფერი აკლდათ. წერილებს დედაჩემს ვწერ; სხვა მხრივ, რა მოგახსენოთ, თვეში ერთ წერილს თუ დავწერო, მოკლედ მოუჭრა მისტერ ტენსლიმ.

იმიტომ, რომ არ აპირებდა იმგვარი სისულეების როშვას, რასაც ეს ჩერჩეტი ქალები კადრულობდნენ. იჯდა და კითხულობდა წიგნს თავის ოთახში, ეს-ესაა ჩამოვიდა და რა სულელური, და რა ყალბი და რა ზედაპირული ეჩვენება ეს ყველაფერი. ნეტავი რისთვის გამოიპრანჭნენ? თავად ყოველდღიური ტანსაცმელი ეცვა. არც ჰქონდა საზეიმო ტანსაცმელი. „ფოსტით ხომ ღირებულს ვერაფერს მიიღებ" – სულ ასეთ რამეებზე ლაპარაკობენ. და მამაკაცებსაც აიძულებენ ასეთ სისულელეზე ლაპარაკს. დიახ, ზუსტადაც რომ სრული სიმართლეაო, გაიფიქრა გულში. ღირებულს ვერაფერს ეღირსებით წლიდან წლამდე. ან ნეტავი რას მიკეთებთ, მარტო ლაზღანდარობთ, ლაზღანდარობთ, ლაზღანდარობთ, ჭამთ, ჭამთ და ჭამთ. ეს ქალების ბრალია. ქქალების ხელში ცივილიზაციას ვერ ვეღირსებით მათი „მომხიბვლელობის", მათი აუტანელი სიჩერჩეტის გამო.

„შუქურაზე წასვლა ხვალ გამორიცხულია, მისიზ რემზი", თქვა მან თავდაცვის მიზნით. მას მოსწონდა მისიზ რემზი; აღტაცებული იყო მისით; დღევანდელივით ცოცხლად ახსოვდა, როგორ გამოექცა მისკენ თვალი სადრენაჟო მილში ჩამძვრალ ხელოსანს; მაგრამ მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო, თავი დაეცვა.

ლილი ბრისკო ფიქრობდა, მიუხედავად ამ თვალებისა – აბა, ერთი მის ცხვირს შეხედეთ, ანდა მის ხელებს, – ის მართლაც ყველაზე შეუხედავი და უსიამოვნო მამაკაცია, ვისაც კი ცხოვრებაში შევხვედრივარო. მაშინ რაღად აღელვებდა, რას იტყოდა ეს კაცი? ქალებს წერა არ შეუძლიათ, ქალებმა ხატვა არ იციანო – რა მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვებს, თუ მათ მისტერ ტენსლი წარმოთქვამს, რაკი, ცხადია, ასე სულაც არ ფიქრობს, მაგრამ ხელს აძლევს ასეთი ლაპარაკი რაღაცის გამო, და ამიტომაც თქვა ახლა ეს. – და რატომ ხდება, რომ მთელი არსებით ისე ვიზნიქები და ვიხრები დაბლა, როგორც თავთავი ქარში, და ამ დამცირების მერე ისევ ვიმართები წელში, ოღონდ ეს უდიდესი ძალისხმევისა და მტანჯველი მცდელობის შედეგად ხდება? კიდევ ერთხელ უნდა სცადოს. აი, ტოტები სუფრაზე; და აი, ჩემი ნახატი. ხე შუისკენ უნდა წავწიო; მხოლოდ ესაა მნიშვნელოვანი და სხვა არაფერი. ნუთუ არ შეიძლება, მხოლოდ ამაზე ვიფიქრო, თავშეკავება გამოვიჩინო და დავა არ დავიწყოო, ეკითხებოდა თავს; ხოლო თუ მაინცდამაინც მინდა, რომ შური ვიძიო, მაშინ ეს დაცინვით უნდა მოვახერხოო.

„ვაიმე, მისტერ ტენსლი", თქვა ლილიმ, „ძალიან გთხოვთ, წამიყვანეთ შუქურაზე. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მასიამოვნებთ".

მისტერ ტენსლი გრძნობდა, რომ ლილი იტყუებოდა. ისეთ რამეს ამბობდა, რასაც სინამდვილეში არ გულისხმობდა, იმიტომ, რომ მისი გაბრაზება უნდოდა რაღაცის გამო. ის დასცინოდა მას. მისტერ ტენსლის ძველი ფლანელის შარვალი ეცვა. სხვა არც არაფერი გააჩნდა. თავს საშინლად გრძნობდა, ყველასგან მიტოვებულად, მარტოხელად. მან იცოდა, რომ ლილი ბრისკო რაღაცის გამო მის გაბრაზებას, გაღიზინებას ცდილობდა; მასთან ერთად შუქურაზე წასვლა სულაც არ უნდოდა; ლილი ბრისკოს ეზიზღებოდა

ის; ფრუ რემზისაც ეზიზღებოდა და ყველა დანარჩენსაც. მაგრამ არ აპირებდა, თავის გასულელების ნება მიეცა ქალებისთვის, ამიტომ სკამზე შეგნებულად შემოტრიალდა, ფანჯარაში გაიხედა და თქვა, სულმოუთქმელად, ძალიან მკვახედ, ხვალ ისეთი საშინელი ღელვა იქნება, რომ თქვენ ნამდვილად ვერ გადაიტანთ, გული აგერევათო.

მისტერ ტენსლი შეწუხდა, რომ ლილი ბრისკომ ასეთი რამის თქმა აიძულა, მით უფრო, მისტერ რემზის თანდასწრებით. როგორ უნდოდა, მარტო ყოფილიყო თავის ოთახში და ემუშავა, წიგნებით გარშემორტყმულს. მხოლოდ იქ გრძნობდა თავს თავისუფლად. მას ცხოვრებაში პენიც არ ჰქონია ვინმეს ვალი; თხუთმეტი წლის ასაკიდან მამამისსაც კი არ გაუმეტებია არც ერთი პენი; ჰქონდა პატარა დანაზოგი, რომლითაც თავისიანებს ეხმარებოდა; დას განათლების საფასურს უხდიდა. და მაინც, ნეტავი შემლებოდამართებული პასუხი გაეცა ლილი ბრისკოსთვის; ნანობდა, რომ ასე ერთბაშად, ასე უხეშად მიახალა, გული აგერევათო. ნატრობდა, ნეტავი რამე მოვიფიქრო მისიზ რემზისთვის სათქმელი, რამე ისეთი, რაც მიახვედრებს, რომ ვიღაც გაუთლელი ხეპრე არა ვარო. მაგრამ მისიზ რემზი უილიამ ბენქსს ისეთ ხალხზე ესაუბრებოდა, ვისაც ის არ იცნობდა.

„დიახ, შეგიძლიათ გაიტანოთ", მოკლედ მოუჭრა მისიზ რემზიმ მოახლეს, და წამით საუბარი გაწყვიტა უილიამ ბენქსთან. „ალბათ თხუთმეტი, არა, ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვნახე", ამბობდა მისკენ ზურგით მიბრუნებული, თითქოს წამითაც არ შეეძლო გაეწყვიტა საუბარი, ისე იყო თემით დაინტერესებული. მაშ ამ საღამოს წერილიც მიიღო! მაშ კერი ისევ მარლოუში ცხოვრობს? და ნეტავი ყველაფერი ისევ ძველებურადაა იქ? ოო, გუშინდელ დღესავით ახსოვს ყველაფერი – მდინარე, თითქოს მართლა გუშინ იყო – როგორ მიდიოდნენ მდინარის სანაპიროზე, როგორ შესცივდა. მაგრამ თუ მენინგები რამეს დაგეგმავენ, არაფრით აღარ გადათქვამენ ხოლმე. არასოდეს დაავიწყდება, როგორ მოკლა ჰერბერტმა კრაზანა ჩაის კოვზით სანაპიროზე! და წარმოგიდგენიათ, მაშ ეს ყველაფერი ძველებურად გრძელდება, ფიქრებში ჩაეფლო მისიზ რემზი, და გონების თვალით აჩრდილივით ჩაისრიალა მდინარე თემზის სანაპიროზე მდებარე სახლის მისაღები ოთახის სკამებსა და მაგიდებს შორის, სადაც ასე საშინლად, საშინლად შესცივდა ოცი წლის წინ; მაგრამ დღეს იქ აჩრდილივით დადიოდა; და მოინუსხა ფიქრით, რომ იმ დროს, როცა თავად ასე შეიცვალა, ის კონკრეტული დღე, რომელიც იქ დარჩა მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში, ახლა ასეთი მშვიდი და მშვენიერი ეჩვენებოდა. „კერიმ თვითონ მოგწერათ?" ჰკითხა მისტერ ტენსლის.

„დიახ, მწერს, რომ ახალ საბილიარდოს აშენებენ", თქვა მან. ო, არა, არა! რას ბრძანებთ! ახალი საბილიარდოს მშენებლობა! მისიზ რემზის წარმოუდგენლად ეჩვენებოდა ასეთი რამ.

მაგრამ მისტერ ბენქსი ვერაფერს ხედავდა უცნაურს. ახლა ისინი ძალიან მდიდრები იყვნენ. კერის მისგან მოკითხვა ხომ არ შეუთვალოს?

„აჰ", თქვა და შეკრთა მისიზ რემზი, „არა", დასძინა შემდეგ და გაიფიქრა, რომ აღარ იცნობდა ამ კერის, რომელიც დღეს საბილიარდოს აშენებს. „მაგრამ წარმოგიდგენიათ, რა უცნაურია," გაიმეორა მან, მისტერ ბენქსის

გასაკვირად, „მაშ დღესაც იქ ცხოვრობენ". რადგან უჩვეულოდ ეჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც ალბათ ოც წელიწადში ერთადერთხელ თუ გაახსენდა, ისევ იქ და ისევ ძველებურად ცხოვრობდნენ. მას კი რამდენი რამ გადახდა თავს ამ წლების განმავლობაში. თუმცა ალბათ არც კერი მენინგს გახსენებია ის. უცნაურად ეხამუშა ამაზე ფიქრი.

„ჩვენი გზები ხშირად იყრება ხოლმე", თქვა მისტერ ბენქსმა, და თან ერთგვარი კმაყოფილება იგრძნო იმ აღმოჩენის გამო, რომ თურმე ორივე ოჯახს იცნობდა – მენინგებსაც და რემზებსაც. და გაიფიქრა, რომ მისი და მათი გზები სულაც არ გაყრილა, კოვზი დადო და საგულდაგულოდ გაპარსული პირი გულდასმით მოიწმინდა ხელსახოცით. მაგრამ იქნებ თავადაა ასეთი თავისებური; არასოდეს შემოიფარგლება ხოლმე ადამიანთა რომელიღაც ერთი ჯგუფით. ყველა წრეში ჰყავს მეგობრები... მისიზ რემზიმ აქ ლაპარაკი შეწყვიტა, და მოახლე გააფრთხილა, რომელიღაც კერძი შეათბეო. აი, რატომ ერჩივნა მარტო სადილობა მისტერ ბენქსს. აღიზიანებდა ეს ფორიაქი. მაშ ასე, ფიქრობდა უილიამ ბენქსი, უბადლო თავაზიანობას ინარჩუნებდა, უხმოდ იჯდა და ისე გაეშალა მარცხენა ხელის თითები სუფრაზე, როგორც ხელოსანი იქცევა ხოლმე რომელიმე მშვენივრად გაპრიალებული და სახმარად გამზადებული ხელსაწყოს შესამოწმებლად ხანმოკლე შესვენებისას, აი, როგორ მსხვერპლს მოითხოვს მეგობრობა ჩვენგან. ვახშამზე უარი რომ ეთქვა, მისიზ რემზის აწყენინებდა. მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს ყველაფერი არ ღირდა ამად. მარცხენა ხელზე დაიხედა და გაიფიქრა, ახლა მარტოს რომ მესადილა, ალბათ ჭამა უკვე დამთავრებული მექნებოდა და მუშაობას შევძლებდიო. დიახ, ფიქრობდა ის, ეს ხომ საშინელი დროის ფლანგვაა. ბავშვების ნაწილი მხოლოდ ახლა შემოუერთდა სუფრას. „რა იქნება, რომელიმემ როჯერის ოთახში აირბინოს", თქვა მისიზ რემზიმ. რა ფუჭი, და რა უინტერესოა ეს ყველაფერი მუშაობასთან შედარებით, ფიქრობდა მისტერ ბენქსი. აი, ზის აქ და უაზროდ აკაკუნებს თითებს სუფრაზე, როცა შეიძლებოდა – მან გონებაში თვალი გადაავლო თავის ნაშრომებს; მართლაც, რამდენი დრო იკარგება ფუჭად! და მაინც, მე ხომ ამას მისიზ რემზის ხათრით ვაკეთებ, ის ჩემი ერთი ყველაზე დიდი ხნის მეგობართაგანია. თუმცა მაშინ, იმწამს, მისიზ რემზის იქ ყოფნას მისთვის არანაირი აზრი არ ჰქონდა: მისთვის არაფერს, არაფერს ნიშნავდა მისი სილამაზე, ის, რომ ფანჯარასთან იჯდა ხოლმე უმცროს ვაჟთან ერთად... მხოლოდ მარტო ყოფნა უნდოდა, რომ იმ წიგნის კითხვა გაეგრძელებინა. თავს უხერხულად გრძნობდა; თავი მოღალატედ მიაჩნდა იმის გამო, რომ მისიზ რემზის გვერდით იჯდა და მის მიმართ არაფერს გრძნობდა. სიმართლე კი ის იყო, რომ სიამოვნებას ვერ პოულობდა ოჯახურ ცხოვრებაში. ალბათ სწორედ ასეთ ვითარებაში სვამს ადამიანი კითხვას, რისთვის ვცხოვრობ? რისთვის, ეკითხება ასეთ დროს კაცი თავის თავს, რატომ კისრულობ ამდენ ტანჯვა-ვაებას ადამიანის მოდგმის გასაგრძელებლად? განა ადამიანი, როგორც სახეობა, მომხიბვლელია? არცთუ ძალიან, გაიფიქრა მან, როცა სუფრასთან მსხდომ თმაგაბურძგნილ ბიჭებს გახედა. როგორც ჩანს კემი, მისი რჩეული, უკვე დასაძინებლად წავიდა. ეს ის სულელური, ის ფუჭი შეკითხვებია, რომელთაც არასოდეს დასვამს საქმით დაკავებული ადამიანი. ნუთუ ესაა ჩვენი ცხოვრება? ჩვენ ხომ არასდროს გვყოფნის დრო ამაზე საფიქრელად. მაგრამ აი, ზის აქ და სწორედ ამგვარი შეკითხვები ებადება, რადგან მისიზ რემზი წარამარა მითითებებს აძლევს მოახლეებს და რადგან შეაშფოთა მისმა რეაქციამ, როცა გაიგო, რომ კერი მენინგი ჯერაც არსებობს, რომ მეგობრობა, უახლოესი მეგობრობაც კი,

შეიძლება ასეთი მყიფე იყოს. ყველა თავის გზას ადგება და ერთმანეთს ვკარგავთ. ისევ გაკიცხა თავი იმის გამო, რომ მისიზ რემზის გვერდით იჯდა და არაფერი ჰქონდა მისთვის სათქმელი.

„ბოდიშს გიხდით", თქვა მისიზ რემზიმ, როცა, როგორც იქნა, მისკენ შემობრუნდა. მისტერ ბენქსი უძრავად იჯდა, დაცლილი, წყვილი ფეხსაცმელივით, წყალმა რომ გაჟღინთა და მერე ისე გამოშრა, რომ შიგ ფეხი აღარ ეტევა. და მაინც იძულებული ხარ, ჩაყო ფეხები. უნდა აიძულოს თავი და რამე თქვას. დიდ სიფრთხილეს თუ არ გამოიჩენს, მისიზ რემზი მიუხვდება ღალატს; მიხვდება, რომ ჩალადაც არ უღირს, რაც ძალიან სამწუხარო იქნებაო, გაიფიქრა. ასე რომ თავი თავაზიანად გადახარა ბავშვებისკენ.

„ალბათ როგორ გაღიზიანებთ ამ ყაყანში სადილობა", ბუნებრივად უთხრა მისიზ რემზიმ, რომელიც დაბნეულობის დასაფარად მაღალ საზოგადოებაში ნაჩვევ ფრაზებს წარმოთქვამდა ხოლმე. ზუსტად ასე ხდება, როცა რომელიმე შეკრებისას დაპირისპირება წარმოიშვება და ერთობის მოსაპოვებლად თავმჯდომარე საზოგადოებას შესთავაზებს ფრანგულად ილაპარაკონ. სულერთია, როგორ – ავად თუ კარგად; თუნდაც ფრანგულად წარმოთქმული სიტყვები მოსაუბრის ფიქრებს არც გამოხატავდეს; რადგან მიუხედავად ამისა, ფრანგულად საუბარი ერთგვარ წესრიგს ამყარებს, ერთგვარ თანხმობას განამტკიცებს. და მისტერ ბენქსმა იმავე ენაზე უპასუხა მისიზ რემზის, არა, სულაც არაო. ხოლო მისტერ ტენსლიმ, რომელსაც ამ ენის არაფერი გაეგებოდა, და ეს მოკლე, ერთმარცვლიანი სიტყვებიც კი არ ესმოდა, მაშინვე იგრძნო ფარისევლობა. მათი საუბარი, ამ რემზების საუბარი, მართლა სრული უაზრობააო, გაიფიქრა; და უეცრად ამ უცხო შემთხვევას დიდი სიხარულით მოებღაუჭა, და გონებაში ჩაინიშნა, რომ ამ დღეებშივე, ხმამაღლა წაუკითხავს თავის ერთ-ორ მეგობარს ჩანაწერებს იქ, იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანს ყველაფრის თქმა შეუძლია და სარკასტულად აღწერს „სტუმრობას რემზებთან" და მთელ იმ სისულელეს, რასაც ისინი მიედ-მოედებიან. ნამდვილად ღირდა ამის ერთხელ მაინც გაკეთება, ნამდვილად; ოღონდ მარტო ერთხელ. იმ ქალების ლაზღანდარობამ ხომ ტვინი წაიღო, იტყოდა იქ. და რა თქმა უნდა, რემზიმ თავი დაიღუპა იმით, რომ ლამაზი ქალი შეირთო და რვა შვილი შეეძინა. მშვენივრად შეასხამს ამ ყოველივეს ხორცს რამე სახით, მაგრამ ახლა, ამწუთას, როცა გვერდით ცარიელი სკამი ედგა, არაფერი გამოსდიოდა. ყველაფერი არეულ-დარეულიყო. უკიდურესად მოუხერხებლად, უხერხულად გრძნობდა თავს. უნდოდა, ვინმეს შანსი მიეცა, რომ თავი გამოეჩინა, თავი დაემკვიდრებინა. ისე ძალიან მოუნდა, რომ სკამზე აწრიალდა, ხან ამას შეხედა, ხან იმას, შეეცადა საუბარში ჩართულიყო, პირი გააღო და ისევ დამუწა. ისინი ახლა თევზის წარმოებაზე საუბრობდნენ. რატომ მას არავინ ჰკითხავს, რას ფიქრობს? მათ ხომ თევზის წარმოებაზე წარმოდგენაც არა აქვთ.

ლილი ბრისკომ კი მშვენივრად იცოდა ყველაფერი. მისტერ ტენსლის პირისპირ იჯდა და ისეთი სიცხადით, რენტგენის სურათს რომ ახასიათებს, ხედავდა შთაბეჭდილების მოხდენის სურვილით ანთებული ახალგაზრდა კაცის ნეკნებს და თეძოს ძვლებს, ხორცის ნისლისებური ფენით დაფარულს, საზოგადოებრივ პირობითობასავით რომ ჩქმალავდა საუბარში ჩარევის დაუოკებელ სურვილს. მაგრამ, გაიფიქრა ლილი ბრისკომ და ჩინელივით

მოჭუტა განივად აჭრილი თვალები და გაიხსენა, როგორ იგდებდა ხოლმე აბუჩად ქალებს, „ქალს ხატვა არ შეუძლია, ქალს წერა არ შეუძლია", და ბრაზმორეულმა გაიფიქრა, რატომ უნდა შევიწუხო თავი ამ კაცის გულისათვის და რატომ უნდა შევუმსუბუქო მდგომარეობა?

ლილიმ იცოდა, რომ არსებობს ქცევის კოდექსი, რომლის მეშვიდე მუხლი (იქნებ მართლაც) ღაღადებს, რომ დედათა ვალია, რა პროფესიისაც არ უნდა იყვნენ ისინი, გამოესარჩლონ მათ პირისპირ მჯდომ მამაკაცს, რათა მან შეძლოს საკუთარი თავის გამოხატვა და დააცხროს პატივმოყვარეობით, თვითდამკვიდრების დაუოკებელი სურვილით ანთებული თეძოს ძვლები და ნეკნები; რადგან მართლაცდა, განა სწორედ მამათა ვალი არ არის, გაუელვა გონებაში მისთვის ჩვეული შინაბერული სამართლიანობით, დაგვიხსნან, მაგალითად, თუ მეტროში ხანძარი გაჩნდა. და მაშინ ხომ, გაიფიქრა მან, მისტერ ტენსლი უეჭველად მოვა ჩემს დასახსნელად და ცეცხლმოდებული ვაგონიდან დამიხსნის. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ არც მე და არც ის არ ვიზამთ ამას? ასე რომ, ლილი იჯდა და ეღიმებოდა.

„ლილი, შენ შუქურაზე წასვლას ხომ არ გეგმავ?" ჰკითხა მისიზ რემზიმ. „გახსოვს, საბრალო მისტერ ლენგლი; დედამიწის გარშემო უთვალავჯერ იმოგზაურა, მაგრამ მითხრა, არასოდეს ისე არ გავწამებულვარ, როგორც თქვენს მეუღლესთან ერთად შუქურაზე ლაშქრობისასო. თქვენ როგორ იტანთ ზღვით მოგზაურობას, მისტერ ტენსლი?", ჰკითხა მისიზ რემზიმ.

მისტერ ტენსლიმ ჩაქუჩი შემართა: ძალიან მაღლა ასწია; მაგრამ, როდესაც ძირს უშვებდა, მიხვდა, სრულიად შეუფერებელი იარაღით აპირებდა პეპლის მოკვლას, და განაცხადა, გული ცხოვრებაში არ ამრევიაო. მაგრამ ამ ერთ წინადადებაში, როგორც დენთით დატენილ კასრში, იმალებოდა აზრი, რომ ბაბუამისი მეთევზე იყო; მამამისი კი აფთიაქარი; რომ მან გზა თავად, მარტომ გაიკვლია ცხოვრებაში; რომ ამით ამაყობს; რომ ისჩარლზ ტენსლია, ფაქტი, რომელსაც, ეტყობა, აქ ვერავინ აფასებს; თუმცა სულ მალე, შესაძლოა, სულ რამდენიმე დღეშიც კი, ყოველი მათგანი შეიტყობს ამას. კოპებშეკრული მიშტერებოდა სივრცეს პირდაპირ. ლამის სიბრალულით განიმსჭვალოს ამ საცოდავი გაწვრთნილი ადამიანების მიმართ, რომლებიც სულ რამდენიმე დღეში, მატყლის გორგლებივით და ვაშლის კასრებივით ავარდებიან ცაში იმ დენთის აფეთქების შედეგად, რომლითაც ისაა სავსე.

„მეც ხომ არ წამიყვანთ თან, მისტერ ტენსლი?", სხარტად და თავაზიანად ჰკითხა ლილი ბრისკომ, რადგან იცოდა, რაკი მისიზ რემზიმ მას უთხრა, და მართლაც ასე იყო, „ვიძირები, საყვარელო, ცეცხლის ზღვაში, და თუ შენ არ მომაშველებ ამ განსაცდელში რამე სალბუნს ახლავე, და თუ რამე სასიამოვნოს არ ეტყვი აი, ამ კაცს, პირდაპირ რომ გიზის, ჩემი ცხოვრება მეჩეჩებში გაჩხერილ გემს დაემსგავსება – აი, მესმის ნგრევის, ღრჭიალის, გრუხუნის ხმები და ნერვები ვიოლინოს სიმებივითა მაქვს დაჭიმული. ოდნავი შეხებაც საკმარისია, რომ ყველა სიმი ერთბაშად გაწყდეს", – და როცა მისიზ რემზიმ ეს ყველაფერი თვალებით უთხრა, უკვე ალბათ ასორმოცდამეათედ, ლილი ბრისკო იძულებული გახდა, უარი ეთქვა ექსპერიმენტზე, ანუ იმაზე, თუ რა მოხდება, თუ ერთი ჩვენგანი არ გამოიჩენს სათანადო გულისხმიერებას იმ ახალგაზრდა კაცის მიმართო, და უცებ კეთილი გახდა.

მისტერ ტენსლიმ სწორად შეაფასა ლილის ამჟამინდელი განწყობა – ანუ ის, რომ ახლა მართლა გულთბილად მიმართავდა – ეგოიზმი უკუაგდო და უამბო, როგორ გადააგდეს ზღვაში ნავიდან, როცა პატარა ბიჭი იყო; და როგორ ამოიყვანა მამამისმა წყლიდან ნავის კაუჭით; აი, როგორ ისწავლა ცურვა. მისი ერთ-ერთი ბიძა თურმე შოტლანდიის სანაპიროსთან შუქურას სდარაჯობდა, და ერთხელ მასთან ერთად აღმოჩნდა შუქურაზე ქარიშხლის დროს. ეს ხმამაღლა თქვა, როცა პაუზა ჩამოვარდა. მათ აუცილებლად უნდა მოესმინათ მისი მონათხრობი, როგორ წავიდა და დარჩა შუქურაზე ბიძასთან ერთად ქარბუქის დროს. აი, გაიფიქრა ლილი ბრისკომ, როცა საუბარი ასე სასიკეთოდ შემობრუნდა და როცა მისიზ რემზის მადლიერება იგრძნო (რადგან მისიზ რემზის ახლა შეეძლო მშვიდად ელაპარაკა), ხედავთ, როგორ მოვიქაჩლე თავი თქვენთვის რომ მესიამოვნებინაო. თუმცა ლილი არ იყო გულწრფელი.

ეს ლილის ჩვეულებრივი ოინი იყო – უბრალოდ კარგად მოიქცა. ის ვერასოდეს გაიცნობს მისტერ ტენსლის. და ვერც მისტერ ტენსლი გაიცნობს ლილის ბოლომდე. ყველა ადამიანური ურთიერთობა ასეთია, ფიქრობდა ლილი და ყველაზე უარესი (თუ მისტერ ბენქსს არ ჩავთვლით) მათში მამაკაცის და ქალის ურთიერთობაა. ქალი და მამაკაცი უკიდურესად არაგულწრფელები არიან ერთმანეთის მიმართ. მერე თვალი მოჰკრა სამარილეს, რომელიც ისე მოათავსა, რომ გახსენებოდა, და გაახსენდა კიდეც, რომ ხვალ დილით, ტილოზე ხე უფრო ღრმად უნდა შესწიოს ცენტრისკენ, და ისეთი სიხარული მოჰგვარა ფიქრმა, რომ ხვალ დახატავს, რომ ხმამაღლა გაეცინა მისტერ ტენსლის ნათქვამზე. თუ ასე უნდა, მთელი ღამე ილაპარაკოსო, გაიფიქრა. „კი მაგრამ, რამდენ ხანს რთავენ ადამიანს შუქურაზე დარჩენის ნებას?", იკითხა მან. და მისტერ ტენსლიმ უპასუხა. ეეს საქმე კარგად იცოდა. და რაკი მადლიერი იყო, და რაკი მას ლილი მოსწონდა, და რაკი ის უკვე კარგად გრძნობდა თავს და საუბრით ერთობოდა, მისიზ რემზიმ გაიფიქრა, ახლა შემიძლია ჩემს ნებაზე დავბრუნდე წარსულში, იმ საოცნებო მიწაზე, იმ არაამქვეყნიურ, მაგრამ მომხიბვლელ ადგილზე, მენინგების მისაღებ ოთახში, ოცი წლის წინათ; სადაც ადამიანი ასე მშვიდად გრძნობდა თავს, არც არსად ეჩქარებოდა, არც ფორიაქობდა, რადგან არაფერი ჰქონდა საღელვი. მისიზ რემზიმ იცოდა, რა დაემართათ მათ, და რა დაემართა თვითონ. ეს საყვარელი წიგნის ხელახლა წაკითხვას ჰგავდა, რადგან იცოდა ამბის დასასრული, რადგან ეს ოცი წლის წინათ მოხდა, და ცხოვრება, რომელიც ამ მისაღები ოთახიდანაც კი ჩანჩქერივით ჩქეფდა სადღაც, უფალმა უწყის სად, იქ იყო დაგმანული, და იდო, როგორც ტბა, გარინდული ნაპირებს შუა. მან თქვა, ბილიარდის ოთახს აშენებენო – ნუთუ მართალია? რატომ არ უნდა უილიამს მენინგებზე საუბრის განვრცობა? მისიზ რემზის უნდოდა ამაზე ლაპარაკი. მაგრამ არა – რატომღაც, მისტერ ბენქსი აღარ იყო განწყობილი სასაუბროდ. მისიზ რემზი შეეცადა. მან კი არ უპასუხა. ხომ ვერ აიძულებდა. იმედი გაუცრუვდა.

„რა უზნეოდ იქცევიან ბავშვები", თქვა მან და ამოიოხრა. მისტერ ტენსლიმ რაღაც თქვა პუნქტუალობაზე, რომ ეს ერთი იმ მცირე ღირსებათაგანია, რომელსაც მხოლოდ ზრდასრულ ასაკში ვეუფლებითო.

„თუკი საერთოდ ვეუფლებით", თქვა მისიზ რემზიმ უბრალოდ, რომ რამე ეთქვა, რომ სიცარიელე შეევსო; თან ფიქრობდა, რა შინაბერასავით თავდაჭერილი ხდება უილიამი თანდათანო. უილიამი კი აცნობიერებდა თავის ღალატს, აცნობიერებდა, რომ მისიზ რემზის რამე უფრო ინტიმურზე სურდა მასთან საუბარი, და მაინც, რაკი აღარ იყო განწყობაზე, გრძნობდა, როგორ მოერია ცხოვრებით უკმაყოფილების გრძნობა, ვიდრე უაზროდ იჯდა იქ და იცდიდა. იქნება სხვები რამე საინტერესოს ამბობენ? რაზე ლაპარაკობენ?

იმაზე, რომ სათევზაო სეზონი გაფუჭდა და რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ტოვებენ იქაურობას. ის ახალგაზრდა მთავრობას ლანძღავდა. უილიამ ბენქსმა გაიფიქრა, ალბათ როგორი შვებაა ასეთ საუბარში ჩართვა კაცისთვის, რომელსაც პირად ცხოვრებაში არ უმართლებსო, და გაიგონა, როგორ თქვა მოსაუბრემ, „ეს მოქმედი მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური გადაწყვეტილებაა". ლილიუსმენდა; მისიზ რემზი უსმენდა; ყველანი უსმენდნენ. მაგრამ ლილიმ, რომელსაც უკვე მოსწყინდა, იგრძნო, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე. მისიზ რემზიმაც, რომელმაც შალი მოიგდო მხრებზე, იგრძნო, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე. ყველანი მოსაუბრისკენ მიბრუნებულიყვნენ, უსმენდნენ და ფიქრობდნენ, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ შემატყოს, რასაც გულში ვფიქრობო, რადგან ყოველი მათგანი ფიქრობდა, „ყველა ეთანხმება. განრისხებულები და აღშფოთებულები არიან მთავრობის დამოკიდებულების გამო მეთევზეების მიმართ. მაშინ, როცა მე არაფერს ვგრძნობ". მაგრამ იქნებ გაიფიქრა მისტერ ბენქსმა, როცა მისტერ ტენსლის შეხედა, იქნებ სწორედ ესაა ის კაცი. ჩვენ ხომ ყოველთვის ველით, რომ გამოჩნდება ვინმე. და ყოველთვის არსებობს ამისი შანსი. ნებისმიერ წამს შეიძლება ლიდერი დაიბადოს; გენიალური მოაზროვნე, როგორც პოლიტიკაში, ისე ნებისმიერ სფეროში. სავარაუდოდ, ის ჩვენ, ჩამორჩენილ, ძველმოდურ ხალხს ალბათ სულაც არ მოგვეწონებაო, ფიქრობდა და ცდილობდა, ყველაფერი გაეთვალისწინებინა და ობიექტური ყოფილიყო, რადგან ტანმა უგრძნო უცნაურად, ნერვები დაეჭიმა ხერხემალში და მიხვდა, რომ ეჭვიანობდა, ერთი მხრივ, ამ კაცის შურდა, მეორე მხრივ, მისი ნაშრომების, მისი პოზიციის და სამეცნიერო მოღვაწეობისა; და რაკი ასე იყო, ვერ იქნებოდა სრულიად მიუკერძოებელი და ბოლომდე სამართლიანი შემფასებელი, რადგან მისტერ ტენსლი თითქოს ეუბნებოდა, „თქვენ თქვენი ცხოვრება ფუჭად გაფლანგეთ. და თქვენ ყველანი, ყველანი ცდებით. თქვე საცოდავებო, ვერ ხედავთ, როგორ ჩამორჩით დროებას?". საოცრად თავდაჯერებულად, ყოყოჩურად ლაპარაკობდა ეს ახალგაზრდა; თან მანერებიც არ უვარგოდა. თუმცა მისტერ ბენქსმა მაინც აღიარა, რომ ის გაბედულია; უნარიანი; და საოცრად ჩახედული ფაქტებში. და ალბათ, ფიქრობდა მისტერ ბენქსი, როცა ტენსლი მთავრობის ლანძღვას შეუდგა, მის ნათქვამში ბევრი სიმართლეცაა.

„თუ შეიძლება, ერთი მითხარით...", თქვა მან. და ასე გააბეს ლაპარკი პოლიტიკაზე და ლილი სუფრაზე გამოსახულ ფოთოლს დასცქეროდა; ხოლო მისიზ რემზიმ მსჯელობა მთლიანად მამაკაცებს მიანდო და დაფიქრდა, ნეტავი რატომ მეჩვენება ეს საუბარი ასე მოსაწყენიო, და ინატრა, როცა ქმარს გახედა, სუფრის მეორე ბოლოში მჯდომს, ნეტავი რამეს იტყოდეს. თუნდაც ერთ სიტყვასო, ფიქრობდა გულში. რადგან იცოდა, საკმარისი იყო თუნდაც ერთი სიტყვა ჩაეგდო საუბარში, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა. მას მოვლენების არსში წვდომა შეეძლო. მეზღვაურების ბედი და მათი ჯამაგირიც

ძალიან აღელვებდა. ღამეებს ათენებდა მათზე ფიქრში. და საკმარისია, ხმა ამოიღოს, რომ ყველაფერი შეიცვლება; უკვე აღარავინ იფიქრებს, ღმერთმა არ ქნას, შემამჩნიონ, რამდენად არ მაღელვებს ეს თემაო, რადგან ყველაფერი საინტერესო გახდება. მერე კი მიხვდა, იმიტომ მინდა,ლაპარაკი წამოიწყოს, რომ ასე ვარ მისით აღტაცებულიო, და მოეჩვენა, თითქოს ვიღაცა აქებდა მის ქმარს და მათ ოჯახს და უცებ ერთიანად წამოენთო, ისე, რომ ვერც კი მიხვდა, რომ სწორედ თავად აქებდა ფიქრში ქმარს. მისიზ რემზი დააკვირდა მეუღლეს, სურდა, თავისი ფიქრის დასტური ქმრის სახეზე ამოეკითხა; ალბათ დიდებულად გამოიყურებაო... მაგრამ, ნურას უკაცრავად! მისტერ რემზის სახე ალეწვოდა, საშინლად დაემანჭა, უკმაყოფილო, დაბღვერილი და გაბრაზებული იჯდა. ნეტავი რა დაემართა? გაუკვირდა მისიზ რემზის. რა მოხდა ასეთი? ის, რომ საწყალმა ბებერმა ოგასტასმა კიდევ ერთი მათლაფა წვნიანი მოითხოვა? – მეტი არაფერი. გაუგონარია, რა გულის ამრევი საქციელია (ამას ანიშნებდა ცოლს სუფრის მოპირისპირე მხრიდან ქმრის სახე), რომ ოგასტასი ხელახლა იწყებს წვნიანის ჭამას. ვერ იტანდა, როცა ადამიანები მას შემდეგ იწყებდნენ ჭამას, როცა თავად დაამთავრებდა. მისიზ რემზიმ დაინახა, როგორ გაურბინა მწევარი ძაღლების გუნდივით მრისხანებამ თვალებში, კოპებშეკრულ სახეზე, და მიხვდა – ერთი წამიც და, დაგროვილი სიფიცხე იფეთქებსო, და მაშინ ხომ – მაგრამ, მადლობა ღმერთს! დაინახა, როგორ მოთოკა თავი, როგორ ჩააფრინდა მუხრუჭს, და მთელმა მისმა სხეულმა თითქოს ნაპერწკლები ამოაფრქვია, ოღონდ სიტყვები არა. იჯდა იქ და იბღვირებოდა. არაფერი უთქვამს, და უნდოდა, რომ ცოლს ეს შეენიშნა. დაე, დააფასოს მისი თავშეკავება! მაგრამ მითხარით ერთი, რატომ არ შეიძლება საბრალო ოგასტასმა კიდევ ერთი მათლაფა წვნიანი მოითხოვოს? მისტერ ტენსლიმ ელენს ნაზად შეახო ხელი და უთხრა:

„ელენ, თუ შეიძლება, კიდევ ერთი მათლაფა წვნიანი მომიტანეთ", რამაც მისტერ რემზი ასე გააბრაზა.

არა, მაინც რატომ არა? აღშფოთებული ფიქრობდა მისიზ რემზი. ვითომ რატომ არ შეიძლება მეორე მათლაფა წვნიანს შეექცეს, თუკი ასე უნდა? მისტერ რემზიმ ამრეზით გამოხედა ცოლს იმის ხაზგასასმელად, როგორ ვერ იტანს ადამიანებს, რომლებიც არა და არ ამთავრებენ ჭამას. დროში გაწელილი, როგორც დღევანდელი სადილი, მას ყველაფერი სძულდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქმრის საქციელი ამაზრზენი ეჩვენა, მისიზ რემზის ისიც უნდა ეღიარებინა, რომ მან თავი მოითოკა და საჯაროდ არ გამოუხატავს გაღიზიანება. მაგრამ ნეტა რა საჭიროა ამის ასე აშკარად გამოხატვა, ვერ ისვენებდა მისიზ რემზი (ცოლ-ქმარი ერთმანეთს უსიტყვოდ, თვალებით ელაპარაკებოდა სუფრის ერთი ბოლოდან მეორეში, და თითოეულმა ზუსტად იცოდა, რას გრძნობდა მეორე). ამას ხომ ყველა ხედავს, ფიქრობდა მისიზ რემზი. აი როუზი, მამამისს მისჩერებია, აგე, როჯერიც მამას უყურებს; მისიზ რემზიმ იცოდა, ერთი წამიც და, ორივე თავშეუკავებლად ახარხარდებოდა, ამიტომ აღარ დააყოვნა და თქვა (მართლაც სულზე მიუსწრო):

„ბავშვებო, დაანთეთ სანთლები", და უცებ ყველანი წამოფრინდნენ ადგილებიდან, კარადას მისცვივდნენ და აფუსფუსდნენ.

ნუთუ არ შეუძლია გრძნობების დამალვა? გაკვირვებული ფიქრობდა მისიზ რემზი და დაინტერესდა, ხომ არ შენიშნა ეს ოგასტას კარმაიკლმა. იქნებ შენიშნა კიდეც; იქნებ არა. შეუძლებელია, პატივისცემა არ გაგჩენოდათ იმის შემხედვარეს, თუ როგორ ეჭირა თავი, როცა იჯდა და თავის წვნიანს შეექცეოდა. თუ მოუნდებოდა, მოითხოვდა წვნიანის დამატებას. მისთვის სულერთი იყო, დასცინებდა ვინმე ამის გამო თუ გაბრაზდებოდა – ის მაინც ისე მოიქცეოდა, როგორც სურდა. მისიზ რემზიმ იცოდა, რომ მისტერ ტენსლის არ მოსწონდა ის; მაგრამ ამის გამო შეიძლება კიდევ უფრო მეტად სცემდა პატივს, და როცა ახლა შეხედა და დაინახა, როგორ შეექცეოდა წვნიანს, რამხელა და რა მშვიდი ჩანდა ჩამავალი მზის სხივებში, თან შთამბეჭდავი, თან ფიქრებში ჩაძირული, დაინტერესდა, ნეტა ახლა რას გრძნობს და რატომაა ყოველთვის ასეთი კმაყოფილი და თავმომწონეო; მერე გაახსენდა, როგორ იყო ენდრიუს მიჯაჭვული, და როგორ შეიპატიჟებდა ხოლმე თავის ოთახში, ენდრიუ კი ამბობდა, უნდა, რომ რაღაცა დამათვალიერებინოსო. და მერე მთელ დღეს ბალახზე წამოწოლილი ატარებდა და ალბათ გონებაში ლექსებს თხზავდა, სანამ კატას არ შენიშნავდა და არ შეახსენებდა ვინმეს, კატა ჩიტებს ჩაუსაფრდაო; ხანაც უშნო ხელებს ერთმანეთს შემოჰკრავდა, თუ საჭირო სიტყვას მიაგნებდა, და მისტერ რემზი იტყოდა ხოლმე, საწყალი ოგასტასი, ნამდვილი პოეტიაო, რაც მისი მხრიდან დიდი შექების ტოლფასი იყო.

და აი, რვა სანთელი დაიდგა მაგიდაზე, სანთლები თავიდან მოიბუზნენ, და მერე ალმა იფეთქა, გაიჭიმა და მკაფიოდ გამოკვეთა გრძელი მაგიდა და მაგიდის შუაში ხილით სავსე ყვითელ-იასამნისფერი ხილის ლანგარი. ერთი ამას უყურეთ, რა შეუქმნიაო, გაუკვირდა მისიზ რემზის, რადგან როუზს ისე განელაგებინა ყურძენი და მსხლები, რქასავით წაგრძელებული მოვარდისფრო, ნიჟარების მსგავსი მსხლები, ბანანების ასხმა, რომ მათი შემხედვარე მისიზ რემზი ფიქრებმა გაიტაცა და ზღვის ფსკერიდან მოპოვებული ნადავლი, ნეპტუნის ნადიმის სუფრა, ყურძნის ფოთლებით შემკული ყურძნის მტევანი მოაგონა, ბახუსსრომ აყრია ხოლმე მხრებზე (რომელიღაც სურათზე), ლეოპარდის ტყავი და წითლად და ოქროსფრად მოელვარე ჩირაღდნები მოაგონა... და ასე, უცაბედად, სინათლის გულზე გასხივოსნებული ლანგარი უზომოდ დიდი და ღრმა გამოჩნდა, როგორც სამყარო, რომელშიც შეიძლება მოგინდეს, გუნდი შეკრიბო და აღმა მთების დასალაშქრად გაეშურო, მერე კი დაღმა ხეობებისკენ დაეშვა, და მისდა გასახარად (რაკი წამიერად მათ შორის ურთიერთგაგება დამყარდა), შენიშნა, რომ ოგასტასიც ზუსტად მასავით ჭამდა თვალებით იმავე ხილის ლანგარს; აქ ჩაყვინთა, იქ ყვავილი მოწყვიტა, ბილილებს დასწვდა, გული იჯერა და ისევ თავის სკას მიუბრუნდა. მისტერ ტენსლი ასე, მისიზ რემზისგან განსხვავებულად ხედავდა ამას. მაგრამ იმის გამო, რომ ერთდროულად დაინტერესდნენ ლანგრით, წამიერად თანაგრძნობით განიმსჭვალნენ ერთმანეთის მიმართ.

აი, ყველა სანთელი აინთო და მაგიდის ორივე მხარეს მსხდომი ადამიანების სახეები სანთლის შუქმა ერთმანეთს დაუახლოვა, ყველას მშვიდი და თავშეკავებული იერი შესძინა, რადგან ბინდი გაიფანტა და ერთ გუნდად შეიკრნენ სუფრის გარშემო, რადგან ფანჯრის მინებმა გზა ჩაუკეტეს ღამის წყვდიადს, რომელიც სულაც არ აპირებდა გარე სამყაროს სრულყოფილი სურათის არეკვლას და ისეთი უცნაური ჭავლი მოჰფინა ყველაფერს, რომ ჭერქვეშ, ოთახში მსხდომთ მოეჩვენათ, აქ სრული წესრიგი სუფევს და

სამშვიდობოს გამოვედით ხმელეთზეო; ხოლო იქ, გარეთ, ხან ჩნდებოდა, ხანაც ქრებოდა ტალღასავით მერყევი, წვიმიანი სამყაროს ანარეკლი.

და უმალ, ყველამ ერთგვარი ცვლილება იგრძნო, თითქოს ეს სინამდვილეში მომხდარიყოს და თითქოს ყველანი აცნობიერებდნენ, რომ წვეულებას მართავდნენ დაბლობზე, კუნძულზე; და ყველანი ერთი მოტივით, ერთი სულისკვეთებით იყვნენ შეკრულნი ფანჯრებს მიღმა დარჩენილი მდინარების წინააღმდეგ. მისიზ რემზიმ, რომელიც დაძაბული ელოდა პოლის და მინტას გამოჩენას და აცნობიერებდა, რომ გულისყური სხვა მხარეს ჰქონდა მიმართული, ახლა იგრძნო, როგორ შეიცვალა მოუსვენრობა მოლოდინით. რადგან გრძნობდა, სადაცაა შემოვიდოდნენ და ლილი ბრისკომ, რომელიც ცდილობდა, ამ მოულოდნელი გამოცოცხლების მიზეზი ამოეცნო, ეს მდგომარეობა ჩოგბურთის თამაშის პროცესში იმ წამს შეადარა, როცა სიმძიმე უეცრად ქრება და შეიგრძნობ უშველებელ სივრცეს, ადამიანებს ერთმანეთისგან რომ აშორებს; და ახლა, მრავალი სანთლის ერთდროულმა ნათებამ ამ ავეჯით გადაუტვირთავ, უფარდებო მრავალფანჯრიან ოთახში, ზუსტად ასეთივე ზემოქმედება იქონია და სანთლის შუქზე ადამიანების სახეებს ნიღბისებური იერი დაედოთ. თითქოს ყველას რაღაც ტვირთი მოეხსნა; და მან იგრძნო, რომ ნებისმიერი რამ შეიძლება მომხდარიყო. აი, ახლა კი, უნდა შემოვიდნენ, გაიფიქრა მისიზ რემზიმ, ოთახის კარს გახედა და სწორედ იმწამს, მინტა დოილი, პოლ რეილი და ვეება ქოთნით ხელდამშვენებული მოახლე ერთდროულად შემოვიდნენ ოთახში. ჰოო, ჩვენ საშინლად დავიგვიანეთო, თქვა მინტამ, როცა მან და პოლმა გზა გაიკვლიეს მაგიდის საწინააღმდეგო მხარეებისკენ.

„ბებიას ბროში დავკარგე – ბებიას ბროში", თქვა მინტამ ოდნავ მგლოვიარე ხმით და დიდ თაფლისფერ თვალებში ცრემლი ჩაუდგა. თვალს ხან დაბლა ხრიდა, ხან მაღლა აიხედავდა, როცა მისტერ რემზის გვერდითჯდებოდა, რამაც მისტერ რემზი რაინდულ განწყობაზე დააყენა და მინტას შეხუმრება დაუწყო.

„რა დაგემართა, ბატი ხომ არა ხარ", ჰკითხა მან, „ძვირფასი სამკაულებით მორთული კლდეებზე საძრომიალოდ რომ დადიხარ?".

მინტას ცოტა არ იყოს აფრთხობდა მისტერ რემზი — ის ხომ შემაშფოთებლად ჭკვიანი იყო და პირველ საღამოს, როცა მის გვერდით იჯდა და მისტერ რემზი ჯორჯ ელიოტზე ლაპარაკობდა, მართლა ძალიან დაფრთხა, იმიტომ, რომ მატარებელში დარჩა „მიდლმარჩის" პირველი ტომი და წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ მთავრდებოდა ნაწარმოები; მაგრამ მერე მშვე-ნივრად მოერგო ვითარებას, თავს ისე აჩვენებდა, ვითომ იმაზე უმეცარი იყო, ვიდრე სინამდვილეში, რადგან მისტერ რემზის უყვარდა ხოლმე თქმა, შტერი ხარო. ასე რომ, ამ საღამოს, როგორც კი ოთახში შევიდა და მისტერ რემზიმ დასცინა, მინტას არ შეშინებია. თანაც, შემოსვლისთანავე იგრძნო, რომ სასწაული მოხდა; თავზე ოქროსფერი ბინდი ადგა. ხანდახან მართლა ასე ხდებოდა, ხანდახან – არა. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, ან რატომ ჩნდებოდა, ან რატომ ქრებოდა ხოლმე ის. და არც ის იცოდა, ჰქონდა თუ არა ასეთი რამ, როცა ოთახში შემოდიოდა, სანამ რომელიღაც მამაკაცი არ შეხედავდა. დიახ, ამ საღამოს ოქროსფერი ბინდი ნადვილად ახლდა, თან უჩვეულოდ მკვეთრი; ამას მაშინ მიხვდა, როცა დაინახა, როგორ უყურებდა

მისტერ რემზი, როცა ეუბნებოდა, შტერი ხარო. და მინტას გაეღიმა და გვერდით მიუჯდა.

მაშ მოსახდენი მომხდარა, გაიფიქრა მისიზ რემზიმ; ეტყობა, დაინიშნნენ. და წამით იგრძნო ის, რასაც, ეგონა, ვეღარასოდეს იგრძნობდა ცხოვრებაში – ეჭვიანობა. ეს იმიტომ, რომ მანაც – მისმა ქმარმაც, დაინახა მინტას ერთგვარი ნათება; მას მოსწონდა ასეთი გოგონები, მოოქროსფრო-მოწითურო, სულ რომ მიქრი-მოქრიან, ლაღები და მოუსვენრები, „ტვინს რომ არიჭყლეტენ", როგორც ლილი ბრისკოზე ამბობდა ხოლმე, და არ არიან „შებოჭილები". მინტას ჰქონდა ის თვისება, ის ელვარება, ის სიმსუყე, რაც მას ხიბლავდა, ართობდა და რის გამოც მინტასნაირ გოგონებს თავის რჩეულებად აქცევდა ხოლმე. მათ ნება ჰქონდათ, მისთვის თმა გაეკრიჭათ, მაჯის საათის სამაჯური დაეწნათ, ან მუშაობა გაეწყვიტინებინათ, როცა მოულოდნელად დაუძახებდნენ (არაერთხელ გაუგონია), „წამოდით, მისტერ რემზი, ახლა ჩვენი მოგების ჯერია!" და ისიც, ჩოგბურთის ჩოგნით ხელში, მართლაც გადიოდა გარეთ.

ოღონდ, რა თქმა უნდა, მართლა კი არ ეჭვიანობდა, მარტო დროდადრო, როცა სარკეში ჩაიხედავდა და აიმრიზებოდა ხოლმე იმის გამო, რომ დაბერდა, და ალბათ ესეც მისი ბრალია (სათბურის მშენებლობის ფული და კიდევ ათასი სხვა რამ). და მადლიერი იყო მათი, რომ ეხუმრებოდნენ მის ქმარს („აბა, რამდენჯერ გააბოლეთ ჩიბუხი დღეს, მისტერ რემზი?" და ასე შემდეგ), და ასე გრძელდებოდა, ვიდრე ისევ იმ ახალგაზრდა კაცად არ გადაიქცეოდა, ასე რომ იზიდავდა ოდესღაც ქალებს; და თითქოს აღარ იყო დამძიმებული, გადატვირთული შრომით და ჯაფით და ამქვეყნიური დარდით და საკუთარი დიდებით თუ მარცხით, არამედ ისევ ისეთი იყო, როგორიც, როცა პირველად ნახა – უჟმური, მაგრამ გალანტური; ხელს რომ უწვდიდა ნავიდან გადმოსვლისას, ასეთი ახსოვდა; აი, ასეთი მშვენიერი მანერებით (ქმარს გახედა, გასაოცრად ახალგაზრდა ეჩვენა ახლა, მინტას რომ აჯავრებდა). თავად კი – „აი, იქ ჩამოდე", შეეშველა შვეიცარიელ მოახლეს უშველებელი ყავისფერი ქოთნის დადგმაში, რომლითაც სახელგანთქმული ბოეუფ ენ დაუბე შემოიტანეს; თავად კი ეს უბირი ჩერჩეტები ერჩივნა. პოლი მის გვერდით უნდა დაჯდეს. ადგილი შეუნახა. მართლაც, ზოგჯერ ეჩვენება, რომ ბევრად ურჩევნია ეს უბირი ადამიანები. დისერტაციებზე დაუსრულებელი ლაპარაკით მაინც არ აბეზრებენ თავს. და მართლაც, რამდენი რამე აკლიათ ამ უზომოდ ჭკვიან ტვინის კოლოფებს! და როგორი გამოფიტულები და უინტერესოები ხდებიან ბოლოს. პოლს კი აშკარად რაღაც განსაკუთრებული ხიბლი აქვს. ძალიან მოსწონდა მისი მანერები, მისი თხელი, გამოკვეთილი ცხვირის ფორმა და ღია ცისფერი თვალები. წარმოუდგენლად ყურადღებიანია. იქნებ ახლა მაინც უთხრას – ახლა ხომ ყველამ ისევ განაახლა საუბარი – რა მოხდა?

„ჩვენ მინტას ბროშის საძებრად დავბრუნდით", თქვა პოლმა და გვერდით მიუჯდა. „ჩვენ", – ეს უკვე მრავლისმთქმელია. მისიზ რემზიმ იგრძნო ძალისხმევა, რომელსაც პოლმა ხმის ასაწევად მოუხმო და ძლივს ეს სიტყვა გამოათქმევინა, სიტყვა; ის ხომ პირველად ამბობდა ამ სიტყვას – „ჩვენ". „ჩვენ ეს ვქენით, ჩვენ ის ვქენით". და ამიერიდან მთელი ცხოვრება ამას იტყვიან ხოლმე, გაიფიქრა და საუცხოო სურნელი იგრძნო ვეება ყავისფერი ქოთნიდან, რომელსაც მართამ, ცოტა არ იყოს პომპეზურად, თავსახური

მოხადა. მზარეულმა სამი დღე მოანდომა ამ კერძის მომზადებას, ახლა კი, გაიფიქრა მისიზ რემზიმ, დიდი გულისყურით უნდა ჩაყოს კოვზი ამ ნაზ რბილობში და განსაკუთრებით ნაზი ნაჭერი შეურჩიოს უილიამ ბენქსს. ჩაიჭყიტა თასაში, დაინახა ლაპლაპაკედლებიანი ჭურჭელი ყავისფერი და ყვითელი ხორცის ნაჭრებით და დაფნის ფოთლებით და ღვინითა და სანელებლებით გაჯერებული, და გაიფიქრა, აი, ამ ღირსშესანიშნავი ამბის აღნიშვნაც გამომივიდაო – და უცნაური გრძნობა შემოაწვა, ერთდროულად ანცობის და სიფაქიზის, დღესასწაულის აღნიშვნისას რომ გვეუფლება, თითქოს ორმა გრძნობამ გაიღვიძა მასში, ერთი უაღრესად ღრმა და დამაფიქრებელი იყო – აბა, რა უნდა იყოს ქალის მიმართ მამაკაცის სიყვარულზე უფრო სერიოზული, ანდა რა უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი,უფრო შთამბეჭდავი, სიკვდილის თესლის მატარებელი თავის წიაღში; და ამავე დროს, ამ ორ შეყვარებულს, ილუზიებით სავსე ანთებულთვალებიან ამ ორ ადამიანს, წესით გირლანდებით უნდა ამკობდნენ და მხიარულ დავლურს უვლიდნენ გარშემო.

„ეს ნამდვილი გამარჯვებაა", თქვა მისტერ ბენქსმა და წამით დადო ჩანგალი. ის ყურადღებით შეექცეოდა საჭმელს. გემო – მდიდარი, ნაზი. უბადლოდ შეზავებული. როგორ ახერხებთ ასეთი რამის მომზადებას ამ მიყრუებულ სოფელში? ჰკითხა მან მისიზ რემზის. დიდებული ქალია. მთელი მისი გრძნობა, სიყვარული და თაყვანისცემა უმალ დაბრუნდა; და მისიზ რემზიმ ეს იგრძნო.

„ბებიაჩემის ძველისძველი რეცეპტია", მიუგო მისიზ რემზიმ და მის ხმაში დიდი სიამოვნების ზარმა დარეკა. რა თქმა უნდა, რეცეპტი ფრანგულია. „ის, რაც ინგლისურ კერძებად ითვლება, მართლაც აუტანელია (ყველა დაეთანხმა). საზამთროდ კომბოსტოს ინახავენ; ხორცს იმდენ ხანს წვავენ, სანამ ტყავივით არ გამოშრება. ბოსტნეულს უგემრიელეს ქერქს აცლიან". „და არ იციან, შენიშნა მისტერ ბენქსმა, „რომ სწორედ კანშია ბოსტნეულის მთელი სარგებლობა". და თან რამხელა უყაირათობაა, დასძინა მისიზ რემზიმ. საფრანგეთში მთელი ოჯახი შეინახავდა თავს იმით, რასაც ინგლისელი დიასახლისი ყრის. და იმ შეგნებით წაქეზებულმა, რომ დაიბრუნა უილიამის კეთილგანწყობა, დარომ ყველაფერი ისევ კარგადაა, და რომ მისი დაძაბული მოლოდინი დასრულდა, და რომ ახლა თავისუფლად შეეძლო ეზეიმა და ეხუმრა კიდეც, მისიზ რემზიმ გაიცინა და საუბრისას გამომსახველად იშველიებდა ხელებს, და მაშინ ლილიმ გაიფიქრა, დახეთ ერთი, რა ბავშვური, რა ანცი და არასერიოზული შეიძლება იყოს ეს ქალი, ზის აქ და მთელი მისი სილამაზე და ხიბლი ისევ ძველებურად გაიფურჩქნა და ლაღად საუბრობს ბოსტნეულის კანზეო. იყო მასში რაღაც შემაშფოთებელი. უზომოდ ძლიერი, რასაც ვერაფერი მოერეოდა. ყოველთვის თავისი გააქვს ბოლოს, ფიქრობდა ლილი. აი, ახლა ეს თავისი ჩანაფიქრიც წარმატებით დააგვირგვინა – პოლი და მინტა, სავსებით შესაძლებელია, დაინიშნნენ კიდეც. მისტერ ბენქსიც დაიყოლია აქ სასადილოდ. ეს ქალი ყველას აჯადოებს თავისი ნებით, თავისი სურვილით, ისე მარტივად, ისე უშუალოდ, და ლილიმ მისიზ რემზის ეს განუზომელი შესაძლებლობები თავის მწირ სულიერ შესაძლებლობებს შეუპირისპირა და ივარაუდა, რომ ეს ალბათ ნაწილობრივ იმ რწმენით იყო გამოწვეული (რადგან მისიზ რემზის სახე ერთიანად უბრწყინავდა – და მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ გამოიყურებოდა ახალგაზრდულად, სინათლეს ასხივებდა), იმ უცნაური და

შიშისმომგვრელი გრძნობით, რომელმაც მის გვერდით მჯდომი პოლ რეილი ასე აათრთოლა, ასეთი განყენებული, საკუთარ თავში ჩაღრმავებული და მდუმარე გახადა. მისიზ რემზის კი, როგორც ლილი გრძნობდა, როცა ბოსტნეულის კანზე დაიწყო ლაპარაკი, ხოტბას ასხამდა, აღტაცებული იყო ამით; ხელებით ეფოფრებოდა, რომ ცივი ნიავი არ მიჰკარებოდა, რომ დაეცვა და მაინც, რაკი თავად იყო ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი, როგორც ლილის ეჩვენებოდა, ასე მხიარულად, სიცილ-სიცილით მიუძღოდა თავის ორ მსხვერპლს საკურთხევლისკენ. და ახლა თავად ლილისაც გადაედო ეს გრძნობა – სიყვარულის მოზღვავება, სიყვარულის თრთოლა. რა საცოდავი, რა უმნიშვნელოა თავად პოლის გვერდით! პოლი – ელვარე და ანთებული, თავად კი – განზე მდგომი, გამქირდავი; პოლი – სათავგადასავლოდ შემართული; თავად კი – ხმელეთზე ღუზით მიბმული. პოლი დაუფიქრებლად ეშვება ზღვაში სამოგზაუროდ; თავად კი – მარტოხელა, მიტოვებული –მზადაა შეევედროს, რომ მისი ბედის თანაზიარი გახადოს, თუნდაც უბედურება, თუნდაც დაღუპვა ელოდეს. და ლილიმ მორცხვად თქვა:

„როდის დაკარგა მინტამ ბროში?"

პოლს სახეზე მშვენიერი, მოგონებებით შენიღბული, ოცნებით განათებული ღიმილი მოეფინა. მან თავი გააქნია, „სანაპიროზე, და მე მას ვიპოვი," თქვა მან, „ხვალ უთენია ავდგები". ოღონდ ეს მინტასგან საიდუმლოდ უნდა შევინახოთო, ხმადაბლა დასძინა და თვალი იქით გააპარა, სადაც მინტა იჯდა და იცინოდა, მისტერ რემზის გვერდით.

ლილის საოცრად მოუნდა პოლის გადაწყვეტილების გაპროტესტება, რადგან საშინლად მოუნდა დილის ბურუსში მასთან ერთად სანაპიროზე წასვლა, რომ თვითონ გამხდარიყო რომელიღაც ქვის უკან ჩამალული ბროშის მპოვნელი, და ამგვარად გამხდარიყო ამ თავგადასავლის თანაზიარი ერთი მეზღვაურთაგანი. მაგრამ დახეთ, რა პასუხი მიიღო ამ შეთავაზებაზე? მაშინ, როცა დაუფარავად გამოხატა სურვილი, რაც დიდი იშვიათობა იყო მისი მხრიდან, „მეც წამიყვანე თან", თქვა მან, პოლმა კი გაიცინა. ეს თანხმობაც იყო და უარიც – ანდა ორივე ერთად. მაგრამ საქმე ის კი არ იყო, რას გულისხმობდა ამ სიტყვებით, არამედ ის, თუ როგორ ჩაიქირქილა, თითქოს ამბობდა, რაც გინდა, ის გიქნიათ, თუ გნებავთ, კლდიდან გადამხტარხართ, ჩემთვის სულერთიაო. და პოლმა ლილის სიყვარულის სიმხურვალე, ფორიაქი, სისასტიკე, უტიფრობა შეაფრქვია სახეში. სახე აეწვა და როცა მინტას გახედა, მისტერ რემზის რომ ეკეკლუცებოდა სუფრის მეორე ბოლოში, ტკივილი იგრძნო მინტას მაგივრად იმ საფრთხის და სისასტიკის გამო, რაც მომავალში ელოდა და ღმერთს მადლობა შესწირა; რადგან, ასეა თუ ისე, როცა სამარილე დაინახა ყვავილებით მოჩითულ სუფრაზე, გაიფიქრა, მადლობა ღმერთს, რომ გათხოვება არაფერში მჭირდებაო: ის ვერ იგუებს ასეთ დაცემას. ამ დამცირებას გადაურჩება. მან ახლა ცოტათი უფრო შუისკენ უნდა გასწიოს ხე სურათზე.

ასე რთულად ესახებოდა საქმის ვითარება. ვინაიდან ის, რაც მას დაემართა, განსაკუთრებით რემზების ოჯახში სტუმრობისას, იყო ორი დაპირისპირებული განცდის ძლიერი და ერთდროული შეგრძნება; ერთი ის იყო, რასაც სხვები გრძნობდნენ; და მეორე ის, რასაც თავად გრძნობდა და მერე ეს ორი

გრძნობა იწყებდა დავას მის გონებასთან, როგორც ახლა. ეს სიყვარული ისეთი ლამაზია, ისეთი ამაღელვებელი, რომ მე ვთრთი მის წინაშე, და ვთავაზობ, რაც ჩემთვის სრულიად უცხოა, დახმარებას სანაპიროზე დაკარგული ბროშის მოსაძებნად; და ამავე დროს, ესაა ადამიანურ ვნებათაგან ყველაზე უფრო სულელური, ყველაზე ველური, დაუოკებელი ვნება და ასეთ მშვენიერ ჭაბუკსაც კი, რომელსაც ისეთი დახვეწილი პროფილი აქვს (პოლს მართლაც უბადლო პროფილი ჰქონდა), გემაზე ამოტვიფრულს რომ მოგაგონებთ, მიყრუებულ უბანში გამოსულ ძალაყინიან მოძალადედ აქცევს (ის ყოყოჩობდა, კადნიერად, უტიფრადეჭირა თავი). და მაინც, ფიქრობდა ლილი, სიყვარულს ოდებს უმღერიან უხსოვარი დროიდან; ვარდის გვირგვინებს უძღვნიან; და საკმარისია, ათ კაცს ჰკითხო აზრი, ათიდან ცხრა უეჭველად გეტყვის, რომ არაფერი სურს ამის მეტი – მხოლოდ სიყვარული; იმ დროს, როცა ქალები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აკეთებენ დასკვნას და ამბობენ, რომ გამუდმებით ეუფლებათ შეგრძნება, თითქოს „ეს ის არ არის, რაც ჩვენ გვინდოდა; არაფერია ამაზე მეტად მოსაწყენი, ამაზე უფრო ბავშვურად გულუბრყვილო, უაზრო და სასტიკი"; და მაინც, ის თან მშვენიერი და თანაც აუცილებელია. მაშ რა გამოდის, რა გამოდის? ეკითხებოდა თავს და მოელოდა, რომ რატომღაც სხვები განაგრძობდნენ ამ თემაზე მსჯელობას, როგორც მაშინ ხდება, როცა ადამიანი სადავო თემას პაწია ისარივით გატყორცნის, მაგრამ ისარი მიზანს სცდება და მერე სხვებს უტოვებს ბურთს და მოედანს. და ასე, გონებაში აწონ-დაწონა, და ყური მიუგდო, რას ამბობდნენ, იქნებ შუქი მოეფინათ სიყვარულის თემისთვის.

„და მერე", ამბობდა მისტერ ბენქსი, „ესაა სითხე, რომელსაც ინგლისელები ყავას უწოდებენ".

„ო, დიახ, ყავა!", შესძახა მისიზ რემზიმ. მაგრამ საუბარი (ლილი ხედავდა, რომ მას აშკარად ეტყობოდა მაცოცხლებელი ენერგიის მოზღვავება და დამაჯერებლად ლაპარაკობდა) ახლა სუფთა კარაქსა და საღ რძეს შეეხებოდა. აღმაფრენით და მჭევრმეტყველურად, მისიზ რემზი რძის წარმოების ინგლისური სისტემის უხარისხობაზე ლაპარაკობდა, იმაზე, თუ რა მდგომარეობაში მიჰქონდათ რძე ბინაზე, და სწორედ თავისი ბრალდებების დასაბუთებას აპირებდა, რადგან უკვე საკმაოდ ღრმად შეიჭრა თემაში, როცა სუფრის გარშემო მსხდომებმა, უკლებლივ ყველამ, შუაში მჯდომი ენდრიუთი დაწყებული, ხმელი ჯოჯოს ეკლესიებურ ბუჩქებს რომ მოედება ხოლმე ერთბაშად ალი და აშიშინდება, ისე აუტყდა ყველა მის შვილს სათითაოდ სიცილი; მისი ქმარიც იცინოდა; მოკლედ, მისიზ რემზი სიცილის ქარცეცხლში მოექცა და იძულებული გახდა, უკან დაეხია, დაეთმო ქვემეხების საცეცხლე პოზიცია და მისტერ ბენქსის წინაშე ეს გამასხარავება და აბუჩად აგდება იმის მაგალითად წარმოეჩინა, თუ რამდენის გადატანა უწევს ადამიანს, რომელიც ბედავს და ბრიტანულ საზოგადოებრივ აზრს ესხმის თავს.

თუმცა, შეგნებულად, რაკი წინასწარ ხვდებოდა, რომ ლილი, რომელმაც ერთხელ უკვე გამოიყვანა მდგომარეობიდან მისტერ ტენსლისთან დაკავშირებით შექმნილი უხერხულობისას და ახლა აშკარად სადღაც სხვაგან იყო, სხვებისგან გამოარჩია და თქვა: „თუმცა, აი, ლილი მეთანხმება". და ამ ხერხით ლილი, რომელიც ოდნავ შემკრთალი და დამფრთხალი იყო (რადგან სიყვარულზე ფიქრობდა), თანამონაწილე გახადა. ორივე – ლილიც

და ჩარლზ ტენსლიც – სადღაც სხვაგან არიანო, გაიფიქრა მისიზ რემზიმ. ორივე მათგანს იმ მეორე წყვილის მხურვალება სწვავდა. ტენსლი, ამას წყალი არ გაუვიდოდა, გრძნობდა, რომ არად აგდებდნენ; აბა, რომელი ქალი მიაქცევდა მას ყურადღებას, როცა ოთახში პოლ რეილი იყო. საცოდავი კაცი! მაგრამ რა გინდა, მას ხომ დისერტაცია აქვს დასამთავრებელი, ვიღაცის გავლენა რაღაცაზე: მან იცის, როგორ უნდა მიხედოს თავს. აი, ლილი კი, სულ სხვა საქმეა. მთლად გაფერმკრთალდა მინტას სიმხურვალის ფონზე; ბევრად უფრო უღიმღამოდ გამოიყურება, ვიდრე ოდესმე, ნაცრისფერ კაბაში გამოწყობილი, მოცუცქნული, შეჭმუხნილი შუბლით და წვრილი ჩინური თვალებით. ყველაფერი ერთნაირად პატარა აქვს. მაგრამ, ფიქრობდა მისიზ რემზი და წარმოსახვაში მინტას ლილის ადარებდა, და თან დახმარებასაც ითხოვდა მისგან (დაე, ლილი მხარში ამოუდგეს და აღნიშნოს, რომ მას სულაც არ ულაპარაკია რძის ნაწარმზე იმაზე დიდხანს, ვიდრე მისი ქმარი ლაპარაკობს ხოლმე თავის ფეხსაცმელებზე – მას ხომ საათობით შეუძლია თავის ყფეხსამელებზე ლაპარაკი), ამ ორი გოგონასგან, ორმოცი წლის ასაკში ლილი ნამდვილად უფრო ლამაზი იქნება. აქვს ლილის რაღაც საინტერესო; ერთგვარი ნაპერწკალი; რაღაც, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, რაც მისიზ რემზის მართლა ხიბლავდა, მაგრამ რაც ვერც ერთ მამაკაცს ვერ მოხიბლავდა. ცხადია, ვერა, თუ მამაკაცი მასზე ბევრად უფროსი არ იქნებოდა, როგორც მაგალითად, უილიამ ბენქსია. მაგრამ მას ხომ მოსწონდა, დიახ, მისიზ რემზის ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ უილიამს, მას შემდეგ, რაც ცოლი გარდაეცვალა, შესაძლოა, მოსწონდა კიდეც ლილი. არა, „შეყვარებული" კი არ იყო; არამედ ერთ იმგვარ უსახელო სიახლოვეს გრძნობდა მის მიმართ, რომელიც ასე გავრცელებული და მრავალფეროვანია. ჰო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, გაიფიქრა მისიზ რემზიმ; უილიამმა უნდა შეირთოს ლილი. მათ ხომ ძალიან ბევრი აქვთსაერთო. ლილის ხომ ძალიან უყვარს ყვავილები. ორივე ერთნაირად მიუკერძოებელი, გაწონასწორებული და უაღრესად დამოუკიდებელია. აუცილებლად უნდა მოახერხოს და მარტო გაუშვას სასეირნოდ დიდი ხნით.

რა სისულელე მოუვიდა, რომ ერთმანეთის გვერდით არ დასვა. არაფერია, ამას ხვალ გამოასწორებს. თუ კარგი ამინდი იქნა, შეიძლება პიკნიკზე წავიდნენ. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ყველაფერი თითქოს კარგადაა. აი, ახლა (მაგრამ ესხომ დიდხანს არ გასტანს, ფიქრობდა მისიზ რემზი და წამით ცალკე წარმოიდგინა თავი, ვიდრე ყველანი მაღალყელიან ფეხსაცმელებზე საუბრობდნენ), მხოლოდ ახლა იგრძნო თავი უსაფრთხოდ; შევარდენივით დასტრიალებდა თავს ამ შეგრძნებას; როგორც სიხარულის განცდით გარემოცული, განცდით, რომელიც მისი სხეულის ყოველ ნერვს სრული ნეტარებით აღავსებდა, არა ხმაურით, არამედ უფრო სადღესასწაულო განწყობით, რადგან ის მომდინარეობს, გაიფიქრა მან და გახედა ყველა იქ მყოფს, ყველასგან – ქმრისგან და შვილებისგან და მეგობრებისგან; და ეს შეგრძნება მთლიანად, ამ სრული სიმშვიდის გამო (ახლა უილიამ ბენქსს სთავაზობდა კიდევ ერთ, სულ პატარა ხორცის ნაჭერს თიხის ქოთნიდან), თითქოს იქ დარჩენილიყო კვამლივით, გამონაბოლქვივით, რომელიც ქვემოდან ზემოთ მიისწრაფვის ყოველგვარი კონკრეტული მიზეზის გარეშე და ყველას იცავს, ყველას მფარველობს. რა საჭიროა სიტყვები; ან კი რა არის სათქმელი. ის ხომ აქაა, მათ თავს ევლება. და ის, როგორც მას ეჩვენებოდა, ვიდრე მისტერ ბენქსს განსაკუთრებით რბილ ნაჭერს სთავაზობდა ქოთნიდან, მარადიულობის თანაზიარია; იმის მსგავსი, რაც ცოტა უფრო

ადრე იგრძნო იმ ნაშუადღევს, ერთგვარად განსხვავებული და უჩვეულო; არსებობდა საგანთა შორის ურთიერთთანხმობა, ბმულობა, ერთგვარი სიმყარე; არსებობს რაღაც, რაც დაზღვეულია ცვლილებებისგან და გამოკვეთილი ნათება გამოარჩევს (მან ფანჯარას გახედა, სადაც ყველაფერი ირეკლებოდა და წყლის ჭავლივით მდინარებდა), როგორც ლალის თვალს, ამ მდინარებაში, წარმავლობაში, წამიერ ლანდთა გაელვებაში; და აი, ამაღამ სწორედ ის გრძნობა ეწვია, რომელიც დღეს უკვე გამოსცადა, სიმშვიდის, შვების. ასეთ წამებში, გაიფიქრა მან, ისეთი რამ იქმნება, რაც დროს უძლებს.

„დიახ", არწმუნებდა უილიამ ბენქსს, „აქ იმდენია, რომ ყველა მსურველს ეყოფა".

„აბა, ენდრიუ, ცოტა დაბლა დასწიე თეფში, თორემ გადმომეღვრება" (ამ ბოეუფ ენ დაუბე-მა ნამდვილი გამარჯვება მოიპოვა). აი, აქ, გაიფიქრა მან და კოვზი თავის ადგილზე დადო, აი, აქაა ადგილი, სადაც შეიძლება იმოძრაო ან მოისვენო; შეიძლება წამით შეყოვნდე (ახლა უკვე ყველას გაუმასპინძლდა) და ყური მიუგდო; მერე კი, ქორივით, უცებ დაეშვება უმაღლესი წერტილიდან, შეიძლება ფრთები გაშალოს და მსუბუქად დააცხრეს მოხარხარეთ და წამით მთელი არსებით გაიყურსოს, რომ გაიგონოს, რას ამბობს მისი ქმარი ათას ორას ორმოცდაცამეტის კვადრატული ფესვის თაობაზე. ნუთუ ეს რიცხვი მაჯის საათზე ამოიკითხა?

ნეტა რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ამის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა. კვადრატული ფესვი? და რა არის ეს? მისმა ვაჟებმა კი კარგად იციან. მათკენ გადაიხარა; კუბები და კვადრატული ფესვები; აი, რაზე საუბრობენ ახლა; ვოლტერზე და მადამ დე სტალზე; ნაპოლეონის ხასიათზე; მიწის საკუთრების ფრანგულ სისტემაზე, ლორდ როუზბერიზე; რას ნიშნავს ეს ყველაფერი? დღემდე ამის არაფერი გაეგებოდა. კვადრატული ფესვი? და რა არის კვადრატული ფესვი? აი, მისმა ვაჟებმა იციან. მისიზ რემზი ბევრ რამეს სწავლობდა შვილებისგან; კუბების და კვადრატული ფესვების თაობაზე; ასეთ თემებზე ლაპარაკობდნენ ახლა; ვოლტერზე და მადამ დე სტალზე; ნაპოლეონის თავისებურებებზე; მიწის საკუთრების ფრანგულ სისტემაზე; ლორდ როზბერიზე; კრივის მემუარებზე: მას სჭირდებოდა, მას ეხმარებოდა ძალების განმტიცებაში მამაკაცური ინტელექტი, მუდმივ მოქმედებაში მყოფი, რკინის კოჭებივით რომ ეხვეოდა გარს ჩვენი სამყაროს მერყევ სტრუქტურას, რათა შეძლებოდა, სრულად მინდობოდა მას, თუნდ თვალდახუჭული, როგორც ბავშვი, თავს რომ წამოსწევს ბალიშიდან და თვალი ებლიტება უთვალავი მოლიცლიცე ფოთლით შემოსილი ხის ყლორტების შემყურეს. მერე კი უცებ გამოერკვა. ყველაფერი ჯერ კიდევ ქმნადობის პროცესში იყო. უილიამ ბენქსი უევერლის რომანებს ასხამდა ხოტბას.

მან თქვა, ექვსი თვის წინათ წავიკითხე ერთი მათგანიო. და ნეტავი რატომ განარისხა ამ ამბავმა ჩარლზ ტენსლი? რატომღაც თავს დაესხა უევერლის (და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ ფრუ ცუდად მოექცა) და მისი რომანების განქიქებას მოჰყვა, მაშინ, როცა წარმოდგენაც არა აქვს მათზე, სრულიად არანაირი, გაიფიქრა მისიზ რემზიმ და დააკვირდა; ახლა ყურს აღარ უგდებდა, მხოლოდ უყურებდა. ასე აღმოაჩინა, რომ ყველაფრის მიზეზი მისი თავდაჭერა იყო – სურდა, თავი გამოეჩინა, რაღაცით დაემკვიდრებინა თავი, და სულ ასე იქნებოდა, სანამ პროფესორობას არ მიიღებდა, ან ცოლს

არ შეირთავდა, მაშინ კი აღარ დასჭირდებოდა წარამარა ამის თქმა, „მე-მე-მე". ვინაიდან, სწორედ ეს იყო საბრალო უოლტერ სკოტის, ან იქნებ ჯეინ ოსტინის მისეული კრიტიკის მიზეზი. ის მარტო თავის თავზე ფიქრობდა და იმაზე, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანებზე, ამაზე მეტყველებდა მისი ხმა, მისი გაღიზიანებული ლაპარაკის მანერა და დაძაბულობა. წარმატება ასეთ კაცს სიკეთეს მოუტანს. მაგრამ კაცები ისევ განაგრძობდნენ მსჯელობას. მისიზ რემზი მათ აღარ უსმენდა. იცოდა, რომ ეს დიდხანს მაინც ვერ გასტანდა, მაგრამ იმწამს ისე დაეწმინდა თვალები, რომ, როცა გახედა სუფრასთანმსხდომთ, მოეჩვენა, თითქოს ყველას ნიღაბი ახადა, ყოველი მათგანის ფიქრები და გრძნობები ამოიკითხა ისე დაუძაბავად, როგორც სინათლის სხივმა, წყალქვეშ რომ შეიპარება, გაანათებს მოლივლივე წყალს და კვირჩხლებს, ადგილზე გარინდულებს, მერე კი, უცაბედად, სრულ სიჩუმეში წყალში დაკიდებულ, მოცახცახე კალმახებს ააელვარებს. ასე ხედავდა მათ; ესმოდა მათი; მაგრამ, რაც არ უნდა ეთქვათ, ეს თვისებაც დაჰყვათ, თითქოს რასაც ამბობდნენ, კალმახის სხარტ მოძრაობასავით იყო, როცა ერთდროულად წყლის ჟრჟოლასაც ხედავ და ქვიშისასაც, რაღაც მარცხნივ გაკრთება, რაღაცა მარჯვნივ; და ყველაფერი ერთიანდება; მაშინ, როცა რეალურ ცხოვრებაში ყველაფერს შეიძლება ცალკე ადგილი მიუჩენო, ყველაფერი გამოყო ერთმანეთისგან; იტყოდა, რომ უყვარს უევერლის რომანები, ან რომ არ წაუკითხავს საერთოდ; შეუტევდა; მაგრამ ახლა არაფერი უთქვამს. ერთ წამს თითქოს ჰაერში გარინდული გამოეკიდა.

„დიახ, მაგრამ როგორ გგონიათ, რამდენ ხანს გასტანს?" იკითხა ვიღაცამ. მოეჩვენა, თითქოს საცეცები ჰქონდა, რომლებიც თრთოდნენ,რომელიღაც წინადადებებს დაიჭერდნენ და აიძულებდნენ, ყურადღება მიექცია. ეს წინადადება ერთი მათგანი იყო. და იგრძნო, რომ ქმარს საფრთხე ემუქრებოდა. ამგვარი შეკითხვა, თითქმის დანამდვილებით, რამე ისეთი თემის წამოწევას უქადდა, რომელიც მისტერ რემზის მის წარუმატებლობას შეახსენებდა. უმალ იმაზე დაფიქრდებოდა, თუ რამდენ ხანს წაიკითხავენ მის ნაშრომებს. უილიამ ბენქსმა (რომლისთვისაც სრულიად უცხო იყო ყოველგვარი ამგვარი პატივმოყვარეობა) გაიცინა და თქვა, დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ მოდის ცვალებადობასო. ვის შეეძლო იმის თქმა, თუ რას ექნებოდა დიდი ხნის წარმატება – ვთქვათ, ლიტერატურაში, ან ნებისმიერ სხვა სფეროში?

„მოდით, იმით დავტკბეთ, რითაც მართლა ვტკბებით", თქვა მან. მისმა უშუალობამ მოხიბლა მისიზ რემზი. ის არასოდეს დაფიქრდებოდა ასეთ თემაზე, „აბა, ეს რა სარგებლობას თუ ვნებას მომიტანს?" მაგრამ, რას იზამ, თუ სულ სხვაგვარი ბუნებისა ხარ, გჭირდება შექება, გჭირდება გამხნევება, ხელშეწყობა, მაშინ, ბუნებრივია (და მისიზ რემზიმ იცოდა, რომ მის ქმარს სწორედ ეს სჭირდა), თავს დაძაბულად იგრძნობ; როცა გინდა, რომ ვინმემ გითხრას, ჰო, მაგრამ თქვენი ნაშრომები უსათუოდ გაუძლებს დროს, მისტერ რემზი, ან რამე მსგავსი. და მანაც, სავსებით აშკარად გამოხატა დაძაბულობა და, ცოტა არ იყოს გაღიზიანებულმა, თქვა, რომ ასეა თუ ისე, სკოტი (თუ შექსპირზე ლაპარაკობდნენ?) მისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში მნიშვნელოვანი იქნება. ეს გაღიზიანებულმა თქვა. და მისიზ რემზის მოეჩვენა, რომ ყველამ ოდნავ უხერხულად იგრძნო თავი, ისე, რომ ვერც ხვდებოდნენ, რატომ. მერე კი მინტა დოილმა, რომელსაც შესანიშნავი ალღოს გრძნობა ჰქონდა, დააბრეხვა დაუფიქრებლად, ჩემი

აზრით, შექსპირის კითხვა სინამდვილეში არავის ანიჭებს სიამოვნებასო. მისტერ რემზიმ მოღუშულმა თქვა (თუმცა განწყობა ისევ შეეცვალა), სინამდვილეში ძალიან ცოტა ვინმეს თუ მოსწონს შექსპირი ისე, როგორც ამას გამოხატავენ. მაგრამ, დასძინა მან, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პიესა მართლაც საქებარია, და მისიზ რემზიმ მიიჩნია, რომ იმ წამისთვის საფრთხემ გადაიარა; ახლა ის მინტას დასცინებდა და მან კი, მისიზ რემზის აზრით, რაკი შეატყო, რომ ქმარი უკიდურესად დაიძაბა, როგორც სჩვევია, უნდა იზრუნოს მასზე და შეაქოს, როგორც მოახერხებს. მაგრამ ინატრა, ნეტავი ეს არ დამჭირდესო; იქნება ჩემი ბრალია, რომ ასეთი რამ საჭირო ხდებაო. მაგრამ ახლა თავისუფლად შეეძლო, ყური დაეგდო, რის თქმას ცდილობდა პოლ რეილი იმ წიგნების თაობაზე, რომლებსაც ბიჭები ბავშვობაში კითხულობენ. აი, ისინი დროს უძლებს, თქვა მან. სკოლაში თურმე ტოლსტოი წაუკითხავს. ერთი რომანი მთელი ცხოვრება ემახსოვრება, ოღონდ სათაური დაავიწყდა. რუსული სახელების დამახსოვრება შეუძლებელიაო, თქვა მისტერ რემზიმ. „ვრონსკი", თქვა პოლმა. მას ახსოვდა , რადგან ყოველთვის მიაჩნდა, რომ ეს სიტყვა კარგად მიესადაგებოდა არამზადას.

„ვრონსკი", თქვა მისიზ რემზიმ; „დიახ, ანა კარენინა", მაგრამ ამაზე საუბარი დიდხანს აღარ გაუგრძელებიათ; წიგნები არ იყო მათი ინტერესის მთავარი საგანი. არა, ლიტერატურაზე საუბარში ჩარლზ ტენსლის ვერც ერთი ვერ აჯობებდა, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად იყო არეული მის ფიქრებთან, „აბა, სწორად გამოვთქვამ აზრს? აბა, ხომ კარგ შთაბეჭდილებას ვახდენ?", რომ საბოლოოდ გამოდიოდა, რომ მას უკეთ იცნობდა ყველა, ვიდრე ტოლსტოის, მაშინ როცა ის, რაც პოლმა თქვა, ერთ მარტივ და კონკრეტულ საგანს შეეხებოდა და არა მას პირადად. ყველა სულელივით, პოლსაც ახასიათებდა ერთგვარი თავმდაბლობა, გულისხმიერი იყო ადამიანების გრძნობების მიმართ, რითაც, სულ ცოტა, ერთხელ მაინც მოხიბლულა მისიზ რემზი. ახლა ის თავის თავზე ან ტოლსტოიზე კი არ ფიქრობდა, არამედ იმაზე, ხომ არ სციოდა მისიზ რემზის, ორპირი ქარი ხომ არ აწუხებდა, ან ხომ არ სურდა, მსხალი მიეწოდებინა მისთვის.

არა, მსხალი არ მინდაო, უთხრა. სინამდვილეში კი ხილის თასს სდარაჯობდა დიდი გულმოდგინებით (თავად ვერც აცნობიერებდა ამას) და ღელავდა, ვინმე არ შეეხოს და ეს მშვენიერება არ გაანადგურესო. თვალით გარს უვლიდა ხილის მრგვალ ფორმებს, ხან დაღმა დაუყვებოდა ხილის ბორცვებს, მსუყე იისფერ ყურძნის მტევნებს, მერე რქისებრ, ნიჟარების მსგავს მსხლებს გადაუვლიდა, ყვითელს იისფერი ცვლიდა, მორკალულს – მრგვალი ფორმები, და თავადაც ვერ ხვდებოდა, რატომ სჩადიოდა ამას, ანდა რატომ ხდებოდა, რომ ამის კეთება სულ უფრო და უფრო ამშვიდებდა; სანამ, „ო, რასამწუხაროა, ამას რომ სჩადიან", – ვიღაცამ ხელი არ გაიწვდინა, მსხალი არ აიღო და მთელი სილამაზე არ გააფუჭა. მისიზ რემზიმ თანაგრძნობით გახედა როუზს. ის ჯასპერსა და ფრუს შორის იჯდა. რა უცნაურია, რომ ასეთ რამეს სწორედ შენი შვილი სჩადის!

და რა უცნაურია, რომ ხედავს მათ, საკუთარ შვილებს, ჯასპერს, როუზს, ფრუს, ენდრიუს, სუფრასთან მსხდომთ, დადუმებულებს, თუმცა კი აშკარად იგრძნობა, ერთი სული აქვთ, რაღაცაზე გაიცინონ, რაზეც მათი ეშმაკურად მოკუმული ტუჩები მეტყველებს. მათი განწყობა მისთვის უცხოა, არ იცის, რაზე ფიქრობენ, მაგრამ აშკარაა, ჯერ თავს იკავებენ, და როგორც კი

ზემოთ, თავ-თავიანთ ოთახებში შევლენ, გულიანად იცინებენ. იმედია, საკუთარ მამაზე არ აპირებენ სიცილს. არა, ალბათ, არა. აბა, ნეტა რაზე, დაინტერესდა მისიზ რემზი ოდნავ ნაღვლიანად, რადგან მოეჩვენა, რომ ჯერ თავს იკავებდნენ და მაშინ იცინებდნენ გულიანად, როცა ის არ იქნებოდა მათთან. ეს ყველაფერი მათი საგანგებოდ მიღებული, გარინდული გამომეტყველების, ნიღაბივით სახეების უკან იმალებოდა, რადგან ძნელად თუ ჩაებმებოდნენ ხოლმე საუბარში; ისხდნენ მეთვალყურეებივით, დამკვირვებლებივით, თითქოს უფროსებზე ოდნავ მაღლა თუ განზე. მაგრამ, როცა ახლა, ამ საღამოს ფრუს დააკვირდა, დაინახა, რომ მას ეს არ ეხებოდა. ის თითქოს საცაა დააპირებდა, საცაა ჩამოვიდოდა იმ სიმაღლიდან. ოდნავ შესამჩნევი შუქი მოჰფენოდა სახეზე, თითქოს მის პირდაპირ მჯდომი მინტას სიმხურვალისგან რაღაც აღტაცება, რაღაც ბედნიერების მოლოდინის მაგვარი არეკლილიყო მასში, თითქოს სუფრის გარშემოწერილობას თავზე მამაკაცისა და ქალის სიყვარულის მზე დასდგომოდა, და ისე, რომ თავადაც ვერ ხვდებოდა ამას, გოგონა მისკენ იწევდა და შეჰხაროდა მას. თვალს არ აშორებდა მინტას, მორცხვად, თუმცა ცნობისმოყვარეობით აღსავსე, ისე რომ მისიზ რემზი ხან ერთს გახედავდა, ხან მეორეს და ფიქრებში ფრუს მიმართავდა, შენც იქნები მასავით ბედნიერი სულ ცოტა ხანში. და შენ გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებიო, რადგან გულისხმობდა, შენ ხომ ჩემი ქალიშვილი ხარო; მისი ქალიშვილი კი სხვის შვილებზე უფრო ბედნიერი უნდა იყოს. მაგრამ ამასობაში სადილი დასასრულს მიუახლოვდა. სადაცაა წამოდგებიან. ახლა მხოლოდ დანა-ჩანგალს აწვალებენ ცარიელ თეფშებზე. ის დაიცდის, სანამ სტუმრები გულს იჯერებენ რაღაც სასაცილო ამბით, რომელსაც მისტერ რემზი უამბობს. რაღაცას ეხუმრება მინტას სანაძლეოს თაობაზე. ამის მერე კი ადგება.

უცებ გაიფიქრა, როგორ მომწონს ჩარლზ ტენსლი; მომწონს, როგორ იცინისო. მოსწონს, ასე რომ ბრაზობს პოლზე და მინტაზე. მოსწონს მისი მოუქნელობა. ყველაფრის მიუხედავად, ეს ახალგაზრდა კაცი აშკარად საინტერესო ჩანს. აი, ლილი კი, გაიფიქრა და ხელსახოცი თეფშის გვერდით დადო, ლილი ყოველთვის მონახავს რამე სახუმაროს. ლილი ის ადამიანია, რომელზეც, შეუძლია, არ იღელვოს. მისიზ რემზი იცდიდა. ხელსახოცი ღრმად შეაცურა თეფშის ქვეშ. აბა, უკვე მორჩნენ თუ არა? ჯერ არა. ერთ ისტორიას მეორე მოჰყვა. ამ საღამოს მისი ქმარი მშვენიერ განწყობაზეა და, ეტყობა, სურს, რომ სადილობისას მოხუც ოგასტასთან დაკავშირებით შექმნილი უხერხულობა გააქარწყლოს და აი, ისიც ჩაუბამს საუბარში – ერთმანეთს უყვებიან ამბებს ვიღაცაზე, ვისაც ორივე იცნობდა კოლეჯში სწავლისას. ფანჯარას გახედა, რომელშიც სანთლის ალები უფრო მკაფიოდ ირეკლებოდა მას შემდეგ, რაც მინები ჩაბნელდა, და ვიდრე ასე იცქირებოდა გარეთ, ადამიანების ხმები ძალიან უცნაურად ჩაესმოდა, თითქოს ეს ტაძრიდან მომავალი წირვის ხმა ყოფილიყოს, რადგან არ უსმენდა, რას ამბობდნენ. უცაბედი სიცილის აფეთქებამ და მერე ერთი ადამიანის (მინტას) ხმამ, რომელიც მარტო ლაპარაკობდა, საეკლესიო მსახურება მოაგონა, რომელიღაც რომაულ-კათოლიკურ საკათედრო ტაძარში. ის იცდიდა. მისი ქმარი ლაპარაკობდა. რაღაცას იმეორებდა და მისიზ რემზი მიხვდა, ლექსს ამბობდა, რადგან მასში რიტმი და საზეიმო განწყობა ჟღერდა, ხოლო მის ხმაში – მელანქოლია:

გამოდი და აუყევი ბაღის ბილიკს,

ლურიანა ლურილი,

ჩაის ვარდი გაიფურჩქნა,

ისმის ფუტკრის ბზუილი,

ჩვენ დაგარწევთ კედრის ტოტზე

ლურიანა ლურილი.

სიტყვები (ის ისევ ფანჯარას გასცქეროდა) ისე ჟღერდა, თითქოს ფანჯრის მიღმა, წყალზე მოლივლივე ყვავილები იყვნენ, ყველასგან მოწყვეტით, თითქოს მათ ვინმე კი არ წარმოთქვამდა, არამედ თავისთავად იბადებოდნენ.

რომ სიცოცხლე გასავლელი,

ანდა უკვე განვლილი,

აღვსილია ხეებით და დაცვენილი ფოთლებით,

ლურიანა ლურილი.

მას არ ესმოდა სიტყვების აზრი, მაგრამ, როგორც მუსიკას, სიტყვებს თითქოს მისი საკუთარი ხმა გამოსცემდა, მის გარეთ, და სრულიად მარტივად და ბუნებრივად ამბობდა იმას, რაც გონებაში უტრიალებდა მთელი საღამოს განმავლობაში, მაშინ, როცა სულ სხვა რამეზე ლაპარაკობდა. მან თვალის შეუვლებლადაც იცოდა, რომ სუფრასთან მჯდომი ყოველი ადამიანი ამ ხმას უსმენდა:

ნეტავ შენც თუ გეჩვენება

ლურიანა ლურილი,

და ყოველი მათგანი ისეთსავე შვებას და სიამოვნებას იღებდა, როგორც თვითონ, თითქოს, ბოლოს და ბოლოს, ეს იყო ის ბუნებრივი სათქმელი, რომელსაც ყოველი მათგანი თვითონ წარმოთქვამდა.

მაგრამ უცებ ხმა შეწყდა. მიმოიხედა. თავს ძალა დაატანა და წამოდგა. ოგასტას კარმაიკლი უკვე წამომდგარიყო და ხელსახოცი გრძელ თეთრ კაბასავით ეჭირა ხელში, იდგა და ღიღინებდა:

რა ხანია, რაც მე და შენ ერთად ვნახეთ,

ლურიანა, ლურილი,

ვით მიქროდნენ მეფეები ცხენზე ამხედრებული,

გადათელეს მდელოები გულყვითელა გვირილის,

ხელში ეპყრათ ბზა, კედარი,

ლურიანა ლურილი.

და როცა გვერდით ჩაუარა, ოგასტასი ოდნავ მისკენ გადმოიხარა და ბოლო სიტყვები გაიმეორა:

ლურიანა, ლურილი...

შემდეგ კი მდაბლად დაუკრა თავი, თითქოს პატივისცემას უცხადებსო. და თავადაც არ იცოდა, რატომ, მისიზ რემზიმ იგრძნო, რომ ოგასტასს ის ახლა გაცილებით მეტად მოსწონდა, ვიდრე ოდესმე; დიდად მოეშვა გულზე და მადლიერების გრძნობით აღვსილმა ისეთივე თავის დაკვრით უპასუხა და გავიდა კარში, რომელიც ოგასტასმა წინასწარ გაუღო.

ახლა აუცილებელი იყო, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა წინ. როცა ზღურბლზე შედგა ფეხი, ერთი წამით შეყოვნდა ამ სანახაობაში, რომელმაც უმალ იწყო გაუჩინარება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ უცქერდა, და მერე, როცა ადგილიდან დაიძრა, მინტას ხელკავი გაუყარა და ოთახიდან გავიდა, სურათი გარდაისახა; მან იცოდა, როცა უკანასკნელად წამიერად მიიხედა უკან, რომ ეს ყველაფერი უკვე წარსულად იქცა.

თავი 18

როგორც ყოველთვის, გაიფიქრა ლილიმ. მართლაც, სწორედ ასეთ წამებში, აუცილებლად გამოჩნდებოდა ხოლმე რაღაც, რაც მისიზ რემზის, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზით, დაუყოვნებლივ უნდა გაეკეთებინა. აი, როგორც ახლა, ყველანი დგანან და ანეკდოტებს ყვებიან, და ვერ გადაუწყვეტიათ, რა ქნან, საით გასწიონ, მოსაწევ ოთახში, მისაღებში თუ ზემოთ, სხვენში. ამ დროს დაინახავდით, როგორ იდგა მინტასთან ერთად, ხელკავით ამ რია-რიაში, უცებ რაღაც აზრი დაებადებოდა, დიახ, უკვე ამის დროც მოვიდაო, გაიფიქრებდა და საჩქაროდ გავიდოდა სადმე მარტო, ისე, რომ ვერავინ ხვდებოდა, რა ჩაიფიქრა. და საკმარისია, გასულიყო, რომ ყველაფერი უმალ რღვევას იწყებდა; ყველას ყოყმანი ეძალებოდა, ყველანი სხვადასხვა მხარეს იწყებდნენ სვლას; მისტერ ბენქსი ხელკავს გაუყრიდა ჩარლზ ტენსლის და ტერასაზე გადიოდა პოლიტიკის თაობაზე საუბრის დასასრულებლად, რომელიც სადილობისას წამოიწყეს, და მთელი საღამო თავდაყირა დგებოდა; აქცენტები სხვადასხვა მხარეს იფანტებოდა; სწორედ ამაზე ფიქრობდა ლილი, როცა დაინახა, როგორ გადიოდნენ მამაკაცები ოთახიდან და ყური მოჰკრა ერთ-ორ სიტყვას ლეიბორისტული პარტიის სტრატეგიაზე, შემდეგ კი მოსაუბრეები ხომალდისკენ მიმავალ ხიდზე ავიდნენ და იქიდან განსაზღვრავდნენ გეზისა და მიმართულების მართებულობას; პოეზიიდან პოლიტიკაზე უეცარი გადასვლა ლილისთვის ელდის დაცემასავით იყო; და აი, მისტერ ბენქსი და ჩარლზ ტენსლი ტერასაზე გავიდნენ, ხოლო მისიზ რემზი მარტო აუყვა ლამპის შუქით განათებულ კიბეს. სად, ფიქრობდა ლილი, ნეტა სად ეჩქარება ასე?

არადა ვერც იმას იტყოდა კაცი, რომ სადმე გარბოდა ან მიიჩქაროდა; სინამდვილეში საკმაოდ ნელა მიაბიჯებდა. მას ერთი სული ჰქონდა, ამ გაუთავებელი საუბრების შემდეგ რამე ერთ თემას მოსჭიდებოდა; თემას, რომელიც მართლა მნიშვნელოვანი იყო; გამოეყო ის სხვა თემებიდან; გამოეცალკევებინა; დაეწმინდა უთვალავი ემოციისა და უაზროდ მომიფანტული ნაკუწებისგან და ასე გაეტანა განსახილველად დიდი სამსჯავროს წინაშე. უნდა გაირკვეს, რა არის კარგი, რა არის ცუდი, ვინ არის მართალი, ვინ მტყუანი; და საერთოდ, საით მივდივართ? და ასე შემდეგ. ასე აღიდგენდა ხოლმე წონასწორობას მომხდარით გაოგნებული და სრულიად გაუცნობიერებლად და უადგილოდ, შველის მოლოდინში, გარეთ მდგარ თელის ხის ტოტებს მიმართავდა დასამშვიდებლად. მისი სამყარო იცვლებოდა: ტოტები ადგილიდან არ იძვროდნენ. ამ წვეულებამ მოძრაობის შეგრძნება გაუღვივა. ყველაფერი უნდა მოაწესრიგოს. ყველაფერს უნდა მიხედოს, ამასაც, იმასაც, ფიქრობდა და თანდათანობით აღიქვამდა წონასწორობას ხეთა გარინდულობაში, მერე კი ისევ თელის ხის ტოტების ზესწრაფვას ხედავდა (ტალღებით ზეაწეული გემის კიჩოს მსგავსს), როცა ქარი ჩამოიქროლებდა. რადგან ქარი ქროდა (წამით შედგა და გარეთ გაიხედა). ქარი ქროდა, ისე რომ ფოთლები ხანგამოშვებით გადაიხრებოდნენ ხოლმე და სადღაც ვარსკვლავი გაკრთებოდა და თავად ვარსკვლავებიც ირხეოდნენ და ჩინჩხლებს აყრიდნენ ფოთლების კიდეებს უკანიდან. დიახ, ეს მოხდა, აღსრულდა; და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ყველაფერს სერიოზულობის ელფერი მიეცა. ახლა, როცა დაფიქრდა, რაკი დაუსრულებელი საუბარი და გრძნობები დაცხრა, მოეჩვენა, რომ ყოველთვის ასე ხდებოდა, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ახლა რაღაც გაცხადდა, რაღაც დაენახვა, და ამიტომ ყველაფერი დამშვიდდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ისინი, ფიქრობდა მისიზ რემზი, რამდენ ხანსაც არ უნდა იცოცხლონ, ისევ და ისევ დაუბრუნდებიან ამ ღამეს; ამ მთვარეს, ამ ქარს; ამ სახლს, და მასაც. ეს ფიქრი სიამოვნებას ჰგვრიდა, სიამოვნება კი მისთვის განსაკუთრებით მგრძნობიარე თემას შეეხებოდა, იმაზე ფიქრს, როგორ ეყოლებოდათ გულში ამ ადამიანებს, რამდენ ხანსაც არ უნდა ეცოცხლათ; აი, ეს; აი, ეს აი, ეს, ფიქრობდა გზად, როცა ზედა სართულზე ადიოდა, ეცინებოდა, ოღონდ სიყვარულით, ტახტზე (დედამისის), რომელიც კიბის ბაქანზე იდგა; სარწეველა სავარძელზე (მამამისის); ჰებრიდის კუნძულების რუკაზე. ყოველივეზე, რაც არაერთხელ განმეორდებოდა პოლისა და მინტას ცხოვრებაში; „რეილების ოჯახი" – შეეცადა ეს ახალი გვარი ხელახლა შეეგრძნო; და როცა ხელი ბავშვების ოთახის კარს შეახო, იგრძნო, რომ სხვა ადამიანებთან ემოციური ზიარების განცდა უცნაურ შეგრძნებას წარმოქმნის, თითქოს ტიხრებად ნაგები კედლები ისე თხელდება, რომ რეალურად (ეს გრძნობა შვებისა და ბედნიერების მომნიჭებელი გრძნობების რიგს განეკუთვნებოდა) ერთ უწყვეტ ნაკადს ქმნის, და ეს სკამები, ეს მაგიდები, ეს რუკები, მისი იყო, მათი იყო, სულერთია, ვისი, და პოლი და მინტა ასევე განაგრძობდნენ ცხოვრებას, როცა ის აღარ იქნებოდა ამქვეყნად. კარის სახელური გადაატრიალა, მტკიცედ, რომ არ დაეჭრიალა, და ზღურბლს გადააბიჯა, ტუჩები ოდნავ მოკუმა, თითქოს საკუთარ თავს ახსენებდა, რომ ხმამაღლა არ უნდა ელაპარაკა. მაგრამ როგორც კი ოთახში აღმოჩნდა, შეშფოთდა, რადგან აღმოაჩინა, რომ მისი სიფრთხილე სრულიად ზედმეტი ყოფილა. ბავშვებს ეღვიძათ. ამან ძალიან გააღიზიანა. მილდრედს მეტი გულისყური უნდა გამოეჩინა. ჯეიმსს თვალები ჰქონდა დაჭყეტილი და კემი კი არ იწვა, არამედ სარივით გაჭიმული იჯდა საწოლზე, ხოლო მილდრედი

საწოლიდან გადმოსულიყო და ფეხშიშველა დატანტალებდა, ამ დროს უკვე თერთმეტი საათი იყო და ბავშვები ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ. რა მოხდა? ისევ იმ საშინელი ტახის თავის ფიტულის ბრალი ყოფილა ყველაფერი. აკისთხოვა მილდრედს, ოთახიდან გაეტანა, მაგრამ არა, მილდრედს არც კი გახსენებია ამის გაკეთება და კემს ახლა ამიტომ ეღვიძა და ჯეიმსსაც არაფერი ეტყობოდა ძილისა და ჩხუბობდა, როცა წესით რამდენიმე საათის დაძინებულები უნდა ყოფილიყვნენ. ნეტავი საღ ჭკუაზე თუ იყო ედვარდი, ასეთი შემზარავი თავის ფიტული რამ გამოაგზავნინა? და რა სისულელე ჩაიდინა, როცა ამ ოთახში კედელზე მიჭედების ნება დართო. ძალიან მაგრადაა ჩაჭედებული, თქვა მილდრედმა და კემი ვერაფრით ვერ იძინებს, ამ ფიტულის შემხედვარე, ჯეიმსი კი გაჰკივის, ხელი არ ახლოთო.

მაშინ კემმა უნდა დაიძინოს (უშველებელი რქები აქვსო, თქვა კემმა) – უნდა დაიძინოს და ულამაზესი სასახლეები ნახოს სიზმარში, თქვა მისიზ რემზიმ და გოგონას გვერდით, საწოლზე ჩამოჯდა. კემმა თქვა, რქებს მთელ ოთახში ვხედავო, და მართლაც ასე იყო. სადაც არ უნდა დაედგათ ლამპა, სადღაც ყოველთვის დაეცემოდა ჩრდილი (ჯეიმსს კი ჩამქრალ ოთახში ძილი არ შეეძლო).

„კი მაგრამ, კემ, ეს ხომ მხოლოდ ერთი ბებერი ტახია", თქვა მისიზ რემზიმ, „ერთი კეთილი შავი ტახი, ასეთები ხომ არაერთხელ გინახავს სოფელში". მაგრამ კემს ის აშინებდა და მოსვენებას არ აძლევდა.

„მაშ კარგი", თქვა მისიზ რემზიმ, „ჩვენი ნება არ არის? ავდგებით და დავმალავთ", და ყველანი უყურებდნენ, როგორ მივიდა დედა კომოდთან და ერთიმეორის მიყოლებით როგორ გამოაღო ყველა პატარა უჯრა, და როცა ვერაფერი ნახა შესაფერი, სწრაფად შემოიხსნა მხრებიდან შალი და ტახის თავის ფიტულს შემოახვია ერთხელ, მეორედ, მესამედ... და მერე კემთან მიბრუნდა და მის ბალიშზე, მის გვერდით მიდო თავი და თქვა, აი, ნახე, ახლა რა ლამაზია; როგორ მოეწონებათ ფერიებს ამის დანახვა; ნახე, ჩიტის ბუდეს არა ჰგავს? ანდა, არა, უფრო იმ ლამაზ მთას მაგონებს, საზღვარგარეთ რომ ვნახეთ, მდელოებით, ყვავილებით მოფენილი, ზარების რეკვა და ჩიტების გალობა რომ ისმოდა და პაწია თხები და ანტილოპები და... მისიზ რემზი ხედავდა, როგორ ირეკლებოდა სიტყვები, რომელთაც ის რიტმულად წარმოთქვამდა, კემის გონებაში და კემი სიტყვასიტყვით იმეორებდა დედის ნათქვამს, რომ ის იმ ლამაზ მთას წააგავს, იმ ჩიტის ბუდეს, იმ ბაღს, სადაც პაწია ანტილოპები დარბიან და თან თვალს ახელდა და ხუჭავდა და მისიზ რემზი კი განაგრძობდა ლაპარაკს კიდევ უფრო მონოტონურად და კიდევ უფრო რიტმულად და კიდევ უფრო უაზროდ, და ეუბნებოდა, თვალები დახუჭე და დაიძინე და დაგესიზმრება მთები და ველები და მოწყვეტილი ვარსკვლავები და თუთიყუშები და ანტილოპები და ბაღები და უთვალავი სილამაზეო, და მერე, ძალიან ნელა და ფრთხილად წამოსწია თავი და სულ უფრო მექანიკურად იმეორებდა სიტყვებს, სანამ ბოლომდე არ წამოჯდა წელგამართული და არ დაინახა, რომ კემს ეძინა.

ახლა კი, თქვა მან ჩურჩულით და ჯეიმსის საწოლისკენ გადაკვეთა ოთახი, და შენც უნდა დაიძინოო, უთხრა, რადგან ხომ ხედავ, შენი ტახის თავის ფიტული ისევ კედელზეა; ხელი არ ახლეს; სწორედ ისე მოიქცნენ, როგორც შენ გინდოდა; და ისევ იქ კიდია სრულიად უვნებელიო. ბიჭს უნდოდა

დარწმუნებულიყო, რომ შალში გახვეულ ფიტულს არაფერი დაუშავდებოდა. მაგრამ კიდევ უნდოდა, რაღაცა ეთხოვა დედისთვის. წავალთ ხვალ შუქურაზე? „არა, ხვალ არა" იყო პასუხი, „მაგრამ სულ მალე წახვალთ, დაჰპირდა დედა; როგორც კი ამინდი გამოვა." ჯეიმსი ძალიან კარგად იქცევა. დასაძინებლად დაწვა. მაგრამ მისიზ რემზიმ იცოდა, რომ მას ეს არასოდეს დაავიწყდება, და უცებ საშინლად გაბრაზდა ჩარლზ ტენსლიზე, თავის ქმარზე და საკუთარ თავზე, რადგან სწორედ მან ჩაუსახა იმედი შვილს. მერე შალი მოიძია, გაახსენდა, რომ ტახის თავს შემოახვია, წამოდგა და ფანჯარა ოდნავ ქვემოთ ჩასწია და ქარის ხმა გაიგონა და სრულიად გულგრილი, ღამის სუსხის სულთქმა ეცა და ჩურჩულით უსურვა მილედრედს ღამე მშვიდობისა და ოთახიდან გავიდა. კარის საკეტის ენა ნელა-ნელა გახსნა და კარი მიხურა.

იმედი მაქვს, წიგნებს არ დააყრის თავზეო, ფიქრობდა მი-სიზ რემზი ჩარლზ ტენსლიზე და იმაზე, როგორი შემაწუხებელი ადამიანი იყო. ორივე ბავშვს საოცრად ფხიზელი ძილი აქვს; ორივე ადვილად აღიგზნება და თუკი ასე საზიზღრად შეუძლია ლაპარაკი შუქურაზე, მისიზ რემზის სავსებით დასაშვებად მიაჩნდა, რომ წიგნების მთელი გროვა ძირს დაეხეთქებინა, იატაკზე, სწორედ ახლა, როცა ძლივს მიეკარა ბავშვებს რული, სავსებით შესაძლებელი იყო, იდაყვი გაეკრა და ძირს გადმოეყარა წიგნები მაგიდიდან. რადგან, როგორც ეგონა, ჩარლზ ტენსლი თავის ოთახში ავიდა ზემოთ, სამუშაოდ. და მაინც, ისეთი მარტოხელა კაცის იერი ჰქონდა; მაგრამ მაინც გულზე მოეშვება, როცა მათგან წავა; და მაინც, უნდა დარწმუნდეს, რომ ხვალ უკეთ მოექცევიან, და მაინც, რა საყვარლად ექცეოდა დღეს მის ქმარს; და მაინც, რა აუტანელი მანერები აქვს; და მაინც, როგორ მოსწონს მისი სიცილი – და ამ ფიქრებში გართული დაუყვა კიბეს პირველი სართულისკენ და შეამჩნია, რომ ახლა კიბის ფანჯრიდან მთვარეც გამოჩნდა – ყვითელი სავსე მთვარე, შემოდგომის ბუნიობის წინ რომ ჩნდება, ისეთი – და შებრუნდა; და მათ დაინახეს, როგორ იდგა ის მათ ზემოთ, კიბეზე.

აი, დედა, გაიფიქრა ფრუმ. დიახ; ერთი შეხედოს მინტამ, ერთი შეხედოს პოლ რეილიმ. და ნახონ, აი, ესაა ნამდვილი ადამიანი, ამას ისე გრძნობდა, თითქოს ერთადერთი ასეთი ადამიანი ეგულებოდა ამქვეყნად; და ის დედამისი იყო. და ფრუ, სულ ერთი წამის წინ თავს რომ სავსებით უფროსად გრძნობდა და ტოლივით ელაპარაკებოდა ყველას, უცებ ისევ ბავშვად გადაიქცა, და ყველაფერი, რასაც ისინი მანამდე აკეთებდნენ, მხოლოდ თამაში იყო, და ახლა ისღა აინტერესებდა, დართავდა დედა თამაშის ნებას,თუ წინააღმდეგი იქნებოდა. და ამ ფიქრებში გართულმა გაიფიქრა – რამხელა შანსი ეძლევათ მინტას და პოლს და ლილის, რომ ნახონ დედაჩემი და გააცნობიერონ, როგორ გაუღიმა ფრუს ბედმა, რომ ასეთი დედა ჰყავს, და როგორ უნდა, რომ არასოდეს გაიზარდოს და არასოდეს მიატოვოს მშობლიური სახლი; და ფრუმ, როგორც პატარა ბავშვმა, დედას უთხრა, „ვიფიქრეთ, სანაპიროზე ხომ არ გავისეირნოთ ტალღების საყურებლადო".

და უმალ, სრულიად უმიზეზოდ, მისიზ რემზი სიხარულით აღსავსე ოცი წლის გოგოს დაემსგავსა. უცებ ანცობისა და ხუმრობის გუნებაზე დადგა. რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა წავიდნენ; „აუცილებლად უნდა წავიდნენ, შესძახა მან და გაიცინა; კიბის ბოლო სამი თუ ოთხი საფეხური ჩაირბინა,

და ყველას სათითაოდ მიუბრუნდა, იცინოდა და მინტას თავზე შარფს ახვევდა და ეუბნებოდა, ნეტავი მეც შემეძლოს თქვენთან ერთად წამოსვლა, ძალიან ხომ არ დაიგვიანებთ და რომელიმე თქვენგანს საათი ხომ არა აქვსო.

„დიახ, პოლს აქვს", თქვა მინტამ. პოლმა თალათინის ქისიდან მშვენიერი პაწია ოქროს საათი ამოაძვრინა და მისიზ რემზის უჩვენა. და როცა ხელისგულზე დადებულ საათს უჩვენებდა, პოლმა იგრძნო, „უკვე მშვენივრად იცის, რაც მოხდა". და ვიდრე საათს უჩვენებდა, გულში ეუბნებოდა, „მე ეს გავაკეთე, მისიზ რემზი. ეს ყველაფერი თქვენი წყალობით მოხდა". და როცა დასცქეროდა საათს მის ხელისგულზე, მისიზ რემზიმ გაიფიქრა, რა საოცრად გაუმართლა მინტას! ის ცოლად მიჰყვება კაცს, რომელიც თალათინის ქისაში ინახავს ოქროს საათს!

„ეჰ, როგორ მინდა, მეც შემეძლოს თქვენთან ერთად წამოსვლა!", შესძახა მან. მაგრამ დიდი ძალა აკავებდა, ისეთი ძლიერი, რომ აზრად არასოდეს გაუვლია, ეკითხა საკუთარი თავისთვის, ეს რა იყოო. რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო მათთან ერთად წასვლა. მაგრამ სიამოვნებით წავიდოდა, რომ არა ის რაღაც სხვა, და თავისი სულელური ფიქრებით ანცობის გუნებაზე დამდგარმა (რამხელა იღბალია, მისთხოვდე კაცს, რომელიც თალათინის ქისაში ინახავს ოქროს საათს), ტუჩზე მოფენილი ეშმაკური ღიმილით განაგრძო გზა მეორე ოთახისკენ, სადაც მისი ქმარი რაღაცას კითხულობდა.

თავი 19

რა თქმა უნდა, უთხრა თავის თავს, როცა ოთახში შედიოდა, აუცილებლად უნდა შემოსულიყო აქ რაღაცის გამო. ჯერ ერთი, უნდოდა სწორედ ამ სკამზე დაჯდომა სწორედ ამ ნათურის შუქზე. მაგრამ კიდევ იყო რაღაცა, რაც სურდა, ოღონდ არ იცოდა, და ვერ აცნობიერებდა, მაინც რა. შეხედა ქმარს (როცა წინდა აიღო და საქსოვად მოემზადა) და დაინახა, რომ მისთვის ხელი არ უნდა შეეშალა – ეს ცხადი იყო. ის რაღაც ისეთს კითხულობდა, რაც ძლიერ მოქმედებდა მასზე. ღიმილნარევი სახე ჰქონდა, და მისიზ რემზი მაშინვე მიხვდა, რომ ის გრძნობებს ითოკავდა. გვერდებს ზედიზედ და სწრაფად ფურცლავდა. როლში იყო შესული და იქნებ თავი წიგნის რომელიღაც გმირად წარმოედგინა. დაინტერესდა – ნეტა რა წიგნიაო. აა, ეს ჩვენი ძველი ნაცნობი სერ უოლტერ სკოტი ყოფილაო, გაიფიქრა და ნათურას აბაჟური ისე მოარგო, რომ შუქი საქსოვს დასცემოდა. ჩარლზ ტენსლი ხომ სწორედ იმაზე ლაპარაკობდა ამ საღამოს (ზემოთ ისე აიხედა, თითქოს მოელოდა, რომ ზედა სართულიდან წიგნების დახეთქების ხმას გაიგონებდა), რომ ხალხი აღარ კითხულობს უოლტერ სკოტს. და მაშინ მისმა ქმარმა გაიფიქრა, ასე იტყვიან ჩემზეცო; ჰოდა წავიდა და უოლტერ სკოტის რომელიღაც წიგნი აიღო. და თუ მივიდოდა იმავე დასკვნამდე, რაც ჩარლზ ტენსლიმ თქვა, ანუ, რომ „ის მართლია", მაშინ დაეთანხმება მის აზრს სკოტის თაობაზე. (ხედავდა, როგორ აფასებდა, აჯერებდა, ერთს მეორეს ადარებდა კითხვის პროცესში). მაგრამ თავის თავზე ამას არ იტყოდა. ყოველთვის უმძიმდა საკუთარი თავის განსჯა. ეს ძალიან აწუხებდა მისიზ

რემზის. მუდამ შფოთავდა თავის წიგნებზე – წაიკითხავენ თუ არა მათ მომავალში, რამდენად ფასეულია, რატომ უკეთესი არ არის, რას იფიქრებს ჩემზე ხალხი? არ მოსწონდა, ქმარზე ასე რომ ფიქრობდა, მოაგონდა, უეცრად როგორ გაღიზიანდა სადილის დროს, როცა წიგნების დიდებაზე და იმაზე საუბრობდნენ, როგორ უძლებს ლიტერატურა დროს, და დაინტერესდა, სხვებიც თუ მიხვდნენ მისი გაღიზიანების მიზეზს, და ამაზე ხომ არ იცინოდნენ ბავშვები და მორიგი თვალი ამოიყვანა საქსოვში და მთელ სახეზე – ტუჩებზე და შუბლზე – ერთიანად ჩამოიქნა, მოიხაზა ყოველი ნაოჭი და ღარი, ფოლადის ხელსაწყოებით ამოტვიფრულ უფაქიზეს გრავიურასავით და გაირინდა, როგორც ხე, წამის წინ ტოტებს ცისკენ რომ იშვერდა და თრთოდა და ახლა, როცა ნაზი სიო ჩადგა, ერთი ფოთოლი მეორეს მიჰყვა, დაცხრა და სრულმა სიმშვიდემ დაისადგურა.

თუმცა ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვსო, ფიქრობდა ის. დიდი ადამიანი, დიდი წიგნი, დიდება – ვინ იცის, ვის რა ბედი ეწევა? ამაზე მას წარმოდგენა არ ჰქონდა. მაგრამ ასეთი იყო მისი ქმრის ბუნება, სიმართლისმოყვარე – მაგალითად, სადილობისას ქვეცნობიერად სურვილი გაუჩნდა, ოღონდ დაილაპარაკოსო! რადგან ბოლომდე ენდობოდა ქმარს. და როცა ეს ფიქრები უკუაგდო, ისე, როგორც ჩაყვინთვისას, ხან ბალახის, ხან ჩალის ღერს, ხან ჰაერის ბუშტს რომ დაინახავ, ისევ ის გრძნობა დაეუფლა, როცა კიდევ უფრო ღრმად ჩაყვინთა, რაც ამას წინათ, ჰოლში დაემართა, როცა ყველა ლაპარაკობდა ირგვლივ, რაღაცა მჭირდება, – რაღაცა, რისთვისაც მოვედიო, და კიდევ უფრო ღრმად და ღრმად იძირებოდა თვალდახუჭული, ისე, რომ წესიერად ვერც მიმხვდარიყო, რა იყო ეს. ერთხანს ასე იცდიდა, თან ქსოვდა, ფიქრმორეული და ნელა-ნელა, გონებაში ის სიტყვები ამოუტივტივდა, „ჩაის ვარდი გაიფურჩქნა, ისმის ფუტკრის ბზუილი", და ტალღებივით დაარწია აქეთ და იქით, რიტმულად, და ამ ტივტივში სიტყვები, როგორც სინათლის პაწია მქრქალი ნათურები, ერთი წითელი, ერთი ლურჯი და ერთიც ყვითელი, უეცრად აელვარდნენ წარმოსახვაში და მერე თითქოს ერთიანად წამოფრთხიალდნენ თავ-თავიანთი სამყოფლიდან, აქეთ მოაწყდნენ, იქით მიაწყდნენ, და გაისმოდა მათი ძახილი და მოძახილი. და მისიზ რემზი გვერდით მაგიდისკენ მიბრუნდა და წიგნი მოძებნა.

რომ სიცოცხლე გასავლელი,

ანდა უკვე განვლილი,

აღვსილია ხეებით და დაცვენილი ფოთლებით,

ჩურჩულებდა თავისთვის, როცა ჩხირებს არჭობდა წინდაში. მერე წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო, უწესრიგოდ კითხულობდა აქა იქ, და მაშინ იგრძნო, რომ ნელა-ნელა მიიკვლევდა გზას უკან, ზემოთ, ძლიერი ბიძგებით ცდილობდა, სულ უფრო მაღლა და მაღლა ამოყურყუმალავებას ფოთლებსა და ბილილებში, თაღივით რომ შემოხვეოდნენ გარს, ისე რომ მხოლოდ იმას აცნობიერებდა, რომ ერთი თეთრი იყო, მეორე კი წითელი. ის თავიდან ვერც ხვდებოდა სიტყვების მნიშვნელობას.

ნაპირისკენ მოაქროლეთ ეგ ფრთოსანი გემები,

მეზღვაურნო, დაცემულნო ბრძოლებში,

წაიკითხა, გადაფურცლა და აქეთ-იქით რწევა დაიწყო, თითქოს ერთი ტოტიდან მეორეზე გადასკუპდებოდა პწკარიდან პწკარზე გადასვლისას, ერთი წითელი და თეთრი ყვავილიდან მეორეზე, სანამ რაღაც ხმამ არ გამოარკვია – ქმარმა თეძოზე შემოირტყა ხელი. წამით ცოლ-ქმარმა თვალი გაუსწორა ერთმანეთს; მაგრამ არ უნდოდათ ერთმანეთთან ლაპარაკი. სალაპარაკოც არაფერი იყო, თუმცა იგრძნო, ქმრისგან რაღაცა მოდიოდა მისკენ. ეს იყო სიცოცხლე, სიცოცხლის ძალა, მიხვდა, ამის მიზეზი არაჩვეულებრივი იუმორი იყო, რომელმაც აიძულა, თეძოზე შემოერტყა ხელი. „არ გამაწყვეტინო", თითქოს ეუბნებოდა ცოლს, „არაფერი მითხრა; იჯექი შენთვის". და კითხვა განაგრძო. ტუჩები უკრთოდა. საკითხავით იყო მოცული. ის ძალას აძლევდა. და სრულიად დაავიწყა იმ საღამოს ყველა წვრილმანი შეხლა-შემოხლა თუენამწარობა და ის, თუ რა აუტანლად და მოსაბეზრებლად ეჩვენებოდა ჯდომა იქ, სადაც ადამიანები ერთად ისხდნენ და ჭამდნენ და სვამდნენ დაუსრულებლად, და რა უხეშად მოექცა ცოლს და როგორ გაღიზიანდა და შფოთავდა, როცა არავინ ახსენა მისი წიგნები, თითქოს ისინი არც არსებობდნენ. მაგრამ ახლა გრძნობდა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ მიაღწევდა პირველი ძ-ს (თუკი ფიქრს შეუძლია იქროლოს ა-დან ძ-მდე). ვინმე ნამდვილად მიაღწევდა – თუ თვითონ ვერა, ვინმე სხვა მაინც. ამ მწერლის ძალა და სულიერი სიჯანსაღე, გულწრფელი, უბრალო ამბების გადმოცემის საოცარი ნიჭი, ეს მეთევზეები, საცოდავი, ბებერი შეშლილი არსება მაკლბეკიტის ქოხიდან – ყოველივე ამან უცნაური ძალა შთაბერა და ისე ერთბაშად მოხსნა გულიდან მთელი ტვირთი, რომ საოცრად ამაღლებულ და სადღესასწაულო განწყობაზე დადგა და ვერაფრით შეძლო მოზღვავებული ცრემლის შეკავება. ოდნავ წამოსწია წიგნი, რომ სახე დაემალა და ცრემლები გადმოუგორდა, მერე თავი გადააქნ-გადმოაქნია და სრულ თავდავიწყებას მიეცა (თავი კი დაივიწყა, მაგრამ ერთი-ორმა აზრმა გაუელვა გონებაში ზნეობის და ფრანგული რომანების და ინგლისური რომანების და სკოტის ხელშებორკილობის თაობაზე, მაგრამ, შესაძლოა, მისი თვალსაზრისი ისეთივე სწორი ყოფილიყო, როგორიც ის მეორე თვალსაზრისი), ყველა წუხილი და მარცხი დაავიწყა საცოდავი სტინის დახრჩობამ და მაკლბეკიტის დარდმა (აქ სკოტი შეუდარებელი იყო) და განსაცვიფრებელმა აღტაცებამ და სასიცოცხლო ენერგიამ, რომელიც კითხვისას განიცადა.

ჰოდა, დაე, ამაზე უკეთესად შეძლონ წერაო, გაიფიქრა, როცა თავი ბოლომდე ჩაიკითხა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაცას ედავებოდა და კამათში გაიმარჯვა. მაგრამ, რაც არ უნდა თქვან, ამას ვერ აჯობებენ; და მისი პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცდა. აი, ის სისულელეა, ის კი – ბრწყინვალეაო, ფიქრობდა და ერთს მეორესთან აჯერებდა. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა წაიკითხოს. ოღონდ საბოლოო შეფასებისგან ჯერ თავი უნდა შეიკავოს. ასე რომ, ახლა იმ მეორე თემაზე დაიწყო ფიქრი – თუ ახალგაზრდებს ეს არ აღელვებთ, ბუნებრივია, არც მისი ნაშრომები დაინტერესებთ. მაგრამ წუწუნი არ ივარგებს, გაიფიქრა მისტერ რემზიმ და შეეცადა, ცოლთან არ დაეჩივლა, რომ ახალგაზრდები არ სცემენ პატივს. მაგრამ არა, მტკიცედ გადაწყვიტა, აღარ შეეწუხებინა. და ცოლს შეხედა, რომელიც წიგნს კითხულობდა. კითხვისას ძალიან მშვიდი ჩანდა. სიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ ყველა გაიკრიფა და ის და მისი ცოლი

მარტონი დარჩნენ. ცხოვრების აზრი ხომ მხოლოდ ის არაა, ქალთან წევხარ თუ არა, გაიფიქრა და ისევ სკოტზე და ბალზაკზე, ინგლისურ და ფრანგულ რომანებზე ფიქრს მიუბრუნდა.

მისიზ რემზიმ თავი წამოსწია, ვით ძილ-ბურანს მიცემულმა ადამიანმა, რომელიც ამბობს – თუ გსურს გამაღვიძო, გავიღვიძებ, ნამდვილად გავიღვიძებ, მაგრამ, თუ – არა, იქნებ მომცე ნება, ისევ ძილს მივეცე, სულ მცირე ხნით კიდევ, სულ მცირე ხნით კიდევ? ის ისევ იმ ტოტებზე მიცოცავდა, ხან აქეთ და ხანაც იქით, ხან ერთ ყვავილს შეახებდა ხელს და ხან მეორეს.

ლექსით ვერ ვაქე მეწამული ვარდის თასები,

წაიკითხა მან და ასე, კითხვაში იგრძნო, როგორ ადიოდა თანდათანობით კენწეროზე. რა მშვენიერია! რა შვების მომგვრელი! მთელი დღის ფუსფუსი და რია-რია, ყველა წვრილმანი, თითქოს ამ მაგნიტს აეკრა; გონება დაცხრა, დაიწმინდა. და აი, დაინახა ის, უეცრად მთლიანობაში, ცხადი და სრულყოფილი – შექსპირის სონეტი.

მაგრამ თანდათანობით იგრძნო, რომ ქმარი უყურებდა. უღიმოდა, თითქოს იუმორით, თითქოს ალერსიანად დასცინოდა, ზეზეურად გძინავსო, მაგრამ თან ფიქრობდა, მიდი განაგრძე კითხვა. და ფიქრობდა, ახლა ისეთი სევდიანი აღარ ჩანხარო. თან აინტერესებდა, რას კითხულობდა, და თან ფიქრში აზვიადებდა მის გაუნათლებლობას, მის უბრალოებას, რადგან სიამოვნებდა ასე ფიქრი, რომ ის არ არის ჭკვიანი, და საერთოდ არ არის ნაკითხი. ნეტავი ესმის რასაც კითხულობს? ალბათ არაო, გაიფიქრა. გასაოცრად ლამაზია. და თუკი ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია, ის კიდევ უფრო ლამაზი გახდა

ჩემთვის ზამთარი იდგა მაინც სუსხით და სევდით,

და ვით შენს აჩრდილს, მე გაზაფხულს მინდვრებში ვსდევდი,

კითხვა დაამთავრა.

„აბა, რას მეტყვი?" თქვა და ექოსავით აირეკლა ძილ-ბურანში ქმრის ღიმილი, როცა წიგნიდან თავი ასწია.

ნეტავი რა მოხდა, ფიქრობდა თავისთვის, როცა ისევ საქსოვი აიღო, რა მოხდა მას მერე, რაც ქმარი მარტო ნახა ბოლოს? მოაგონდა, როგორ ჩაიცვა, როგორ დაინახა მთვარე; რა მაღლა ასწია ენდრიუმ თეფში სადილობისას; როგორ შეაწუხა რაღაცამ, რაც უილიამმა თქვა; ჩიტები ხეებზე; ტახტი კიბის ბაქანზე; რომ ბავშვებს არ ეძინათ; რომ ჩარლზ ტენსლიმ წიგნები დაახეთქა ძირს და ბავშვები გააღვიძა – ოჰ, თუმცა ეს ხომ თვითონ მოიგონა; და რომ პოლი ოქროს საათს თალათინის ქისაში ინახავს. რომელ ერთზე გაუბას საუბარი?

„იცი, დაინიშნნენ", თქვა და ქსოვა განაახლა, „პოლი და მინტა".

„ასეც ვიცოდი", თქვა მისტერ რემზიმ. ბევრს ვერც ამ თემაზე იტყოდა რამეს. ფიქრებში ისევ აღმა-დაღმა მოძრაობდა, აღმა და დაღმა იმ ლექსებში; მისი ქმარი კი ისევ გრძნობდა მაცოცხლებელ ენერგიას, სიმტკიცეს, მას შემდეგ, რაც სტიმის დაკრძალვის ამბავი წაიკითხა. და ასე ისხდნენ დადუმდნენ. მერე კი მიხვდა, რომ ქმარს უნდოდა, მას რამე ეთქვა.

რამე, რამე, ფიქრობდა თავისთვის და ქსოვას განაგრძობდა.

„ალბათ რა კარგია, ცოლად მისთხოვდე კაცს, რომელიც თალათინის ბუდეში ინახავს ოქროს საათს", თქვა მან, რადგან ამაზე ერთად ხუმრობდნენ ხოლმე.

მისტერ რემზიმ ჩაიფხუკუნა. ამ ნიშნობის მიმართ ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, როგორიც ნებისმიერი სხვა ნიშნობის მიმართ; გოგონა გაცილებით უკეთესია ბიჭზე. მისიზ რემზის ამასთან დაკავშირებით თანდათან ამოუტივტივდა ფიქრები – მაშ რაღად უნდათ ადამიანებს ოჯახის შექმნა? რატომ ირთავენ ცოლს და თხოვდებიან? რა ფასი აქვს, რა აზრი აქვს ამას (ახლა რაც არ უნდა ეთქვათ, ყველაფერი სრული სიმართლე იქნებოდა)? მიდი, თქვი რამე, ფიქრობდა თავისთვის, მხოლოდ მისი ხმის გაგონება სურდა. ვინაიდან ის ჩრდილი, რომელიც მათ შორის თავიდან ჩამოწვა, გრძნობდა, თანდათანობით ისევ გარს ეხვეოდა. ოღონდაც თქვი რამეო, ევედრებოდა გუნებაში და ისე უყურებდა, თითქოს შველას სთხოვდა.

მისტერ რემზი დუმდა, აქანავებდა საათის ძეწკვზე ჩამოკიდებულ კომპასს და სკოტისა და ბალზაკის რომანებზე ფიქრობდა. მაგრამ ცოლ-ქმრის ღამეული სიახლოვის კედლებში, რაკი უნებურად ერთმანეთისკენ ილტვოდნენ, გვერდიგვერდ უნდა დაწოლილიყვნენ, ძალიან ახლოს ერთმანეთთან, ქალი გრძნობდა ქმრის განწყობას, როგორც შემართულ ხელს, რომელიც ჩრდილს აყენებდა მის განწყობას; და ახლა, რაკი ცოლის ფიქრებმა მისთვის არასასურველი მიმართულება მიიღო – ამ „მიდრეკილებამ პესიმიზმისკენ", როგორც მისტერ რემზი უწოდებდა ამას – აწრიალდა, თუმც კი არაფერი უთქვამს, ხელი შუბლთან მიიტანა, კულული დაიგრიხა, მერე კი ხელი უშვა.

„მაგ წინდას ამაღამ მაინც ვერ დაამთავრებ", უთხრა ცოლს და წინდისკენ გაიშვირა ხელი. სწორედ ეს უნდოდა მისიზ რემზის – მკვეთრი, ჭკუისდამრიგებლური კილო ხმაში. თუ ის ამბობს, რომ პესიმისტური განწყობა ვერ არის კარგი, ალბათ მართალიაო, გაიფიქრა; ეს ქორწინება ნამდვილად გაამართლებს.

„არა", თქვა მან და წინდას ხელი გადაუსვა მუხლზე, „ამაღამ ვერ მოვრჩები".

და მერე რა? რადგან გრძნობდა, რომ ქმარი ისევ უყურებდა, მაგრამ უკვე სხვანაირად. რაღაცა უნდოდა – რაღაც ისეთი, რის გაღებაც ყველაზე მეტად უჭირდა; უნდოდა, ცოლს ეთქვა, რომ უყვარს იგი. ამას კი, ვერა, ვერ იზამს ახლა. მის ქმარს გაცილებით უფრო ეადვილება ლაპარაკი, ვიდრე თავად. მას ეხერხება ლაპარაკი – თავად კი არა. ამიტომაც სულ ასე ხდება – მუდამ ის ლაპარაკობს, და მერე, რაღაც მიზეზით, აღარ მოსწონს ხოლმე ეს და ცოლს საყვედურობს. უგულო ქალი ხარო, ეუბნება; ქმარს ვერაფრით ეუბნებოდა, რომ უყვარს. მაგრამ სინამდვილეში ხომ ასე არ იყო. საქმე ისაა,

რომ ვერასოდეს ახერხებდა იმის გამოხატვას, რასაც გრძნობდა. „პიჯაკი ხომ არა გაქვს გასაწმენდი?" ან „იქნებ რამე გჭირდება კიდევ?" წამოდგა და ფანჯარასთან დადგა. ხელში ისევ ის მოწითალო-მოყავისფრო წინდა ეჭირა, თან იმიტომ, რომ ქმარს არ დაენახა, თან კი იმიტომ, რომ გაახსენდა, ეს რა სილამაზეაო – ზღვა ღამით. მაგრამ, სანამ მისკენ მიიხედავდა, იცოდა, რომ ქმარი მას უყურებდა; თვალს არ აშორებდა. იცოდა, რომ ახლა ფიქრობდა, „ასეთი ლამაზი არასოდეს ყოფილხარ". და თვითონაც გრძნობდა, რომ ძალიან ლამაზი იყო. ნუთუ არ შეგიძლია ერთხელ მაინც მითხრა, რომ გიყვარვარ? ამას ფიქრობდა, რადგან გამოფხიზლდა მინტას ამბის და მისი წიგნისა და იმის გამო, რომ დღის ბოლო იყო და კიდევ იმიტომ, რომ შუქურაზე წასვლის გამო იჩხუბეს. მაგრამ მაინც ვერ იზამდა ამას; არ შეეძლო ამის თქმა. და მერე, რადგან იცოდა, რომ ქმარი უყურებდა, იმის ნაცვლად, რომ რამე ეთქვა, შემოტრიალდა, საქსოვით ხელში და ქმარს შეხედა. და რომ შეხედა, გაუღიმა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ არაფერი უთქვამს, ქმარმა იცოდა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მას ის უყვარს. შეუძლებელი იყო ამის უარყოფა. და ასე მოღიმარემ ფანჯარაში გაიხედა და თქვა (თავისთვის კი გაიფიქრა, არაფერი შეედრება ამ ბედნიერებასო):

„დიახ, მართალი იყავი. ხვალ იწვიმებს. წასვლას ვერ შეძლებთ". და გაღიმებულმა შეხედა ქმარს. რადგან ისევ მოიპოვა გამარჯვება. ქმრისთვის არ უთქვამს მიყვარხარო: მაგრამ მან ისედაც იცოდა.

ნაწილი II დრო მიდის

თავი 1

„ჰოო, ვნახოთ, რას გვიჩვენებს მომავალი", თქვა მისტერ ბენქსმა, რომელიც ტერასიდან ოთახში შემოდიოდა.

„უკვე ისე დაბნელდა, შეუძლებელია, რამე დაინახო", თქვა ენდრიუმ, რომელიც სანაპიროდან ბრუნდებოდა.

„ვერ გაარჩევ, რომელია ზღვა და რომელია ხმელეთი", თქვა ფრუმ.

„ეს ნათურა ანთებული დავტოვოთ?" იკითხა ლილიმ, როცა შინ შემოსულებმა პალტოები გაიხადეს.

„არა", თქვა ფრუმ, „თუ ყველა შინაა, უნდა ჩავაქროთ".

„ენდრიუ!" გასძახა ზურგს უკან ძმას, „მიდი რა, ჰოლში სინათლე ჩააქრე".

და ერთმანეთის მიყოლებით ყველამ ჩააქრო სინათლე, გარდა მისტერ კარმაიკლისა, რომელსაც ძილის წინ წამოწილილს ვირგილიუსის კითხვა უყვარდა და სანთელს ყველაზე გვიან აქრობდა ხოლმე.

თავი 2

ხოლო როცა შუქი ყველამ ჩააქრო, და როცა მთვარეც ჩაიძირა, სახურავზე წვრილად წამოწვიმა და ატყდა წვეთების კაკუნი და უსაშველო წყვდიადი ჩამოწვა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ვერაფერი გადაურჩებოდა ამ ნიაღვარს, წყვდიადის ამ მოზღვავებას, რომელიც კარის ჭუჭრუტანებიდან და ღრიჭოებიდან მოჟონავდა, ფანჯრის ჟალუზიდან მოიპარებოდა, საძინებელ ოთახებში ძვრებოდა, აქ დოქსა და თასს, იქ წითელ-ყვითელი გეორგინების ქოთანს, კომოდების კუთხოვან კიდეებსა და მკვიდრად შეკრულ ერთობას შთანთქავდა. მხოლოდ ავეჯი როდი ეწირებოდა მას; ტანისა თუ სულისგან თითქმის აღარაფერი რჩებოდა ისეთი, რაზეც შეიძლებოდა გეთქვა, „აი, ეს ხომ ისაა", ანდა „აი, ის კი ისაა". ანაზდად ხელს წამოსწევდა ვინმე, თითქოს სურდა, რაღაცას მობღაუჭებოდა, ან რაღაცა უკუეგდო, ხან ვინმე ამოიგმინებდა, ანდა ხმამაღლა გაიცინებდა, თითქოს რაღაც სახუმაროს უზიარებდა არარას. სრული უძრაობა გამეფებულიყო მისაღებ ოთახში, სასადილოში თუ კიბეებზე. მხოლოდ დაჟანგული კარის ანჯამებში და ზღვის სინოტივით გაფუყულ ხის ავეჯში ჩაბუდებულიყო ქარის ძლიერ ტალღას მოწყვეტილი ერთგვარი ნიავქარები (სახლი ხომ მთლად მორყეულიყო). მოცოცავდნენ და კარში შემოსვლას ლამობდნენ. როცა სასტუმრო ოთახში შემოაღწიეს, კითხვა-კითხვით, ცნობისმოყვარეობით შეპყრობილებმა, და აფცქვნილი შპალერის ნაკუწებს მიეტმასნენ, შეიძლება ისიც გეფიქრათ, აი, ეკითხებიან, კიდევ რამდენ ხანს გაძლებთ, როდის ჩამოცვივდებითო? მერე ჰაეროვნად მოედვნენ კედლებს, მეოცნებედ ჩაფიქრებულებმა ჩაიქროლეს და თითქოს კედელზე გამოსახულ წითელ და ყვითელ ვარდებს ეკითხებოდნენ, თქვენც დაჭკნებითო? მერე კი ეჭვით მიაჩერდნენ (აუჩქარებლად, რადგან დრო მათ განკარგულებაში იყო) წნულ კალათაში ჩაყრილი წერილების ნაგლეჯებს, ყვავილებს, წიგნებს, რომელთაგან ყველა ღია იყო მათთვის და თითქოს დაეჭვებულები ეკითხებოდნენ, მტერი ხარ თუ მოყვარეო? რამდენ ხანს გაძლებთო?

ასე მიუძღოდა კიბეზე და კარის წინ ფეხსაწმენდზე, შუქს გზასაცდენილი ნაპეწკალი, რომელიც ან რომელიღაც ახლად გამობრწყინებული ვარსკვლავიდან, ან გზააბნეული გემიდან, ანდა იქნება შუქურიდანაც კი გამოკრთებოდა ხოლმე და სუსტი ქროლვით ის პაწია ნიავქარები ჰაეროვნად, უხმაუროდ აუყვებოდნენ კიბეს და ყნოსვა-ყნოსვით დაუვლიდნენ საძინებელი ოთახების კარებს. მაგრამ აქ კი ისინი უეჭველად შედგებიან. დაე, სხვა ყველაფერი დაიღუპოს და გაქრეს, ოღონდაც იმას, რაც აქ განისვენებს, ვერაფერი შეარყევს. აქ, ამ მოსრიალე სინათლეებს, ამ მოფათურე ნიავქარებს, რომ ფშვინავენ და საწოლსაც კი აცქერდებიან ზემოდან, შეიძლება უთხრათ კიდეც, თქვენ აქ რა ხელი გაქვთ, ვერც ვერაფერს მიეკარებით და ვერც ვერაფერს გაანადგურებთო. რაზეც ისინი, მოთენთილები, ლანდისებურნი – თითქოსდა ბუმბულივით მსუბუქი თითებით და ბუმბულისავე მსუბუქი დაჟინებით, მაინც ზემოდან დახედავენ მილულულ თვალებს, დუნედ გადაჭდობილ თითებს, და მოთენთილები, აიკეცავენ უხილავ კალთას და გაუჩინარდებიან. და ისევ ისე, ყნოსვა-ყნოსვით, ფათურ-ფათურით, კიბის ფანჯარასთან მიფრინდებიან, მოახლეების

საძინებლებში, სხვენის სკივრებსა და ზარდახშებში შეიპარებიან; დაღმა ჩამავალნი სუფრაზე ვაშლებს გაახუნებენ, ქოთანში ვარდის ყვავილებს მოაჭკნობენ, მოლბერტზე სურათს მოსინჯავენ, ფეხის საწმენდს დაუქროლებენ, ბუღს აადენენ და ქვიშას მიმოაბნევენ იატაკზე. მერე კი, ბოლოს, შედგებიან, ყველანი ერთად შეყოვნდებიან, ყველანი ერთად შეიკრიბებიან, ყველანი ერთად ამოიკვნესებენ; ყველა ერთად ამოაფრქვევს უთავბოლოდ ნაღვლიან ოხვრას, რომელსაც სამზარეულოს რომელიმე კარი შეეხმიანება; ფართოდ გაიღება; შიგ არაფერს შეუშვებს; და ჯახუნით მიიხურება.

[და აქ მისტერ კარმაიკლი, რომელიც ვირგილიუსს კითხულობს, სანთელს სულს შეუბერავს და ჩააქრობს. შუაღამე გადასულია.]

თავი 3

მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა არის ერთი ღამე? ერთი გაელვება, განსაკუთრებით, როცა წყვდიადი ასე მალე გაკრთება ხოლმე, ჩიტებიც ასე მალე იწყებენ ჭიკჭიკს, მამალიც დაიყივლებს, ან მიმქრალი სიმწვანე ახასხასდება, ფოთოლივით, ანაზდად რომ ამოჰყვება ტალღის ამოზნექილ ქიმს. თუმცა ერთ ღამეს მეორე მოჰყვება. ზამთარი ღამეებს ბანქოს დასტასავით ინახავს და მწყობრად, თანაბრად ჩამოარიგებს ხოლმე თითო-თითოს დაუღალავი თითებით. ღამეები იწელებიან; გვაბნელებენ. ზოგი მათგანი ცის კიდეზე ინახავს კრიალა მნათობებს, ბრდღვიალა სფეროებს. ხოლო შემოდგომის ხეები, როგორც წესი, შემოძარცულები, უეცრად ისე აელვარდებიან, თითქოს გაცვეთილი ალმების ბრწყინვალება გადასდებოდეთ, ტაძრის ბნელსა და გრილ წიაღში მარმარილოს ფილების თავზე ჩამოკიდულები მარმარილოზე ამოკვეთილ ოქროს ასოებს რომ სდარაჯობენ, ასოებს, ბრძოლის ველზე დაცემულთა ამბავს რომ მოგვითხრობენ, აღგვიწერენ, როგორ გამოთეთრდა და გამოიწვა კირივით მათი ძვლები შორეული ინდოეთის ქვიშებში. შემოდგომის ხეები კი ბუნიობის წინ, სავსე მთვარის ყვითელ შუქზე ლიცლიცებენ, დაუოკებელი შრომის ჟინს რომ აცხრობს, ნამჯას სილბოს რომ მატებს და ზღვას მოლივლივე ლურჯ ტალღებად მიახლის ნაპირს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ადამიანური სინანულით და მთელი მისი მძიმე ჯაფით გულაჩუყებულმა ღვთიურმა სათნოებამ ფარდა ორად გადახსნა და მის უკან ორ ფეხზე შემდგარი ყურდაცქვეტილი ბაჭია დაგვანახვა; დაგვანახვა, როგორ ეხეთქება ნაპირს ცამდე აწვდილი ტალღა; წყალზე დარწეული ნავი, ყოველივე ის, რაც, წესით, სამუდამოდ ჩვენი იქნებოდა, რომ დაგვემსახურებინა. მაგრამ, ვაი რომ, ღვთიურმა განგებამ სიმს თითი გამოჰკრა, და ისევ დაიხურა ფარდა; მას ეს არ ეამება; და თავის საუნჯეს სეტყვას მოუვლენს და ისეთ რისხვას დაატეხს თავს, ისე დააფრთხობს, რომ წარმოუდგენლად მოგეჩვენებათ, თუკი ოდესმე შეიძლება კვლავ სიმშვიდემ დაისადგუროს, ან ოდესმე კვლავ შევიძლოთ ამ ნაკუწების სრულყოფილი მთლიანობის ხელახლა თავმოყრა, ან ამ მიმობნეული ნამცეცებისგან ჭეშმარიტების ამოკითხვა. რადგან ჩვენი სინანული მხოლოდ

თვალის შევლებას, ჩვენი ჯაფა კი – წამიერ ამოსუნთქვას თუ იმსახურებს მხოლოდ.

და ღამეები ქარსა და ნგრევას ეთმობა ახლა; ხეები მიწას ახლიან თავს, ხან იხრებიან, იზნიქებიან, ფოთლები აცაბაცად მიჰყვება ქარებს, ვიდრე მდელოს არ ამოლესავენ სქელი ფენით, წყლის არხებში არ ჩაიტკეპნებიან, საწვიმარ მილებს სულს არ ამოუხუთავენ, და წვიმით გალუმპულ ბილიკებზე არ მიმოიბნევიან. და ამ დროს ზღვა ამოხტება კალაპოტიდან, მიეხეთქება ნაპირის კიდეს და თუკი მავანი მძინარე სული უცებ წარმოიდგენს, იქნებ წამოვდგე, გარეთ გავიდე, გავისეირნო სანაპიროზე და ჩემს ეჭვებზე, ჩემს კითხვებზე პასუხი ან სიმარტოვის გამზიარებელი ვიპოვო ვინმეო, გადაიძრობს საბანს და ჩავა მარტოკა ქვიშაზე სასეირნოდ, მას არავინ გამოეცხადება ისეთი, ვისაც ოდნავ მაინც სცხია კეთილმსახურების ან ღვთიური მსწრაფლშემწეობის იერი, ვინმე ისეთი, ვისაც მღელვარე ღამის დაოკება ხელეწიფება, წესრიგის დამყარება და სამყაროს იძულება ხელეწიფება, რომ შემოფარგლოს მისი სულის სამანი. ხელი ხელს ჩააკვდება; გოდების ხმა ჩაესმის. და რა თქმა უნდა, ლამის სრულ უაზრობად მოეჩვენება აგრერიგ მშფოთვარეს, რომ ღამეს მიმართოს ამ შეკითხვებით, მაინც თუ რა, მაინც თუ რატომ, და მაინც თუ რისთვის, – შეკითხვებით, საწოლიდან რომ წამოაგდეს პასუხების ძიებით აღტკინებული.

[ერთხელ, ერთ ბნელ დილას, დერეფანში მისტერ რემზიმ რაღაცას ფეხი წამოჰკრა და ხელები გაიწვდინა შველის მოლოდინში, მაგრამ რადგან მისიზ რემზი სწორედ წინა ღამით სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა, მკლავები, თუმც კი გაწვდილი, ცარიელი შერჩა.]

თავი 4

და ასე, დაცლილ სახლში, სადაც ყველა კარი ჩაერაზათ, და ლეიბები აეხვიათ, გრიგალივით შემოიჭრნენ გზააბნეული ნიავქარები, ძლევამოსილი ლაშქრის მეწინავე რაზმები, დაუქროლეს ფიცრულ იატაკს, ყველგან ცხვირს ყოფდნენ, ქექავდნენ, ქროდნენ, და არანაირ წინააღმდეგობას არ წასწყდომიან გზად საძინებლებში, ან მისაღებ ოთახში, თუ არ ჩავთვლით ფოჩიანი ფარდების ფრთხიალს თუ შრიალს, ფიცრული იატაკის ტკაცუნს, მაგიდის შიშველ ფეხებს, შესუდრულ, პირწამტვრეულ, დაბზარულ ქვაბებს და ფაიფურის ჭურჭელს. აქ იყო ის, რაც ადამიანებს დაუვარდათ ან დატოვეს – წყვილი ფეხსაცმელი, მონადირის კეპი, გახუნებული კაბები თუ ქურთუკები კარადაში – მხოლოდ ესენიღა ინახავდნენ ადამიანის კვალს და ამ სიცარიელით შეგვახსენებდნენ, რომ მათში ოდესღაც სიცოცხლე ჩქეფდა; რომ ოდესღაც ვიღაც მოუსვენარი ხელებით იკრავდა დუგმებს და ღილებს; რომ ოდესღაც ვიღაცის სახე სარკეში ირეკლებოდა; სარკე გამოფუყულ სამყაროს ირეკლავდა, რომელშიც ხან ვიღაცის ლანდი გაკრთებოდა, ხან ვიღაცის ხელი იელვებდა, ხან კარი გაიღებოდა და ხმაურით შემოცვივდებოდნენ ბავშვები და ყირაზე გადადიოდნენ, მერე კი ისევ უკან გადიოდნენ. ახლა კი დღე დღეს მისდევდა, ინათებდა და წყალში არეკლილი ყვავილივით შუქი მკვეთრად ეფინებოდა მოპირდაპირე კედელს. მხოლოდ ქარით აქოჩრილი ხეთა

ჩრდილები დახრიდნენ ხოლმე კრძალვით თავს კედელზე და წამით ამღვრევდნენ ტბორს, რომელშიც შუქის ანარეკლი იხატებოდა; ხანაც რომელიმე ჩიტი გადაიფრენდა და მოლიცლიცე ლაქად ფარფატით გადაურბენდა საძინებელი ოთახის იატაკს.

მშვენიერება და სიმშვიდე გაბატონებულიყვნენ აქ, და ერთად ძერწავდნენ მშვენიერების ხატებას, სიცოცხლეგამოცლილ ფორმას; განმარტოებულს, სიფითრეგადაკრულ ტბასავით, საღამოობით, სადღაც, შორით რომ მოვკრავთ ხოლმე თვალს მატარებლის ფანჯრიდან და ისე სწრაფად უჩინარდება, ვერც კი ვასწრებთ სიმყუდროვე დავურღვიოთ. საძინებელ ოთახში მშვენიერებას და სიმშვიდეს ხელი ჩაეკიდათ ერთმანეთისთვის და თავად ცნობისმოყვარე ქარსაც კი, შესუდრულ დოქებსა და ტილოგადაფარებულ სკამებს შორის რომ ჩამდგარიყო, და ზღვის ნოტიო ნიავქარებსაც კი, ფაქიზი ყნოსვით რომ ცმაცუნებდნენ, ფშვინავდნენ და დაუღალავად იმეორებდნენ ერთსა და იმავე შეკითხვებს – „მაშ თქვენ დაჭკნებით? უკვალოდ გაქრებით?" – მათაც არ შესწევდათ ძალა ეს სიწყნარე, ეს უშფოთველობა, ეს ურყევი ერთიანობა დაერღვიათ, თითქოს შეკითხვა, რომელსაც სვამდნენ, არც კი მოითხოვდა მათგან ამ პასუხს: „არა, ჩვენ ვრჩებით."

და თითქოს არაფერს ძალუძდა ამ ხატების, ამ უმანკოების შერყვნა, მდუმარების მოტორტმანე საფარველის შელახვა, რომელიც კვირიდან კვირამდე ამ ცარიელ ოთახში ნელ-ნელა ჩაიქსოვდა ქარით მობერილ ჩიტების ჭყივილს, გემების კივილს, ზუზუნს და ბზუილს მონაბერს ყანიდან, ძაღლების ყეფას, კაცის შემახილს, და მერე გარს შემოახვევდა სახლს სრულ მდუმარებას. მხოლოდ ერთხელ იატაკის ფიცარნაგმა დაიტკაცუნა; ერთხელაც შუაღამისას, საზარელი ღრიალით, გრუხუნით, თითქოს უძრაობის მარადისობიდან მოწყვეტილიყოს ლოდი, გამსკდარიყოს და ხეობას დანარცხებოდეს, შალს ნაკეცი ჩამოეშალა და აქეთ-იქით დაიწყო რწევა. მერე კი ისევ სიმშვიდე გამეფდა; ჩრდილი გაკრთა; სინათლის სხივი თაყვანისცემით დაიხარა საკუთარი გამოსახულების წინაშე საძინებელი ოთახის კედელზე; და მისიზ მაკნებმა, სარეცხის ვარცლში გახევებული ხელებით, ჩექმებით, რომლითაც მანამდე სანაპიროს კენჭებს ტკეპნიდა, გაგლიჯა მდუმარების პირბადე და სახლში შემოიჭრა, რათა დავალებისამებრ, ფანჯრები გაეღო და საძინებელ ოთახებში მტვერი გადაეწმინდა.

თავი 5

და როცა ტორტმანით შეუდგა გზას (რადგან ისე ირწეოდა, როგორც გემი ზღვაზე) და ალმაცერად აცეცებდა თვალებს (რადგან თვალს უშუალოდ არაფერს უსწორებდა, არამედ ირიბი მზერით საყვედურს უცხადებდა ამქვეყნიურ ყოფას და მის მიმართ ზიზღსა და ბრაზს გამოხატავდა – ის ხომ დიდი ჭკუით არ გამოირჩეოდა და თავადაც კარგად უწყოდა ეს), და როცა კიბის მოაჯირს ჩასჭიდა ხელი და მძიმედ აითრია ტანი ზედა სართულზე ასასვლელად, გზად სიმღერა წამოიწყო. ხოლო როცა მაღალი სარკის მინის წმენდას შეუდგა და ცერად შეავლო თვალი საკუთარი მოფუსფუსე ტანის ანარეკლს, ბაგეებიდან რაღაც ხმა გამოსცა – ჰანგი, რომელიც ალბათ ოცი

წლის წინ თუ ჟღერდა სცენიდან ხალისიანად და რომელსაც ღიღინით, ან იქნებ ცეკვითაც კი აჰყვებოდნენ ხოლმე მაშინ, მაგრამ ახლა ამ უკბილო, ჩაჩიანი დამლაგებლის პირიდან ამოსული, ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული, და უგუნურობის, იუმორის, ყველაფრის ატანის, გაძლების, თუ სიცოცხლის მარადიულობის ხმასავით გაისმოდა, რომელიც თუნდაც ფეხით გაითელოს, მაინც ახლიდან წამოყოფს თავს, და ასე, მტვრის გადასაწმენდად ტანში მოხრილი, თითქოს ამბობდა, რომ ეს ცხოვრება ერთი დიდი დარდი და წვალებაა, რომ ყოველ დილას იღვიძებს, დგება და მერე ისევ საწოლში წვება, რომ ყოველდღე ნივთებს გამოალაგებს და მერე ისევ შეალაგებს უკან. რომ ეს სამყარო, რომელსაც უკვე სამოცდაათი წელია იცნობს, სულაც არ არის იოლი და მყუდრო სამყოფელი. ლამის წელში იყო გაწყვეტილი დაღლილობისგან. კიდევ რამდენ ხანს, ეკითხებოდა თავის თავს, თითქოს ძვლების ჭრიალით და კვნესა-ოხვრით საწოლის ქვეშ ფიცრული იატაკის მოსაწმენდად მუხლებზე დამდგარი, კიდევ რამდენ ხანს შეიძლება ამას გავუძლო? მაგრამ კოჭლობით, ბორძიკ-ბორძიკით, ისევ დგებოდა ფეხზე, ისევ იმართებოდა წელში და ისევ იმ ალმაცერი მზერით, ყველაფერს რომ ირიდებდა და თვით საკუთარ სახესაც, საკუთარ დარდსა და ნაღველსაც რომ არ უსწორებდა თვალს, იდგა და, პირდაღებული, უაზროდ მოღიმარი მისჩერებოდა სარკის მინას, და ისევ ნაცნობი, ჩვეული ტორტმანითა და გოგმანით იწყებდა საქმეს: იატაკიდან აიღებდა და ბერტყავდა ფარდაგებს, ალაგებდა ფაიფურის ჭურჭელს, ირიბად გახედავდა სარკეს, თითქოს, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ეგულებოდა რაღაც სანუგეშო, თითქოს სინამდვილეში, მის სამგლოვიარო განწყობას სუროსავით გარს ეხვეოდა გაუტეხელი იმედი. ბედნიერების განცდა თუ ხილვა მასაც ეწვეოდა ხოლმე, ალბათ როცა სარეცხს რეცხავდა, ანდა, ვთქვათ, შვილებთან ერთად ატარებდა დროს (ორი მათგანი უკანონოდ გააჩინა, ერთმა კი მიატოვა), ანდა ლუდხანაში სვამდა სასმელს; ანდა როცა კომოდის უჯრებში ქექავდა ძველმანებს. უეჭველია, მისი სულის ბნელ კუნჭულებში იმალებოდა რაღაც, ჭუჭრუტანისმაგვარი, არხი, რომლიდანაც საკმარისი შუქი აღწევდა საიმისოდ, რომ საკუთარი სახის დანახვაზე დამცინავად ჩასცინებოდა და როცა მუშაობას განაახლებდა, ღიღინით წამოეწყო სიმღერა რომელიღაც ვოდევილიდან. მისტიკოსი, მისანი, ვარსკვლავიან ღამეს სანაპიროზე სეირნობისას გუბეში რომ იჩხრიკება და კენჭებს აკვირდება, დაფიქრდება, „რა ვარ მე?", და „რა არის ეს?" და უცაბედად, ღვთიური განგებით, პასუხი მოევლინება: (თუმც შეიძლება ვერც კი გამოთქვას პასუხის არსი) და ესაა, რაც მას ყინვაში ათბობს და რაც შვებას ჰგვრის უდაბნოს ხვატში. მისიზ მაკნები კი განაგრძობდა სმას და ჭორაობას, როგორც ყოველთვის.

თავი 6

გაზაფხული, როცა მკვრივ კვირტს ჯერ თავიც არ ამოუყვია, შიშველი და ელვარე, მკაცრი და შეუვალი, საკუთარი უბიწობის, საკუთარი სიწმინდის განცდით გადიდგულებული, გაშლილიყო და მოსდებოდა ჭალებსა და მინდვრებს ფართოდ თვალგახელილი და ფხიზელი და სრულიად არ დაგიდევდათ, რას სჩადიოდნენ ან რას ფიქრობდნენ მისი შემყურენი. [ფრუ რემზიმ, მამის მკლავზე დაყრდნობილმა, იმ მაისს ჯვარი დაიწერა. რა

შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი? ამბობდა ხალხი. და თან დასძენდნენ, ნახეთ, რა ლამაზიაო!]

ზაფხული ახლოვდებოდა, და როცა საღამოები სულ უფრო გაიწელა და ფხიზელ ღამისმთევლებს, მოიმედეებს, სანაპიროს რომ დაუვლიდნენ ხოლმე და გუბეებში იჩხრიკებოდნენ, ყოვლად უცნაური წარმოსახვები ეწვიათ – ატომებად ქცეულიყო ყოველი არსი, და ქარზე უსწრაფესად ქროდა, გულში კი ვარსკვლავები უფეთქავდათ, ქარაფი, ზღვა, ღრუბელი და ცა კი განზრახ ერთად შეყრილიყო თითქოს, რათა წარმოსახვაში შინაგანად მიმოფანტული ნაწილაკები გარეგნულად ერთად შეეკრიბა. და ადამიანების გონება ამ სარკეებში, ამღვრეული წყლის ამ გუბეებში, რომლებშიც მარად იქმნება ღრუბლები და მათი თანმდევი ჩრდილი, სადაც ოცნებას ვერაფერი კლავს, და შეუძლებელი ხდება, წინ აღუდგე უცნაურ მინიშნებებს, რომელთაც ყოველი თოლია, ყვავილი, ხე, მამაკაცი თუ ქალი, ან თუნდაც შევერცხლილი დედამიწა გვიგზავნის და თან საჯაროდ აცხადებს, თითქოს (თუმც საკმარისია, კითხვა დაუსვათ, უმალ უკან დაიხევენ), რომ სიკეთე იზეიმებს, რომ ბედნიერება გაიმარჯვებს, საყოველთაო წესრიგი გაბატონდება; ასევე შეუძლებელია, წინ აღუდგე უძლიერეს ბიძგს, იხეტიალო აქეთ თუ იქით, მოედო ყველაფერს აბსოლუტური სიკეთის, სიცოცხლის საწყისის მატარებელი რომელიღაც კრისტალის ძიებაში, რომელსაც არაფერი ესაქმება ჩვენთვის ნაცნობ დროსტარებასთან თუ გაცვეთილ სათნოებებთან, რომლისთვისაც უცხოა ყოველდღიური ოჯახური ყოფის მდინარება, რომელიც ერთადერთია, მკვრივი და მოელვარე, როგორც ალმასი ქვიშაში, რომელიც მის მპოვნელს მარადიულ სიმშვიდეს უქადის. მეტიც, გაზაფხული, მომლბარი და დამყოლი, ფუტკრის ბზუილით და მოცეკვავე ქინქლების განუყრელი რიალით გარემოცული, მოისხამს მოსასხამს, აიხვევს თვალებს, თავს განზე გასწევს და წვრილი წვიმის წვეთების მოლიცლიცე ჩრდილებსა და ჩქეფაში ისე გამოიყურება, თითქოს კაცთა მოდგმის ყველა დარდი და ნაღველი შეუცნია და პასუხისმგებლობაც უკისრია მათზე. [იმ ზაფხულს ფრუ რემზი მშობიარობასთან დაკავშირებული რაღაც სენით გარდაიცვალა, და ეს ნამდვილი უბედურებაა, ამბობდა ხალხი, მაშინ როცა, ამბობდნენ ისინი, მის მომავალს ასეთი კარგი პირი უჩანდაო].

ახლა კი ზაფხულის ხვატში ქარმა ისევ მსტოვრები მიუქსია სახლს. მზიან ოთახებში სიფრიფანა აბლაბუდის ქსელები გაიბა; ფანჯრების სიახლოვეს ამოზრდილი სარეველა გამუდმებით ფანჯრის მინებიდან შემოღწევას ლამობდა. ჩამობნელებისთანავე, შუქურის სხივი, ადრე მბრძანებლურად რომ გაწვებოდა ხოლმე ბნელ ხალიჩაზე და მკაფიო კვალს ამჩნევდა მას, ახლა გაზაფხულის უფრო მინავლებული ნათებით გამოირჩეოდა და, ცაზე ნაზად მოტივტივე მთვარის მალულ შუქთან შერწყმული, ალერსს რომ აფრქვევდა ირგვლივ, უჩუმრად შეყოვნდდდებოდა ხოლმე, თვალს შეავლებდა იქაურობას და მერე ისევ უღალატოდ ბრუნდებოდა უკან. მაგრამ ერთხელ, როცა სწორედ ასე ალერსიანად გაილურსა, როცა გრძელ ზოლად გაიჭიმა საწოლზე, კლდე ორად გაიპო; შალის კიდევ ერთი ნაკეცი ჩამოსწყდა საკიდს; დაეკიდა და შეირხა. ზაფხულის მოკლე ღამეებში და ზაფხულის გრძელ დღეებში, როცა ცარიელი ოთახები თითქოს ალუღლუღდებოდნენ ხოლმე ყანებიდან მონაბერი ექოსა და ბუზების ბზუილის კვალდაკვალ, წვრილი და გრძელი ალამი შეირხეოდა და უაზროდ იწყებდა ფრიალს; ხოლო მზემ ამასობაში ისე შეუტია და შეაფრქვია სხივები იქაურობას და ისეთი ყვითელი ბურუსით

აავსო, რომ მისიზ მაკნები, რომელიც უეც-რად შემოიჭრა და ატორტმანებული შეუდგა ლაგებას, დაგვას და მტვრის წმენდას, ტროპიკულ თევზს დაემსგავსა, ფარფლებით რომ მიიკვლევს გზას მზით განმსჭვალულ ტალღებში.

მაგრამ ეს მთვლემარე მდგომარეობა, ეს ძილ-ბურანი, სულ ცოტა ხანში, გაგანია ზაფხულის მონაბერმა ავის მომასწავებელმა ხმებმა დაარღვია, თექის მოსათელად მოქნეული ჩაქუჩის მოგუდული ზუზუნის და ბაგუნის მსგავსმა, რიტმულად რომ მეორდება, და ამ დარტყმებმა უფრო მეტად ჩამოშალა დაკიდული შალის ნაკეცები და უარესად დაბზარა ჩაის ფინჯნები. ხან აქ, ხანაც იქ, ხან მინა დაიწკარუნებდა კარადაში, ხან გეგონებოდათ, აი, ტანჯულმა გოლიათმა ამოიგმინაო, კარადაში მწყობრად მდგომი ღვინის ჭიქებიც ცახცახს იწყებდნენ. მერე კი ისევ სიჩუმე ისადგურებდა; ღამეს ღამე მოსდევდა, და ზოგჯერ დღისით, მზისით, შუადღისას, როცა ვარდები აბრდღვიალდებოდა და სინათლე კედელს თავის ფორმას უბრუნებდა, სიჩუმეში, ამ სრულ უსიცოცხლობაში, ხელუხლებელ სამყაროში, უეცრად გაისმოდა გრგვინვა, მძიმე ვარდნის ხმა.

[ხელყუმბარა აფეთქდა. ოცი თუ ოცდაათი ახალგაზრდა კაცი ადგილზე დაიღუპა, მათ შორის ენდრიუ რემზი, რომლის სიკვდილი, ღვთის წყალობით, მყისიერი აღმოჩნდა.]

წელიწადის ამ დროს ადამიანები, რომლებიც სანაპიროზე ჩადიოდნენ სახეტიალოდ, ზღვისთვის, ზეცისთვის კითხვების დასასმელად იმის თაობაზე,თუ რა ახალი ამბავი მოიტანეს, ანდა რომელ ხილვას უჭერდნენ მხარს, იძულებულებიიყვნენ ღვთაებრივი ნიჭის ჩვეულებრივ ნიშნებს შორის, როგორებიცაა ზღვაში ჩამავალი მზე, სიფითრე განთიადისას, ამომავალი მთვარე, მეთევზეების ნავები მთვარის ფონზე თუ ბავშვები, რომლებიც ხან ტალახის ნამცხვრებს აცხობენ, ხანაც ერთმანეთს ბალახის ბღუჯებს აყრიან, დაფიქრებულიყვნენ იმაზე, რომ რაღაცა სრულიად ამოვარდნილიყო ამ სამხიარულო და უშფოთველი შეხმატკბილებიდან. ასეთი იყო, მაგალითად, ფერფლისფერი გემი, რომელიც ხან გამოჩნდებოდა, ხან თვალს მიეფარებოდა; მეწამული ლაქა ზღვის სარკისებრ ზედაპირზე, თითქოს რაღაცა დუღდა და სისხლს ღვრიდა უხილავად, ზღვის სიღრმეში. ასეთი შემოჭრა სანახაობაში, რომელიც შთამაგონებელი აზრების და ყველაზე საამური დასკვნებისთვის იყო გათვლილი, აბრკოლებდა სიამოვნებას. შეუძლებელი იყო ამ ყველაფრისთვის თვალის არიდება; მათი მნიშვნელობის უგულებელყოფა საერთო ხედზე; სეირნობის უწინდელივით მშვიდად გაგრძელება სანაპიროზე და იმით ტკბობა და გაოცება, თუ როგორ აირეკლავს გარეგანი სილამაზე შინაგან სილამაზეს.

ხელს თუ უწყობს ადამიანის წინსვლას ბუნება? სრულყოფს თუ არა იმას, რაც ადამიანს წამოუწყია? ბუნება თანაბარი უდრტვინველობით აღიქვამს მის სულმდაბლობას, ტანჯვა-ვაებას. ხოლო ოცნება – გაზიარების, წამოწყებულის დასრულების, სიმარტოვეში სანაპიროზე პასუხის პოვნის თაობაზე – მხოლოდ ანარეკლი ყოფილა სარკეში, თავად სარკე კი ერთი მინისებრი ზედაპირი, რომელიც სრულ უძრაობაში ყალიბდება მაშინ, როცა უფრო კეთილშობილ ძალებს მისი ზედაპირის ქვეშ სძინავთ. სულსწრაფი, სასოწარკვეთილი, და მაინც სანაპიროზე გასეირნების მოწადინე (რადგან სილამაზე თავის ხიბლს

გვთავაზობს, იცის, როგორ გვცეს ნუგეში), ხვდება, რომ ეს შეუძლებელია; ჭვრეტა აუტანელია; სარკე დამსხვრეულია.

[მისტერ კარმაიკლმა იმ გაზაფხულზე ლექსების წიგნი გამოსცა და მოულოდნელი წარმატება მოიპოვა. ომმა, ამბობდა ხალხი, პოეზიის მიმართ ინტერესი გააღვივაო.]

თავი 7

ღამეს ღამე მიჰყვა, ზაფხულობით და ზამთრობით, ქარიშხლის გულის გამაწვრილებელი სიშმაგე, აღსასრულის ისარივით შემართული გარინდულობა (თუკი იყო ვინმე ამის გამგონე), რომელსაც მხოლოდ მეხის დაცემა თუ დაარღვევდა ხოლმე სულ ერთი წამით და შემზარავ ქაოსს დაატეხდა თავს იქაურობას: ისმოდა გრიალი, დგანდგარი, ხოლო ქარები და ტალღები ერთად ეძლეოდნენ დროსტარებას ლევიათანთა ამორფული ხროვებივით, რომელთა შუბლს არ ანათებს აზრის სხივი და ყირაზე გადადიოდნენ, ჩაინთქმებოდნენ, ამოინთქმებოდნენ, ღამის წყვდიადსა თუ დღის სინათლეზე (ვინაიდან დღე და ღამე, თვე და წელი უსახურად მიქროდა ერთად) ბრიყვულ თამაშობებში, აყალმაყალში, სანამ არ მოგეჩვენებოდათ, აჰა, მთელი სამყარო უმიზნო ბრძოლას მოუცავს, ცხოველურ აღვირახსნილობას და ავხორც ვნებას მინდობია საკუთარ თავთან, მარტო, თავისთვისო.

იმ გაზაფხულზე, ბაღის ურნები, რომლებშიც უნებურად ამოეყოთ თავი ქარის მოტანილ მცენარეებს, კვლავინდებურად ხალისიანად გამოიყურებოდა. იხარეს იებმა და ფურისულებმა. მაგრამ დღის უძრაობა და სიკაშკაშე ისეთივე უცხო სანახავი იყო, როგორიც ღამის ქაოსი და მშფოთვარე აყალმაყალი, როცა ხედავდი, რომ ხეები თავის ადგილზე იდგნენ, და ყვავილებიც ხარობდნენ ისევ, იცქირებოდნენ პირდაპირ, იცქირებოდნენ ცისკენ, თუმც კი ვერაფერს ხედავდნენ, უთვალოები, და უზომოდ შიშის მომგვრელნი.

თავი 8

რას იზამ, რაკი ოჯახი აქ აღარ დაბრუნდება აღარასოდეს, ამბობდა ზოგი, სახლს ალბათ წმინდა მიხეილის დღეს გაყიდიანო. მისიზ მაკნები დაიხარა და ყვავილების თაიგული შეკრა შინ წასაღებად. სანამ მტვერს წმენდდა, თაიგული მაგიდაზე დადო. უყვარდა ყვავილები. ტყუილუბრალოდ რატომ უნდა გახმეს? შეიძლება, სახლი გაყიდონ (მისიზ მაკნებმა დოინჯი შემოირტყა და სარკეში ჩაიხედა), მაგრამ მოვლა ხომ მაინც დასჭირდება? ნამდვილად დასჭირდება. აი, იდგა სახლი ასე უქმად, ამდენი წელი, არც ერთ სულიერს ცხვირიც არ შემოუყვია ამდენი ხნის განმავლობაში. წიგნები და ავეჯი მთლად ობმოკიდებულია, რადგან ომის დროს, როცა ძნელია დამხმარის პოვნა, სახლი არც ერთხელ არ გაწმენდილა წესიერად, ისე, როგორც მას სურდა. ახლა კი, ფიქრობდა ის, ერთი ადამიანის ძალას აღემატება მისი დალაგება. უკვე ძალიან ბებერია. ფეხები სტკივა. ამ წიგნებს

კი აუცილებლად გარეთ, მზიან ბალახზე უნდა გატანა; ჰოლში კედლებიდან შპალერი ცვივა; საწვიმარი მილები გაჭედილია, კაბინეტის ფანჯრის თავზე და სახურავიდან წყალი ჟონავს; ხალიჩა თითქმის მთლად დაიძენძა. მაგრამ თვითონაც ხომ შეეძლოთ ჩამოსულიყვნენ, ან ერთი წერილი მაინც მოეწერათ, რომ სახლისთვის მიეხედათ. აბა, რას ჰგავს ეს – კარადებში ტანსაცმელი კიდია; ტანსაცმელი ყველა საძინებელში დაუტოვებიათ. რა უნდა იღონოს? ტანსაცმელს ჩრჩილი შესევია, მისიზ რემზის ტანსაცმელს. საწყალი ქალი! ახლა რაღაში დასჭირდება რამე. ამბობენ, ცოცხალი აღარ არისო; რამდენიმე წლის წინ, ლონდონში გარდაიცვალაო. აგერ, მისი ძველი რუხი საწვიმარი, ბაღში მუშაობისას რომ იცვამდა ხოლმე (მისიზ მაკნებმა თითი გაიშვირა მისკენ). თვალწინ დაუდგა მისიზ რემზი; როცა სარეცხით დატვირთული სახლის შესასვლელს მიუახლოვდებოდა ხოლმე, ის ყვავილებს დასტრიალებდა (საცოდავი სანახავი იყო ბაღი, მთლად გაპარტახებული, ყვავილების კვლებში ჩამალული კურდღლები ადამიანის გამოჩენისთანავე ცქვიტად მოკურცხლავენ ხოლმე) – თვალწინ დაუდგა მისიზ რემზი ერთ-ერთ შვილთან ერთად, რუხ საწვიმარში გამოწყობილი. აგერ, ჩექმები და ფეხსაცმელები; ტუალეტის მაგიდაზე თმის ჯაგრისი და სავარცხელი დარჩენია ვიღაცას, ზუსტად ისე, თითქოს მეორე დღეს აპირებდა დაბრუნებას. (როგორც ამბობენ, სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა). და ერთხელ კი, მართლაც დააპირეს ჩამოსვლა, მაგრამ გადადეს, რადგან ომი დაიწყო, მოგზაურობა კი იმხანად საშინლად გაჭირდა; რამდენი წელია, აღარ ჩამოსულან; მხოლოდ ფულს უგზავნიან; მაგრამ არც ერთხელ არ მოუწერიათ, არ გამოჩენილან და ასე ჰგონიათ, ყველაფერი ისე დახვდებათ, როგორც დატოვეს, ეჰ, ღმერთო ჩემო! აბა, უყურე, ტუალეტის მაგიდის უჯრები ათასი წვრილმანითაა სავსე (ყველა უჯრა გამოაღო), ცხვირსახოცები, ბაფთების ნაკუწები. დიახ, ცხადად დაუდგა თვალწინ მისიზ რემზი, სახლის წინ მდგომი, როცა თავად სახლისკენ მიმავალ ბილიკს შეუყვებოდა ხოლმე სარეცხით დატვირთული.

„საღამო მშვიდობისა, მისიზ მაკნებ", ეტყოდა მისიზ რემზი.

ძალიან კარგად ექცეოდა. გოგონებსაც ძალიან უყვარდათ. ეჰ, ჩემო კარგო, რამდენი რამე შეიცვალა მას მერე (უჯრა დახურა); რამდენმა ოჯახმა დაკარგა საყვარელი ადამიანი. და ისიც მოკვდა; და მისტერ ენდრიუც დაიღუპა; და მის ფრუც გარდაიცვალაო; როგორც ამბობენ, პირველ მშობიარობას გადაჰყოლია; მაგრამ ამ წლებში ყველამ ვიღაცა დაკარგა. ფასებმა სამარცხვინოდ იმატა და აღარც დაწეულა. კარგად ახსოვდა მისიზ რემზი ნაცრისფერ საწვიმარში.

„საღამო მშვიდობისა, მისიზ მაკნებ", ეტყოდა ხოლმე და მზარეულს გასძახებდა, რძის წვნიანი შეუთბეო – ეგონა, ამხელა კალათით ხელში ქალაქიდან მომავალს წვნიანი ესიამოვნებაო. ახლაც თვალწინ ედგა, როგორ დასტრიალებდა თავის ყვავილებს ურნებში; და მკრთალი და მოფარფატე, როგორც ტელესკოპის ბოლოში მოლიცლიცე ყვითელი სხივი, რუხ საწვიმარში გამოწყობილი ქალბატონი, იხრებოდა ყვავილების ქოთნის თავზე, საძინებელი ოთახის კედლიდან კედელზე გადადიოდა, მერე ტუალეტის მაგიდაზე, და პირსაბანზე, ვიდრე მისიზ მაკნები ტორტმანით და გოგმანით მიმოდიოდა, წმენდდა მტვერს, ხან წელში იხრებოდა, ხანაც იმართებოდა. მაგრამ აბა, რა ერქვა იმ მზარეულს? მილდრედი? მერიენი? – რაღაც ამის მსგავსი. ეჰ, დაავიწყდა – ახლა ხშირად ავიწყდება რაღაც-რაღაცები. ფიცხი იყო და

ფხუკიანი, როგორც ყველა წითური ქალი. და მერე, რამდენს იცინოდნენ ხოლმე ერთად! ყოველთვის გულთბილად ხვდებოდა სამზარეულოში. და ყოველთვის ყველას გაცინებას ახერხებდა, ნამდვილად ასე იყო. იმ დროს ყველაფერი გაცილებით უკეთ იყო, ვიდრე ახლა.

მისიზ მაკნებმა ამოიოხრა; მარტო ქალი ვერ აუვიდოდა ამხელა საქმეს. თავი უკმაყოფილოდ გააქნია. აი, აქ ოდესღაც ბავშვების ოთახი იყო. აბა, უყურეთ, ყველაფერი ნესტს შეუჭამია; შპალერი ჩამოძენძილა. ნეტავი ერთი, რამ დააკიდებინათ ამ მხეცის თავი ამ კედელზე? თანაც დახეთ, მთლად დაობებულა! მთელ სხვენს ვირთხები მოსდებიან. წვიმაც ჩამოდის. მაგრამ ერთხელაც რომ არ მოიწერეს? და ერთხელაც რომ არ ჩამოსულან. რამდენიმე საკეტი მოირყა, ასე რომ, კარები გამუდმებით ჯახუნობს. როცა ჩამობნელდება, აქ მაინც ვერ გაჩერდება. თანაც, ერთი ქალისთვის მეტისმეტია, ნამდვილად მეტისმეტია, მეტისმეტი. ძვლების ჭრიალით, კვნესით და ოხვრით გაიჯახუნა კარი. საკეტში გასაღები გადაატრიალა და მარტო დატოვა სახლი, გამოკეტილი, ჩარაზული.

თავი 9

სახლიდან წავიდნენ; სახლი მიატოვეს. მიატოვეს, როგორც ნიჟარა ქვიშის გორაკზე, რომელიც ახლა, სიცოცხლისგან დაცლილი, მშრალი მარილის მარცვლებით ივსება. თითქოს უსასრულოდ გრძელი ღამე დასადგურდა მასში; ცელქმა ნიავქარებმა, ცმაცუნით, ნოტიო ფშვინვით და ფათურით, როგორც ჩანს, გამარჯვება მოიპოვეს. ქვაბი დაიჟანგა და ფარდაგი დალპა. გომბეშოებმა გზა გაიკვლიეს სახლში. უაზროდ, უმიზნოდ შეირხა შალი, და აქეთ-იქით დაიწყო რწევა. საკუჭნაოს თავზე, კრამიტებს შორის ნარშავმა ამოყო თავი. მერცხლებმა მისაღებ ოთახში გაიკეთეს ბუდე; იატაკი ჩალით მოიფინა; ბათქაში გორებად ცვიოდა ძირს. ხის პანელების სიღრმეში შემძვრალი ვირთხები გზაზე ყველაფერს ღრღნიდნენ და სადღაც მიაქანებდნენ. ნარინჯისფერი და ყავისფერფრთიანი პეპლები ჭუპრებიდან იჩეკებოდნენ და ცხოვრებას ფანჯრის რაფებზე ფარფატსა და ფრთხიალში ატარებდნენ. ყაყაჩოებს გეორგინებს შორის ეხარათ; მდელოზე წელამდე ბალახი ბიბინებდა; უშველებელი მიწავაშლები გუმბათებივით თავს დასდგომოდნენ ვარდებს; ფოჩებიანი მიხაკი კომბოსტოებში ამოწვერილიყო; ხოლო სარეველა ბალახის ნაზი კაკუნი ფანჯრის მინებზე, ზამთრის ბნელ ღამეებში, დაფდაფების ბაგუნმა შეცვალა, რომელსაც ხის მძლავრი ტოტები და ეკლიანი ასკილის რტოები გამოსცემდნენ, ხოლო ზაფხულში მთელი ოთახი მწვანეში იყო ჩაფლული.

რა ძალას შესწევს უნარი, შეაჩეროს ეს უსაზღვრო ნაყოფიერება, ბუნების ეს უგუნურება? ანდა მისიზ მაკნების გონებაში ქალბატონის, მისი შვილის, რძის წვნიანით სავსე თეფშის ზმანება? ამ ყოველივემ კედლებზე მზის ნათელ ლაქასავით გადაიფრინა და გაუჩინარდა. მისიზ მაკნებმა კარი ჩარაზა; სახლიდან გავიდა. თქვა, ერთი ქალის ძალას აღემატება ასეთი სახლის დალაგებაო. არაფერი გამოუგზავნიათ. ერთხელაც არ მოუწერიათ. უჯრებში კი ათასი წვრილმანი ყრია და ლპება – სირცხვილია ამის ასე მიტოვებაო, ფიქრობდა თავისთვის. კარმიდამო სრულიად გაჩანაგდა. მხოლოდ შუქურის

სხივი შემოიპარებოდა ხოლმე ოთახებში ორიოდ წამით, ნაჩქარევ მზერას მიმოავლებდა საწოლებს, ზამთრის წყვდიადით მოცულ კედლებს, გულგრილად შეხედავდა ნარშავს და მერცხლებს, ვირთხებს და ჩალას. მათ ახლა ვეღარაფერი შეაკავებდა; მათ ვერაფერი აღუდგებოდა წინ. ქარი თავის ნებაზე ქროდა; ყაყაჩოები თავისით ითესებოდნენ და ხარობდნენ და მიხაკები კომბოსტოებთან შეწყვილებულიყვნენ. მერცხლები მისაღებ ოთახში ბუდეს იშენებდნენ. ბუდეს და ნარშავს კრამიტებს შორის ამოეყო თავი, პეპლები კი მზეზე ითბობდნენ თავს ჩითგადაკრულ, გახუნებულ სავარძლებზე. დამსხვრეული მინის და ფაიფურის ჭურჭელი თავის ნებაზე ეყარა მოლზე და ბალახში და კენკრას შერეოდა.

ხოლო რადგან ახლა ის წამი დადგა, მერყეობის წამი, როცა რიჟრაჟი აცახცახდება, ღამე შეყოვნდება, და როცა ერთი ბუმბულიც საკმარისია, რომ სასწორს დაეცეს და გადაწონოს; სულ ერთადერთი ბუმბულიც კი, და მაშინ მთელი სახლი ჩაძირვას, დაცემას იწყებს, დაიშლება და ძირს, წვდიადის წიაღში ჩაინთქმება. გაპარტახებულ ოთახში მოპიკნიკეები ჩაიდანს აადუღებენ; შეყვარებულები თავშესაფარს იპოვიან და შიშველ ფიცარნაგზე წამოწვებიან; მეცხვარე კი აგურებზე გაიწყობს სადილს, და მაწანწალა პალტოში ჩაიფუთნება, რომ სიცივისგან დაიცვას თავი; მერე სახურავიც ჩამოიშლება, ასკილი და კონიო სახლის მისადგომ ბილიკს დაბურავს, ფანჯრებზე აცოცდება; გაიზრდება, გაიფარჩხება და უსწორმასწოროდ, მაგრამ ხარბად მოედება მიწაყრილს, სანამ რომელიმე უნებართვოდ შემოსული გზააბნეული მოხეტიალე არ მიხვდება, – მხოლოდ იმით, რომ სადღაც ჭინჭრებში აფრიკული მანათობელი შროშანის ცეცხლოვან ყვავილებს, ან კონიოში გაჩხერილ ფაიფურის ჭურჭლის ნატეხებს დალანდავს, – რომ აქ ოდესღაც ვიღაცას უცხოვრია; რომ აქ ოდესღაც სახლი იდგა.

და თუკი იმ ერთი კინკილა ბუმბულის ჩამოვარდნა სასწორის პინას დაბლა დასწევს, მთელი სახლი უკუნეთში ჩაინთქმება და დავიწყებას მიეცემა. მაგრამ აქ რაღაც სხვა ძალა ამოქმედდა; რაღაც, არცთუ ცნობიერი; რაღაც, მოტორტმანე, რაღაც, მოგოგმანე; რაღაც ისეთი, რომელიც სულაც არ იყო შთაგონებული ღირსეული რიტუალით, ანდა საზეიმო გალობის თანხლებით გაეწია ჯაფა. მისიზ მაკნები კვნესოდა; მისიზ ბასტის ძვლებს ღრჭიალი გაუდიოდა. ორივე ბებერი იყო; ორივეს რაღაც აწუხებდა და მოძრაობა უჭირდათ; ფეხები სტკიოდათ. როგორც იქნა, მოვიდნენ გრძელი ცოცხებით და სათლებით აღჭურვილები; მძიმე სამუშაო ელოდათ. სრულიად მოულოდნელად, მისიზ მაკნებმა მითითება მიიღო, რომ სახლი უნდა გაემზადებინა, როგორც ერთ-ერთმა უმცროსმა ქალიშვილმა მოსწერა: თუ შეიძლება ეს გააკეთეთ; თუ შეიძლება ის გაამზადეთო; და ყველაფერი სასწრაფოდ უნდა მოესწროთ. შეიძლება ამ ზაფხულს ჩამოვიდეთო; ყველაფერი ბოლო წუთისთვის მოიტოვეს; მოელოდნენ, რომ ყველაფერი ისე დახვდებოდათ, როგორც დატოვეს. ნელა, დიდი გაჭირვებით, ცოცხითა და ვედროთი, შეუდგნენ ხეხვას, წმენდას და ხვეწას, და მისიზ მაკნებმა და მისიზ ბასტმა, ნგრევა და ლპობა შეაჩერეს; სახლი დროის მორევს გამოსტაცეს, რომელსაც ლამის ყველაფერი წაელეკა – აქ პირსაბანი, იქ კი კარადა; დილით უევერლის სერიის ყველა რომანი და ჩაის სერვიზი გადაარჩინეს დაღუპვას; ნაშუადღევს მზეზე გადგეს თითბრის ბუხრის ცხაურა და ბუხრის ფოლადის აღჭურვილობა. ჯორჯმა, მისიზ ბასტის ბიჭმა, ვირთხები დაიჭირა და ბალახი გაკრიჭა. დურგლებიც მოიყვანეს. მორყეული

კარის ანჯამები დაჭრიალა კარის ურდულები, ნესტით გაფუყული ხის ავეჯის გაჭედილი კარები და უჯრები შეაკეთებინეს. ჟანგმოდებულ სახლს თითქოს მძიმე მშობიარობა დაეწყო, როცა ქალები, ხან ჩაიცუცქებოდნენ, ხან ფეხზე დგებოდნენ, კვნესოდნენ, მღეროდნენ, ისმოდა ტყაპუნი, ჯახუნი, ხან ზედა სართულზე, ხან ქვემოთ, სარდაფში. და გაიძახოდნენ, ოოჰ, ეს რა მძიმე ჯაფა დაგვადგაო!

დროდადრო ხან საძინებელ ოთახში შედიოდნენ, ხანაც კაბინეტში ჩაის დასალევად; და შუადღისთვის შრომას წყვეტდნენ ხოლმე, სახეგამურულები, ცოცხის ტარის ჭერით მოჭმუჭნილი და მოკრუნჩხული ხელებით, სკამებზე დაებერტყებოდნენ და საკუთარი ნაღვაწით იწყებდნენ ტკბობას – ხან ონკანებზე და აბაზანაზე მოპოვებული დიდებული გამარჯვებით, ხანაც კიდევ უფრო მძიმე შრომის შედეგად გრძელ თაროებზე ყვავებივით ჩამწკრივებულ წიგნებზე მოპოვებული აშედარებით არასრული გამარჯვებით, გამურულებს თეთრი ლაქები რომ დასდებოდათ ახლა, რადგან ფერმკრთალი სოკოების სათბურად და უხილავი ობობების სამალავად ქცეულიყვნენ. და კიდევ ერთხელ, როცა ჩაის ფინჯანმა ხელები გაუთბო, მისიზ მაკნებს ტელესკოპი თავისით მოაჯდა თვალზე და სინათლის რგოლში მოხუცი ჯენტლმენი დაინახა, ჩხირივით გამხდარი, მოლზე რომ გამოსულიყო და თავს აქიცინებდა, როგორც ეტყობა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, ვიდრე მისიზ მაკნები სარეცხით დატვირთული კალათით ხელში სახლისკენ მიეშურებოდა. ხანდაზმული ბატონი თითქოს ვერც კი ამჩნევდა მას. ზოგი ამბობდა, გარდაიცვალაო; ზოგი ამბობდა, ის კი არა, მისი ცოლი გარდაიცვალაო. მაინც რომელი? დანამდვილებით არც მისიზ ბასტმა იცოდა რამე. ახალგაზრდა ბატონიც გარდაცვლილა. ეს კი დანამდვილებით იცოდა. გაზეთებში ამოიკითხა მისი სახელი და გვარი.

ახლა კიდევ იმ მზარეულის სახელი უნდა გაიხსენოს, მილდრედი, მერიენი, თუ რაღაც ამის მსგავსი – წითური დედაკაცი, ფიცხი და ცხარი, როგორც ყველა მისი ჯიშისა, ოღონდ, თუ საერთო ენას გამონახავდით მასთან, კეთილიც იყო. ვინ მოთვლის, რამდენი უხარხარიათ ერთად. ერთი მათლაფა წვნიანი ყოველთვის შემონახული ჰქონდა მეგისთვის; შეიძლება ლორის ნაჭერიც შემოენახა; რაც მორჩებოდა. იმ დროს მშვენივრად ცხოვრობდნენ. ყველაფერი ჰქონდათ, რასაც კი მოისურვებდნენ (მარჯვედ, ხალისიანად, ცხელი ჩაით გამთბარი, ბავშვების ოთახის ბუხრის ცხაურასთან მოკალათებული მისიზ მაკნები მოგონებების გორგლის დაშლას შეუდგა). აქ საქმეს რა გამოლევდა, ყოველთვის იმდენი ხალხი ტრიალებდა ამ სახლში, ზოგჯერ ოციც დარჩენილა, ზოგჯერ შუაღამე გადასული იყო ხოლმე, ჯერ კიდევ ჭურჭლის რეცხვა რომ უწევდა.

მისიზ ბასტი კი (ის არ იცნობდა სახლის მეპატრონეებს; იმ დროს გლაზგოში ცხოვრობდა) ფიქრობდა, ნეტავი გამაგებინა, რამ დააკიდებინათ ამ საშინელი მხეცის თავის ფიტული კედელზე, ალბათ რომელიმე შორეულ ქვეყანაში თუ მოინადირა ვინმემო.

სავსებით შესაძლებელია, მიუგო მისიზ მაკნებმა, რომელიც მოგონებებით ერთობოდა; აღმოსავლეთში მეგობრები ჰყავდათ; ჯენტლმენები ღამისთევით რჩებოდნენ ხოლმე აქ, ქალბატონები საღამოს კაბებში გამოეწყობოდნენ; ერთხელ ნახა, როგორ მისხდომოდნენ ყველანი ერთად სადილის სუფრას.

სულ ცოტა, ოცი ადამიანი მაინც იქნებოდა, ამას წყალი არ გაუვა, ყველას ძვირფასი სამკაულები ეკეთა, და მისიზ რემზიმ სთხოვა, დარჩი და ჭურჭლის დარეცხვაში მომეხმარეო. ალბათ უკვე შუაღამეც გადასული იქნებოდა.

ეჰ, თქვა მისიზ ბასტმა, ყველაფერი შეცვლილი დახვდებათო. ფანჯრის რაფაზე გადაეყუდა. უყურებდა, როგორ ცელავდა ჯორჯი ბალახს. ხომ შეიძლება ეკითხათ, ეს რისთვის დაგიმსგავსებიათ აქაურობაო? ისინი ხომ ელოდნენ, რომ ბებერი კენედი მიხედავდა ეზოს, მაგრამ რა იციან, როგორ დაიზიანა ფეხი იმ უბედურმა, ოთხთვალადან რომ გადმოვარდა; და სულ ცოტა, ერთი წელი მაინც გავიდა მას შემდეგ და არც არავის მიუხედავს ამ საქმისთვის; მერე კიდევ, დევი მაკდონალდი, მას ხომ თესლი უნდა გამოეგზავნა, მაგრამ ვინ იცის, საერთოდ დათესეს რამე? ყველაფერი შეცვლილი დახვდებათ.

უყურებდა, როგორ ცელავდა ბალახს მისი შვილი. შრომაში ბადალი არ ჰყავდა – უჩუმრად და მშვიდად იცოდა მუშაობა. ჰოო, ახლა კი ალბათ ჭურჭლის კარადების დალაგებას უნდა შეუდგნენ. და ფეხის თრევით, ისევ განაახლეს ქალებმა ლაგება.

და როგორც იქნა, რამდენიმე დღის შრომის შემდეგ შენობაში, ბალახის კრეჭისა და მიწის თხრის შემდეგ გარეთ, ეზოში, ფანჯრებიდან გადმოყარეს მტვრის საწმენდი ჩვრები, ჩარაზეს ფანჯრები, სახლში ყველა ოთახის კარი ჩაკეტეს; სადარბაზო კარი გაიჯახუნეს; და საქმეს მორჩნენ.

და გეგონებოდათ, წმენდამ და ხეხვამ და ცელვამ და კრეჭამ ჩაახშოო, უცებ ძლივს გასაგონად მოისმა ჰანგი, ის წყვეტილი მუსიკა, რომელსაც გაჭირვებით მოვკრავთ ხოლმე ყურს და მერე ვივიწყებთ; ძაღლის ყეფა, ძროხის ბღავილი; აქა-იქ, წყვეტილად, და მაინც, რაღაცით ერთმანეთთან კავშირში მყოფი; მწერების ბზუილი, მოჭრილი ბალახის ჟრჟოლა, ყველა ცალ-ცალკე, და მაინც, თანაზიარი. ფუტკრის ზუზუნი, ბორბლის ჭრიალი, ხმამაღალი, ხმადაბალი, მაგრამ იდუმალად დაკავშირებული ერთურთთან; რასაც ყური გაჭირვებით უყრის თავს და რაც ურთიერთთანხმობის ზღვარზეა მუდამ, მაგრამ გარკვევით მაინც არასოდეს გვესმის, და ვერც ვერასოდეს პოვებენ თანხმობას ბოლომდე, და ამ ყველაფრის შემდგომ, საღამოობით, ერთიმეორის მიყოლებით, ხმები ნელინელ ქრება, თანხმობას ენა ებმის, და სრული სიჩუმე იწყებს გამეფებას. მზის ჩასვლისთანავე სიმკვეთრე იკარგება,და ნისლის ჩამოწოლასავით ჩამოწვება სიჩუმე, სიჩუმე ყველაფერს მოედება და ქარიც ჩადგება; სამყარო დუნდება და ძილს მიეცემა, აქ სიბნელეში, სადაც არც ერთი ნათურა არ ანთია, მხოლოდ სიმწვანე იღვრება ფოთლებიდან, ანდა თეთრი ყვავილების სიფითრე ფანჯრის მახლობელი ყვავილნარიდან.

[ლილი ბრისკომ მძიმე ჩანთა შეატანინა სახლში სექტემბრის ერთ გვიან საღამოს. მისტერ კარმაიკლი იმავე მატარებლით ჩამოვიდა.]

თავი 10

და შემდეგ მართლა დამყარდა მშვიდობა. შეტყობინებებს მშვიდობის თაობაზე ზღვა ფშვინვით მოაქროლებდა ხმელეთისაკენ. რომ აღარასოდეს დარღვეოდა ხმელეთს ძილი, რომ უფრო ღრმა, ტკბილ ძილში ჩაფლულიყო დაბანგულივით, რათა დასტური მიეცა მძინარეთათვის, რომ, რასაც ძილში ინატრებდნენ წმინდა გულით, გონივრულად, ის ცხადშიაც ახდებოდა – მაშ კიდევ რაზე შეიძლება ზღვა ფშვინავდეს, ჩურჩულებდეს – და როგორც კი ლილი ბრისკომ თავი ბალიშზე დადო სუფთა ოთახში, ზღვის ხმა ჩაესმა. ღია ფანჯრიდან სამყაროს მშვენიერების ისეთი ჩუმი ფშვინვა მოისმოდა, ჩურჩულივით, რომ ვერც მიხვდებოდით, რის თქმა სურდა – მაგრამ განა ამას რა მნიშვნელობა აქვს, თუკი ისედაც ცხადზე ცხადია, რასაც გულისხმობს? ხვეწნა-მუდარით მიმართავს დასაძინებლად გამზადებულებს (სახლი ისევ აივსო ხალხით; მისიზ ბექვიზი ჩამოვიდა, მისტერ კარმაიკლიც), რომ თუკი ისინი სანაპიროზე გასვლას თავად არ მოისურვებენ, შტორები მაინც გადახსნან ფართოდ და გაიხედონ გარეთ შიგნიდან. ასე ისინი დაინახავენ, როგორ ეშვება ბრწყინვალე ღამე; თავზე გვირგვინი რომ ადგას უკვე; კვერთხიც უპყრია მოოჭვილი ძვირფასი თვლებით; და მიხვდებიან, რომ მცირეწლოვან ყრმასაც კი შეუძლია, თვალებში ჩახედოს მას. და თუ მაინც ჩაითრევენ ფეხს (ლილის ქანცი გასძვრა მგზავრობის მერე და თითქმის მყისვე ჩაეძინა; მაგრამ მისტერ კარმაიკლი სანთლის შუქზე წიგნის კითხვას განაგრძობდა), და თუ იტყვიან, არა, ეს ბრწყინვალება ხომ მხოლოდ ბურუსია, მხოლოდ წყლის ანაორთქლია და დილის ცვარს ვერ შეედრება, ამიტომაც გვირჩევნია დავიძინოთო; მაშინ უხმოდ და უსაყვედუროდ, თავის სიმღერას იმღერებს ღამე. ნაზად მიეხლება ტალღები ნაპირს (ლილის ესმოდა მათი ხმა ძილში); ნაზად გაკრთება შუქი (ეჩვენებოდა, ქუთუთოებშიც ჩამოეღვენთა თითქოს). და ყველაფერი ისეა ახლა, გაიფიქრა მისტერ კარმაიკლმა და წიგნი დახურა, რადგან ძილი მოერია, როგორც დიდი ხნის წინათო.

ის ხმა მართლაც შეიძლება ისევ აჟღერებულიყო, როცა წყვდიადის ფარდა შემოეხვია სახლს ოთხივ მხრიდან, და სახლში ყველანი – მისიზ ბექვიზი, მისტერ კარმაიკლი და ლილი ბრისკო, იწვნენ ასე და თვალზე კუნაპეტის რამდენიმე ფენა ედებოდათ. რატომ არ შეიძლება მივიღოთ ეს, დავჯერდეთ ამას, ვიკმაროთ და უხმოდ დავეთანხმოთ? ზღვის ტალღების უსაზღვრო ოხვრა, თანაზომიერად რომ აწყდებოდა კუნძულს ოთხივ მხრიდან, საამურად ჩაესმოდა ყოველ მათგანს; ღამე ბნელ საბურველში ახვევდა ყველას; მათ არაფერი უფრხობდა ძილს, სანამ ჩიტებმა არ ამოყვეს თავი და გარიჟრაჟმა არ ჩაიქსოვა მათი ხმები კრიალა სითეთრეში, სანამ ურიკამ არ ჩაიარა რახრახით და სადღაც ძაღლმა არ დაიყეფა, მზემ კი ფარდები წამოსწია, მძინარეთა თვალსაბურავი გაარღვია და ლილი ბრისკო შეაკრთო ძილში. ლილი ისე ჩააფრინდა საბანს, როგორც კლდისპირა ხავსს ეჭიდება უფსკრულიდან გადავარდნის შიშით შეპყრობილი ადამიანი. თვალები ფართოდ გაახილა. აი, ისევ აქ ვარო, გაიფიქრა, და წამში წამოჯდა საწოლზე, თამამად წელგამართული. სრულიად ფხიზელი.

ნაწილი III შუქურა

თავი 1

მაშ რას ნიშნავს ეს ყველაფერი, მაინც, რას შეიძლება ნიშნავდეს? ეკითხებოდა ლილი ბრისკო თავის თავს, და რაკი მარტო იყო იმ დროს, დაინტერესდა, უხერხული ხომ არ იქნებოდა სამზარეულოში კიდევ ერთი ფინჯანი ჩაის ან ყავის გამოსატანად გასვლა, ან იქნებ ჯობდა, აქ მოეცადა? რას ნიშნავს ეს? – ციტატა, რომელიც რომელიღაც წიგნიდან აიტაცა, მის ფიქრებს უცნაურად მიესადაგა, რადგან უჭირდა რემზებთან ჩამოსულს ამ პირველ დილას გრძნობების მოთოკვა, და მხოლოდ ამ ერთი ფრაზით შეეძლო გამოეხატა სულიერი სიცარიელე, სანამ ეს აფორიაქება არ ჩაცხრებოდა. რადგან მართლაცდა რას გრძნობდა ახლა, როცა ამდენი წლის შემდეგ უცებ ისევ დაბრუნდა ამ სახლში, მაშინ, როცა მისიზ რემზი აღარ იყო ცოცხალი? არაფერს, არაფერს – არაფერს ისეთს, რის გამოხატვაც შეეძლო.

წუხელ გვიან ღამით ჩამოვიდა, როცა ყველაფერი ისეთი იდუმალი, ისეთი ჩაბნელებული იყო. ახლა კი ეღვიძა და თავის ოდინდელ ადგილზე იჯდა სუფრასთან, ოღონდაც მარტო. თანაც ჯერ ძალიან ადრე იყო, ჯერ დილის რვა საათიც არ იქნებოდა. ისინი კი ლაშქრობაში მიდიოდნენ – შუქურაზე აპირებდნენ ასვლას, მისტერ რემზი, კემი და ჯეიმსი. წესით უკვე წასულებიც უნდა ყოფილიყვნენ – მოქცევისთვის უნდა მიესწროთ, მგონი. კემი კი ჯერ მზად არ იყო და არც ჯეიმსი იყო მზად, ნენსის კი სენდვიჩების დაკვეთა დავიწყნოდა წინა დღით და მისტერ რემზიმ მოთმინება დაკარგა და კარის ჯახუნით გავიდა ოთახიდან.

„რაღა აზრი აქვს ახლა წასვლას?“ ჯაჯღანით თქვა გაალმასებულმა.

ნენსი სადღაც გაუჩინარდა. მისტერ რემზი კი ისევ აქ იყო, ბოლთას სცემდა ტერასაზე განრისხებული. თითქოს სახლის ყოველი კუნჭულიდან მოისმოდა კარის გაჯახუნების ხმა, ხან ვიღაცა ვიღაცას გასძახებდა რამეს. ახლა ნენსი შემოქანდა, ოთახს თვალი მოავლო და იკითხა, „ხომ არ იცით, რა მიაქვთ ხოლმე თან, როცა შუქურაზე მიდიან?“ ისე, თითქოს თავს აიძულებდა იმის გაკეთებას, რაც იცოდა, რომ მაინც არ გამოუვიდოდა.

მართლაც, რას ატანენ ხოლმე შუქურაზე მიმავალთ? ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ლილი გონივრულად ურჩევდა – ჩაის, თამბაქოს და გაზეთებსო. მაგრამ იმ დილით ყველაფერი ისეთი უჩვეულოდ უცნაური ეჩვენებოდა, რომ ნენსის შეკითხვამაც კი – რა გავატანო შუქურაზე წამსვლელებსო? – თითქოს გონების კარი გაუღო და თვითონაც ატეხა ჯახუნი და რწევა და იძულებული გახადა გაოცებისგან ბრიყვივით პირდაღებულს ეკითხა, „მაშ რას უგზავნიან ხოლმე შუქურაზე ადამიანებს? როგორ უნდა მოიქცე ასეთ დროს? ნეტავი რას უზიხარ აქ, ბოლოს და ბოლოს?“

ვიდრე ლილი მარტო იჯდა ასე (რადგან ნენსი ისევ გავიდა ოთახიდან) წკრიალა ფინჯნებით გაწყობილ გრძელ სუფრასთან, იგრძნო, რომ სრულებით მოსწყდა დანარჩენებს, და ერთადერთი, რის გაკეთებაც შეეძლო, აქ ჯდომა, სხვებისთვის თვალის დევნება და შეკითხვების დასმა და ვარაუდი იყო. ეს

სახლი, ეს ადგილი, ეს დილა, ეს ყველაფერი თითქოს ეუცხოებოდა. გრძნობდა, მისი ადგილი არ იყო აქ, არაფერი აკავშირებდა აქაურობასთან, აქ ნებისმიერი რამ შეიძლება მომხდარიყო, და რაც მართლა ხდებოდა – ვიღაცის ფეხის ხმა გარეთ, ვიღაცის დაძახება („არა, კარადაში არ არის; კიბის ბაქანზეა"), შეკითხვა იყო; თითქოს კავშირი, რომელიც ჩვეულებრივ არსებობს საგანთა შორის, გაწყდა და ზოგი იქ დარჩა, ზემოთ, ზოგიც აქ, ქვემოთ, მაგრამ რატომღაც ყველა ერთმანეთს იყო მოწყვეტილი. რა ფუჭია ეს ყველაფერი, რა არეულ-დარეული, რა უცნაური და არაბუნებრივი, ფიქრობდა ლილი და თავის ცარიელ ყავის ფინჯანს დასცქეროდა. მისიზ რემზი გარდაიცვალა; ენდრიუ ომში მოკლეს; ფრუც გარდაიცვალა – და რამდენჯერაც უნდა გაემეორებინა ეს, მაინც არანაირ გრძნობას არ აღუძრავდა გულში. და ჩვენ ყველამ ასეთ სახლში მოვიყარეთ თავი, ასეთ დილას, ამბობდა გუნებაში და თან ფანჯარაში იყურებოდა. მშვენიერი, მშვიდი დღე თენდებოდა.

თავი 2

უეცრად, როცა ლილის ჩაუარა, მისტერ რემზიმ თავი მოატრიალა და პირდაპირ თვალებში ჩახედა, მისთვის ჩვეული, შემცბარი მზერა მიაპყრო, რომელიც იმდენად გამჭოლი იყო, გეგონებოდათ, აი, დამინახა, სულ ერთი წამით, ერთხელ და სამარადისოდო; და ლილიმ თავი მოიკატუნა, ვითომ ცარიელი ფინჯნიდან ყავას შეექცეოდა, რათა მისტერ რემზისგან თავი დაეღწია – რათა მისი დაჟინებული მოთხოვნა აერიდებინა, რათა ერთი წამით მაინც შეეყოვნებინა მისი მბრძანებლური ნება-სურვილი. და მისტერ რემზიმ თავი დაუქნია ლილის და სიარული განაგრძო („მარტოდმარტო", გაიგონა, როგორ თქვა თავისთვის, „დაღუპული") და როგორც ყველაფერი სხვა, ამ უცნაურ დილით, ეს სიტყვებიც სიმბოლოებად გადაიქცა და ასოები თავისით გამოიწერა ირგვლივ, ყველა მომწვანო-რუხ კედელზე. ნეტავი შემეძლოს მათი გაერთიანება, ინატრა ლილიმ, რომელიმე ერთ წინადადებაში მოქცევა, მაშინ ხომ ჩავწვდებოდი ამ რეალობის ჭეშმარიტებასო. ბებერი მისტერ კარმაიკლი ბარბაცით შემოვიდა ოთახში, ყავა გამოიტანა, აიღო თავისი ფინჯანი და გარეთ გავიდა, მზეზე დასაჯდომად. ეს უჩვეულო წარმოსახვითი გაუცხოება შემაშფოთებელი გახდა; მაგრამ თან ამაღელვებელიც იყო. შუქურის დალაშქვრა. მაგრამ რომ არ იციან, რა უნდა გაატანონ შუქურაზე მიმავალთ? დაღუპულები. მარტოდმარტო. ეს რუხ-მომწვანო შუქი პირდაპირ კედელზე. ცარიელი ადგილები. ასეთი იყო ამ უცნაური მდგომარეობის ცალკეული ნაწილები, მაგრამ როგორ უნდა შეიკრას მთლიანობა? ეკითხებოდა ლილი თავის თავს. და თითქოს ნებისმიერ ჩარევას შეეძლო იმ მყიფე ფორმის დანგრევა, რომელსაც მაგიდაზე აგებდა წარმოსახვაში, ლილიმ ფანჯარას ზურგი აქცია, რომ მისტერ რემზის არ დაენახა. სადმე უნდა დაიმალოს, სადმე უნდა განმარტოვდეს. და უცებ გაახსენდა. როცა ათი წლის წინათ აქ, ამ მაგიდასთან იჯდა, მოჩითულ სუფრაზე ერთი ყლორტი თუ ფოთოლი დაინახა, უეცრად გონება გაუნათდა და გამოსავალს მიაგნო. სურათზე, რომელსაც იმ წელიწადს ხატავდა აქ, ერთი დაბრკოლება შეექმნა წინა პლანთან დაკავშირებით. და მაშინ საკუთარ თავს უთხრა, გასწიე ხე სურათის შუაგულისკენო. ის სურათი აღარც დაუმთავრებია. ჰოდა, სწორედ ახლა

დახატავს იმ სურათს. რამდენი წელია, დროდადრო გაახსენდებოდა ხოლმე ეს და ისევ ივიწყებდა. სად არის ჩემი საღებავები? დიახ, საღებავები. წუხელ ხომ ჰოლში დატოვა საღებავები. ახლავე დაიწყებს ხატვას. მარდად წამოდგა, სანამ მისტერ რემზი მოასწრებდა დაბრუნებას.

სკამი მონახა და გარეთ გაიტანა. მოლბერტი, როგორც სჩვეოდა, შინაბერასთვის დამახასიათებელი ზუსტი მოძრაობით, სახლის წინ, მინდვრის განაპირას დადგა, მისტერ კარმაიკლთან არცთუ ძალიან ახლოს, მაგრამ თან ისე ახლოს, რომ მისი დახმარებით თავდაცვა შეძლებოდა. დიახ, ზუსტად ეს უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ათი წლის წინათ იდგა. აი, ის კედელი, აი, ბუჩქნარის ღობე; ის ხე. ის, რაც აწუხებდა, რაღაცნაირად ამ მსუყე ფერებთან იყო დაკავშირებული. მთელი ამ წლების მანძილზე გონებაში ატარებდა ამაზე ფიქრს. და ეჩვენებოდა, რომ გამოსავალი იპოვა: ახლა იცოდა, რა უნდა ექნა.

მაგრამ, თუ უეცრად მისტერ რემზი დაატყდებოდა თავს, ვერაფერს გახდებოდა. მისი სიახლოვე – ის ხომ ტერასაზე სცემდა ხოლმე ბოლთას – ყოველ ჯერზე გარდაუვალი მარცხის მოახლოებას მოასწავებდა, ქაოსის სიახლოვის ნიშანი იყო. ამას მიანიშნებდა. ამიტომაც ვეღარ ხატავდა. ხან დაიხრებოდა, ხან შებრუნდებოდა; ხან ჩვარს დაავლებდა ხელს, ხან საღებავის ტუბს გამოწურავდა. მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ იმისთვის სჩადიოდა, რომ წამით მოეგერიებინა, თავი დაეცვა მისგან. რადგან მისტერ რემზის თანდასწრებით არაფრის კეთება არ შეეძლო. რადგან საკმარისია, ოდნავი შანსი მიეცა, მას წამით უსაქმოდ დაენახა, ან შეენიშნა, რომ მისკენ გაექცა თვალი, უმალ თავს დააცხრებოდა და ეტყოდა იმას, რაც წუხელ უთხრა, „ძალიან შეცვლილები გეჩვენებით, ალბათ". წუხელ ადგა და წინ დაუდგა, და სწორედ ეს სიტყვები წარმოთქვა. და მიუხედავად იმისა, რომ ყველანი უკვე ისხდნენ და სახეზე არც ერთს არ შერხევია კუნთი, მაინც გაოგნებულები შესცქეროდნენ მამას, ექვსი შვილი, რომელთაც ინგლისის მეფეების და დედოფლების სახელები დაარქვეს ოდესღაც – წითური, ქერა, ავი, პირქუში – და ლილიმ იგრძნო, რამხელა რისხვა იმალებოდა მათი უტყვი მზერის მიღმა, რამხელა ბრაზი მორეოდათ. მგონი, მისიზ ბექვიზმა თქვა რაღაც ჭკვიანური. მაგრამ ეს იყო შეუთავსებელი ვნებებით აღსავსე სახლი – ამას მთელი საღამოს განმავლობაში გრძნობდა. და ამ ყველაფერს ემატებოდა ის, რომ მისტერ რემზი წამოდგა, ხელი ასწია და თქვა: „ძალიან შეცვლილები გეჩვენებით, ალბათ," და არც ერთი შვილი არ განძრეულა, არც ერთს არ ამოუღია ხმა; არამედ ისხდნენ იქ ისე, თითქოს ვიღაც აიძულებდა, რომ ამის თქმის ნება მიეცათ მამისთვის. მხოლოდ ჯეიმსმა (რა თქმა უნდა, ჯეიმს პირქუშმა) ბრაზიანად გახედა ლამპას და კემმა ცხვირსახოცი დაიხვია თითზე. მერე მამამ შვილებს შეახსენა, დილით შუქურაზე მივდივართ და ზუსტად რვის ნახევარზე ყველანი მზადყოფნაში უნდა ვიყოთ ჰოლშიო. და მერე, ოთახიდან რომ გადიოდა და ხელი კარის სახელურს ჩასჭიდა, შედგა; შვილებს მიუბრუნდა. რა, არ გინდათ წასვლაო? დაჟინებით იკითხა. ვინმეს რომ გაებედა და ეთქვა, არაო (მას რატომღაც თვითონ უნდოდა წასვლა), უთუოდ სასოწარკვეთილების მორევში ჩავარდებოდა. ტრაგიზმის გამოხატვის საოცარი ნიჭი ჰქონდა. ხელმწიფეს ჰგავდა დევნილობაში. ჯეიმსმა შეუპოვრად უთხრა, დიახ, მინდაო. კემმა უფრო საცოდავად ამოილუღლუღარაღაც. დიახ, რა თქმა უნდა, დიახ, ჩვენ ორივენი მზად ვიქნებითო, თქვეს. და უცებ ლილიმ გააცნობიერა; ეს ხომ ტრაგედიაა – არა სუდარა, ფერფლი და

მიწა; არამედ ბავშვები, რომელთაც აიძულებენ, საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ იმოქმედონ, დათრგუნული ბავშვები. ჯეიმსი თექვსმეტისაა, კემი კი, ალბათ, ჩვიდმეტის. და ლილიმ მიმოიხედა, ვიღაცას ეძებდა, ვიღაცა დააკლდა თვალში, ალბათ, მისიზ რემზი. მაგრამ იქ მხოლოდ კეთილი მისიზ ბექვიზი იჯდა და ნათურის შუქზე ჩანახატებს ათვალიერებდა. მერე კი, რაკი დაღლილი იყო, რაკი ტალღებს აყოლილი გონება ხან აღმა იწევდა, ხან ძირს ეცემოდა, და რადგან გემოს და სუნის მძაფრი შეგრძნება მოეძალა, ნაცნობ ადგილებს რომ ახასიათებს ხოლმე დიდი ხნის უნახაობის შემდეგ, ხოლო თვალში სანთლის შუქი აუციმციმდა, ლილი გაბრუვდა და ჩაეყვინთა. შესანიშნავი ღამე იყო, ვარსკვლავებით გაჩაღებული; როცა ზედა სართულზე ადიოდნენ, ტალღების ხმა მოესმათ; მთვარის დანახვამ ყველა გააოცა, უშველებელი, მკრთალი მთვარე კიბის ფანჯრიდან დაინახეს. და ლილის წამში ჩაეძინა.

სუფთა ტილო მოლბერტზე მყარად დაამაგრა, როგორც ზღუდე, მყიფე, მაგრამ მისი აზრით, საკმარისად მტკიცე, რომ მისტერ რემზი და მისი კატეგორიულობა აერიდებინა. ყველანაირად შეეცადა, როცა მისტერ რემზი მისკენ შემობრუნდა, რომ თვალი არ მოეშორებინა სურათისთვის; ის ხაზი იქით, ის ფერები აქეთ. მაგრამ გამორიცხულია. თუნდაც ორმოცდაათი მილით იყოს დაშორებული, თუნდაც არაფერი გითხრას, თუნდაც ვერ გხედავდეს, ის მაინც ყველგან შეაღწევს, ყველგან გაიმარჯვებს და იბატონებს, ყველას თავს მოახვევს თავის აზრს. ის ყველაფერს ცვლის გარშემო. ლილი ფერს ვეღარ არჩევდა; ხაზს ვეღარ ავლებდა; მაშინაც კი, როცა ზურგი შეაქცია, ლილი მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, „ჰო, მაგრამ მეორე წამს თავზე წამომადგება და რამეს მომთხოვს", რამე ისეთს, რასაც, როგორც ლილი გრძნობდა, ის ვერ გაიღებდა. ერთი ფუნჯი გადადო; მეორე აირჩია. სად არიან ბავშვები ამდენ ხანს? როდის გაეტევიან აქედან? ვერ ისვენებდა ლილი. ეს კაცი ხომ, ფიქრობდა და ბრაზი ერეოდა, ეს კაცი ხომ არაფერს გაიღებს; მარტო გართმევს. მეორე მხრივ, თვითონ ლილი, იძულებული გახდება, დაუთმოს. მისიზ რემზი უთმობდა. უთმობდა, გასცემდა, გასცემდა, გასცემდა, გარდაიცვალა – და ეს ყველაფერი მიატოვა. მართლა გაბრაზდა მისიზ რემზიზე. ხელში ფუნჯი ეკავა, თითები ოდნავ უკანკალებდა და უყურებდა ცოცხალ ღობეს, ღობეზე გადასასვლელ კიბეს, კედელს. ეს ყველაფერი ხომ მისიზ რემზის ნახელავია. ის კი მკვდარია. ხოლო ლილი, ორმოცდაოთხი წლის ასაკში, აქაა და უქმად კარგავს დროს, არაფრის კეთება არ შეუძლია, დგას აქ უქმად, მხატვრობანას თამაშობს, ისეთ რამეს ეთამაშება, რასაც, წესით, კაცი არ უნდა ეთამაშებოდეს, და ეს მისტერ რემზის ბრალია. მისიზ რემზი მკვდარია. ღობეზე გადასასვლელი კიბე. ის ადგილი, სადაც ის ჩამოჯდებოდა ხოლმე, ცარიელია. ის მკვდარია.

მაგრამ რა საჭიროა ამის წარამარა გამეორება? რატომ ცდილობს ყოველთვის, ისეთ გრძნობებზე იფიქროს, რომლებიც არ გააჩნია? ეს ხომ ერთგვარი მკრეხელობაა. ყველაფერი ამოიწურა; ყველაფერი გაქარწყლდა; ყველა ღონე დაიხარჯა. არ უნდა მოეწვიათ; არ უნდა ჩამოსულიყო. ორმოცდაოთხი წლის ასაკში ადამიანი დროს ფუჭად არ უნდა ფლანგავდესო, გაიფიქრა. სამარცხვინოა ფერწერით თამაში. ფუნჯი ხომ ერთადერთი საიმედო იარაღია ამ ბრძოლის, ამ ნგრევის, ამ არეულ-დარეულ სამყაროში – აქ თამაში არ შეიძლება, მით უფრო, შეგნებულად: ეს აუტანელია. მაგრამ ეს კაცი

უბიძგებს ამისკენ. თითქოს თავზე წამოადგა და ეუბნება, ტილოს არ უნდა მიეკარო, სანამ არ მომცემ იმას, რასაც შენგან ვითხოვო. აჰა, ისევ მოუახლოვდა, გაუმაძღარი, აფორიაქებული. მეტი გზა არ არის, გაიფიქრა სასოწარკვეთილმა, და მარჯვენა მკლავი მოწყვეტით დაუშვა ძირს, მაშინ ყველაფერს აჯობებს, თუ ამ საქმეს მოამთავრებს. რა თქმა უნდა, მასაც შეუძლია, სხვების მიბაძვით გაითამაშოს გულისხმიერება, აღტაცება, მორჩილება, რაც ამდენი ქალის სახეზე უნახავს (მაგალითად, მისიზ რემზის სახეზე), როცა რომელიღაც ამდაგვარი გარემოების გამო სახე უბრწყინავთ – გაახსენდა მისიზ რემზის სახე – თანაგრძნობით, აღტაცებით აღტყინებულებს იმ ჯილდოს ხათრით, რომელსაც იღებენ, და მართალია, მისთვის გაუგებარი მიზეზებით ლილის არ ესმოდა როგორ, რანაირად, ისეთ უზენაეს ნეტარებას განიცდიდნენ, რომლის განცდაც კი შეუძლია ადამიანის ბუნებას. და აი, მოვიდა, გვერდით დაუდგა. ლილი მზად იყო, იმდენი გაეღო მისთვის, რამდენის გაღებასაც შეძლებდა.

თავი 3

ოდნავ მომჭკნარაო, გაიფიქრა მისტერ რემზიმ. მეტისმეტად მოცუცქნული და ჩია ეჩვენა, მაგრამ უშნო – სულაც არა. მას მოსწონდა ლილი. მოაგონდა, რომ ოდესღაც ამბობდნენ, თითქოს უილიამ ბენქსს უნდა გაჰყოლოდა ცოლად, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მის ცოლს ძალიან უყვაარდა ლილი. გაახსენდა, ერთხელ საუზმობისას რაღაცაზე ძალიან გაღიზიანდა. მერე კი, მერე – ეს ერთი იმ წამთაგანი იყო, როცა რაღაც უსაშველო მოთხოვნილება უბიძგებდა, ისე, რომ თვითონაც ვერ აცნობიერებდა რატომ, ახლოს მისულიყო ნებისმიერ ქალთან, და იმდენად სჭირდებოდა ეს, რომ სულერთია, რა გზით, იძულებული გაეხადა, გაეღო მისთვის ის, რაც მას უნდოდა: თანაგრძნობა.

„ხომ კარგად გივლიან?" ჰკითხა ლილის. „რამე ხომ არ გაკლიათ?"

„არა, გმადლობთ, ყველაფერი რიგზეა", მიუგო ლილი ბრისკომ. არა; ამას ვერ იზამს. ჯობდა, დროზე წასულიყო აქედან, ვიდრე თანაგრძნობის ნიაღვარი შემოაწვებოდა: წარმოუდგენლად დაძაბული იყო. მაგრამ ვერაფერს გახდა. საშინელი პაუზა ჩამოვარდა. ორივენი ზღვას გასცქეროდნენ. არა, გაიფიქრა მისტერ რემზიმ, ვითომ რატომ უყურებს ზღვას, როცა მე აქ ვეგულები? ლილიმ იმედი გამოთქვა, რომ ზღვა არ აღელდებოდა და მშვიდად მიაღწევდნენ შუქურამდე. ოჰ, ეს შუქურა! შუქურა! რა შუაშია ახლა შუქურა? გაიფიქრა გაღიზიანებულმა. და მაშინვე, რაღაც პირველყოფილი აღტყინებით (რადგან მართლა აღარ შეეძლო მეტად ამის ატანა), ისეთი ოხვრა აღმოხდა, რომ ვერ მოიძებნებოდა ამქვეყნად ვერც ერთი ქალი, რომელიც რამეს არ იღონებდა, სიტყვას მაინც არ შეაწევდა – ჩემ გარდა, ნებისმიერი ასე მოიქცეოდაო, გაიფიქრა ლილიმ და საშინლად გაბრაზდა საკუთარ თავზე. მე ხომ ქალი არა ვარ, ეტყობა, ერთი წუწუნა, უხასიათო, გამოფშეკილი შინაბერა ვარო.

მისტერ რემზიმ გულით ამოიკვნესა. ის იცდიდა. ნუთუ არაფერს ეტყვის? ნუთუ ვერ ხედავს, რას ითხოვს მისგან? მერე უთხრა, შუქურაზე

წასასვლელად განსაკუთრებული მიზეზი მაქვსო. ჩემი ცოლი შუქურის მცველს ყოველთვის რაღაცას უგზავნიდაო. იმ უბედურ ბიჭს, შუქურის მცველის ვაჟს, ძვლის ტუბერკულოზი სჭირს. მისტერ რემზიმ ღრმად ამოიხვნეშა. მრავალმნიშვნელოვნად ამოიხვნეშა. ლილის კი მხოლოდ ის უნდოდა, რომ დარდის ამ უსაშველო ნიაღვარს, თანაგრძნობის ამ დაუოკებელ შიმშილს, მოთხოვნას, ამ კაცის ნებას მთლიანად დაჰყოლოდა, და იცოდა, კიდეც რომ მოქცეულიყო ასე, მაინც ვერ უშველიდა ვერაფერს, რადგან ნაღვლის იმხელა მარაგი ჰქონდა, რომ ცხოვრების ბოლომდე არ გამოელეოდა. როგორმე უნდა გასცლოდა, როგორმე თავი უნდა გაენებებინა მისთვის (და ამიტომაც სულ სახლისკენ გაურბოდა თვალი, იქნებ ვინმე მოვიდეს და ჩაერიოსო), სანამ ბოლომდე არ ჩაითრევდა ამ მორევში.

„ასეთი ლაშქრობები", თქვა მისტერ რემზიმ და ფეხი მიწაზე გაახახუნა, „ნამდვილი სატანჯველია". ლილის არც ახლა უთქვამს რამე (რა უსულგულოა, რა გულქვაა, გაიფიქრა მისტერ რემზიმ). „არაქათს გაცლის", დასძინა ისეთი ავადმყოფური გამომეტყველებით, რომ ლილის გული აერია (ეს კაცი თამაშობს, გრძნობდა ლილი, ეს დიდი კაცი საკუთარი თავის ტრაგედიას დგამს), ხელებზე დაიხედა. რა საშინელებაა, რა უწესობაა, ნუთუ აღარასოდეს გამოჩნდებიან? ფიქრობდა თავისთვის, რადგან ვეღარ იტევდა დარდის იმ უშველებელ სიმძიმეს, ვეღარ უბამდა მხარს მწუხარების ამ მძიმე საბურავს (მისტერ რემზის შესაბრალისი, უძლური კაცის პოზა მიეღო; ის კი არადა, ოდნავ წაბარბაცდა კიდეც ადგილზე) ვერც ერთი წუთით.

და ისევ ვერ ახერხებდა ვერაფრის თქმას; თითქოს ჯიბრზე, მთელ ჰორიზონტზე ერთი საგანიც არ ჩანდა წამლად, რომ საუბრის თემა შეეცვალა; მხოლოდ ერთს გრძნობდა, განცვიფრებული, სანამ მისტერ რემზი იქვე იდგა, როგორ უკარგავდა ამ კაცის მწუხარე მზერა ფერს ყოველ საგანს რომელსაც კი თვალს დაადგამდა – მაგალითად, მზით გაჩახჩახებულ ბალახს, ხოლო მისტერ კარმაიკლი კი, იქვე, ფრანგული რომანის კითხვით გართული, უსაშველოდ კმაყოფილი სახით რომ მოკალათებულიყო გასაშლელ სკამზე, მისტერ რემზის მზერამ თითქოს ძაძებით შემოსა, თითქოს ასეთი არსებობა, მწუხარების ამ საუფლოში გამომწვევად ნებივრობა საკმარისი იყო ადამიანში ყველაზე პირქუში ფიქრების გასაღვივებლად. თითქოს ამბობდა, ერთი ამას დამიხედეთ, და მერე – მე შემომხედეთო; სინამდვილეში კი შინაგანად გამუდმებით მოუწოდებდა, ჩემზე იფიქრეთ, ჩემზე იფიქრეთო. ეჰ, ნეტავი ის ბედოვლათი მათთან ოდნავ უფრო ახლოს იყოს! სულ ცოტათი, ერთი იარდით მაინც უფრო ახლოს რომ დაედგა ეს მოლბერტი მასთან; კაცი, ნებისმიერი ადამიანი, ვინც გინდა იყოს, შეანელებდა გრძნობების ამ ამოფქრვევას, ამ გულისმომკვლელ მოთქმა-გოდებას. ქალმა, აი, რამ წააქეზა ეს საშინელება; თვითონაც ხომ ქალია, არ უნდა იცოდეს, როგორ გაუმკლავდეს ამას? განა წარმოუდგენლად სამარცხვინო ამბავი არ არის, ასე სექსუალურად რომ დგას აქ პირში წყალჩაგუბებული. ასეთ დროს ხომ ამბობენ – რას ამბობენ ხოლმე? – ოო, მისტერ რემზი! ძვირფასო მისტერ რემზი! აი, რას იტყოდა მყისვე, და თან ზუსტად ისე, როგორც საჭიროა, ის კეთილი მოხუცი ქალი, მისიზ ბექვიზი, ჩანახატებს რომ აკეთებს. მაგრამ არა. მაინცადამაინც აქ უნდა იდგნენ ორნი, მთელ სამყაროს მოწყვეტილები. მისტერ რემზის ეს უზომო სიბრალული საკუთარი თავის მიმართ, დაჟინება, რომ შეიბრალონ და თანაუგრძნონ, თითქოს გუბესავით დაიღვარა ლილის

ფერხთით, და ერთადერთი, რაც ამ უბედურმა ცოდვილმა მოიმოქმედა, ის იყო, რომ კაბის ქობა წამოიწია ოდნავ,რომ არ დასველებულიყო. იდგა სრულ სიჩუმეში და ხელში ფუნჯს აწვალებდა.

ჰოი, დიდება შენდა, ღმერთო ჩემო! როგორც იქნა, სახლიდან ხმები მოისმა. ალბათ ჯეიმსი და კემი მოდიან. მაგრამ მისტერ რემზიმ, თითქოს იგრძნო, ცოტა დროღა დამრჩაო, დაგროვილი დარდის უშველებელი სიმძიმე თავზე დაანთხია ლილის; სიბერე; ამქვეყნიური წარმავალობა; სრული სიმარტოვე; და ამ დროს, უცაბედად, გაღიზიანებულმა – რადგან ბოლოს და ბოლოს, როგორ შეიძლება, ქალი მის ხიბლს წინ აღუდგეს? – შენიშნა, რომ ყელიან ფეხსააცმელებზე ზონრები არ ჰქონდა შეკრული. თანაც, რა არაჩვეულებრივი ყყელიანი ფეხსამელებიაო, გაიფიქრა ლილიმ, და დააკვირდა; რელიეფური, ბრწყინვალე ყელიანი ფეხსაცმელები; როგორც ყველაფერი, რაც მისტერ რემზის ეცვა, გაცვეთილი ჰალსტუხით დაწყებული და ნახევრად შეხსნილი ჟილეტით დამთავრებული, სხვის ტანსაცმელში არასდიდებით არ აგერეოდათ. ლილიმ თითქოს დაინახა, როგორ მიდიოდა მისტერ რემზის ტანსაცმელი მის ოთახში თავისით, და უიმისოდაც, მის არყოფნაშიც მშვენივრად გამოხატავდა მისი პატრონის პათოსს, სიკუშტეს, ახირებულობას, ხიბლს.

„რა მშვენიერი ფეხსაცმელებია!" უნებურად შესძახა ლილიმ და საკუთარი საქციელის შერცხვა. ის ფეხსაცმელებს უქებდა კაცს, რომელიც სულიერ ნუგეშს შესთხოვდა; რომელმაც სისხლმდინარე ხელები უჩვენა, დაჭრილი გული გადაუშალა და სიბრალულს, თანაგრძნობას ითხოვდა მისგან, და ამ დროს ის მხიარულად ეუბნება, ოჰ, რა მშვენიერი ფეხსაცმელები გაცვიათო! ლილიმ იცოდა, რასაც იმსახურებდა, და აიხედა მომლოდინედ, რადგან ეგონა, მისტერ რემზის ჩვეულ ბრაზიან, გამანადგურებელ ღრიალს გაიგონებდა.

თუმცა, ნაცვლად ამისა, მისტერ რემზიმ გაიღიმა. ტრაგიკული სუდარა, ფარდა, უსუსურება, უეცრად გაქრა, ერთბაშად ჩამოსძვრა ნიღაბივით. „აა, დიახ," თქვა მან და ფეხსაცმელი წამოსწია, რომ ლილის უკეთ დაენახა, მართლაც უმაღლესი კლასის ყყელიანი ფეხსაცმელებია. მთელ ინგლისში ერთადერთ კაცს შეუძლია ასეთი ყყელიანი ფეხსაცმელების შეკერვა. ჰმ, ყყელიანი ფეხსამელები ხომ კაცთა მოდგმის ერთი უმთავრესი წყევლათაგანიაო, თქვა მისტერ რემზიმ. „მეწაღეებმა ხომ მოვალეობად გაიხადეს", გააგრძო მან, „ადამიანის ფეხის დასახიჩრება და წამება". ისინი ადამიანთაგან ყველაზე ჯიუტი და თავნება ხალხია. მთელი ახალგაზრდობა შეალია, რომ ისეთი ფეხსაცმელები შეეკერათ მისთვის, როგორიც უნდოდა. და მისტერ რემზიმ სცადა, ლილისთვის უკეთ ეჩვენებინა (ჯერ მარჯვენა ფეხი წამოსწია, და მერე მარცხენა), რომ მას არასოდეს ენახა ასეთ თარგზე გამოჭრილი ყყელიანი ფეხსაცმელები. თანაც, თურმე ისინი მსოფლიოში უნაზესი ტყავისგან იყო შეკერილი. ტყავეულის მეტი წილი ხეშეში ქაღალდი და მუყაოაო, უთხრა. მისტერ რემზიმ ფეხზე დაიხედა, რომელიც ჯერ ისევ წამოწეული ჰქონდა. და ლილიმ გაიფიქრა, აი, მივადექით მზიან კუნძულს, სადაც ყოველთვის მზე ანათებს, ხარისხიანი ყ ფეხსაცმელების კურთხეულ კუნძულს. გული მოულბა მისტერ რემზის მიმართ. „აბა, ახლა ვნახოთ, თასმების გამონასკვა თუ გეხერხებათ", უთხრა მისტერ რემზიმ. მასხრად აიგდო ლილის ხერხი. და მას თავისი საკუთარი მიგნება გაანდო. თუ ასე

განასკვავთ, არასოდეს აღარ გაიხსნებაო. სამჯერ გაუნასკვა თასმა; და სამჯერ გახსნა.

რაღა მაინცდამაინც ამ სრულიად შეუფერებელ მომენტში, როცა მისტერ რემზი დახრილი იყო მის წინ, რომ ფეხსაცმლის თასმა შეეკრა ლილისთვის, რაღა მაინცდამაინც მაშინ გაუჩნდა გულისშემძვრელი თანაგრძნობა მის მიმართ, როცა თვითონაც დაიხარა, სისხლი მოაწვა სახეზე, და დაფიქრდა საკუთარ გულგრილობაზე (მისტერ რემზის ხომ კომედიანტი შეარქვა) და იგრძნო, როგორ მოაწვა რაღაც და როგორ აუწვა თვალები, ნუთუ ცრემლებმა? ამ საქმიანობით გართულმა მისტერ რემზიმ ლილი უსაზღვრო თანაგრძნობით განმსჭვალა. ის თასმებს ნასკვავს; ფეხსაცმელებსაც ყიდულობს. დამხმარე არ ჰყავს, მარტო მიჰყავს ბავშვები შუქურაზე. და სწორედ ახლა, როცა რაღაცის თქმა მოუნდა, და ვინ იცის, იქნებ კიდეც მოეხერხებინა რამის თქმა, მაინცდამაინც ახლა გამოჩნდნენ ბავშვები – კემი და ჯეიმსი. ტერასაზე გამოვიდნენ. მათკენ გამოემართენ. გვერდიგვერდ მოაბიჯებდნენ, ნელი სვლით, სერიოზულები, გოგო და ბიჭი. მაგრამ რატომ უნდა ყოფილიყვნენ ასეთ განწყობაზე? ლილი უნებურად გაბრაზდა ბავშვებზე; ხომ შეეძლოთ, უფრო მხიარული სახე მიეღოთ; შეეძლოთ, მამისთვის მიეცათ ის, რის მიცემასაც თავად ვერ შეძლებდა მისთვის, რაკი ლაშქრობაზე უარი უთხრა. და უეცრად სრული სიცარიელის გრძნობა დაეუფლა; იმედგაცრუების. ამ გრძნობამ დაიგვიანა; აი, ახლა მომწიფდა, მაშინ, როცა უკვე აღარ იყო საჭირო. მისტერ რემზი სახელოვან, ხანდაზმულ მამაკაცად გადაიქცა, რომელსაც არაფერში სჭირდებოდა ლილი. თავი დამცირებულად იგრძნო. მისტერ რემზიმ ზურგჩანთა ზურგზე მოიგდო. ფუთები დაურიგა ბავშვებს – რამდენიმე ფუთა იყო, სახელდახელოდ გამოკრული ხაოიან ქაღალდში. კემი საწვიმრის მოსატანად გაგზავნა. ახლა წელში გამართული ბელადის იერი ჰქონდა, რომელიც სალაშქროდ ემზადებოდა.

მერე გზას გაუდგა, ჩვეული მხედრული ნაბიჯით, დიდებული ყყელიანი ფეხსაცმელებით, თან ყავისფერ ხაოიან ქაღალდში გამოკრული ფუთები მიჰქონდა, დაღმა დაუყვა გზას, შვილები კი უკან მიჰყვნენ. ლილიმ გაიფიქრა, ბავშვებს ისეთი იერი აქვთ, გეგონება, ბედმა რაღაც მკაცრი გეგმა დაუსახა, და ისინიც მინდობიან მას, ჯერ იმდენად ნორჩები არიან, რომ მამის კვალს უნდამიჰყვნენ თვინიერად, მორჩილად, მაგრამ თვალები ისეთი ჩამქრალი აქვთ, გეგონება უჩუმრად, თავიანთი ასაკისთვის შეუფერებელი ტანჯვა განუცდიათო. აი, ეზოს ღობეს გასცდნენ და ლილის მოეჩვენა, რომ მის წინ პროცესიამ ჩაიარა, რომელსაც რაღაცა საერთო გრძნობის ძალა ეწეოდა წინ, ადამიანთა ამ პატარა განუყოფელ ერთობას, ბორძიკით, ოდნავ ყურებჩამოყრილები რომ მიაბიჯებდნენ, თუმცა კი უცნაურად შთამბეჭდავი ეჩვენა ეს სანახაობა. თავაზიანად, მაგრამ ცივად, შორიდან, მისტერ რემზიმ ხელი დაუქნია დამშვიდობების ნიშნად.

არა, მაგრამ რა სახე აქვს, გაიფიქრა ლილიმ და მაშინვე თანაგრძნობით განიმსჭვალა, თანაგრძნობით, რომელიც ვერა და ვერ გაიღო და ახლა აწუხებდა, რომ გამოხატვა ვერ შეძლო. რამ გახადა ასეთი? ფიქრმა, ალბათ ფიქრმა, უძილო ღამეების განმავლობაში – ფიქრმა სამზარეულოს მაგიდის არსზე, დასძინა გუნებაში, რადგან გაახსენდა ის სიმბოლო, რომელიც ერთხელ, როცა დაბნეულმა იკითხა, ნეტა ამდენ ხანს რაზე ფიქრობს მისტერ რემზიო, ენდრიუმ აუხსნა (ენდრიუ მოკლეს; ნაღმის ანატკეცმა მოკლა წამში,

მოგონებებში ჩაეფლო ლილი). სამზარეულოს მაგიდა რაღაც წარმოსახვითია, უბრალო, სადა; რაღაც შიშველი, მყარი, არადეკორატიული. არც ფერი ადევს; ცარიელი კიდეები და კუთხეებია; უკომპრომისოდ მარტივია. მაგრამ მისტერ რემზი ყოველთვის დაჟინებით აკვირდებოდა ხოლმე, თვალს არ აცილებდა და თავს უფლებას არ აძლევდა, ყურადღება გაფანტვოდა, ანდა თავი მოეტყუებინა, და ასე გრძელდებოდა, სანამ მასაც არ დაედო სახეზე სიძველის და ასკეტურობის იერი და არ შეითვისა მაგიდის უსამშვენისო სილამაზე, რომელიც ასეთ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა ლილიზე. მერე ისიც გაიხსენა (ლილი იდგა იქ, სადაც მისტერ რემზიმ დატოვა, ფუნჯი ხელიდან არ გაუშვია), როგორ შეუბღალა სახე ეჭვებმა – საკმაოდ უსიამოვნოდ. ალბათ ეჭვები ჭამდა მაგიდის თაობაზე; იყო თუ არა ის ნამდვილი მაგიდა; იმსახურებდა თუ არა იმდენ დროს, რამდენიც მასზე საფიქრელად გაიღო; და შესწევდა თუ არა უნარი, ბოლოს და ბოლოს, დაედგინა ჭეშმარიტება. ნამდვილად აწუხებდა ეჭვი, თორემ ამდენ ხალხს არ შეაწუხებდა შეკითხვებით, გულში მსჯელობდა ლილი. და ალბათ სწორედ ამაზე საუბრობდნენ ხოლმე ღამღამობით, იეჭვა მან; და მერე, მეორე დღეს, მისიზ რემზის დაღლილი იერი ჰქონდა, და ლილის მოაგონდა, როგორ ბრაზდებოდა ხოლმე მისტერ რემზიზე რაღაც სულელური წვრილმანების გამო. ახლა კი ვეღარავის გაუზიარებდა თავის ფიქრებს იმ მაგიდის თაობაზე, ვერც ყყელიანი ფეხსამელების თაობაზე, ვერც ნასკვების თაობაზე; და მისტერ რემზი დაძრწოდა, მშიერი ლომივით, მორიგი მსხვერპლის ძიებაში, სახეზე კი სასოწარკვეთა, ყველაფრის გაზვიადების მოთხოვნილება აღბეჭდვოდა, რამაც ასე დააფრთხო ლილი და აიძულა, კაბის კალთა წამოეწია. და ამას, როგორც ახსოვს, ის მოულოდნელი გამოცოცხლება მოჰყვა, უეცარი აფეთქება (როცა ლილიმ მისი ყყელიანი ფეხსამელები შეაქო), სასიცოცხლო ძალების და ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობების განახლება, რომელიც ასევე გაუჩინარდა და გარდაიქმნა (ის ხომ მუდამ გარდაიქმნებოდა და არაფერს მალავდა) მეორე, საბოლოო მდგომარეობად, რომელიც ლილისთვის უცხო იყო და ახალი, და რამაც, აღიარა გუნებაში, სირცხვილის გრძნობით განმსჭვალა საკუთარი გაღიზიანების გამო, როცა დაინახა, რომ მისტერ რემზიმ თითქოს ჩამოიფერთხა ყველა ეჭვი და შფოთვა და ამბიცია და თანაგრძნობის იმედი და შექების მოთხოვნილება, და გადავიდა რომელიღაც სხვა სიბრტყეში, და თითქოს რაღაც იზიდავდა, და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი, ახლა უტყვ საუბარში ჩაითრია, თავის თავთან თუ ვინმე სხვასთან, და მიუძღოდა წინ პატარა პროცესიას ყველასგან მიუწვდომელი. რა გასაოცარი სახე აქვს! გაიფიქრა ლილიმ და ჭიშკარი გაჯახუნდა.

თავი 4

მაშ ასე, როგორც იქნა, წავიდნენ, გაიფიქრა ლილიმ და თან შვებით და იმედგაცრუებით ამოიოხრა. ახლა თითქოს მწარედ იწვნევდა თანაგრძნობას, რომელიც ისე შემოუბრუნდა, როგორც მაყვლის ეკლიანმა რტომ იცის, ზამბარასავით რომ შემოჰკრავს ხოლმე ადამიანს სახეში. უცნაურად დაბნეული იყო, თითქოს ორად გაიყო – მის ერთ ნაწილს იქით მიუწევდა გული – მშვიდი დღე იდგა, ბურუსიანი; და შუქურა დღეს განსაკუთრებით მიუწვდომელი და შორეული ჩანდა; მეორე ნაწილი კი გაუნძრევლად,

ჯიუტად და ფეხმოუცვლელად მიჯაჭვოდა ამ ადგილს, ამ მინდორს. უყურებდა თეთრ ტილოს და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ის თავისით ამოტივტივდა და დადგა მის წინ მოლბერტზე, თეთრი და შეუვალი. თითქოს ცივი მზერით საყვედურობდა ლილის უაზრო ფაციფუცის და ფორიაქის გამო; ქარაფშუტობის და გრძნობების დაუდევრად ფლანგვის გამო. დაბეჯითებით მოუწოდებდა გამოფხიზლებისკენ და თავიდან სულიერი სიმშვიდის გრძნობა მოჰფინა, რადგან მისმა აწეწილმა გრძნობებმა და მღელვარებამ (მისტერ რემზი წავიდა, მას კი უზომოდ ებრალებოდა და ვერაფერი უთხრა სანუგეშო) უკან დაიხია ბრძოლის ველზე; მერე კი სიცარიელის გრძნობა მოერია. გაშტერებული შესცქეროდა ტილოს, თვალს ვერ აცილებდა ამ შეუვალ სითეთრეს; მერე მზერა ბაღზე გადაიტანა. იქ რაღაც ეგულებოდა (იდგა, წვრილი ჩინური თვალები მოეწკურა, კოპები შეეკრა), რაღაც, რაც ბაღის კონტურებთან დაკავშირებით ახსოვდა – ზოგი ხაზი გარდიგარდმო კვეთდა ტილოს, ზოგი ირიბად ეშვებოდა ძირს, და ბუჩქნარის ღობის მსუყე ფერები – მოლურჯო და მოყავისფრო ღრმულები, აი, რა ჰქონდა ჩარჩენილი მეხსიერებაში; ამან ისე მიაჯაჭვა ფიქრით აქაურობას, რომ დროთა განმავლობაში, ხან როდის და ხანაც როდის, უნებურად, როცა ბრომპტონ როუდს მიუყვებოდა, ან როცა თმას ჯაგრისით ივარცხნიდა, გონებაში ისევ ამ სურათს ხატავდა, გადაავლებდა თვალს წარმოსახვაში და მის გაცოცხლებას ცდილობდა. მაგრამ ამ ორ სამყაროს შორის უზარმაზარი განსხვავება იყო – ერთია, როცა რაღაცას უდარდელად გეგმავ გონებაში სადღაც შორს, და მეორეა, როცა მართლა აიღებ ხელში ფუნჯს და პირველ ნიშანს დაასვამ ტილოს.

მისტერ რემზის თანდასწრებით აღელვებულმა, სხვა ფუნჯი აიღო ხელში, ხოლო მოლბერტი, ასე ნაჩქარევად და გაღიზიანებულმა რომ ჩაარჭო მიწაში, არ იყო სწორად დაყენებული. და ახლა, როცა მოლბერტი გადადგა და დაიმორჩილა შეუსაბამო, გაბნეული ფიქრები და შფოთვა, ყურადღებას რომ უფანტავდა და უბიძგებდა, იმაზე ეფიქრა, თუ როგორი ადამიანია და როგორი ურთიერთობა აქვს ამა თუ იმ ვითარებაში ამა თუ იმ ადამიანთან, ხელი ასწია და ფუნჯი შემართა. მტკივნეული, მაგრამ ამაღელვებელი ბედნიერებით აუცახცახდა ჰაერში ხელი სულ ერთი წამით. საიდან უნდა დაიწყოს? – ანუ, ტილოს რომელ წერტილში უნდა დაუსვას ფუნჯი პირველად? ტილოზე გასმული ერთი ხაზიც კი უთვალავ რისკზე წასვლას, ხშირი და შეუქცევადი გადაწყვეტილებების მიღებას აიძულებდა. და ის, რაც წარმოსახვაში ასეთი იოლი ეჩვენებოდა, ფუნჯის ხელში აღებისთანავე საშინლად რთულდებოდა; ზუსტად ისე, კლდის პირიდან რომ გადაჰყურებ ზღვას და გეჩვენება, რომ ერთი მთლიანია, ხოლო როცა შიგ შეცურავ, ხედავ, რომ საშიში და ქაფმორეული ტალღებით და მორევებითაა სავსე. და მაინც, უნდა წახვიდე რისკზე; ნიშანი უნდა დაასვა ტილოს.

უცნაური შეგრძნება დაეუფლა, თითქოს რაღაც წინსვლას უბიძგებდა, მაგრამ იცოდა, რომ არ უნდა ეჩქარა, და ლილიმ პირველი გადამწყვეტი მონასმი გააკეთა. ფუნჯი დაეშვა. თეთრ ტილოზე ყავისფრად გაიელვა; გრძელი კვალი დატოვა. მეორედ დაუსვა ფუნჯი, მერე მესამედ. და ასე, შეყოვნებებითა და ხელის გაკვრით და აქნევით, ლილიმ მოცეკვავე რიტმულ მოძრაობას მიაღწია, თითქოს შეყოვნებები რიტმის ერთი ნაწილი იყო, ფუნჯის მოსმა კი – მეორე, და ამ ყველაფერს ერთმანეთთან კავშირი ჰქონდა; და ასე, მსუბუქად და სხარტად, პაუზებით, დარტყმებით, ლილიმ ტილო

ყავისფერი აფორიაქებული ხაზებით დასერა, და როგორც კი ტილოზე ხვდებოდნენ, ხაზები უმალ კრავდნენ (ლილი გრძნობდა, როგორ იკვეთებოდა მის თვალწინ მონახაზი) სივრცეს. ქვემოთ, ერთი ტალღის სიღრმეში მეორე ტალღას ხედავდა, რომელიც სულ უფრო და უფრო მაღლა იწევდა და აქაფებული თაღივით ადგებოდა პირველს თავზე. აბა, რა შეიძლება იყოს ამ სივრცეზე უფრო შემზარავი? და აი, ისევ აქაა, ფიქრობდა თავისთვის და თან წარამარა უკან იხევდა, რომ შორიდან შეეხედა სურათისთვის, მოსწყდა ჭორებს, მოსწყდა ცხოვრებას, ურთიერთობებს, ხალხს და ამ შემზარავი, ძველი მეტოქის საზოგადოებაში აღმოჩნდა – ამ მეორე სამყაროში, ამ ჭეშმარიტებაში, ამ სინამდვილეში, რომელმაც უცებ ხელი დაავლო, თავხედურად ამოყო თავი ზედაპირული მოჩვენებითობის სიღრმიდან და ყურადღება მოითხოვა მისგან. ლილის თან უნდოდა და თან არ უნდოდა დაჰყოლოდა ამ მდგომარეობას. რატომ უნდა მოსწყვიტონ ხოლმე ყველაფერს და მერე ისევ უკან შეათრიონ? ნუთუ არ შეიძლება, თავი გაანებონ, მივიდეს და მშვიდად ესაუბროს მდელოზე წამოწოლილ მისტერ კარმაიკლს? ესეც ხომ ურთიერთობის რთული და საპასუხისმგებლო სახეობაა. თაყვანისცემის სხვა ობიქტები თაყვანისცემის მეტს არაფერს ითხოვენ; კაცები, ქალები, ღმერთი, ყველანი ერთსა და იმავეს მოგვიწოდებენ, მუხლის მოდრეკას, მორჩილებას გვიქადაგებენ; მაგრამ ეს ფორმა, თუნდ მხოლოდ ეს ერთი ციდა თეთრი აბაჟურის მბჟუტავი შუქი წნულისკამის თავზე, ისიც კი მუდმივი შერკინებისკენ მოუწოდებს, ბრძოლისკენ მოუხმობს, რომელშიც გარდაუვალი მარცხი ელოდება. ყოველთვის (იქნებ მისი ხასიათის, იქნებ მისი სქესის გამო, თვითონაც არ იცოდა მიზეზი), როცა ჩვეულებრივი ყოფის მშვიდ დინებას ფერწერის გაფაციცებულ შრომაზე ცვლიდა, რამდენიმე წამის განმავლობაში ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს გაშიშვლდა, თითქოს ჯერ არშობილი სული იყო, სული, რომელსაც სხეული გამოაცალეს და ქარში, რომელიღაც მაღალი შენობის ქიმზე გამოკიდებული ორჭოფობს და, სრულიად დაუცველი, ეჭვის ქარცეცხლში იწვის. მაშ რატომღა სჩადის ამას? ლილიმ ტილოს გახედა, რომელზეც მსუბუქი მონასმებით გრძელი ხაზები იყო გავლებული. ამ სურათს დამლაგებლების რომელიმე საძინებელში გამოკიდებენ. ტილოს დაახვევენ და ტახტის ქვეშ შეტენიან. მაშ რაღა აზრი აქვს ამ წვალებას? და ამ დროს ვიღაცის ხმა ჩაესმა, ხმა, რომელიც ეუბნებოდა, ვერაფერს დახატავ, ვერაფერს შექმნი, თითქოს მისთვის ჩვეული ფიქრის რომელიღაც დინებამ გაიტაცა, სადაც დრო მოვლენებს გონებაში გვილექავს და ვიწყებთ რაღაც სიტყვების გამეორებას ისე, რომ აღარც გვახსოვს, ვინ გვითხრა. ხატვა არ შეგიძლია, წერა არ შეგიძლია, ჩურჩულებდა მონოტონურად, თან აღელვებული განიხილავდა შეტევის მორიგ გეგმას. რადგან თვალწინ ფერთა დიდი მასა ილანდებოდა; ისე მოიწევდა წინ და ისე იბურცებოდა, რომ თავგზას უბნევდა; გრძნობდა, როგორ აწვებოდა თვალებზე. შემდეგ, თითქოს რაღაც სითხე შეუშხაპუნეს, რომელიც მისი ნიჭის დასაზეთად იყო აუცილებელი, ლაღად, დაუდევრად დაიწყო ფუნჯის ჩაწობა ჯერ ლურჯ საღებავში, მერე უმბრაში, და ფუნჯმა, თითქოს დაქროდა აქეთ და იქით, მაგრამ თანდათან უფრო დამძიმდა, სვლა შეანელა ტილოზე, თითქოს რომელიღაც რიტმს აჰყვა (ხან ბუჩქნარის ღობეს გახედავდა, ხანაც ტილოს); ეს რიტმი იმდენად ძლიერი იყო, რომ თავის ნებაზე მიაქროლებდა. რა თქმა უნდა, ასეთ დროს სრულიად კარგავდა გარე სამყაროს აღქმის უნარს. და როგორც კი გარე სამყაროს აღქმას კარგავდა და ივიწყებდა საკუთარ სახელს, ვინ იყო, რა იყო და როგორ გამოიყურებოდა, იყო თუ არა მის გვერდით მისტერ კარმაიკლი, მისი გონება მახსოვრობის

წიაღიდან სცენების, სიტყვების და მოგონებების და აზრების ამოყრას იწყებდა, შადრევანივით, რომელიც ამ თვალისმომჭრელ, წარმოუდგენლად რთულ თეთრ მონაკვეთზე იღვრება, ვიდრე ლილი მას მწვანე და ლურჯი საღებავებით ძერწავს.

ამას ხომ ჩარლზ ტენსლი ეუბნებოდა ხოლმე, ახლა გაახსენდა, ამბობდა, ქალებს ხატვა არ შეუძლიათ, წერა არ შეუძლიათო. ზურგს უკანიდან მოადგებოდა ხოლმე, მერე, როცა მისიზ რემზის ხატავდა, სწორედ ამ ადგილიდან ახლოს დაუდგებოდა ხოლმე გვერდით, რასაც ლილი ვერ იტანდა. „დაუმუშავებელი თამბაქოა", ამბობდა ხოლმე, „ხუთი პენსი ერთი უნცია", ყველას გასაგონად იწონებდა თავს თავისი სიღარიბით, თავისი პრინციპებით (თუმცა ომმა ნესტარი გამოაცალა ლილის ქალურობას. საცოდავები, საცოდავები, ფიქრობდა ის, საცოდავები, და ახლა ორივე სქესს გულისხმობდა). ტენსლის ყოველთვის რაღაც წიგნი ჰქონდა იღლიაში ამოჩრილი – მეწამულყდიანი. ის „მუშაობდა". გაიხსენა, როგორ იჯდა ხოლმე ეზოში, გაგანია მზეში. სადილობისას ყოველთვის გამოსაჩენ ადგილს ირჩევდა. თუმცა ბოლოს და ბოლოს, ის სანაპიროს სცენა მართლაც დაუვიწყარია. ასეთ რამეს არ ივიწყებენ ადამიანები. ქარიანი დილა იყო. ყველანი სანაპიროზე ჩავიდნენ. მისიზ რემზი დაჯდა და წერილების წერას შეუდგა კლდის პირას. ის იჯდა და წერდა და წერდა. „ოო", თქვა მან, როცა ზღვაში რაღაც მოტივტივე შენიშნა, „რა არის ეს, ასთაკვების კონსერვია? თუ ამოყირავებული გემი?". ისეთი ახლომხედველი იყო, რომ ვერაფერს არჩევდა, და მაშინ ჩარლზ ტენსლიმ წამოუდგენელი სიფაქიზე გამოავლინა. დაიწყო ბრტყელი კენჭების წყლის ზედაპირზე ირიბად ტყორცნა. ყველანი პაწია ბრტყელ კენჭებს აგროვებდნენ და წყლის ზედაპირზე ახტუნავებდნენ. მისიზ რემზი წარამარა წამოყოფდა თავს, სათვალეს ცხვირზე დაიკოსებდა, გახედავდა ბავშვებს და იცინოდა. აღარ ახსოვს, რას ამბობდნენ, მხოლოდ ის ახსოვს, როგორ ტყორცნიდნენ კენჭებს ის და ჩარლზი და რა კარგად იგრძნეს თავი სრულიად მოულოდნელად და მისიზ რემზი კი თვალს ადევნებდა ორივეს. ის ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა, მისიზ რემზი, გაიფიქრა ლილიმ, ნაბიჯი უკან გადადგა და თვალები მოწკურა (ალბათ სურათის ჩანაფიქრი სულ სხვანაირი იყო, როცა მისიზ რემზი კიბეზე იჯდა ჯეიმსთან ერთად. იმ ადგილზე ალბათ ჩრდილი იქნებოდა). როცა გაიხსენა, როგორ ტყორცნიდნენ კენჭებს წყალზე ასახტუნებლად ის და ჩარლზ ტენსლი, გაიფიქრა, რომ იმ სცენაში რაღაცნაირად, ყველაფერი მისიზ რემზის გამოისობით ხდებოდა, რომელიც კლდის ქვეშ იჯდა, მუხლებზე ბლოკნოტი დაედო და წერილებს წერდა (უთვალავ წერილს წერდა და ხანდახან ქარი მოსტაცებდა რომელიმეს და ის და ჩარლზი ერთი-ორს გადაარჩენდნენ ხოლმე წყალში ჩაძირვისგან). მაგრამ რამოდენა ძალა იმალება ადამიანის სულში! გაიფიქრა ლილიმ. ის ქალი, იქ რომ იჯდა კლდის ძირას, ყველაფერს მარტივად წყვეტდა; მთელ ამდენ ბრაზს და გაღიზიანებას ისე იცილებდა თავიდან, როგორც ძველმანებს; შეაკოწიწებდა თავისებურად ამას და იმას და მერე ასე პოულობდა გამოსავალს საცოდავი სიბრიყვიდან და ღვარძლიდან (ის და ჩარლზი ხომ ხანდახან კინკლაობდნენ, ლამის ხელჩართულ ჩხუბს მართავდნენ, ენამწარობდნენ), რაღაცას ქმნიდა – მაგალითად, ის სცენა სანაპიროზე, მეგობრობის და ურთიერთსიმპათიის ის წამი – რომელიც გადარჩა, ურღვევად, ამდენი წლის შემდეგ. ისე რომ, ლილის შეეძლო, მოგონებაში ფუნჯი ჩაეწო და

ახლებურად დაენახა ჩარლზი, და ასე რჩებოდახატი გონებაში და ისეთივე ზემოქმედების მოხდენა შეეძლო, როგორიც რომელიმე ხელოვნების ნიმუშს.

„როგორიც რომელიმე ხელოვნების ნიმუშს", გაიმეორა თავისთვის, და თან ტილოდან მისაღები ოთახის შესასვლელი კიბისკენ გააპარა თვალი და მერე მაშინვე უკან, ტილოს დახედა. სულ ერთი წამით მაინც უნდა დაისვენოს. და შესვენების დროს, როცა თვალს ასვენებდა, ის ნაცნობი შეკითხვა წარამარა გადაკვეთდა ხოლმე სულის ზეცას, ის უკიდეგანო, ის ზოგადი კითხვა, რომელიც სწორედ ამის მსგავს წამებში წამოყოფდა ხოლმე თავს, წამებში, როცა ლილი გასაქანს აძლევდა თავის ნიჭს, მანამდე შებორკილს, და თითქოს თავზე წამოადგებოდა და გონებას უბინდავდა. რა არის ცხოვრების აზრი? სულ ეს იყო – ერთი მარტივი კითხვა; კითხვა, რომელიც სულ უფრო ხშირად ეწვევა ადამიანს, როცა ასაკში შედის. თუმცა ამ საიდუმლოს გამჟღავნება ვერასდროს შეძლო. და შეიძლება ვერც ვერასოდეს გამჟღავნდეს. სამაგიეროდ ყოველდღიურად ხდება სასწაულები, რაღაც ცხადი ხდება, გამოვლინდება, მოულოდნელად ასანთი აინთება სიბნელეში; აი, როგორც ახლა. ხან ერთი და ხან მეორე, და ბევრი სხვა; ის და ჩარლზ ტენსლი და ტალღების დგაფუნი; ისინი ხომ მისიზ რემზიმ დააკავშირა; მისიზ რემზიმ თქვა, „სიცოცხლევ, აი, აქ შეჩერდი"; მისიზ რემზიმ იმ წამისგან რაღაც მარადიული შექმნა (რის გაკეთებასაც სხვა სფეროში ლილი თავადაც ცდილობდა, ცდილობდა წამისგან რაღაც მარადიული შეექმნა) – სწორედ ეს იყო აღმოჩენა, გამოცხადება. სრულ ქაოსში ფორმა იკვეთებოდა; წყდებოდა მარადიული დინება და ქროლვა (ლილიმ ცას ახედა, ღრუბლები მიქროდნენ და ხეზე ფოთლები თრთოდა) და შეშდებოდა. „სიცოცხლევ, აი, აქ შეჩერდი," ამბობდა ხოლმე მისიზ რემზი. „მისიზ რემზი! მისიზ რემზი!" გაიმეორა ლილიმ. ამ ყველაფერს მას უნდა უმადლოდეს.

ჩამიჩუმი არ ისმოდა. თითქოს ჯერ არავის ეღვიძა სახლში. ლილი უყურებდა ადრიანი მზის სხივებში მიძინებულ სახლს, რომლის ფანჯრებში მწვანედ და ცისფრად ირეკლებოდა ფოთლები და ცა. ბუნდოვანი ფიქრი, რომელიც მისიზ რემზის მოგონებამ მოჰგვარა, თითქოს სრულ თანხმობაში იყო ამ მშვიდ სახლთან; ამ დილის ბურუსთან; ამ მშვენიერი დილის ჰაერთან. ბუნდოვანი და შეუცნობი, ის გასაოცრად წმინდა და ამაღელვებელი იყო. იმედი ჰქონდა, რომ არავინ გააღებდა ფანჯარას და არავინ გამოვიდოდა სახლიდან გარეთ, ოღონდაც მარტო დარჩენა და ფიქრის გაგრძელება შეძლოს, ხატვის გაგრძელება შეძლოს. ლილი ისევ მიუბრუნდა ტილოს. მაგრამ ერთგვარმა ცნობისმოყვარეობამ, და უხერხულობამ იმის გამო, რომ ვერ გამოხატა თანაგრძნობა, რამდენიმე ნაბიჯი გადაადგმევინა მდელოს ბოლოსკენ, რათა დაენახა, მოჩანდა თუ არა ქვემოთ, სანაპიროზე, ადამიანთა ის პატარა ერთობა, რომელიც იალქნიანი ნავით აპირებდა შუქურაზე წასვლას. და შორს, ქვემოთ, პაწია მოტივტივე ნავებს შორის, რომელთაგან ზოგს იალქანი ჰქონდა დაშვებული, ზოგი კი არ ჩქარობდა, რადგან ზღვა ძალიან წყნარი იყო სანაოსნოდ, ერთი ნავი გამოარჩია, რომელიც სხვებისგან განზე იდგა. აფრებს სწორედ ახლა შლიდნენ. ლილიმ გადაწყვიტა, რომ სწორედ იქ, იმ ძალიან შორეულ და სრულიად ჩუმ პაწია ნავში იჯდა მისტერ რემზი, კემთან და ჯეიმსთან ერთად. აი, უკვე აუშვეს კიდეც აფრა; და ცოტა ხანში, როცა აფრა ოდნავ აფრიალდა და ისევ სიჩუმემ დაისადგურა, ლილიმ დაინახა, როგორ გაიკვლია ნავმა გამიზნულად გზა, გვერდი აუქცია დანარჩენ ნავებს და პირდაპირ ზღვაში გაიჭრა.

თავი 5

აფრებს პირდაპირ მათ თავზე გაჰქონდა ტკაცატკუცი. წყალი ხითხითებდა და ეხლებოდა ნავის ფერდებს, რომელიც უძრავად თვლემდა მზეში. შიგადაშიგ აფრები ნიავს აიკრავდა და ჟრჟოლა დაუვლიდა შიგნიდან, მაგრამ, როგორც დაუვლიდა, ისევე მალე ჩერდებოდა. ნავი ადგილიდან არ იძვროდა. მისტერ რემზი ნავის შუაში იჯდა. ცოტაც, და მოთმინებას დაკარგავსო, ფიქრობდა ჯეიმსი და ასევე ფიქრობდა კემიც, რომელიც მამას უყურებდა, მამა კი ნავის შუაში იჯდა, ჯეიმსსა და კემს შორის (ჯეიმსს ნავის საჭე ეპყრა, ხოლო კემი ნავის წინა ნაწილში იჯდა) და ფეხები მაგრად ჰქონდა ერთმანეთზე გადაჭდობილი. ვერ იტანდა შეყოვნებას. და რასაკვირველია, ერთ-ორ წამს ადგილზე იწრიალა, რაღაცა უხეშად უთხრა მაკალისტერის ბიჭს, რომელმაც ხელი დაავლო თავის ნიჩბებს და მოსმას შეუდგა. მაგრამ ბავშვებმა იცოდნენ, რომ მამა მანამდე ვერ მოისვენებდა, სანამ ნავი წყალზე არ გაფრინდებოდა. ასე დაიცდიდა, სანამ ნიავი არ ამოვარდებოდა, იწრიალებდა, გაღიზიანებული იბურდღუნებდა, და რა თქმა უნდა, მაკალისტერი და მისი ვაჟიც გაიგონებდნენ მის ბრაზიან შენიშვნებს, და ორივენი, ჯეიმსიც და კემიც, საშინლად უხერხულად იგრძნობდნენ თავს. მამამ ისინი ძალით წამოიყვანა. იძულებული გახადა, წამოსულიყვნენ. ისე იყვნენ გაბრაზებულები, რომ ნატრობდნენ, ნეტა ქარი საერთოდ არ დაუბერავდესო, რომ მამა რაც შეიძლება გაღიზიანებულიყო , რაკი იძულებით წამოიყვანა შვილები.

სანაპირომდე მთელი გზა ფეხის თრევით გამოიარეს ერთმანეთის კვალდაკვალ, მიუხედავად იმისა, რომ მამა წარამარა უსიტყვოდ მოუწოდებდა, „ჩქარა იარეთ, ჩქარა იარეთო". ორივე თავჩაქინდრული მიაბიჯებდა, თავები ისე დაეხარათ, თითქოს სასტიკ ქარს ემალებოდნენ. არ შეეძლოთ მამასთან ლაპარაკი. იცოდნენ, რომ უნდა წასულიყვნენ; უნდა გაჰყოლოდნენ მამას. ფეხდაფეხ უნდა მიჰყოლოდნენ ყავისფერ, ხაოიან ქაღალდში გამოკრული ფუთებით ხელში. მაგრამ გზაში, როცა ასე მიაბიჯებდნენ, უსიტყვოდ შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ რაც შეიძლება ნაკლებს ილაპარაკებდნენ – რათა ტირანიისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გაეწიათ წინააღმდეგობა. და ამიტომ ისხდნენ ასე – ერთი ნავის კიჩოზე, მეორე კი ნავის თავში, და მთელი გზა ასე უხმოდ ისხდებოდნენ. სიტყვას არ იტყოდნენ და მხოლოდ შიგადაშიგ გაიხედავდნენ იქით, სადაც მამა იჯდა, ერთმანეთზე გადაჭდობილი, მოკეცილი მუხლებით, კოპებშეკრული და მოუსვენარი და უკმაყოფილოდ მოქსუტუნე და მოფშუტუნე, მოწუწუნე და ბუზღუნით იტყოდა ხოლმე წარამარა – როდის ამოვარდება ქარიო. ამიტომ ნატრობდნენ, ნეტა ქარი არ ამოვარდესო. იმედი ჰქონდათ, რომ მთელი ლაშქრობა ჩაიფუშებოდა და უკან მოუწევდათ დაბრუნება, ფუთებიანად, ნაპირზე.

მაგრამ ახლა, როცა მაკალისტერის ბიჭმა ნიჩბებს მოუსვა და ცოტა ღრმად შეიჭრნენ ზღვაში, აფრები ოდნავ დაიბერა, ნავმა სვლას უმატა, აუჩქარა და გაქროლდა. და იმწამსვე, თითქოს რაღაც დიდი ტვირთი მოეხსნაო, მისტერ რემზიმ მოკრუნჩხული ფეხები გაშალა, ქისიდან თამბაქო ამოიღო,

უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა რაღაც და მაკალისტერს მიაწოდა, და ბავშვებმა იცოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი იწვალეს, ახლა მამა სავსებით კმაყოფილი იყო. ახლა მრავალი საათის განმავლობაში მოუწევდათ ამ ნავში ჯდომა, მისტერ რემზი კი დაუსვამდა კითხვას მაკალისტერს – ალბათ იმ ძლიერი ქარიშხლის შესახებ, შარშან ზამთარში რომ ამოვარდა – და მოხუცი მაკალისტერიც უპასუხებდა და ერთად გააბოლებდნენ ჩიბუხებს, მაკალისტერი აიღებდა გაკუპრულ ბაწარს, განასკვავდა ან გაშლიდა ნასკვებს, ხოლო მისი ვაჟი ითევზავებდა, და ერთ სიტყვასაც არ ეტყოდა არავის მთელი მოგზაურობის განმავლობაში. ჯეიმსი იძულებული იქნება, გამუდმებით თვალი ეჭიროს იალქანზე. რადგან, თუ უყურადღებოდ მიატოვებს, მაშინ იალქანი მოიჭმუჭნება, ჟრჟოლას დაიწყებს და ნავი სვლას შეანელებს, ხოლო მისტერ რემზი მკაცრად დაუყვირებს, ფხიზლად იყავი, ფხიზლად იყავიო! ბებერი მაკალისტერი კი ნელა შემოტრიალდება ადგილზე. და აი, გაიგონეს კიდეც, როგორ ჰკითხა მისტერ რემზიმ მაკალისტერს შობას ამოვარდნილი ქარიშხლის თაობაზე.

„მოვარდა და დაბზრიალდა", თქვა მაკალისტერმა და შარშანდელი ქარიშხლის ამბის აღწერას შეუდგა, ათი გემი კი მანამდე ყურეში შეიყვანეს და მან დაინახა, რომ „ერთი გემი ალთას იყო, მეორე კი ბალთას", (თან თითი ნელა შემოავლო ყურეს). მისტერ რემზი ყურადღებით უსმენდა, თავი სათანადო მიმართულებით მიატრიალა. მაკალისტერს დაუნახავს, როგორ იყო ოთხი კაცი გემის ანძებს ჩაფრენილი. „და მერე წყალმა წაიღო. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვათრიეთ", განაგრძო მან (მაგრამ იმის გამო, რომ გაბრაზებულები იყვნენ და ხმას არ იღებდნენ, მხოლოდ შიგადაშიგ ჩაესმოდათ სიტყვები, რადგან ნავის ორ განაპირა კიდეში ისხდნენ, ტირანიის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზე წინასწარ შეთანხმებულები). როგორც იქნა, გემი გადაარჩინეს და მაშველი ნავები აუშვეს და საფრთხის ზონიდან გამოათრიეს გემი – მაკალისტერმა თხრობა დაამთავრა; და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ შიგადაშიგ თუ მოკრავდნენ ხოლმე ყურს სიტყვებს, წამით არ გამოჰპარვიათ, რომ მათი მამა ხან წინ გადაიხრებოდა, ხან ხმას აუწყობდა მაკალისტერის ხმას; ხან თამბაქოს ეწეოდა და იქით იყურებოდა, საითაც მაკალისტერი მიუთითებდა; ის ტკბებოდა იმაზე ფიქრით, რომ ქარიშხალში, უკუნ წყვდიადში მეთევზეები სიკვდილს ებრძოდნენ. მასხიბლავდა ფიქრი, რომ მამაკაცები მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევიან და ოფლს ღვრიან ქარიშხლიან სანაპიროზე ღამით; ჯანს და ჭკუას არ ზოგავენ ტალღების და ქარის დასამარცხებლად; მას მოსწონდა, რომ კაცები ასე შრომობენ, ქალები კი ოჯახს უვლიან, მძინარე ბავშვებს სდარაჯობენ, მაშინ, როცა მამაკაცები სადღაც ზღვაში, გრიგალში იღუპებიან. ასე ფიქრობდა მამის შემყურე ჯეიმსი და ასე ფიქრობდა კემიც (შეხედავდნენ მამას, მერე ერთმანეთს გადახედავდნენ), უყურებდნენ, როგორ შემართა თავი, რა ფხიზლად უსმენდა მაკალისტერს, როცა გაიგონეს, როგორი მჟღერი გაუხდა ხმა, როგორ შეეპარა ოდნავ შოტლანდიური კილო, რის გამოც თავადაც გლეხს დაემსგავსა, როცა მაკალისტერს ეკითხებოდა იმ თერთმეტი გემის შესახებ, რომელიც გრიგალის დროს ყურეში შემოვიდა. თერთმეტიდან სამი ჩაიძირა.

ამაყად გაიხედა იქით, საითაც მაკალისტერმა მიუთითა; და კემმა, რომელმაც არც კი იცოდა რატომ, სიამაყე იგრძნო მამის გამო, გაიფიქრა, იმ დროს მამაჩემი იქ რომ ყოფილიყო, მაშველ ნავს გამოიყვანდა და დაზიანებულ

გემთან მიცურდებოდაო. ის ხომ ისეთი უშიშარია, ისეთი გამბედავიაო, ფიქრობდა. მაგრამ ხელშეკრულება გაახსენდა; ტირანიას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს. და მამაზე გაღიზიანებამ გადაწონა. ისინი ხომ იძულებით წამოიყვანეს; თავისი ნებით არ წამოსულან – უბრძანეს. მამამ კიდევ ერთხელ დათრგუნა თავისი მელანქოლიით და ავტორიტეტით, და აიძულა შვილები, მისი ნება შეესრულებინათ, ამ მშვენიერ დილას შუქურაზე გაჰყოლოდნენ, რადგან მას ასე სურდა, და თან წამოეღოთ ფუთები; ამ რიტუალში მონაწილეობა, გარდაცვლილი ადამიანების მოსაგონებლად, მისთვის დიდი სიამოვნება იყო, ბავშვებს კი სძაგდათ ეს წამოწყება, და ამიტომ, ნაძალადევად, ფეხის თრევით გამოჰყვნენ და მთელი დღის სიამოვნება ჩაშხამდათ.

მსუბუქი ქარი ამოვარდა. ნავი გადაიხარა, წყალი მკვეთრად გაიპო ორად და მწვანე წყლის ჩანჩქერებში, ქაფში, ნიაღვარში მიქროდა წინ. კემი ზემოდან დაჰყურებდა ზღვის მჩქეფარე ნიაღვარს, ზღვას, რომლის სიღრმეში უთვალავი საუნჯე იყო დამარხული და ნავის სისწრაფემ, ქროლვამ გააბრუა, ხოლო ბაწარი მასა და ჯეიმსს შორის ოდნავ მოდუნდა, ოდნავ მოეშვა. და კემი ფიქრობდა, რა სწრაფად მიქრის ნავი. ნეტა სად მივდივართ? და ნავის ქროლვა აჯადოებდა, ხოლო ჯეიმსი, რომელიც თვალს არ აშორებდა აფრას და ჰორიზონტს, კოპებშეკრული იჯდა საჭესთან. ამასობაში მან იმაზე დაიწყო ფიქრი, რომ შეიძლება გაპარულიყო; შეიძლება გათავისუფლებულიყო ამ ყველაფრისგან. ხომ შეიძლება სადმე ხმელეთს მიადგნენ; და მაშინ გათავისუფლდება. და-ძმამ წამით ერთმანეთს შეხედა, ნავის სწრაფმა ქროლამ და ცვლილებამ ორივეს გაქცევის და აღტაცების გრძნობა მოუტანა. მაგრამ ქარმა მისტერ რემზიც ააფორიაქა და როცა მაკალისტერი შემობრუნდა, რომ ანკესის ძაფი ნავზე შემოეგდო, მისტერ რემზი წამოიჭრა და ხმამაღლა შეჰყვირა, „ჩვენ გავირიყეთ", და შემდეგ ისევ, „ყველა ცალ-ცალკე". და მერე, მისთვის ჩვეული სინანულის თუ სიმორცხვის შემოტევამ უბიძგა წამომდგარიყო, მხრებში გაიმართა და ნაპირისკენ გაიშვირა ხელი.

„ხედავ, იმ პატარა სახლს?" თქვა და თითით ანიშნა, რადგან სურდა, კემს დაენახა. კემი უხალისოდ წამოდგა და გაიხედა. კი მაგრამ, რომელია მათი სახლი? უკვე ვეღარც არჩევდა იქ, გორაკის თავზე, რომელი იყო მათი სახლი. აქედან ყველა სახლი შორეული, მშვიდი და უცხო ჩანდა. ზღვის ნაპირს კი კოხტა და წკრიალა, შორეული და არარეალური იერი ჰქონდა. იმ მცირე მანძილმაც კი, რომელიც ნავით გამოიარეს, უკვე ძალიან დააშორა ნაპირს და ყველაფერი შეცვლილი ეჩვენებოდა, ყველაფერი საოცრად უშფოთველად გამოიყურებოდა, ეს იყო რაღაც ისეთი, რასაც შორდები და თითქოს აღარაფერი გაქვს საერთო. რომელია მათი სახლი? კემმა ის ვერ დაინახა.

„მაგრამ მე კი, უფრო დიდ ტალღებში ზღვის", ჩაიჩურჩულა მისტერ რემზიმ. მან დაინახა თავისი სახლი და საკუთარი თავიც დაინახა იმ სახლში; დაინახა, როგორ სცემდა ბოლთას ტერასაზე, სრულიად მარტო. როგორ დასეირნობდა ყვავილების ურნებს შორის. და მოეჩვენა, რომ ძალიან დაბერდა და წელში მოიხარა. როგორც კი ნავში ჯდებოდა, მაშინვე იხრებოდა და მოიბუზებოდა ხოლმე – და მარტოხელა კაცის, ქვრივი კაცის, სასოწარკვეთილი კაცის როლს თამაშობდა; ახლა კი წარმოიდგინა უამრავი ხალხი, ადამიანები, რომლებიც თანაუგრძნობდნენ; და როცა ნავში ჩაჯდა,

პატარა დრამა გაითამაშა; ეს კი მისგან დაძაბულობას, უძლურებას და დარდს მოითხოვდა (წამოსწია და დაიხედა გალეულ ხელებზე წარმოსახვის დასტურად) და მერე გაახსენდა, რამდენი ქალი არსებობს, რომელიც თანაუგრძნობს და წარმოიდგინა, როგორ ანუგეშებენ და თანაუგრძნობენ და ასე, ოცნებით იმ ნეტარების ანარეკლს იღებდა, რომელსაც ქალის თანაგრძნობა ანიჭებდა. ამოიოხრა და ნაზად, დუდუნით თქვა:

მაგრამ მე უფრო ბობოქარმა ტალღებმა ზღვის,

მშთანთქეს და ჩამძირეს, ვიდრე ის.

ისე რომ, ეს მისი სამგლოვიარო სიტყვები სავსებით მკაფიოდ მოესმათ ნავში მსხდომთ, ყველას სათითაოდ. კემი ლამის სკამიდან გადმოვარდა. თავზარი დაეცა – ძლიერ აღშფოთდა. მისმა შეკრთომამ მამა გამოაფხიზლა; მხრები აიჩეჩა, უცებ შეწყვიტა დეკლამირება და შეჰყვირა: „შეხედეთ, შეხედეთ!" ისეთი დაჟინებით, რომ ჯეიმსმაც კი მიაბრუნა თავი იქით, რომ მხარს უკან კუნძულისთვის შეეხედა. ყველამ მიიხედა. ყველამ შეხედა კუნძულს.

მაგრამ კემმა ვერაფერი დაინახა. ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორ გაქრა ყველა ის პატარა ბილიკი და მდელო, ხშირი და ჩახლართული, მათი ყოველდღიური ყოფის ნაწილი: ყველაფერი წაიშალა; ყველაფერი უკან მოიტოვეს; ყველაფერი ის არარეალური იყო და ახლა ეს იყო რეალობა; ეს ნავი, ეს იალქნიანი ნავი და მისი აფრა; მაკალისტერი განუყრელი საყურეებით; ტალღების ხმა – აი, ეს იყო რეალობა. ამაზე ფიქრობდა და თავისთვის ჩაიჩურჩულა, „ჩვენ წყალმა წაგვლეკა, ყველანი ცალ-ცალკე", რადგან მამის წარმოთქმული სიტყვები ისევ და ისევ ჩაესმოდა ყურში, და ამ დროს მამამ შენიშნა, რა დაბნეული იყურებოდა მისი ქალიშვილი და შეხუმრება გადაწყვიტა. აბა მითხარი, კომპასი რას აჩვენებსო, ჰკითხა. შეგიძლია, ჩრდილოეთის სამხრეთისგან გარჩევაო? და ისევ გაიშვირა ხელი იქით, სადაც მათი სახლი იყო, იქით, იმ ხეებისკენ. მინდა, რომ უფრო დაკვირვებული იყოო, უთხრა: „აბა, მითხარი, საითაა აღმოსავლეთი, საითაა დასავლეთი", ეკითხებოდა თან თითქოს გაცინებული, თან კი საყვედურით, იმიტომ რომ, როგორც ამბობდა ხოლმე, არ ესმოდა ადამიანების, თუ მართლა იმბეცილები არ იყვნენ, რომლებსაც არ შეეძლოთ კომპასის უკიდურესი წერტილების ცნობა. დიახ, ვერ ვარჩევო. და როცა დაინახა, როგორ იყურებოდა ქალიშვილი, დაბნეული, ახლა უკვე საკმაოდ დამფრთხალი, იქით, სადაც საერთოდ არ იყო სახლები, მისტერ რემზის დაავიწყდა თავისი ოცნება; დაავიწყდა, როგორ დასეირნობდა აღმა-დაღმა ურნებს შორის ტერასაზე; მისკენ გამოწვდილი, თანაგრძნობით გამთბარი მკლავები. და გაიფიქრა, ქალები ხომ ასეთები არიან; გამოუსწორებელია მათი დაბნეულობა, არეული გონება; ეს იყო ის, რის გაგებაც მას არაფრით არ შეეძლო; მაგრამ რას იზამ, ასეა. ისიც ხომ ასეთი იყო – მისი ცოლი. ქალები გონების კონცენტრაციას ვერაფერზე ახდენენ. მაგრამ ცდებოდა, როცა უბრაზდებოდა ხოლმე; მეტიც, განა ეს დაბნეულობა სწორედ ის თვისება არ არის, რომელიც ასე ხიბლავდა ქალში? ეს ქალის საოცარი ხიბლის ნაწილია. ვაიძულებ, რომ გამიღიმოს, გაიფიქრა. შეშინებული ჩანს. ხმას არ იღებსო. მისტერ რემზიმ მუშტები მოკუმშა და გადაწყვიტა, რომ ახლა თავი უნდა მოეყარა და დაემორჩილებინა მისი ხმა და გამომეტყველება, ნიჭი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში უღალატოდ ემსახურებოდა, რომ ადამიანები მის

მიმართ სიბრალულის და თანაგრძნობის გამოხატვის სურვილით განემსჭვალა. ისე იზამს, რომ კემი უსათუოდ გაუღიმებს. რამე ისეთს ეტყვის, რომ არ დათრგუნოს. მაგრამ რას? არ იცოდა, რადგან გამუდმებით მუშაობაში ჩაფლულს ავიწყდებოდა, რას ამბობენ ადამიანები ასეთ დროს. მათ ხომ ლეკვი ჰყავთ. დიახ, ლეკვი. და იკითხა, დღეს ლეკვს ვინ უვლიდაო? და ჯეიმსმა მწარედ გაიფიქრა, როცა აფრის მიღმა დის სახეს მოჰკრა თვალი, ჰოო, ახლა კი დანებდება და მე მარტოს მომიწევს ტირანთან ბრძოლაო. ახლა მარტოს მოუწევს ხელშეკრულების პირობების შესრულება. კემი ტირანიასთან ბრძოლას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვერ გაუძლებსო, გაიფიქრა გაღიზიანებულმა, და დაინახა კემის ნაღვლიანი, გაბუტული, დამყოლი გამომეტყველება. და როგორც ხანდახან ხდება, როცა ღრუბელი ჩამოწვება მწვანე გორაკზე და მძიმედ დააწვება არემარეს და გარშემო ყველა გორაკს ღრუბელი და სევდა მოიცავს, და მოგეჩვენებათ, თითქოს ეს გორები თავად ჩაფიქრებულან მოღრუბლულთა, ჩაბნელებულთა ბედისწერაზე ან სიბრალულით, ან ღვარძლიანი სიხარულით, მსგავსად ამისა, შეშფოთებულმა კემმაც იმ გორაკივით იგრძნო თავი, თითქოს ღრუბელი დაადგა თავზე, მარტო იყო, მშვიდი, მტკიცე და უშფოთველი ადამიანების გარემოცვაში, და კემი დაფიქრდა, როგორი პასუხი გაეცა მამისთვის ლეკვის თაობაზე; როგორ არ დაჰყოლოდა მის ვედრებას – მაპატიე, მომიფრთხილდი; მაშინ, როცა ჯეიმსი, კანონმდებელი, მუხლებზე გადაშლილი მარადიული სჯულის წიგნით (ჯეიმსის ფხიზელი ხელი საჭეზე სიმბოლურად ეჩვენა კემს), ეუბნებოდა – არ დაემორჩილო. წინააღმდეგობა გაუწიე, შეებრძოლე. და ჯეიმსი მართალი იყო; სამართლიანი. რადგან ტირანიას მართლაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ვებრძოლოთ, ფიქრობდა კემი. ადამიანის თვისებათაგან ყველაზე მეტად კემი სამართლიანობას სცემდა პატივს. მისი ძმა ყველაზე ახლოს იდგა ღმერთთან, მამამისი კი ცოდვილთან, რომელიც მიტევებას გთხოვს. და რომელს უნდა დავუთმოო, ფიქრობდა მათ შორის მჯდომი კემი, და გაჰყურებდა ნაპირს, რომლის მხარეებს ვერ არჩევდა და ფიქრობდა, როგორ დაპატარავდა მათი სახლი ახლა და როგორმა თანხმობამ და მშვიდობამ დაისადგურა მასში.

„ჯასპერი", თქვა უხალისოდ. ის მიხედავს ლეკვს."

და რა სახელის დარქმევას აპირებო, არ ასვენებდა მამა. თურმე როცა პატარა ბიჭი იყო, მასაც ჰყოლია ლეკვი და ფრისკი დაურქმევია. ახლა კი დანებდებაო, გაიფიქრა ჯეიმსმა, რადგან შენიშნა, როგორ შეეცვალა კემს სახე, ამ გამომეტყველებას ჯეიმსი კარგად იცნობდა. ასე დაჰყურებენ ხოლმე რაღაცას, საქსოვს, ან რამეს. და მერე უცებ, მოულოდნელად აიხედავენ. გაახსენდა, ასეთ დროს რაღაც ლურჯად იელვებს, და მერე ვინმე მის გვერდით მჯდომი გაიცინებს, დანებდება, რაზეც ჯეიმსი საშინლად ბრაზდებოდა. ალბათ ეს დედა იყო, ფიქრობდა ის, დაბალ სკამზე იჯდა, მამა თავზე წამოადგა. და ჯეიმსმა შთაბეჭდილებების იმ უთვალავ მწკრივში დაიწყო ჩხრეკა, რომელსაც დრო ლექავდა ნაზად, განუწყვეტლივ, ფოთოლ-ფოთოლ, მრავალკეც ფენებად მის მეხსიერებაში; იჩხრიკებოდა იმ კეთილსურნელებებში, ბგერებში; უკმეხ, ყალბ, საამურ ხმებში; წამიერ გამონათებებში, ცოცხის შრაშუნში; ტალღის შუილში, ტალღის მოვარდნა-დადუმებაში, და როგორ სცემდა კაცი ბოლთას და მოულოდნელად შედგა და თავზე წამოადგა გარინდული, სარივით გაჭიმული. ამასობაში შენიშნა, რომკემი წყალში აჭყაპუნებდა თითებს და ნაპირს მისჩერებოდა და ხმას არ

სცემდა მამას. არა, ის არ დანებდებაო, გაიფიქრა; ის სხვანაირია, სხვებს როდი ჰგავსო. რას იზამ, თუ კემი არ მიპასუხებს, აღარ შევაწუხებო, გაიფიქრა მისტერ რემზიმ და ჯიბეში წიგნი მოიძია. მაგრამ კემი სიამოვნებით უპასუხებდა; მას გულით უნდოდა გადაელახა ის დაბრკოლება, რომელიც ენას უბორკავდა და ეთქვა, აა, დიახ, ფრისკი. მეც ფრისკს დავარქმევ. ისიც უნდოდა ეკითხა – ეგ ის ძალღლი ხომ არაა, მარტომ რომ გაიკვლია გზა ჭაობშიო? მაგრამ, რაც არ უნდა ეცადოს, მაინც ასეთს ვერაფერს იტყვის, რადგან ერთგულია და მგზნებარედ უჭერს მხარს ჯეიმსთან დადებულ ხელშეკრულებას, და მაინც, ისე, რომ ჯეიმსს არ შეემჩნია, მამას სიყვარულით სავსე მზერა გაუგზავნა. რადგან, ფიქრობდა კემი და თან თითებს წყალში აჭყაპუნებდა (და ამ დროს მაკალისტერმა სკუმბრია დაიჭირა, თევზი ნავის ძირზე ფართხალებდა, ლაყუჩებიდან სისხლი სდიოდა) და უყურებდა ჯეიმსს, რომელიც კვლავ გულგრილად ადევნებდა თვალს იალქანს, ანდა დროდადრო, წამიერად შეავლებდა თვალს ჰორიზონტს, შენთვის ხომ უცხოა ეს, გრძნობების ეს წნეხი და გაორება, ეს წარმოუდგენელი ცდუნებაო. ამ დროს მამა ჯიბეებში იქექებოდა; ერთი წამიც, და წიგნს იპოვიდა. რადგან კემს მამაზე მეტად არავინ მოსწონდა; ულამაზესი ეჩვენებოდა მისი ხელები, მისი ტერფებიც, მისი ხმა, მისი საუბარი, მისი ფორიაქი და ხასიათი, მისი ახირებები, ვნება, და როგორ იცოდა პირდაპირ, მოურიდებლად, ყველას გასაგონად თქმა – „როგორ დავიღუპეთ ყველანი ცალ-ცალკე", – და მისი მიუწვდომლობა. (მისტერ რემზიმ წიგნი გადაშალა) მაგრამ ის, რაც კემს მიუღებლად მიაჩნდა – ამასობაში მაკალისტერის ბიჭმა მორიგ თევზს ლაყუჩებიდან კაუჭი ამოაძრო – იყო მისი ტლუ დაუნახაობა და ტირანია, რომელმაც ბავშვობა მოუწამლა და არაერთხელ გაამწარა საშინლად, იმდენად, რომ ახლაც კი ეღვიძება ღამღამობით ბრაზისაგან და ახსენდება მისი რომელიმე ბრძანება; რომელიმე შეურაცხმყოფელი ქედმაღლური გამოხდომა: „ეს გააკეთე", „ის გააკეთე", მისი მბრძანებლობა: მისი „დამემორჩილე".

ამიტომ აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ ჯიუტად და სევდიანად გასცქეროდა ნაპირს, სიმშვიდის საბურველში გახვეულს; გეგონება, ადამიანებს ჩასძინებიათ, ფიქრობდა კემი; კვამლივით ლაღად გრძნობენ თავს, აჩრდილებივით ლაღად შეუძლიათ, იმოძრაონ, საითაც უნდათ. მათ იქ არ იციან, რა არის ტანჯვაო, ფიქრობდა კემი.

თავი 6

დიახ, ეს მათი ნავია, გადაწყვიტა ლილი ბრისკომ, რომელიც მდელოს განაპირას იდგა. სწორედ ის ნავია, მორუხო-ყავისფერი აფრებით, რომელიც ადრეც დაინახა და რომელსაც ახლა ფართოდ გაეშალა ფრთები ჩიტივით და შუა ზღვაში ყურის გასწვრივ მიექანებოდა. აგე, ის იქ ზის, გაიფიქრა, ბავშვები კი ხმას არ სცემენ. და რომ თავადაც ვერ მოახერხა მისთვის რამის თქმა? თანაგრძნობა, რომელიც ვერაფრით ვერ გაიღო ამ კაცისთვის, გულზე ლოდივით აწვა, ხატვას უძნელებდა.

მისტერ რემზისთან ყოველთვის ძალიან უჭირდა ურთიერთობა. რამდენადაც ახსოვს, ერთხელაც ვერ მოახერხა პირში ეთქვა მისთვის რამე საქებარი. რამაც მათი ურთიერთობა ერთგვარ ნეიტრალურ მდგომარეობამდე მიიყვანა, სადაც არ იყო სქესის ის შემადგენელი, რაც მის დამოკიდებულებას ასე გალანტურს, ლამის ეროტიკულს ხდიდა, მაგალითად, მინტას მიმართ. ხან თაიგულს დაუკრეფდა, ხან წიგნს ათხოვებდა. მაგრამ ნუთუ ეგონა, რომ მინტა მათ კითხულობდა? მის ნათხოვარ წიგნებს ყველგან თან დაათრევდა ბაღში, სანიშნეებად ფოთლებს იყენებდა.

„გახსოვთ, მისტერ კარმაიკლ?" უცებ მოუნდა ეკითხა, როცა ბერიკაცს გახედა. მაგრამ მას ქუდი ლამის მთელ შუბლზე ჩამოეფხატა; და ლილიმ გაიფიქრა, სძინავს, ანდა ოცნებეშია ჩაფლული, ან წევს და სიტყვებს ეძებს ლექსებისთვისო.

„გახსოვთ?" ისევ მოუნდა ეკითხა, როცა გვერდით ჩაუარა, და ისევ მისიზ რემზიზე და სანაპიროზე გატარებულ მშვენიერ დროზე ფიქრობდა; ტალღებზე ქექეჭელა ტივტივებდა; ქარში ფურცლები იფანტებოდა. და ნეტავი რაღა მაინცდამაინც ეს სურათი ჩამებეჭდა მეხსიერებაში ამდენი წლის შემდეგ და წარამარა მახსენებს თავს, აინთება და ზედმიწევნით მკაფიოდ ხილული ხდება, მაშინ როცა ყველაფერი მანამდე და ყველაფერი მას მერე წაშლილა, ისე რომ თვალს ვეღარ მივაწვდენო.

იტყოდა ხოლმე, „ეს გემია თუ მათარა?", და ლილიმ მისიზ რემზის სიტყვები გაიმეორა, და ისევ უხალისოდ მიუბრუნდა ტილოს. დიდება უფალს, სივრცის პრობლემაღა დამრჩა გადასაჭრელიო, გაიფიქრა და ისევ მოჰკიდა ხელი ფუნჯს. ტილომ შემოანათა. სურათის მთლიანობა ამ წონასწორობაზეა დამოკიდებული. ზედაპირზე ის ლამაზი და კაშკაშა უნდა იყოს, ბუმბულივით მჩატე და მიმოქროლადი, ერთი ფერი შეუმჩნევლად უნდა იღვრებოდეს მეორეში, როგორც პეპლის ფრთებზე; მაგრამ ამ მთლიანობას რკინის ურდული უნდა კრავდეს. ისეთი უნდა გამოვიდეს, რომ სულის შებერვა აკრთობდეს; და თან ისეთი, რომ ცხენების ჯოგმაც ძვრა ვერ უყოს. და ლილიმ ტილოს წითელი დაადო, რუხი დაადო და ძერწვა-ძერწვით გაიკვლია გზა იმ სიცარიელისკენ. ამავე დროს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ისევ მისიზ რემზის გვერდით იჯდა სანაპიროზე.

„რა არის ეს, ნავია? თუ მათარაა?" ამბობდა მისიზ რემზი. და სათვალის საძებრად აქეთ-იქით იყურებოდა. მერე იპოვა და იჯდა და უხმოდ გასცქეოდა ზღვას და ჰორიზონტს. და ლილის, რომელიც წამით არ წყვეტდა ხატვას, მოეჩვენა, თითქოს კარი გაიღო, შიგ შეაბიჯა და უხმოდ მოავლო თვალი უცხო გარემოს, სატაძრო ადგილისმაგვარ შემაღლებას, წყვდიადში ჩაფლულ, მწუხარებით მოცულ არემარეს. შორეული სამყაროდან ხმები მოესმა. ორთქლმავლები კვამლის ფრქვევით უჩინარდებოდნენ ჰორიზონტზე. ჩარლზი კენჭებს ისროდა ირიბად და წყალზე ახტუნავებდა.

მისიზ რემზი იჯდა და დუმდა. სიამოვნებს, ფიქრობდა ლილი, სიჩუმეში დასვენება, როცა არავის ელაპარაკება; უჩუმრად ისვენებს ადამიანური ურთიერთობებისგან. ვინ იცის, რანი ვართ, რას ვგრძნობთ, რას განვიცდით? ვის შეუძლია თქვას, თუნდაც უფაქიზესი სიახლოვის ჟამს, მე ის შევიცანი? და ამით ხომ ყველაფერს ვაზიანებთ, როცა ვცდილობთ, ყველაფერს სახელი

დავარქვათ? შეიძლება ეთქვა მისიზ რემზის, იქნებ მდუმარენი კიდევ უფრო მეტყველები ვართო (და ვინ მოთვლის, რამდენჯერ უგრძნია მის გვედით ეს მდუმარება). ყოველ შემთხვევაში, ის წამი გასაოცრად მრავლისმთქმელი იყო. ქვიშაში პატარა ორმო ამოთხარა და ქვიშა წააყარა, თითქოს სურდა ამ წამის სრულყოფილება ჩაემარხა მასში. ეს ვერცხლის წვეთივით იქნება, და როგორც კი შიგ ჩავყვინთავ, ბნელ წარსულს უმალ შუქი მოეფინებაო.

ლილიმ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია – აი, ასე – რომ ტილო პერსპექტივაში დაენახა. სრულიად უცხო და უცნაურია გზა – ფერწერის გზა. სულ უფრო და უფრო ღრმად მიტოპავ, უფრო და უფრო შორს, სანამ ბოლოს არ მოგეჩვენება, რომ ვიწრო მორზე დგახარ, სრულიად მარტო, უსაშველო ზღვის თავზე. და როცა ფუნჯს ლურჯ საღებავში აწობდა, ის სწორედ იქ, იმ წარსულში იძირებოდა. აი, მოაგონდა, როგორ ადგა მისიზ რემზი. უკვე შინ დაბრუნების დრო იყო – სადილობის დრო. და ყველანი ერთად წამოდგნენ და წამოვიდნენ სანაპიროდან, ის უილიამ ბენქსს მიჰყვებოდა და იქვე იყო მინტა, მათ წინ, გამოხეული წინდით. და რა თავმომწონედ იჭყიტებოდა ვარდისფერი ქუსლი იმ ნახევიდან! და როგორ კიცხავდა უილიამ ბენქსი ასეთ რამეს, თუმცა, რამდენადაც ახსოვს, უსიტყვოდ! მისთვის ხომ ეს ამბავი სუსტი სქესის სრული განადგურების ტოლფასი იყო, ჭუჭყი და უწესრიგობა, და მოახლეები, რომლებიც ისე მიდიან სახლიდან შუადღისას, რომ აულაგებელ ლოგინებს ტოვებენ – ეს იყო ის, რაც ყველაზე მეტად ეზიზღებოდა. ასეთი ჩვეულება ჰქონდა – აიბუზებოდა და თითებს გაშლიდა წინ, ისე, რომ არასასურველი რამ არ დაენახა, და სწორედ ეს მოიმოქმედა მაშინაც – ხელი თვალებზე აიფარა. მინტა კი განაგრძობდა სვლას მათ წინ ალბათ პოლთანბაღში შესახვედრად.

ჰოო, რეილები, გაიფიქრა ლილი ბრისკომ და ტუბიდან მწვანე საღებავი დაასხა პალიტრაზე. გონებაში რეილების შესახებ შთაბეჭდილებებს მოუყარა თავი. და წარმოუდგა მათი ცხოვრება სხვადასხვა სცენების წყებად; ერთი – კიბეზე, დილაუთენია. პოლი დაბრუნდა შინ და ადრე დაწვა დასაძინებლად; მინტამ დაიგვიანა. და ასე, დილის სამი საათისთვის გამოჩნდა, მობუზული, წითური, ჭრელაჭრელა ტანსაცმელში გამოწყობილი კიბეზე ამოდიოდა. პოლი ოთახიდან გამოვიდა, პიჟამა ეცვა, ხელში ბუხრის ცხაურა ეჭირა, ვაითუ მძარცველები დაგვესხენ თავსო. მინტას კი – სენდვიჩი ეჭირა ხელში და არხეინად ილუკმებოდა, თითქმის უკვე კინის ფანჯარამდე იყო ასული, იდგა დღე-ღამის შესაყარის მკვდრისფერ სიმკრთალეში, დახეულ ხალიჩაზე. და როგორ შეხვდნენ ერთმანეთს? იკითხა ლილიმ თავისთვის, თითქოს უყურებდა და ცდილობდა, გაეგონა მათი ხმა. მინტამ სენდვიჩის ჭამა განაგრძო, გამომწვევად, პოლი კი ძალიან ცხარობდა, შეურცხყოფას აყენებდა მინტას ხმადაბლა, ბავშვები რომ არ გაეღვიძებინა, ორი პატარა ბიჭუნა. პოლი გამოფიტული და დაძაბული იყო; მინტა – ბრდღვიალა, ფუქსავატი. იმიტომ, რომ ქორწინების პირველი თუ მეორე წლიდან ყველაფერი აერიათ; ქორწინებამ არ გაამართლა.

და აი, ფიქრობდა ლილი და თან მწვანე საღებავს იღებდა ფუნჯით, ამაზე ვამბობთ, რომ ადამიანებს ვიცნობთ, რაკი შევსწრებივართ მათ შორის გათამაშებულ რაღაც სცენებს, და მერე ვაცხადებთ – „დიახ, მე ვიცნობ მათ“, „ძალიან მომწონს!“ მაგრამ ეს ხომ მტკნარი სიცრუეა; ყველაფერი შეთხზულია; თუმცა, ასეა თუ ისე, ამ ხალხზე იცოდა ის, რაც ნახა. და

ლილი ჩაუღრმავდა თავის სურათს და ბნელი გვირაბით გაიკვლია გზა წარსულისკენ.

კიდევ ერთი შემთხვევა მოაგონდა, როცა პოლმა თქვა, ჭადრაკს ვთამაშობ ყავახანებშიო. და ლილიმ ამ ნათქვამზეც ააგო მთელი ამბავი წარმოსახვაში. მოაგონდა, რომ როცა პოლი ამას ამბობდა, მოახლე ზარით გამოიძახა, მან კი მოახსენა, „მისიზ რეილი შინ არ გახლავთ, სერ", და პოლმა გადაწყვიტა, თვითონაც წასულიყო და აღარ დაბრუნებულიყო შინ. წარმოიდგინა, როგორ იჯდა პოლი, რომელიღაც მოჟამული კაფეს კუთხეში, სადაც წითელი პლუშის სკამები თამბაქოს კვამლით გაჟღენთილიყო და სადაც ყველა ოფიციანტი ქალი სახელით იცნობდა ყველა კლიენტს და როგორ ეთამაშებოდა პოლი ჭადრაკს ვიღაც ჩაით მოვაჭრე ჩია კაცს სერბიტონიდან ისე, რომ მასზე არაფერი იცოდა. და მერე შინ დაბრუნდა და მინტა ისევ არ დახვდა და ამას მოჰყვა ის სცენა კიბეზე, როცა პოლმა ცხაურა გამოიტანა, ვაითუ ქურდები შემოიჭრნენ სახლშიო (ეჭვი არ არის, მინტას შეშინება უნდოდა) და ცხარედ და უკმეხად დაელაპარაკა ცოლს, უთხრა, ცხოვრება დამინგრიეო. მერე, როცა კიდევ ერთხელ რიკმენზუორთში ეწვია, ბევრად უფრო დაძაბული ვითარება დახვდა. პოლმა ლილი ბაღში გაიწვია ბელგიური კურდღლების სანახავად, რომელთაც ამრავლებდა და მინტაც გამოჰყვა მათ, თან მღეროდა, შიშველი მკლავი ქმრისთვის მხარზე გადაეხვია, რომ უმისოდ ლილისთან საუბრისას ზედმეტი არაფერი დასცდენოდა.

ალბათ მინტას ყელში ჰქონდა კურდღლები ამოსული, ფიქრობდა ლილი. მაგრამ ამას არაფრით არ გაამჟღავნებდა. მაგალითად, მას სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, რომ პოლი ჭადრაკის სათამაშოდ ყავახანებში დადიოდა. ისეთი ფხიზელი და ფრთხილი იყო, ამას არაფრით არ გაამხელდა. მაგრამ ამ ამბავს თავისებური გაგრძელება ჰქონდა – წყვილმა ის კრიტიკული ეტაპი მშვიდობით გადალახა. შარშან ზაფხულში ცოტა ხანი გაატარა მათთან და ერთხელ მანქანა გაუფუჭდათ გზაში და მინტამ პოლს ხელსაწყოები მიაწოდა. პოლი იჯდა გზაზე და მანქანას აკეთებდა, მინტა კი საქმიანად, უშუალოდ და გულთბილად ეხმარებოდა – ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ ყველაფერი რიგზე ჰქონდათ. „შეყვარებულები" აღარ იყვნენ, არა პოლმა სხვა ქალთან გააბა კავშირი, ერთ სერიოზულ, ნაწნავებიან ქალთან, რომელსაც ყოველთვის პორტფელი ეჭირა ხელში (მინტამ ის დიდი სიამოვნებით აღწერა, ლამის აღტაცებითაც); რაღაც შეკრებებზე დადიოდა და პოლის შეხედულებებს იზიარებდა (უფრო და უფრო დაუფარავად მეგობრობდნენ) მიწის გადასახადის დაბეგვრის და საკუთრების კონფისკაციის საკითხებზე. და ამან არათუ დაანგრია მათი ქორწინება, პირიქით, მათმა ერთობამ მდგომარეობა გამოასწორა. აშკარად შესანიშნავი მეგობრები იყვნენ, როცა ლილიმ ნახა, როგორ იჯდა პოლი გზაზე და როგორ ეხმარებოდა ცოლი მანქანის შეკეთებაში.

აი, როგორი ამბავი გადახდათ რეილებს, ფიქრობდა ლილი. და წარმოიდგინა, როგორ მოუყვებოდა ამას მისიზ რემზის, რომელსაც ერთი სული ექნებოდა, გაეგო, რა დაემართათ რეილებს. და ლილის იქნებ, ცოტა არ იყოს, გამარჯვების სიხარულითაც ეთქვა მისიზ რემზისთვის, რომ ეს ქორწინება, საბოლოო ჯამში, წარუმატებელი გამოდგა.

მაგრამ გარდაცვლილები, ფიქრობდა ლილი, და თავისსავე ჩანაფიქრში დაბრკოლებას გადაეყარა, შეაყოვნა და ჩააფიქრა, ერთი-ორი ნაბიჯით უკან დაიხია, და ჰოი, გარდაცვლილებიო! ჩაიდუდუნა, ჩვენ გვეცოდება ისინი, ვცდილობთ დავივიწყოთ, ის კი არა, გვაღიზიანებენ კიდეც. მათი სული ჩვენს ხელშია. მისიზ რემზი გაქრა და წავიდა, გაიფიქრა მან, ჩვენ შეგვიძლია, მისი სურვილები არ გავითვალისწინოთ, შეგვიძლია, ჩვენებურად სრულვყოთ მისი შეზღუდული, დრომოჭმული შეხედულებები. ის ხომ სულ უფრო და უფრო გვშორდება ყოველდღიურად. ჩაეცინა და გაახსენდა, როგორ იდგა მისიზ რემზი წლების წინ დერეფნის სიღრმეში და ათას უადგილო რამეს ამბობდა, „გათხოვდი! გათხოვდი!" (შოლტივით წელგამართული რომ იჯდა იმ ადრიანდილით ოთახში, და გარეთ, ბაღში, აქა-იქ უკვე ჩიტების ჭიკჭიკიც ისმოდა). ახლა ამის თქმა მოუწევდა, ყველაფერი თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ წარიმართაო. სხვები ისე გრძნობენ თავს ბედნიერად; მე კი ასეო. ცხოვრება ხომ მთლიანად შეიცვალა. და ამ აზრმა, მისიზ რემზის ყოფა, მისი სილამაზეც კი, წამით უღიმღამო და ყავლგასული გახადა. და ლილიმ, რომელიც იდგა და ცხელი მზე უწვავდა ზურგს და რეილების თავგადასავალს აჯამებდა, მისიზ რემზიზე გამარჯვების წამიერი სიხარული განიცადა, რომელიც ვეღარასოდეს შეიტყობდა, რომ პოლი ყავახანებში დადიოდა და რომ საყვარელი გაიჩინა; როგორ იჯდა მიწაზე და როგორ აწვდიდა მინტა ხელსაწყოებს; როგორ იდგა ლილი ახლა აქ, და ხატავდა, და როგორ არავის გაჰყვა ცოლად, თუნდაც უილიამ ბენქსს.

მისიზ რემზის მათი დაქორწინება ჰქონდა ჩაფიქრებული. იქნებ, რომ დასცლოდა, კიდეც მიეღწია ჩანაფიქრისთვის. ჯერ კიდევ იმ ზაფხულს, ბენქსს „უკეთილშობილეს კაცად" მოიხსენიებდა. ამბობდა ხოლმე, მისტერ რემზის ის თავის თაობაში საუკეთესო მეცნიერად მიაჩნიაო. იმასაც ამბობდა, საბრალო უილიამი - ისე ცუდად ვხდები, როცა მის მოსანახულებლად მივდივარ, და ვერაფერს ვხედავ სანუგეშოს - თუნდ ვინმე სულიერს, მისი ყვავილები რომ დააბინაოსო". და ასე გზავნიდა ხოლმე სასეირნოდ ერთად, და ეუბნებოდა, იმ ირონიანარევი მანერით, რომლითაც მისიზ რემზის შეეძლო, ოსტატურად შეეპარებინა, შენ ხომ მეცნიერის ჭკუა გაქვს; შენ ხომ გიყვარს ყვავილები; შენ ხომ ასეთი პუნქტუალური ხარ. მაშ ვერ გამიგია, რა ახირება გაქვს ასეთი გათხოვებასთან დაკავშირებითო. ლილი ხან უკან იხევდა, ხან უახლოვდებოდა მოლბერტს ხატვისას და თან ფიქრობდა.

(უცაბედად, ისე უცაბედად, როგორც ვარსკვლავი სწყდება ცას, მოეჩვენა, რომ მოწითალო სინათლე ცეცხლივით აინთო მის გონებაში, და ამ ნათებაში იდგა პოლ რეილი, და ამ ნათებას პოლ რეილი ასხივებდა. ის აინთო, როგორც ცეცხლი, ველურების მიერ შორეულ ნაპირზე რაღაც დღესასწაულის ნიშნად გაჩაღებული. ლილის ხორხოცი და ცეცხლის ტკრციალი მოესმა. მთელი ზღვა, მრავალი მილის მანძილზე ირგვლივ, წითლად და ოქროსფრად აელვარდა. ამას რაღაც უცნაური ღვინისებური სუნი ერთვოდა, რომელმაც ბანგივით გააბრუა და თავგზა აუბნია, და ისევ იგრძნო დაუოკებელი სურვილი, თავქვე გადაშვებულიყო კლდიდან და ჩაძირულიყო მინტას ბროშის ძიებაში სანაპიროზე. და ის ხორხოცი და ტკრციალი შიშითა და ზიზღით აღავსებდა და უკუაგდებდა, თითქოს, ერთი მხრივ, ხედავდა მისგან მომავალ ბრწყინვალებას და მიზიდულობას, მეორე მხრივ, ხედავდა, როგორ საზრდოობდა ამ სახლის განძით - როგორ ეწაფებოდა ხარბად, გულისამრევად, და ამიტომაც შეზარა. მაგრამ სანახაობრივი თვალსაზრისით,

ბრწყინვალებით, ის გაცილებით აღემატებოდა ყველაფერს, რაც კი მანამდე გამოუცდია, და წლიდან წლამდე ენთო ასე, როგორც სასიგნალო ხანძარი უკაცრიელ კუნძულზე ზღვის პირას, და მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა იყო საჭირო, „სიყვარული", რომ მყისიერად, აი, როგორც ახლა მოხდა, ისევ აბრიალებულიყო პოლის ცეცხლი. და როცა ცეცხლი ჩადგა, ლილის თავისთვის ჩაეცინა, „ესეც რეილები"; პოლი კი ყავახანებში დადის და ჭადრაკს თამაშობს.)

მაგრამ მხოლოდ სულზე გავასწარიო, გაიფიქრა. მანამდე სუფრას უყურებდა და უეცრად გაუნათდა გონება, მიხვდა, რომ ხე სურათზე შუისკენ უნდა გადაეტანა, და არასოდეს არავის არ უნდა გაჰყოლოდა ცოლად, და მაშინვე უზარმაზარი ლოდი მოეხსნა გულიდან. მაშინ იგრძნო, რომ ახლა კი შეძლებდა მისიზ რემზისთვის წინააღმდეგობის გაწევას – სიყვარულის და პატივიცემის ნიშნად იმ საოცარი ზემოქმედებისთვის, მისიზ რემზი რომ თავს ახვევდა ადამიანებს. ასე მოიქეცი, იტყოდა ის და ასეც იქცეოდნენ. მხოლოდ მისი ჩრდილიც კი, ჯეიმსთან ერთად რომ იჯდა ფანჯარასთან, საოცრად მოქმედებდა ადამიანებზე. გაახსენდა, როგორ გაოგნდა უილიამ ბენქსი, როცა გაიგო, რომ ლილის არაფრად მიაჩნდა დედაშვილობის მნიშვნელობა. „ნუთუ არ გხიბლავთ მათი სილამაზე?" ჰკითხა ლილის. მაგრამ უილიამმა, რამდენადაც ახსოვს, ჭკვიანი ბავშვის თვალები შეანათა და ყურადღებით მოუსმინა მის პასუხს. ლილიმ აუხსნა, რომ ეს უპატივცემულობას სულაც არ გამოხატავდა: რომ, თუ სურათზე ერთგან ნათელია, იქვე ჩრდილიც უნდა იყოს და ასე შემდეგ. უთხრა, რომ აზრადაც არ ჰქონია იმ თემის შებღალვა, რომელსაც, ორივეს აზრით, ასე ღვთაბერივად ასახავს რაფაელი. და ლილი ოდნავაც არ იყო ცინიკური. პირიქით. და ბრწყინვალე გონების წყალობით, უილიამმა გაიგო მისი ნათქვამი – რაც მიუკერძოებელი ინტელექტის მაჩვენებელია, და ლილის ესიამოვნა და ენით აუწერელი შვება იგრძნო. მაშ, შესაძლებელი ყოფილა მამაკაცთან ხელოვნებაზე ლაპარაკი. უილიამთან მეგობრობა ლილის ცხოვრების ერთი ულამაზესი ფურცელი იყო. მას უყვარდა უილიამ ბენქსი.

ერთხელ ჰემპტონ კორტში წავიდნენ და როგორც ნამდვილ ჯენტლმენს შეეფერება, ყოველთვის მარტოს ტოვებდა, როცა კი ლილის ხელის დაბანა მოუნდებოდა ხოლმე, და ამასობაში თავად მდინარის პირას დასეირნობდა. ეს დამახასიათებელი იყო მათი ურთიერთობისთვის. უამრავი რამ დარჩათ უთქმელი. შემდეგ სასახლის პარკებში და ეზოებში დასეირნობდნენ, და ზაფხულობით ლამაზი შენობებით და ყვავილებით ტკბებოდნენ, და სეირნობისას უილიამი ათას რამეს უამბობდა პერსპექტივაზე, ხუროთმოძღვრებაზე, შედგებოდა ხოლმე რომელიმე ხესთან ან ტბის პირას და აღტაცებას გამოთქვამდა ბავშვის დანახვაზე (ძალიან განიცდიდა, რომ ქალიშვილი არ ჰყავდა), ასე, შორიდან, დაბნეული, რაც ბუნებრივია მამაკაცისთვის, რომელმაც იმდენი ხანი გაატარა ლაბორატორიებში, რომ იქიდან გამოსულს სამყარო აბნევდა და თავბრუს ახვევდა, იმდენად, რომ ნელა იწყებდა სიარულს, ხელს წამოსწევდა თვალის მოსაჩრდილებლად და ჩერდებოდა ხოლმე, თავს უკან გადააგდებდა, რომ ერთი ამოესუნთქა. მერე უთხრა, მოახლემ მიმატოვა და დასასვენებლად წავიდა; მე კი ახალი ფარდაგი მაქვს საყიდელი კიბისთვის და ხომ არ გამომყვებით კიბისთვის ახალი ფარდაგის შესარჩევადო? და ერთხელ, რატომღაც, რემზებზე წამოიწყო საუბარი და უთხრა, როცა პირველად ვნახე მისიზ რემზი, მას რუხი ქუდი

ეხურაო; ცხრამეტი თუ ოცი წლისა იქნებოდა მაშინ. გასაოცრად ლამაზი იყოო. და მერე კი, იდგა ჰემპტონ კორტის მახლობლად პროსპექტზე და სივრცეს გასცქეროდა, თითქოს მისიზ რემზის ხედავდა სადღაც იქ, შადრევნებს შორის.

ახლა მისაღები ოთახის წინა საფეხურისკენ გაიხედა და უილიამის თვალით დაინახა ქალის სილუეტი, მშვიდი და ჩუმი, თვალდახრილი. იჯდა მეოცნებე, ჩაფიქრებული (რამდენადაც ახსოვს, იმ დღეს რაღაც რუხი ეცვა). თვალდახრილი იჯდა. და არც აღარასოდეს ამოიხედავს. დიახ, ფიქრობდა ლილი და თვალს არ აშორებდა, ეტყობა, მეც ასეთი მინახავს, ოღონდ მაშინ რუხი არ ეცვა; არც ასეთი გარინდული იყო, არც ასეთი ახალგაზრდა და მშვიდი. კონტური უცებ აღიდგინა. უილიამმა თქვა, განსაცვიფრებლად ლამაზი იყოო. მაგრამ სილამაზე ყველაფერი როდია. სილამაზეს ერთი უხერხულობა ახასიათებს – ის მეტისმეტად მზამზარეულად მოგვეცემა, მეტისმეტად დასრულებულად. მისი თანდასწრებით სიცოცხლე თითქოს ირინდება, იყინება. სილამაზე ადამიანს ავიწყებს ყოველდღიურ შფოთვას; ალმურს, სიფითრეს, ფორმის თავისებურ გადახრებს, ნაკვთების თავისებურ დეფორმაციას, თავისებურ შუქსა თუ ჩრდილებს, რაც სახეს წამით შეუცნობელს ხდის და მაინც, ისეთ ხასიათს სძენს, რომელიც სამუდამოდ აღგვებეჭდება მეხსიერებაში. უფრო იოლია ეს ყველაფერი სილამაზის ერთი ფენით მოისარკოს. მაგრამ აბა, ვინ იტყვის, როგორი გამომეტყველება ჰქონდა, როცა თავზე ირემზე მონადირის ქუდს დაიკოსებდა ხოლმე, ანდა როცა მდელოზე გარბოდა, ანდა როცა კენედის, მებაღეს უჯავრდებოდა? აბა, ვინ ეტყვის ამას? ვინ დაეხმარება?

და თავისდა უნებურად, ლილი ზედაპირზე ამოტივტივდა და მიხვდა, რომ ნახევრად გამოსულიყო სურათიდან და, განცვიფრებული, თითქოს რაღაც არაბუნებრივი დაინახა, მისტერ კარმაიკლს მიაჩერდა. ის გასაშლელ სკამზე მიწოლილიყო, გადაჭდობილი ხელები მუცელზე დაეწყო და კი არ კითხულობდა ან კი არ ეძინა, მზეს ეფიცხებოდა, როგორც რომელიღაც არსება, ცხოვრებით ტკბობას რომ მისცემია. წიგნი კი ჩამოცურებულიყო და იქვე, ბალახზე ეგდო.

ლილის მოუნდა მასთან მისულიყო და ეთქვა, "მისტერ კარმაიკლ!" და ის, როგორც ყოველთვის, კეთილგანწყობილად გაუღიმებდა დაბინდული მწვანე თვალებით. მაგრამ თუ ადამიანს აღვიძებ, ისიც უნდა იცოდე, რის თქმა გსურს მისთვის. ლილის კი რამის თქმა კი არ უნდოდა მისთვის, არამედ ყველაფერის. ენაზე ცალკეული სიტყვები ადგებოდა და ასე დანაწევრებული, თითქოს არაფრის მთქმელი იყო. „სიცოცხლეზე, სიკვდილზე; მისიზ რემზიზე", – არა, გაიფიქრა ლილიმ, ასე ვერავის ვერაფერს ეტყვის. ასეთ დაძაბულ და მნიშვნელოვან წამს ადამიანი ორიენტირს კარგავს. სიტყვებს ვეღარ უყრის თავს და სათქმელი უთქმელი რჩება. მერე კი თქმის სურვილიც ქრება; მერე აზრი ისევ უკან იხევს; მერე ჩვენც სხვა შუახნის ადამიანებს ვემსგავსებით, ვფრთხილობთ, გულჩათხრობილები ვხდებით, თვალებს შორის ნაოჭები გვიჩნდება და გამუდმებული საფრთხის მოლოდინი გვიდგება თვალებში. მაშ როგორ შეიძლება გამოხატო სიტყვებით ის გრძნობა, რომელთაც ტანით შეიგრძნობ? გამოხატო სიცარიელე, რომელიც იქაა (ლილი მისაღები ოთახის წინ კიბეს უყურებდა; უსაშველო სიცარიელე დასადგურებულიყო იქ)? ამას ადამიანი ტანით გრძნობს და არა გონებით.

ფიზიკური შეგრძნებები, რომლებიც ამ საფეხურების სიცარიელემ მოჰგვარა, უცებ აუტანელი გახდა. გსურდეს და ვერ პოვებდე – გსურდეს და გსურდეს – როგორ გადაუტრიალდა გული, და ისევ გადაუტრიალდა, და მერე ისევ! ოო, მისიზ რემზი! ჩუმად გასძახა იმ განსახიერებას, ნავთან რომ იჯდა სანაპიროზე, იმ განყენებულ არსს, რომელიც თვითონ შექმნა მისგან, იმ ქალს რუხ ტანსაცმელში, თითქოს იმისთვის, რომ შეერისხა წასვლის გამო, და იმის გამო, რომ წასვლის შემდეგ ისევ დაბრუნდა უკან. მასზე ფიქრი ისეთი უსაფრთხო იყო. აჩრდილი, ჰაერი, არარა, რაღაც, რითაც თავისუფლად შეგიძლია, დღისა თუ ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ითამაშო, ასეთი იყო ის, და მერე უცებ, ხელს გამოგიწვდიდა და გულს ამოგიტრიალებდა. და უეცრად, მისაღები ოთახის ის ცარიელი საფეხურები, სკამის ფურფუშები ოთახში, ტერასაზე მობარბაცე ლეკვი, ბაღიდან მონაბერი ტალღა და ჩურჩული რკალად გადაბრეცილ არაბესკებს დაემსგავსა, რომლებიც ამ სრული სიცარიელის შუაგულში ფერადოვან და სიცოცხლით სავსე სურათად გაფურჩქნილიყო.

„ეს რაღას ნიშნავს? ამას რით ახსნით?“ უნდოდა ეთქვა და ისევ მიუბრუნდა მისტერ კარმაიკლს. რადგან ამ ადრიან დილას თითქოს მთელი სამყარო გალხობილიყო და ერთ ფიქრის გუბედ ქცეულიყო, რეალობის ღრმა წყალსატევად; და ლამის ისიც დასაშვები ეჩვენებოდა, რომ, თუ მისტერ კარმაიკლი ხმას გასცემდა, ცრემლის ერთი პატარა წვეთიც იკმარებდა ამ გუბის ზედაპირის გასაპობად. და რა მოხდებოდა მერე? იქიდან რამე ამოყოფდა თავს. ვიღაცის ხელი ამოვარდებოდა, მახვილი იელვებდა. და რა თქმა უნდა, ეს სრული უაზრობა იყო.

და ლილის მეტად უცნაური აზრი დაებადა, რომ მისტერ კარმაიკლს სინამდვილეში ესმოდა, რასაც ლილი გულში ფიქრობდა. ის ამოუცნობი ბერიკაცი იყო, მოყვითალო ლაქებით წვერზე, მისი პოეზია და რებუსები კი არხეინად მოგზაურობდნენ სამყაროში, რომელიც მის ნებისმიერ სურვილს ასრულებდა, ასე რომ, ლილის ეგონა, საკმარისია, ხელი ასწიოს, რომ უპრობლემოდ მიიღებს, რასაც მოისურვებსო. ლილიმ ტილოს შეხედა. მისტერ კარმაიკლს შეიძლება ასეთი პასუხი გაეცა – როგორ მივდივართ და ვქრებით „შენ“, „მე“, და „ის“; არაფერი რჩება; ყველაფერი ცვალებადია; გარდა სიტყვებისა, გარდა ფერწერისა. მაგრამ ამ სურათს სადმე სხვენში თუ დაკიდებენ, გაიფიქრა ლილიმ; ან ტილოს დაგრაგნიან და სადმე ტახტის ქვეშ შეჩურთავენ; და თუნდ ასე იყოს, ამ სურათსაც ისეთივე ბედი ერგება. ეს თამამად შეიძლება ითქვას არათუ მის საბოლოო, დასრულებულ ვარიანტზე, არამედ ამ ჩანაჯღაბნზეც, ამ მცდელობაზეც, ანუ, რომ ის „სამუდამოდ დარჩება“, დააპირა ეთქვა, ოღონდ, რაკი ამ სიტყვების წარმოთქმაც კი, თუნდაც მხოლოდ საკუთარ თავთან, მეტისმეტ თავხედობად ეჩვენა, უსიტყვოდ იგულისხმა; და როცა სურათს შეხედა, გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ ვერაფერს ხედავდა. თვალები რაღაც მხურვალე სითხემ აუწვა (თავიდან ცრემლი არც გახსენებია), რომელმაც ისე, რომ ტუჩები არც კი შერხევია, თვალები დაუმძიმა და ლოყებზე ჩამოეღვარა. იშვიათი თავშეკავება ახასიათებს – ეს ხომ ასეა! – თან ყველა თვალსაზრისით. მაშ ახლა რა დაემართა, ნუთუ მისიზ რემზიზე ტიროდა, ისე, რომ ვერც კი აცნობიერებდა უბედურებას? და ლილიმ ისევ მისტერ კარმაიკლს მიმართა კითხვით წარმოდგენაში. მაშ ეს რაღაა? ეს რაღას ნიშნავს? ნუთუ უსულო საგნებს შეუძლიათ ხელები გამოგვიწოდონ და მოგვებღაუჭონ? ნუთუ მათ მახვილს

შესწევს უნარი, განგვგმიროს, ნუთუ მოგვწვდება მათი მახვილი? ნუთუ ასეა? ნუთუ დაცულად თავს ვერსად ვიგრძნობთ? და არ არსებობს ამ სამყაროს წესების ზეპირად სწავლის საშუალება? არც მეგზურია, არც თავშესაფარი, და ყველაფერი მოჩვენებაა, სასწაულია, როგორც კოშკის ქიმიდან მოწყვეტით გადახტომა? ნუთუ ხანდაზმულ ადამიანებსაც ასეთი ჰგონიათ ცხოვრება? – შემაშფოთებელი, მოულოდნელი, შეუცნობელი? სულ ერთი წამით მოეჩვენა, საკმარისია, ახლა ჩვენ ორნი, აქ, ამ მინდორზე ერთად წამოვდგეთ და მოვითხოვოთ განმარტებები, თუ რატომაა ეს ცხოვრება ასე ხანმოკლე, თუ რატომაა ასეთი ამოუცნობი და აუხსნელი, და თუ ამას მთელი ძალით და შემართებით ვიტყვით, როგორც ორი სრულიად უფლებამოსილი ადამიანი, რომელთაც არაფერს უნდა უმალავდნენ, მაშინ სილამაზე ენას ამოიდგამს, სრულად გაიშლება მხრებში; სივრცე აივსება; ის ცარიელი ფერადოვნება ხორცს შეისხამს; და თუ საკმარისად ხმამაღლა დაიყვირებენ, მისიზ რემზიც დაბრუნდება. „მისიზ რემზი!" ხმამაღლა თქვა ლილი ბრისკომ, „მისიზ რემზი!" ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი.

თავი 7

[მაკალისტერის ბიჭმა ხელში აიღო ერთი თევზი, პატარა კუბი ამოაჭრა და კაუჭზე წამოაცვა როგორც სატყუარა. ხოლო დასახიჩრებული თევზი (ჯერ კიდევ ცოცხალი) ისევ ზღვაში მოისროლა.]

თავი 8

„მისიზ რემზი!" ტიროდა ლილი, „მისიზ რემზი!" მაგრამ არაფერი მომხდარა. ტკივილმა იმატა. ასეთ ტანჯვას შეუძლია, ადამიანი სრულ სიგიჟემდე მიიყვანოსო, გაიფიქრა. ყოველ შემთხვევაში, ბერიკაცს არ გაუგონია მისი ხმა. იწვა იქ, ისევ ისეთი კეთილი და მშვიდი იერით – შეიძლება ითქვას, სრულ განცხრომაში. მადლობა ღმერთს, რომ არავის გაუგონია მისი ეს სამარცხვინო ყვირილი, შეჩერდი, ტკივილო, შეჩერდი! ეტყობა, მაინც ბოლომდე არ დაუკარგავს ჭკუა. არავის შეუნიშნავს, როგორ გადაეშვა ვიწრო ტრამპლინიდან სრული განადგურების უძირო ზღვაში. ისევ ის პატარა შინაბერა იყო, ხელში სახატავი ფუნჯით.

და ახლა ნელა-ნელა, ნდომის და სიმწრის ტკივილმა (სურვილმა, უკან დაებრუნებინა, მაშინ, როცა არც კი ეგონა, თუ ოდესმე ისევ გაუჩნდებოდა სიბრალულის გრძნობა მისიზ რემზის მიმართ, მაშინ ხომ არ მონატრებია, როცა მარტო შეექცეოდა ყავას მისაღებ ოთახში? ოდნავადაც არა) თანდათან იკლო; და როცა ტკივილი გაყუჩდა, როგორც ანტიდოტი, როგორც შვება, რომელიც თავად იყო სალბუნი, და აგრეთვე, თუმცა უფრო იდუმალად, დაეუფლა გრძნობა, რომ მისიზ რემზი, წამით გათავისუფლებული იმ სიმძიმილისგან, რაც ამ სამყარომ დაადო მხრებზე, ჰაეროვნად შეყოვნდა მის გვერდით და მერე (ვინაიდან ასეთი იყო მისიზ რემზი, მთელი მისი მშვენიერებით) შუბლზე დაიდგა თეთრი ყვავილების გვირგვინი, რომლითაც ამ ქვეყნიდან წავიდა. ლილიმ ისევ გამოწურა საღებავები ტუბიდან. ახლა

ბაღის განაპირა ბუჩქნარს უნდა მოუნახოს ადგილი. უცნაურია, რა გარკვევით დაინახა მისიზ რემზი, სხარტი ნაბიჯით რომ იცოდა ხოლმე მინდორში სიარული, მინდვრის საოცარ ნაირსახეობებში – მეწამულსა და ხავერდოვანში, იმ ყვავილნარში, ჰიაცინტებსა თუ შროშანებში, და თვალს მიეფარა. ეს ალბათ მხატვრის თვალის ერთგვარი ხრიკია. რადგან, როცა მისი გარდაცვალების ამბავი შეიტყო, რამდენიმე დღის შემდეგ სწორედ ასეთი დაინახა, თავზე ყვავილების გვირგვინს იდგამდა და დანამდვილებით თანმხლებთან, ვიღაცის ლანდთან ერთად, გადაჭრა მინდორი. ეს სანახაობა, სიტყვები, დამამშვიდებლად მოქმედებდა ლილიზე. სადაც არ უნდა წასულიყო, აქ, სოფლად, ხატვისას, თუ ლონდონში, ეს ხილვა მუდამ თან სდევდა, და ნახევრად მილულული თვალებით ცდილობდა, ეპოვა რამე, რაზეც ამ ხილვის შემოდგმას თუ შეყოვნებას შეძლებდა. გახედავდა ხოლმე სივრცეს, მატარებლის ვაგონს, ომნიბუსს; მხრების თუ ლოყის მოხაზულობას ჩაავლებდა; მოპირდაპირე სახლის ფანჯრებს შეხედავდა; პიკადილის, საღამოს ჩირაღდნებით განათებულს. ეს ყველაფერი სიკვდილის ველის ნაწილი იყო. მაგრამ ყოველთვის რაღაცა – ეს შეიძლება სახე ყოფილიყო, ან ხმა, გაზეთების გამყიდველი ბიჭის ყვირილი „სტენფორდ, ნიუს!" – ისარივით ჩხვლეტდა, აღვიძებდა, რაღაცას ითხოვდა მისგან და ბოლოს ძაბავდა კიდეც ყურადღებას და ცდილობდა, რომ ეს ხილვა გამუდმებით აღედგინა მეხსიერებაში. აი, ახლაც, რაღაც ინსტინქტური მოთხოვნილება გაუჩნდა სივრცის და სილურჯის და გადახედა ქვემოთ გადაშილ ყურეს, ლურჯად აქოჩრილ ტალღებს, ქვაღორღიან, მეწამულ ადგილებს, მინდვრებს, და ისევ ისე, როგორც ყოველთვის, რაღაცამ შეაშფოთა, რაღაც შეუსაბამობამ. შუაგულ ყურეში რაღაც ყავისფერ ლაქასავით მოჩანდა. ეს ნავი იყო. დიახ, ამას ერთი წამის მერე მიხვდა. მაგრამ ვისი იყო ეს ნავი? მისტერ რემზისა, უპასუხა თავის თავს. მისტერ რემზი. კაცი, რომელმაც მოლაშქრის დიდი ნაბიჯებით ჩაუარა გვერდით და ხელი აუწია, შორიდან, როცა თავისი მშვენიერი ყმაღალყელიანი ფეხსამელებით წინ მიუძღოდა პატარა ლაშქარს, კაცი, რომელიც თანაგრძნობას ითხოვდა და ლილიმ უარით გაისტუმრა. ნავს უკვე ნახევარი ყურე გადაელახა.

მშვენიერი დილა იყო, თუ არ ჩავთვლით შიგადაშიგ მონაბერ ქარს აქა-იქ, იმდენად, რომ ზღვა და ზეცა ერთიან ქსოვილს ქმნიდა, თითქოს აფრები აეშვათ ცაში, ან თუ ღრუბლები ჩაცვენილიყვნენ პირდაპირ ზღვაში. ორთქლმავალი, შორს, ზღვაში, უშველებელ კვამლის გორგალს უშვებდა ჰაერში, რომელიც ადგილზე იდგა და კულულებად და რგოლებად იხვეოდა ჩუქურთმებივით, თითქოს ჰაერი ნაზი გაზის ქსოვილი ყოფილიყოს, რომელიც იზიდავდა და უჩუმრად იხვევდა ყველაფერს თავის უხილავ ბადეში, და მხოლოდ ნაზად ირწეოდა. და როგორც ხდება ხოლმე, როცა შესანიშნავი ამინდია, ქარაფები ისე გამოიყურებოდა, თითქოს გემებს და ნავებს ხედავდნენ, ხოლო გემები და ნავები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ისინიც ხედავდნენ ქარაფებს, და თითქოს ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ და თავის ამბავს ატყობინებდნენ. და როგორც ხანდახან ხდებოდა, დღესაც, ნაპირთან სულ ახლოს, ნაზ ბურუსში, წარმოუდგენლად შორი მანძილიდან შუქურაც მკაფიოდ მოჩანდა.

„სად არიან ახლა ნეტა?" გაიფიქრა ლილიმ, რომელიც ზღვას გაჰყურებდა. და სად იყო ის, ღრმად მოხუცებული კაცი, რომელმაც უხმოდ ჩაუარა

გვერდით იღლიაში ამოჩრილი მოყავისფრო ფუთით? ნავი უკვე შუა ყურეში მიცურავდა.

თავი 9

ისინი იქ ვერაფერსაც ვერ გრძნობენო, ფიქრობდა კემი, და გაჰყურებდა ნაპირს, რომელიც ხან ამოტივტივდებოდა, ხან ჩაყვინთავდა, და სულ უფრო და უფრო შორეული და მშვიდი ჩანდა. ნავის კიდეზე მჯდომი, ხელით წყლის ორად გაყოფილ კვალს ტოვებდა, თვალს აყოლებდა აქაფებული წყლის ზოლს და სპირალივით დატრიალებულ წყლის მწვანე ნაკადებს და გარინდული და სულგანაბული, წარმოდგენაში იმ ზღვის იმ წყალქვეშა დინებებში მოგზაურობდა, სადაც მარგალიტებად იფრქვევა ზღვის თეთრი ქაფი, სადაც მწვანე ნათება ადამიანის მთელ აღქმას ისე გარდაქმნის, რომ მისი სხეული ისე ანათებს, თითქოს ნახევრად გამჭვირვალე მწვანე მოსასხამში გახვეულიყოს.

შემდეგ იგრძნო, როგორ შენელდა აქაფებული წყლის დინება მის თითებზე. წყლის ჩქეფა შეწყდა; სამყარო სუსტი ჭრიალის და ჭრიჭინის ხმებით აივსო. ისმოდა, როგორ ეხლებოდა და ელამუნებოდა წყალი ნავის ფერდებს ისე, თითქოს ნავსადგომზე ჩაეშვათ ღუზა. ყველაფერი უჩვეულოდ დაუახლოვდა ერთმანეთს. რადგან იალქანი, რომელსაც ჯეიმსი მთელი გზის განმავლობაში თვალდაუხამხამებლად უთვალთვალებდა და უკვე ლამის კარგად ნაცნობ სულიერ არსებად ქცეულიყო, მთლიანად მოიმჩვარა; და ასე გაიჭედნენ ერთ ადგილზე, და აფრების ფრიალში ქარს ელოდებოდნენ ამ მცხუნვარე მზეზე, ნაპირიდან რამდენიმე მილით დაშორებულები, შუქურიდან რამდენიმე მილით დაშორებულები. თითქოს ამქვეყნად ყველაფერი ერთბაშად გაირინდა. შუქურა აღარ ირხეოდა, და შორეული ნაპირის ხაზიც უძრავი გახდა. მზე სულ უფრო აჭერდა და ყველანი თითქოს უფრო დაუახლოვდნენ და უფრო მძაფრად გრძნობდნენ ერთმანეთის სიახლოვეს, რაც აქამდე ლამის ყველას დაავიწყდა. მაკალისტერის ანკესის თოკმა ღრმად ჩაყვინთა ზღვაში. მაგრამ მისტერ რემზი კითხვას განაგრძობდა, ფეხები მოკეცილი და ჩახვეული ჰქონდა ტანქვეშ.

ის რაღაც პრიალა ჯიბის წიგნს კითხულობდა, რომელსაც მეჭვავიას კვერცხებივით დაწინწკლული ყდა ჰქონდა. და ვიდრე ასე, საშინელ უძრაობაში იყვნენ გამოკიდებულნი შუაგულ ზღვაში, ის დროდადრო გვერდს გადაფურცლავდა ხოლმე. და ჯეიმსი გრძნობდა, რომ წიგნის ყოველ გვერდს მამამისი განსაკუთრებულად გამიზნულად ფურცლავდა, თითქოს მისი ყურადღების მისაქცევად; ხან თავდაჯერებულად, ხან მბრძანებლურად; ხანაც იმ განზრახვით, რომ საკუთარი თავის მიმართ თანაგრძნობა აღეძრა სხვებში; და მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე მამა წიგნს კითხულობდა და ერთიმეორის მიყოლებით ფურცლავდა გვერდებს, ჯეიმსი ძრწოლით ელოდა იმ წამს, როცა მამა ამოიხედავდა და მკაცრად ეტყოდა რამეს. მაგალითად, რატომ გაეჩხირნენ აქ? მომთხოვნად იკითხავდა, ან რამე სრულიად უადგილოს იტყოდა. და ჯეიმსმა გაიფიქრა, თუ ასე მოიქცევა, დავავლებ დანას ხელს და გულში ჩავცემო.

ეს ძველი სიმბოლო – მამის გულის განსაგმირად დანის მომარჯვება, ჯეიმსს ბავშვობიდან გულში ჰქონდა ჩახვეული. ოღონდ ახლა, როცა წამოიზარდა, იჯდა აქ და უძლური მრისხანებით მისჩერებოდა მამას, ამ ბერიკაცში, რომელიც წიგნს კითხულობდა, ვეღარ ცნობდა ადამიანს, რომლის მოკვლაც უნდოდა, არამედ ახლა ის მისთვის იყო რაღაც, რაც მოულოდნელად დააცხრებოდა ხოლმე თავს – ისე, რომ შეიძლება ჯეიმსი სრულებით არ მოელოდა: სასტიკი და ძლიერი ჰარპია, გაყინულ და გაქვავებულ ნისკარტს ჩაჰკრავდა და ჩაჰკრავდა ხოლმე (ჯეიმსმა ნისკარტის სიმწვავე შიშველ ფეხებზე იგრძნო ერთხელ, ბავშვობაში) და მერე გასცილდებოდა, და აი, ისევ აქ იყო ის, ის ბერიკაცი, საოცრად სევდიანი, და თავის წიგნს კითხულობდა. ის ბერიკაცი, რომელიც ჯეიმსს უნდა მოეკლა, გულში უნდა ჩაეცა მახვილი. რა საქმესაც უნდა მოჰკიდოს ხელი – (გრძნობდა, რომ ნებისმიერი საქმის წამოწყება შეეძლო და შუქურისკენ და შორეული ნაპირისკენ ჰქონდა მზერა მიპყრობილი), იქნებოდა ეს ბიზნესი, ბანკი, იურისპრუდენცია თუ რომელიმე წამოწყების წინამძღოლობა, ის აუცილებლად მიაკვლევდა და ამოძირკვავდა – ტირანიას, დესპოტიზმს, როგორც ამას უწოდებდა – ადამიანების საკუთარ ნებაზე ტარებას, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ მოქმედების იძულებას, აზრის გამოთქმის თავისუფლების აღკვეთას. რომელ მათგანს შეეძლო გაებედა და ეთქვა, „მაგრამ მე რომ არ მინდა?", როცა ის ეტყოდა, „წამოდი შუქურაზე. გააკეთე ეს. მომიტანე ის". შავი ფრთები იფოფრებოდა და ქვასავით მაგარი ნისკარტი იწყებდა ძიძგნას. და აი, მეორე წუთში ასე ზის და წიგნს კითხულობს; და უცებ შეიძლება – თუმცა წინასწარ ამას ვერასდროს იტყოდი – სავსებით საღად და ნორმალურად ამოგხედოს. შეიძლება მაკალისტერებს გაუბას საუბარი. შეიძლება ვიღაც საცოდავ გაყინულ დედაბერს სადღაც ქუჩაში ოქროს მონეტა ჩაუდოს ხელში, ფიქრობდა ჯეიმსი, და შეიძლება მეთევზეების რამე თამაშზე აზარტული შეძახილით ირეაგიროს; ხელები გაიშვიროს უცებ აღტაცებით. ანდა შეიძლება მთელი სადილის განმავლობაში მომაკვდინებელ სიჩუმეში იჯდეს და ხმა არ გასცეს არავის. ჰოო, გაიფიქრა ჯეიმსმა, იმ დროს, როცა ნავი ჯაყჯაყებდა და მიზოზინებდა მცხუნვარე მზეში; აი, მის წინ ზის არქტიკული თოვლის და კლდის ნატეხი, მარტოხელა, კუშტი; და სწორედ ამ დროს, და ბოლო ხანებშიც საკმაოდ ხშირად, როცა მამამისი რაღაც ისეთს იტყოდა ან მოიმოქმედებდა, რაც სხვების გაკვირვებას იწვევდა, იმ ნატეხზე ორად ორი ფეხის წყვილი ტოვებდა კვალს; მისი – ჯეიმსის, და მამამისის; მხოლოდ და მხოლოდ ეს ორნი იცნობდნენ კარგად ერთმანეთს. მაშ საიდანმოდიოდა ეს შიში, ეს სიძულვილი? და როცა მიუბრუნდა წარსულის დანატოვარ უთვალავ ფურცელს, ჩაკეცილს სულში, როცა ჩაიჭყიტა იმ ტყის გულში, სადაც შუქი და ჩრდილი ისე კვეთს ერთმანეთი, რომ ფორმა მთლიანად გამრუდებულია და ფეხი გერევა, ვეღარ გაგირჩევია, რადგან ხან მზე შემოგანათებს თვალში და ხანაც მუქი ჩრდილი, ჯეიმსი დაეძებდა ხატს, რათა დაეცხრო და გამოეცალკევებინა და გამოეყო მისი გრძნობა და კონკრეტული ფორმა მიეცა მისთვის. დავუშვათ, რომ ღრმა ბავშვობაში, როცა ჯერ საბავშვო ეტლში, ანდა ვინმეს კალთაში ეჯდა უმწეოდ, დაინახა, როგორ გადაუარა ვიღაცას ტერფზე სრულიად შემთხვევით, არა ბოროტი განზრახვით, უნებლიეთ, ურიკამ; დავუშვათ, რომ მან ჯერ საკუთარი ფეხი ნახა ბალახში, საღ-სალამათი და მრთელი; და მერე დაინახა ბორბალი; მერე კი იგივე ტერფი – აალებული და დამსხვრეული. მაგრამ ბორბალს ეს განზრახ არ უქნია. ასე რომ, ახლა, როცა მამამისი დერეფანში ჩამოივლიდა ხოლმე და ადრიან დილით კარზე მიუკაკუნებდა, დროზე რომ ჩასულიყვნენ

ქვემოთ შუქურაზე წასასვლელად, ჯეიმსი ამას ურიკის ტერფზე გადავლასავით აღიქვამდა, კემის ტერფზე, ნებისმიერი ადამიანის ტერფზე. და სხვა არაფერი დარჩენოდათ, ისხდნენ და უყურებდნენ ამას.

მაგრამ ვის ტერფზე ფიქრობდა, და რომელ ბაღში ხდებოდა ეს ყველაფერი? რადგან სცენები კონკრეტულ გარემოში და დროში ვითარდება; იქ ხეები იზრდებოდა; ყვავილები ხარობდა; თავისებური განათება იყო; იქ იყო რამდენიმე ადამიანი. ყველაფერი თითქოს მაინცადამაინც ბაღში ხდებოდა, სადაც ამ პირქუში გარემოს ნასახიც არ იყო. არავინ აიქნევდა ხელებს აჟიტირებული; ადამიანები ხმას არასოდეს იმაღლებდნენ. მთელი დღის განმავლობაში შემოდიოდნენ და გადიოდნენ. სამზარეულოში მოხუცი ქალი ჭორაობდა და ქარი შტორებს ხან გამობერავდა, ხან შეისრუტავდა; ყველაფერი ქროლავდა, ყველაფერი იზრდებოდა; და მთელ იმ თეფშებს და თასებს და მოყელყელავე გადაფურჩქნილ წითელ-ყვითელ ყვავილებს თავზე სიფრიფანა ყვითელი საბურავი გადაეფარებოდა ხოლმე, ვაზის ფოთლისებური. მაგრამ ვაზის ფოთლისებური საბურავი იმდენად სიფრიფანა იყო, რომ სინათლის სხივსაც კი შეეძლო მისი წამოწევა, ადამიანის ხმაზე ჭავლი ედებოდა; და ჯეიმსი მასში ხედავდა დახრილ სილუეტს, ესმოდა, როგორ მოდიოდა, მიდიოდა, კაბა შარიშურობდა, სადღაც ძეწკვი წკრიალებდა.

ხოლო ის, რომ ადამიანს ტერფზე ბორბალმა გადაუარა, სააქაოში მოხდა. ჯეიმსს ახსოვდა, რომ რაღაცამ გაიელვა ჰაერში, მაღლა, რაღაცა დაეშვა უცებ, ხმელი და მახვილივით ბასრიც კი, მოღუნული ხმალივით, და დასცხო ფოთლებს და ყვავილებს ამ ბედნიერ სამყაროში და მოაშთო და დასცა ძირს.

გაახსენდა, როგორ თქვა მამამ, „ხვალ წვიმა მოვა, და შუქურაზე წასვლას ვერ შეძლებ".

იმ დროს შუქურა ვერცხლისფერ ნისლში გახვეულ კოშკს ჰგავდა, ყვითელს და ცალთვალას, და მოულოდნელად და ნაზად ახელდა ხოლმე თვალს საღამოობით.

ახლა კი –

ჯეიმსმა შუქურისკენ მიიხედა. დაინახა შეთეთრებული კლდეები; კოშკი, მკვიდრი და წელში გამართული; დაინახა შავთეთრად გადარაზული; ფანჯრები ვერ გაარჩია; კლდეებზე გასაშრობად მიფენილი სარეცხიც კი დაინახა. მაშ აი, როგორი ყოფილა შუქურა!

არა, ის მეორეც შუქურა იყო. რადგან არაფერია ამ ცხოვრებაში მხოლოდ ერთადერთი. ის მეორე შუქურაც ნამდვილია. ის ხანდახან არც კი მოჩანდა ყურის გადაღმა. საღამოობით გაიხედავდი და დაინახავდი ცალ თვალს, რომელიც ხან გახელილი და ხან დახუჭული გეჩვენებოდა, ხოლო სინათლე თითქოს მათკენ, იმ ჰაეროვანი, მზიან ბაღისკენ მოიწევდა, სადაც ისინი ისხდნენ.

მაგრამ თავი მოითოკა. როცა კი იტყოდა „ისინი", ანდა „ვიღაცა" და გაიგონებდა ტანსაცმლის შარიშურს, ვიღაცის ფეხის ხმას, რაღაც დაიწკარუნებდა და იცოდა, რომ ვიღაცა გავიდა, ჯეიმსი უაღრესი სიფაქიზით

გრძნობდა, ვინ იყო ოთახში. ახლა ეს მამამისი იყო. დაძაბულობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. რადგან სულ ერთი წამიც, და რაკი ქარი არ უბერავდა, მამამისი წიგნის ყდას უხეშად დახურავდა და იტყოდა: „ეს რა ამბავია? რატომ ვზოზინობთ აქ, ერთი გამაგებინეთ?" ისე, როგორც ერთხელ, დიდი ხნის წინათ, თავისი მოღუნული მახვილით აღჭურვილი რომ დააცხრა თავს ტერასაზე, სადაც ჯეიმსი დედასთან ერთად იჯდა და დედა ერთიანად გახევდა. იმწამს ნაჯახი რომ დაენახა ახლომახლო, ანდა დანა, ან რამე, რასაც მახვილი წვეტი აქვს, ხელს დასტაცებდა და პირდაპირ გულში ჩასცემდა მამას. დედა მთლიანად გახევდა თითქოს, და მერე, მკლავი მოუდუნდა, ისე რომ ჯეიმსმა იგრძნო, დედა მას აღარ უსმენდა, ძლივძლივობით წამოდგა ფეხზე, გავიდა გარეთ და დატოვა იქ, უძლური, უაზროდ და სულელურად იატაკზე მჯდომი, მაკრატლით ხელში.

ჰაერი არ ირხეოდა. წყალი ხითხითებდა და რაკრაკებდა ნავის ფსკერზე, სადაც ორი თუ სამი სკუმბრია კუდებს ადგაფუნებდა წყლის გუბეში, რომელიც იმ სიღრმისაც არ იყო, რომ თევზები დაეფარა. ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა მისტერ რემზი (ჯეიმსი იშვიათად ბედავდა მისკენ გახედვას) აღშფოთებულიყო, წიგნი დაეხურა და რამე ეთქვა უკმეხად; მაგრამ ამჟამად კითხულობდა, ასე რომ, ჯეიმსმა, თითქოს პირველ სართულზე ფეხშიშველა მიიპარებოდა და ეშინოდა, კიბის ჭრიალს მოდარაჯე ძაღლი არ გაეღვიძებინა, განაგრძო იმაზე ფიქრი, თუ როგორი იყო დედამისი, სადწავიდა იმ დღეს? და ფიქრში უკან მიჰყვა დედას ოთახიდან ოთახში, სადაც ლურჯ შუქზე, თითქოს უამრავი ფაიფურის ჭურჭელი ირეკლავდა სინათლეს, დედა ვიღაცას ელაპარაკებოდა; ჯეიმსმა ყური მიუგდო ლაპარაკს. დედა მოახლეს ელაპარაკებოდა, და უბრალოდ ამბობდა იმას, რაც იმწამს აზრად მოსდიოდა. მარტო დედა ამბობდა სიმართლეს; და მხოლოდ დედასთან შეეძლო სიმართლის თქმა. და ალბათ სწორედ ეს იყო მისი მარადიული მომხიბვლელობის სათავე; ის იყო ადამიანი, რომლისთვისაც ჯეიმსს შეეძლო ეთქვა, რაც კი აზრად მოუვიდოდა. მაგრამ მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა დედაზე ფიქრობდა, აცნობიერებდა, რომ მამამისმა იცოდა, რაზე ფიქრობდა, უთვალთვალებდა მის ფიქრს და ფიქრი ფრთხებოდა და ბორძიკს იწყებდა. ბოლოს შეწყვიტა ფიქრი.

და იჯდა ისევ ისე, ხელი საჭეზე ედო, მცხუნვარე მზეში, გაჰყურებდა შუქურას, და არ ჰქონდა ძალა, განძრეულიყო, არ ჰქონდა ძალა ჩამოეფერთხა ტანჯვის მარცვლები, მის გონებაში რომ ჩაყრილიყო ერთიმეორის მიყოლებით. ეჩვენებოდა, რომ თოკმა ადგილზე დააბა, და მამამისმა განასკვა ის და მხოლოდ ერთი გზა არსებობდა თავის დასაღწევად – დანა აეღო და გაულში ჩაეცა... მაგრამ ზუსტად იმწამს, იალქანი შედრკა და ნელა შემოტრიალდა, ნელა გამოიფუყა, ნავი თითქოს თავისით შეირხა, და მერე მოუსვა ისე, რომ ძილიდან წესიერად არც იყო გამორკვეული, და მერე გამოიღვიძა და ტალღებში გაიჭრა. ეს უდიდესი შვება იყო. თითქოს ყველანი ისევ სადღაც შორს გადაცვივდნენ ერთმანეთისგან და ისევ მოეშვათ გულზე, და ანკესის თოკი მაგრად გადაიჭიმა ნავის კიდეზე. მაგრამ მამამისს აღშფოთება არ გამოუხატავს. მხოლოდ მარჯვენა ხელი შემართა უცნაურად, ძალიან მაღლა ჰაერში, და მერე მოწყვეტით დაუშვა ისევ მუხლზე, თითქოს რომელიღაც დაშიფრულ სიმფონიას დირიჟორობდა.

თავი 10

[რა სუფთა და უმწიკვლოა ზღვა, გაიფიქრა ლილი ბრისკომ, რომელიც ისევ იქ იდგა და ყურეს გაჰყურებდა. ზღვა აბრეშუმივით გადაჭიმულიყო მთელ ყურეზე. მანძილს ენით აუწერელი უნარი ჰქონდა; ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მანძილმა მთლიანად შთანთქა ისინი, და სამუდამოდ წავიდნენ და საგანთა ბუნების ნაწილი გახდნენ. საოცრად მშვიდი, საოცრად ჩუმი დღე იყო, თავად ორთქლმავალიც კი გამქრალიყო, მაგრამ ცამდე აწვდილი კვამლის ვეება გრაგნილი ჯერ კიდევ ეკიდა ჰაერში და მგლოვიარედ ჩამოღვენთილიყო დამშვიდობების ნიშნად.]

თავი 11

ხედავ, როგორი ყოფილა ეს კუნძული, გაიფიქრა კემმა და კიდევ ერთხელ ააჭყაპუნა თითები ტალღებზე. ზღვიდან კუნძული არასოდეს დაუნახავს. და მაშ, აი, თურმე როგორ წევს ზღვაში? შუაგულში კლდის წვეტი და ორი ფრიალო ქარაფი ამოჩრილა, ირგვლივ კი, ყოველი მხრიდან, კუნძული ზღვითაა შემოჯარული, რომელიც თვალუწვდენელ სივრცეზე იშლება. თვითონ სულ ერთი ციდაა; და რაღაცით ყალყზე შემდგარ ფოთოლს აგონებს. ჰოდა, განაგრძო ფიქრი კემმა და თავისთვის შეუდგა ჩაძირული გემიდან თავის დაღწევის თავგადასავალზე ფიქრს. თუმცა ახლა, როცა თითებს შორის მჩქეფარე წყლის დინებას გრძნობდა და გაქროლებულმა ნავმა ზღვაში უკან მოიტოვა წყალმცენარეები, აღარ უნდოდა, სერიოზულად ეფიქრა დაღუპული გემის ამბავზე; მას ხომ მხოლოდ თავგადასავლის და გაქცევის განცდა ხიბლავდა, რადგან ახლა, როცა აფრებაშლილი ნავი წყალზე მიქროდა, ის იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ დაუცხრა მამას ბრაზი კომპასის მხარეებთან დაკავშირებით, როგორ გაუნელდა ჯეიმსს მათი შეთანხმების მიმართ სიჯიუტე, და როგორ გადაუარა დარდმა და წუხილმა თავად მას; ყველაფერმა ჩაიქროლა, ჩაიარა, წყალმა წაიღო. მაშ ახლა რაღა უნდა მომხდარიყო? სად მიდიან? კემმა იგრძნო, რომ გაყინული ხელიდან, ღრმად რომ ჰქონდა ზღვაში ჩაყოფილი, ნაცვლად ადრე განცდილი გრძნობებისა, ამოხეთქა სიხარულის შადრევანმა, იმის გამო, რომ რაღაცა შეიცვალა, რომ თავი დააღწია, რომ თავგადასავალი ელოდა (რომ ცოცხალი იყო, რომ აქ იყო ახლა). და ამ მოულოდნელი და უნებურად წარმოქმნილი სიხარულის შადრევნიდან წვეთები ეშხეფებოდა აქა-იქ ფიქრისმიერ ბნელ, მიძინებულ ლანდებს; რომელიღაც ჯერ შეუცნობ ლანდებს, რომლებიც ფიქრში უცებ თავს წამოყოფდნენ წყვდიადიდან და შიგადაშიგ სინათლის ნაპეწკლებს ირეკლავდნენ; საბერძნეთი, რომი, კონსტანტინოპოლი. მართალია, ასეთი პატარაა, და ცოტა არ იყოს, ყალყზე შემდგარ ფოთოლს წააგავს, დგას თავისთვის და ოქროს შხეფებით შეფერილი ტალღები ელამუნება ყოველი მხრიდან, ფიქრობდა კემი, მაგრამ მასაც ჰქონია თავისი ადგილი ამ სამყაროში – ამ სულ ერთ ციდა კუნძულს? კემმა გაიფიქრა, რომ მრავლისმცოდნე ჯენტლმენები კაბინეტში აუცილებლად გასცემდნენ პასუხს ამ შეკითხვაზე. ხანდახან ბაღიდან მომავალი შეივლიდა ხოლმე იქ, კაბინეტში, განზრახ, რომ ყური დაეგდო მათი საუბრისთვის. ისხდნენ იქ, ერთმანეთის

პირისპირ (შეიძლება მისტერ კარმაიკლი და მისტერ ბენქსიც ყოფილიყვნენ, მამასთან სასაუბროდ მისულები) იმ დაბალ სავარძლებში. ტკრციალით შლიდნენ და კეცავდნენ „ტაიმზის" ფურცლებს, როცა ის ბაღიდან შედიოდა, და აბნეულად საუბრობდნენ ხან რაზე, და ხანაც რაზე: იმაზე, რაც ოდესღაც ვიღაცას ქრისტეზე ეთქვა, ანდა იმაზე, რომ ლონდონის რომელიღაც ქუჩაზე მამონტი ამოეთხარათ, ან ვარაუდობდნენ, თუ როგორი შესახედავი იყო ნაპოლეონი. მერე ამ ყველაფერს სუფთა ხელებით აკრეფდნენ (მონაცრისფრო ტანსაცმელი ეცვათ; მანანის სუნი სდიოდათ), მიმობნეულ ნაკუწებს შეაკოწიწებდნენ, გაზეთს გადაფურცლავდნენ, ფეხს ფეხზე გადაიდებდნენ და ხანგამოშვებით რამეს წამოიძახებდნენ ხოლმე. თავი რომ უკეთ ეგრძნო, კემი თაროდან წიგნს აიღებდა და იქვე იდგა, თან უყურებდა, როგორ წერდა მამამისი, საოცრად მწყობრად, საოცრად კოპწიად გამოჰყავდა ასოები და ფურცელს ერთი კიდიდან მეორე კიდემდე ავსებდა, შიგადაშიგ ჩაახველებდა, ან მის პირისპირ მჯდომ ჯენტლმენს ეტყოდა რამეს. და როცა კემი ასე იდგა იქ, გადაშლილი წიგნით ხელში, ეგონა, რომ ადამიანს შეეძლო, ნებისმიერი აზრი ისე ეხარებინა, როგორც მცენარე იხარებს წყალში; და თუკი ეს შესაძლებელი იყო იქ, იმ მრავლისმცოდნე ჯენტლმენების გარემოცვაში, რომლებიც თამბაქოს აბოლებდნენ და შრიალით ფურცლავდნენ „ტაიმზს", მაშინ ყველაფერი რიგზე იყო. და როცა უყურებდა, როგორ წერდა მამა თავის კაბინეტში (ახლა კი აქ იჯდა ნავში), ფიქრობდა, რომ ის სულაც არ იყო ამპარტავანი, და არც ტირანი და სულაც არ უნდოდა, რომ შებრალებოდათ. სინამდვილეში, როცა დაინახავდა, რომ ოთახში შესული კემი წიგნს კითხულობდა, ჰკითხავდა ხოლმე, ისე ალერიანად, რამდენადაც შეეძლო, ხომ არ გინდა, რამე მოგცეო?

და რათა დარწმუნებულიყო, რომ ეს მართლაც ასე იყო, კემმა მამას შეხედა, პაწია მეჭვავიას კვერცხივით დაწინწკლულ, პრიალაყდიან წიგნს რომ კითხულობდა. არა; ეს მართლაც ასე იყო. და კემს მოუნდა, ძმისთვის ხმამაღლა ეთქვა, აბა ერთი, ახლა შეხედე მამასო (მაგრამ ამ დროს მას იალქნისთვის ჰქონდა თვალი მიპყრობილი). რაზეც ჯეიმსი ეტყოდა, ის ხომ გესლიანი ურჩხულიაო. ის ხომ საუბარს ყოველთვის ისე წარმართავს, რომ მასზე ან მის წიგნებზე ილაპარაკონო, ეტყოდა ჯეიმსი. ის ხომ აუტანელი ეგოისტიაო. და რაც ყველაზე უარესია, ის ხომ ტირანიაო. მაგრამ, აბა, ერთი შეხედე! ეტყოდა კემი ძმას და მამას გახედა. აბა, ერთი ახლა შეხედეო. უყურებდა, როგორ კითხულობდა მამა ჯიბის წიგნს ფეხებგადაჭდობილი; იმ პაწაწინა წიგნს, რომლის გაყვითლებულ გვერდებს ასე კარგად იცნობდა, თუმც წარმოდგენა არ ჰქონდა, შიგ რა ეწერა. პატარა ზომის წიგნი იყო; წვრილი შრიფტით ნაბეჭდი; იცოდა, რომ წიგნის ფორზაცზე ჩამოწერილი ექნებოდა, რომ სადილზე თხუთმეტი ფრანკი დახარჯა; რომ ღვინო ამდენი და ამდენი ღირდა; მიმტანს ამდენი გადაუხადა; და ყველაფერი გულდასმით ექნებოდა გამოანგარიშებული და შეჯამებული გვერდის ქვედა ბოლოში. მაგრამ ის კი არ იცოდა, რა ეწერა გვერდებმოთელილ წიგნში, რომელსაც მამა ჯიბით დაატარებდა. არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რაზე ფიქრობდამამა. მაგრამ ის მთელი არსებით იყო კითხვაში ჩაფლული, იმდენად, რომ, როცა ამოიხედავდა ხოლმე, რაც სწორედ იმწუთას გააკეთა, სულ ერთი წამით, აშკარად ჩანდა, რომ არაფრის დანახვა არ სურდა; მხოლოდ რაღაც აზრის მეტი სიზუსტით განსაზღვრა უნდოდა. და როცა ამას იზამდა, გონებით ისევ უკან გაფრინდებოდა და კითხვაში ჩაიძირებოდა. კემი ფიქრობდა, ისე კითხულობს, თითქოს რაღაცას

წარმართავს, ანდა ცხვრის უზარმაზარ ფარას ელოლიავება, ანდა გზას მიიკვლევს ზემოთ და ზემოთ, რომელიღაც უკაცრიელ ვიწრო ბილიკზე; იქ ის ხან მარდად და პირდაპირ მიაბიჯებს, ხან ეკალბარდებში მიიკვლევს გზას, და გეჩვენება, თითქოს ხან ეკლიანი ტოტი ჩხვლეტს, ხან აბრმავებს, ოღონდ ის არ აპირებს დანებებას; ისევ წინ მიდის, და ერთიმეორის მიყოლებით ფურცლავს და ფურცლავს წიგნს. და კემმა გუნებაში გააგრძელა თავისი ამბის თხრობა ჩაძირული გემიდან თავის დაღწევაზე, რადგან ვიდრე მამა იქ იჯდა, თავს უსაფრთხოდ გრძნობდა; უსაფრთხოდ, როგორც მაშინ, როცა ბაღიდან კაბინეტში შეიპარებოდა ხოლმე, ჩამოიღებდა რომელიმე წიგნს თაროდან და რომელიმე ყოვლისმცოდნე ჯანტლმენი უცებ დასწევდა გაზეთს, და, გაზეთის ზემოდან მომზირალი, რამე შენიშვნას გააკეთებდა ძალიან მოკლედ ნაპოლეონის ხასიათზე.

კემმა ისევ ზღვას გადახედა და კუნძულს დააკვირდა. მაგრამ ის ფოთოლი თანდათან სიმკვეთრეს კარგავდა. ძალიან დაპატარავდა; ძალიან შორეული ჩანდა. ზღვამ ახლა ხმელეთზე დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ყოველი მხრიდან ტალღებით იყო გარშემორტყმული; ტალღები ხან მაღლა-მაღლა ხტებოდნენ, ხან ძირს ეცემოდნენ; ერთ ტალღაზე ხის მორი დაგორავდა; მეორეზე თოლია შესკუპებულიყო. სადღაც აქ, გაიფიქრა კემმა და თითები ტალღას ააყოლა, გემი ჩაიძირა, და კემმა ჩაილუღლუღა, ძილ-ღვიძილში, „ჩვენ წყალმა წაგვლეკა, ყველანი ცალ-ცალკე".

თავი 12

როცა გაჰყურებდა ზღვას, რომელიც სრულიად უმწიკვლოდ გამოიყურებოდა და ისეთი ნაზი და წყნარი იყო, გეგონებოდათ, აფრები და ღრუბლები მის სილურჯეში ჩაფლულაო, ლილი ბრისკომ გაიფიქრა, რამდენი ყოფილა დამოკიდებული მანძილზე: ახლოს არიან ჩვენგან ადამიანები თუ შორს; რადგან რაც უფრო შორს და შორს მიქროდა მისტერ რემზი აფრიანი ნავით ყურის გადაღმა მისგან, მით უფრო იცვლებოდა ლილის განწყობა მის მიმართ. ყურე თითქოს წაგრძელებულიყო, თითქოს გადაჭიმულიყო; მისტერ რემზი კი სულ უფრო და უფრო შორეული ხდებოდა. ის და მისი შვილები თითქოს ამ სილურჯეს, ამ მანძილს ჩაეყლაპა; მაგრამ იქვე, მდელოზე, სულ ახლოდან, უცებ მისტერ კარმაიკლის ხვნეშა მოესმა. ლილის გაეცინა. მისტერ კარმაიკლმა მიწაზე დაგდებული წიგნი ხელში მოიგდო და ისევ მოხერხებულად მოკალათდა სკამზე, ისეთი ხვნეშა-ხვნეშითა და ქსუტუნით, თითქოს რომელიღაც ზღვის ურჩხული ყოფილიყოს. ეს კი სრულიად განსხვავებული შეგრძნება იყო, რადგან მისტერ კარმაიკლი ძალიან ახლოს იყო მასთან. მერე ისევ სრული სიჩუმე დასადგურდა. ბავშვები, წესით, უკვე ფეხზე უნდა იყვნენო, გაიფიქრა და სახლს გახედა, მაგრამ იქ არაფერი ჩანდა. ოღონდ ისინი, გაახსენდა ლილის, ჭამას მორჩებოდნენ თუ არა, ყოველთვის ერთბაშად თავ-თავიანთ საქმეს მიაშურებდნენ ხოლმე. ყველაფერი სრულ თანხმობაში იყო ამ სიჩუმესთან, ამ სიცარიელესთან, ადრიანი დილის ამ გაურკვევლობასთან. ცხოვრებაში ხდება ხოლმე ასეთი რამ, გაიფიქრა მან, წამით შეყოვნდა და გახედა ელვარე გრძელ ფანჯრებს და ლურჯი კვამლის ჯიღას: ეს ავადმყოფობასავითაა, სანამ ჩვევები აბლაბუდასავით არ მოედება

გარსს, ადამიანს სწორედ ასეთი სიცარიელის, ასეთი არარეალურობის გრძნობა ეუფლება და ასე აფრთხობს; გრძნობს, თითქოს რაღაც უნდა გამოვლინდეს. და მაშინ ცხოვრება წარმოუდგენლად ცოცხალი და ელვარე ხდება. ადამიანს შეუძლია, მშვიდად იყოს. მადლობა ღმერთს, ასეთ დროს არ არის აუცილებელი, სულმოუთქმელად გადაირბინო მდელო, მიეგებო მისიზ ბექვიზს, რომელიც, როგორც წესი, მყუდრო ადგილის საძებრად გამოდის ხოლმე მზის გულზე, და უთხრა, „ო, დილა მშვიდობისა, მისიზ ბექვიზ! რა მშვენიერი დღე გაგვითენდა, არა? ნუთუ არ გაშინებთ ამ მზეში ჯდომა? ჯასპერმა სკამები სადღაც გადამალა. ერთ წამს მაცალეთ, და თუ ნებას დამრთავთ, ახლავე მოგართმევთ სკამს!" და ათასი ასეთი ჩვეულებრივი მოკითხვა და ლაპარაკი. ლაპარაკი საერთოდ აღარ არის საჭირო. მისრიალებ, აფრები ირხევა (ყურეში ამ დროს დიდი ფუსფუსი იყო ატეხილი, ნავები აფრებს შლიდნენ და ზღვაში გასასვლელად ემზადებოდნენ.) საერთო რია-რიაში, გვერდს უვლი სხვა ნავებს. და არემარე არათუ ცარიელი, არამედ პირთამდე იყო სავსე. და ლილის მოეჩვენა, რომ სუნთქვა ეკვროდა ამ თავისებურ რეალობაში, უნდა ემოძრავა, ეტივტივა და ჩაეყვინთა, რადგან ეს წყალი ირხეოდა და ისიც იძირებოდა მასში, დიახ, რადგან ეს ტალღები უძიროდ ღრმა იყო. ამ უსასრულო ტალღებში ჩაინთქა უამრავი სიცოცხლე. რემზების ოჯახიდან, მისიზ რემზი; მათი შვილები; და ამას გარდა, ათასი ჯურის უსახელო და განწირული სულიერი. მრეცხავი ქალი თავისი კალათით; ჭილყვავი, მანათობელი შრომანას ცეცხლოვანი ყვავილები; ყვავილების ლილისფერი და მონაცრისფრო სიმწვანე: ერთგვარი ერთობის შეგრძნება, რომელიც ყველაფერს აერთიანებს.

იქნებ სწორედ ერთობის რომელიღაც მსგავსმა გრძნობამ აიძულა ის ათი წლის წინათ, ზუსტად ამავე ადგილზე მდგომი, ეთქვა, ეტყობა, ეს ადგილი შემიყვარდაო. სიყვარულს ათასი სახე აქვს. შესაძლოა, არსებობენ შეყვარებულები, რომელთაც ღმერთმა უბოძა ნიჭი, გამოარჩიონ მოვლენებიდან მთავარი და ერთად მოუყარონ თავი, და ასე მიაწერონ მთლიანობა, რომელიც თავად აკლიათ ცხოვრებაში, აზრი შესძინონ სცენებს, ადამიანების შეხვედრებს (რაც ახლა წარსულს ჩაბარდა და აღარ ჰქონდა კავშირი დღევანდელობასთან), და ეს ცალკეული მოვლენები ქმნიან მუშტივით შეკრულ სფეროსებრ ერთობას, რომელზეც დიდხანს ვფიქრობთ ხოლმე და რომლითაც სიყვარული თამაშობს.

თვალმა მისტერ რემზის იალქნიანი ნავის ყავისფერი ლაქა გამოარჩია. შუქურასთან ალბათ სადილობის დროს მივლენო, ივარაუდა. მაგრამ ქარი გაძლიერდა და როცა ცამ ოდნავ იერი იცვალა და ზღვამაც ოდნავ იცვალა იერი, ხოლო ნავებმა განლაგება შეიცვალეს, ხედი, რომელიც სულ ერთი წამის წინ ასეთი გარინდული ეჩვენა, ახლა შემაშფოთებელი გახდა. ქარმა კვამლის სვეტი მიწეწ-მოწეწა; და გემების ადგილმდებარეობაც უამურად შეიცვალა.

ამ შეუსაბამობამ ლილის თითქოს სულიერი სიმშვიდე დაურღვია. გაუცნობიერებელმა შფოთვამ აიტანა. და როცა სურათს მიუბრუნდა, კიდევ უფრო განუმტკიცდა ეს შეგრძნება. დილას უქმად ფლანგავდა. რატომღაც ვერაფრით მიაღწია მახვილის ორპირივით დაპირისპირებულ ძალებს შორის წონასწორობას; მისტერ რემზისა და სურათს შორის; რაც ყოვლად აუცილებელი იყო. იქნებ ჩანაფიქრში დაუშვა შეცდომა? იქნება, ფიქრობდა ლილი, კედლის ხაზი უნდა მოშალოს, ან იქნებ, ხეების ერთობლიობამ

გადატვირთა ტილო მეტისმეტად? ირონიულად ჩაეცინა; რადგან გაახსენდა: აკი როცა სურათის აგებას ვიწყებდი, მეგონა, რომ ეს პრობლემა უკვე გადავჭერიო?

მაშ რა აბრკოლებს? როგორმე უნდა შეეცადოს და ჩაავლოს იმას, რაც გაურბის. ახლაც გაექცა, როცა მისიზ რემზიზე დაიწყო ფიქრი; ახლაც, როცასურათზე ჩაფიქრდა. რაღაც ფრაზები ამოუტივტივდა. რაღაც ხატები. ბრწყინვალე ხილვები ეწვია. ბრწყინვალე ფრაზები. მაგრამ ახლა მხოლოდ ის სურს, რომ ეს ფორიაქი დაიმორჩილოს, ჩაავლოს წამს, ვიდრე ის რამე სხვად გარდაიქმნება. მიდი, მოერიე თავს და თავიდან დაიწყე; თავიდან დაიწყე ყველაფერი; მოლბერტის წინ მდგომი ასე შეუძახებდა და იმხნევებდა თავს სასოწარკვეთილი, რომ ახალი შემართებით წამოეწყო წერა. მაინც, რა უბადრუკი მანქანაა, რა უვარგისი მანქანაა, ადამიანის ფიზიოლოგიური აპარატი ფერწერის, ან გრძნობებისთვის, ფიქრობდა ლილი; მაინცადამაინც კრიტიკულ წამს უნდა გიმტყუნოს; და იძულებული ხარ, გმირულად განაგრძო ჭიდილი. ლილის თვალები გაუშტერდა. აი, ბუჩქების ზღუდე, ნამდვილად ისაა. მაგრამ დაჟინებული მოწოდებით თუ ვედრებით რომ ვერაფერს გახდება? ამ კედლის დაჟინებული ცქერით თუ ფიქრით გაშტერებული თვალი მხოლოდ ელვარე ხაზს შეიგრძნობს: რუხი ფარფლებიანი ქუდი ეხურა; გასაოცრად ლამაზი იყო; დაე, თვითონ მოვიდეს, თუ მოსვლა უნდა. რადგან არის წამები, როცა ადამიანი ვერც ვერაფერზე ფიქრობს და ვერც ვერაფერს გრძნობს. და თუ არც ფიქრი აღარ შემიძლია და აღარც გრძნობა, გაიფიქრა ლილიმ, მაშინ აქ რას ვაკეთებ?

აი, აქ, ამ ბალახზე, ამ მიწაზე, გაიფიქრა, ჩამოჯდა და აქეთ-იქით გადასწია მომცრო ბუჩქად ამოყრილი მრავალძარღვას ფოთლები ფუნჯით. ეს მდელო ხომ სულ მთლად გავერანებულია. აი, ვზივარ ამ სამყაროში, ფიქრობდა ლილი და ვერაფრით იცილებდა თავიდან შეგრძნებას, რომ იმ დილით ყველაფერი პირველად ხდებოდა, და იქნებ უკანასკნელადაც, როგორც მოგზაური, მიუხედავად იმისა, რომ ძილ-ბურანშია, როცა ფანჯარასთან დგას, ხვდება, რომ აუცილებლად უნდა გაიხედოს ფანჯარაში ახლა, რადგან ვეღარასოდეს ნახავს ვეღარც ამ ქალაქს, ვეღარც იმ ოთხთვალას და ვერც იმ დედაკაცს, ყანაში რომ გამოსულა სამუშაოდ. ეს მინდორი დედამიწა იყო; და ისინი აქ ერთად არიან, რკინიზგის ამ შემაღლებულ ბაქანზე, გაიფიქრა ლილიმ და მოხუც მისტერ კარმაიკლს გახედა, რომელიც თითქოს (თუმც კი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის მთელი ამ ხნის განმავლობაში) იზიარებდა მის ფიქრებს. და, ვინ იცის, იქნებ უკანასკნელად ხედავს მას. ძალიან დაბერდა. და თანაც, გაახსენდა და ღიმილით შეხედა ცალ ფოსტლს, რომელიც სასაცილოდ ჩამოჰკოწიალებოდა ტერფზე, ის ხომ სახელგანთქმული გახდა. ამბობდნენ, მისი პოეზია „ისეთი შესანიშნავიაო". და ახლა აქვეყნებდნენ მის ლექსებს, რომლებიც ორმოცი წლის წინათ შეთხზა. და აი, დღეს ის განთქმული პოეტი გახლავთ, გვარად კარმაიკლი; ლილის გაეღიმა, როცა დაფიქრდა, რამდენი სახე შეიძლება ჰქონდეს ადამიანს; ის ხომ სულ სხვა ადამიანი იყო გაზეთებში, მაგრამ აქ ზუსტად იგივე იყო, რაც ყოველთვის. გარეგნობითაც დიდად არ გამოცვლილა, მხოლოდ თმა გაუჭაღარავდა უფრო. დიახ, ზუსტად ისე გამოიყურება, მაგრამ, რამდენადაც ახსოვს, ვიღაცამ თქვა, რომ, როცა ენდრიუ რემზის დაღუპვის ამბავი შეიტყო (ნაღმმა წამში მოუსწრაფა სიცოცხლე; ის დიდი მათემატიკოსი უნდა გამოსულიყო), მისტერ კარმაიკლმა „ცხოვრების აზრი და

ინტერესი დაკარგა". მაინც რას ნიშნავდა ეს? დაინტერესდა ლილი. გამოდიოდა გარეთ, ხელში მაგრად ჩაბღუჯული ხელჯოხით და ტრაფალგარის მოედანზე დააბიჯებდა? უაზროდ ფურცლავდა წიგნის გვერდებს ისე, რომ არაფერი ესმოდა და მარტოკა იჯდა თავის ოთახში სენტ ჯონ ვუდზე? ლილიმ არ იცოდა, რა ქნა მისტერ კარმაიკლმა, როცა ენდრიუს დაღუპვის ამბავი შეიტყო, მაგრამ რაღაცნაირად მაინც გრძნობდა მასში ამ ყველაფერს. ერთმანეთს მხოლოდ ჩურჩულით თუ ესალმებოდნენ ხოლმე კიბეებზე; ახედავდნენ ცას და იტყოდნენ, ალბათ კარგი ამინდი იქნება, ანდა, ცუდი ამინდი იქნებაო. მაგრამ ესეც ხომ ადამიანის გაცნობის ერთ-ერთი ხერხია, ფიქრობდა ლილი: შექმნა საერთო მონახაზი, და არა დეტალები, იჯდე ბაღში და უყურებდე გორაკის ფერდობებს, რომლებიც მანანის ყვავილებს ლილისფრად შეუფერავს. ლილი მას ასეთს იცნობდა. ისიც იცოდა, რომ რაღაცით შეიცვალა კიდეც. მისი ლექსებიდან ერთი პწკარიც კი არ წაუკითხავს. და ეგონა, რომ მისი ლექსები ნელი და ჟღერადი უნდა ყოფილიყო. კარგად გამობრძმედილი და დადუღებული. ალბათ უდაბნოზე და აქლემებზე, პალმის ხეებზე და მზის ჩასვლაზე წერდა. ყოველგვარ პიროვნულობას მოკლებული იქნებოდა; ალბათ სიკვდილზეც იტყოდა რამეს; და სიყვარულზე – თითქმის არაფერს. მისტერ კარმაიკლს პირადულობა თითქმის არ ჰქონდა. ადამიანებისგან თითქმის არაფერს ითხოვდა. განა ის არ იყო, ყოველთვის დაფერდებული რომ ჩაუვლიდა ხოლმე მისაღები ოთახის ფანჯარას იღლიაში ამოჩრილი გაზეთით, რადგან ცდილობდა, როგორმე აერიდებინა მისიზ რემზის ყურადღება, რომელიც დიდად არ მოსწონდა? თუმცა, სწორედ ამიტომ, მისიზ რემზი ყოველთვის ცდილობდა შეეჩერებინა. მისტერ კარმაიკლი თავს დაუკრავდა. უხალისოდ შეყოვნდებოდა და მდაბლად დახრიდა თავს პატივისცემის ნიშნად. და მისიზ რემზი, შეწუხებული იმით, რომ მას არაფერს სთხოვდა, ჰკითხავდა ხოლმე (ლილის ახლაც ჩაესმოდა მისიზ რემზის ხმა), საწვიმარი ხომ არ გჭირდებათ, ან პლედი, ანდა გაზეთიო? არა, მას არაფერი სჭირდებოდა (და აქ ისევ დაუკრავდა მდაბლად თავს). მას მისიზ რემზის რომელიღაც თვისება არ მოსწონდა. შესაძლოა, ის, რომ ასეთი მბრძანებლური და მედიდური იყო, ასეთი თავდაჯერებული, კეთილგანწყობილი და, ერთგვარად, პროზაული. მისიზ რემზი იშვიათი უშუალობით გამოირჩეოდა.

(ხმაურმა ლილის ყურადღება მისაღები ოთახის ფანჯრისკენ მიაპყრო – ფანჯრის ანჯამა გაჭრიალდა. მსუბუქი სიო არხევდა ფანჯრებს).

უთუოდ იქნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ვერ იტანდნენ მისიზ რემზის (დიახ; აცნობიერებდა, რომ მისაღებ ოთახში შესასვლელი კიბე ცარიელი იყო, მაგრამ ამას ოდნავადაც არ უმოქმედია მასზე. ახლა მისიზ რემზი სრულებით არ აღელვებდა), ეს ის ხალხი იყო, რომელსაც ის მეტიმეტად თავდაჯერებული, მეტისმეტად მკაცრი ეჩვენებოდა.

და ამას გარდა, მისი სილამაზე ზოგისთვის ალბათ შეურაცხმყოფელიც კი იყო. რა ერთგვაროვანიაო, ამბობდნენ ალბათ, და ყოველთვის ერთნაირად გამოიყურებაო! მათ სხვა ყაიდის ადამიანები ერჩივნათ – იდუმალები, ტემპერამენტიანები. თან მეტისმეტად ლმობიერი იყო ქმრის მიმართ. არ უშლიდა საშინელი სცენების გამართვას. იმ დროს დიდ თავშეკავებას ავლენდა. ვერავინ იტყოდა დაბეჯითებით, რა ემართებოდა, რას განიცდიდა თავად. და (მისტერ კარმაიკლსა და მის გაღიზიანებას რომ მივუბრუნდეთ)

ვერავინ წარმოიდგენდა მისიზ რემზის ფუნჯით ხელში ხატვისას, ანდა წიგნით ხელში მდელოზე, არხეინად წამოწოლილს. ეს ყველას წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. სიტყვის უთქმელად მკლავს გაუყრიდა კალათას – მისი საქმიანობის ერთადერთ ნიშანს, და მიდიოდა ქალაქში, უპოვართა მოსანახულებლად, და იჯდა იქ, რომელიმე ჩახუთულ პატარა საძინებელში. ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაუნახავს ლილის, როგორ ჩაუვლიდა ხოლმე უხმაუროდ თავისიანებს, რამე თამაშით, ანდა მსჯელობით გართულებს, მკლავზე გადაკიდებული კალათით, წელგამართული. ისიც არაერთხელ შეუნიშნავს, როგორ ბრუნდებოდა უკან. და გუნებაში მიუმართავს მისთვის, თან უხერხული ცნობისმოყვარეობით (რადგან საოცარი მონდომებით გამოაწყობდა ხოლმე ჩაის ფინჯნებს), თან მთელი არსებით შეძრულს (ამ ქალს ხომ სულის შემძვრელი სილამაზე ჰქონდა), თქვენ ცოტა ხნის წინ იმედით გიმზერდნენ ტკივილისგან მიბნედილი თვალები. ესე იგი იქ ყოფილხართ, უპოვრებთან.

მერე მისიზ რემზი რაღაცაზე აღელდებოდა, რადგან ვიღაცამ დაიგვიანა, ანდა კარაქი ამძაღდა, ანდა ჩაიდანს ტუჩი ჩამოსტყდა. და როცა დაუსრულებლად იწყებდა ლაპარაკს იმაზე, რომ კარაქი საღი არ არის, მისი შემყურე ადამიანი უნებურად ბერძნული ტაძრების სრულყოფილ სილამაზეზე იწყებდა ფიქრს, და იმაზე, რომ იმ ჩახუთულ, ღარიბულ ოთახებში, მისიზ რემზის სწორედ ასეთი სილამაზე შეჰქონდა. თავად კი არასოდეს არაფერს ყვებოდა ამის შესახებ – მხოლოდ ყოველთვის ერთნაირად უღალატოდ და უბრალოდ გადიოდა შინიდან. ამას გუმანით აკეთებდა, სწორედ იმ გუმანით, რომელიც ჩიტებს სამხრეთისკენ გაფრენას კარნახობს, არტიშოკს მზისკენ იზიდავს, მას კი შეუმცდარად და უცილობლად – ადამიანთა მოდგმისკენ უბიძგებდა, და მათ გულებში იდებდა ბუდეს. ეს კი, ყველა სხვა ადამიანური გუმანის მსგავსად, ცოტა არ იყოს აღიზიანებდა ზოგიერთს, მათ, ვინც არ იზიარებდა მისიზ რემზის დამოკიდებულებას; იქნებ მისტერ კარმაიკლსაც და, რაღა თქმა უნდა, თავად ლილისაც. ორივეს ჰქონდა ერთგვარი რწმენა, რომ მოქმედება უნაყოფოა, აზროვნებაა უზენაესი. და მისიზ რემზის მოამაგეობას საყვედურად აღიქვამდნენ, რადგან ის სამყაროს აღქმას თავდაყირა აყენებდა, რითაც პროტესტის გრძნობას უღვივებდა, რადგან ხედავდნენ, როგორ ქრებოდა მათი წინასწარ დამკვიდრებული განწყობები და თავგამოდებით ებღაუჭებოდნენ გაქრობის შიშით. ჩარლზ ტენსლიც ასეთი იყო: და ნაწილობრივ ეს იყო მის მიმართ საყოველთაო გაღიზიანების მიზეზი. ისიც არღვევდა ადამიანების ცნობიერებაში დამკვიდრებულ მიდგომებს. და მართლა, ნეტავი რა დაემართაო, გაიფიქრა ლილიმ და სხვათა შორის შეარხია მრავალძარღვას ფოთლები ფუნჯით. სამეცნიერო სტიპენდია მოიპოვა. ცოლი შეირთო; გოლდერზ გრინში დასახლდა.

ერთხელ ლილი რომელიღაც დარბაზში შევიდა, სადაც ჩარლზ ტენსლი გამოდიოდა სიტყვით. რაღაცას იმუქრებოდა: ვიღაცას რაღაცაში ამხელდა. ძმურ სიყვარულს ქადაგებდა. და ერთადერთი, რაც ლილიმ იგრძნო მაშინ, იყო გაოცება, როგორ შეიძლება ჩარლზ ტენსლის ჰყვარებოდა მოყვასი, როცა ერთ სურათს მეორისგან ვერ არჩევდა, ლილის ზურგს უკან იდგა, აბოლებდა თავის მყრალ წეკოს („ერთი უნცია – ხუთი პენსი, მის ბრისკო") და არამკითხე მოამბესავით უმტკიცებდა, რომ ქალებს წერა არ შეუძლიათ, რომ ქალებს ხატვა არ შეუძლიათ, და საქმე ის კი არ იყო, რომ დარწმუნებული იყო იმაში, რასაც ამბობდა, არამედ რატომღაც უნდოდა, რომ ნამდვილად ასე

ყოფილიყო. და იდგა იქ, გამხდარი და აწითლებული და ხმაჩახლეჩილი, და ქადაგებდა სიყვარულს ტრიბუნიდან (ჭიანჭველები არუზრუზდნენ მრავალძარღვას ფოთლებში, როცა ფუნჯით აჩეჩა – წითელი, ენერგიული, პრიალა ჭიანჭველები, ასე ძალიან რომ ჰგავდნენ ჩარლზ ტენსლის). ლილი იჯდა თავის ადგილზე, ნახევრად ცარიელ დარბაზში და დამცინავად უყურებდა მოქადაგეს, რომელიც იმ ცივ და უსულგულო სივრცეში სიყვარულის შთაბერვას ცდილობდა და უეცრად, ის ძველი მათარა თუ რაღაც, რაც იყო, ამოყურყუმელავდა მის თვალწინ და ისევ ჩაიძირა ზღვის ტალღებს აყოლილი, და მისიზ რემზიმ კენჭებში სათვალის ბუდის ძებნა დაიწყო. „ღმერთო ჩემო! რა უაზრობაა! აი, ისევ დამეკარგა. ნუ წუხდებით, მისტერ ტენსლი. ალბათ ათასობით მეკარგება ყოველ ზაფხულს", რაზეც ჩარლზმა თავი მორიდებით დახარა, ნიკაპით საყელოს დააწვა, თითქოს ასეთი გაზვიადებისთვის საყვედურის გამოთქმას აპირებდა, მაგრამ, გამონაკლისის სახით, თავს უფლება მისცა, მიეტევებინა მისიზ რემზისთვის, რომელიც მოსწონდა, და ფრიად მომხიბვლელად გაუღიმა. უთუოდ გაუმხელდა მისიზ რემზის თავის გულისნადებს რომელიმე ხანგრძლივი ლაშქრობისას, როცა უკან, შინისაკენ მომავალი ადამიანები პატარაჯგუფებად განცალკევდებოდნენ ხოლმე და ასე ბრუნდებოდნენ შინ. მისიზ რემზიმ უამბო, რომ თურმე ის თავის უმცროს დაზე, მის განათლებაზე ზრუნავდა. ეს ნამდვილად პატივისცემას იმსახურებდა. ჩარლზ ტენსლი ლილის წარმოდგენაში გროტესკული ჩანდა, მან კარგად იცოდა ეს. ფუნჯით ჩხრეკდა მრავალძარღვას და თან ფიქრობდა, მე ხომ ალბათ საერთოდ ყველას, კაცმა რომ თქვას, გროტესკულად აღვიქვამო. ყველას პირადული, კერძო ინტერესები ამოძრავებდა. ახლა ჩარლზი მხოლოდ განტევების ვაცად წარმოიდგინა, რომლის გაწკეპვლაც შეეძლო, როცა მოთმინებას დაკარგავდა. მაგრამ თუ სერიოზულად უნდოდა მასზე ფიქრი, მაშინ მისიზ რემზის გამონათქვამები უნდა მოეხმო ჩარლზ ტენსლისთან დაკავშირებით, და მისი თვალით დაენახა ის. ფუნჯით პატარა გორა აახოხოლავა, რომ ჭიანჭველები ზედ აცოცებულიყვნენ, მაგრამ ამან ისეთი წარმოუდგენელი დაბნეულობა გამოიწვია მათ მსოფლაღქმაში, რომ შეშლილებივით მიმოაწყდნენ აქეთ-იქით. ზოგი სად გარბოდა და ზოგიც სად.

რამდენი თვალი და ყური უნდა გესხას, რომ ყველაფერში გაერკვეო, გაიფიქრა. ორმოცდაათი წყვილი თვალიც არ მეყოფა იმ ერთი ქალის შესაცნობად. და ამ ორ თვალთაგან ერთი სრულიად ბრმა უნდა იყოს მისი სილამაზის მიმართ. ამისათვის ადამიანი უნდა ფლობდეს რაღაც უხილავ გრძნობას, ჰაერივით ფაქიზს, რომელსაც შესწევს უნარი შეიჭრას კარის ჭუჭრუტანებში და გარს შემოერტყას მას იქ, სადაც ზის და ქსოვს, ან ლაპარაკობს, ანდა ჩუმად მიმჯდარა მარტო ფანჯარასთან; რომელსაც შესწევს უნარი, ჰაერის მსგავსად, ორთქლმავლის კვამლის გარინდებაც რომ შეუძლია ადგილზე, მიიზიდოს და სათუთად მოუყაროს თავი ყველაფერს, მის ფიქრებს, მის წარმოსახვებს, მის სურვილებს. რას ნიშნავდა მისთვის ეს ბუჩქნარის ზღუდე? რას ნიშნავდა მისთვის ეს ბაღი, რას ნიშნავდა მისთვის ტალღების დგაფუნის ხმა (ლილიმ აიხედა ისე, როგორც მისიზ რემზი აიხედავდა ხოლმე; მანაც გაიგონა, როგორ მიეხალა ნაპირს ტალღა). და მერე, რა აზრი ებადებოდა და რა უფეთქავდა გულში, როცა შვილები გაიძახოდნენ, „აბა, სადა? აბა, სადა?" კრიკეტის თამაშისას? ქსოვას შეწყვეტდა ხოლმე წამით. დაძაბული ჩანდა. მერე ისევ მოდუნდებოდა და უეცრად, მისტერ რემზი, რომელიც მანამდე ბოლთას სცემდა, პირდაპირ მის

თვალწინ წამოიმართებოდა და ადგილზე გაშეშდებოდა. მისიზ რემზი ელდანაკრავივით დაიძაბებოდა, თითქოს უცნაურად აფორიაქებდა მოულოდნელად თავზე წამომდგარი ქმარი, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა.

ცოლს ხელს გაუწვდიდა და სკამიდან წამოაყენებდა. და ლილის რატომღაც ეჩვენებოდა, რომ მისტერ რემზი ადრეც მოქცეულა ასე; თითქოს ოდესღაც ზუსტად ასე დაიხარა და წამოაყენა მისიზ რემზი ნავიდან, რომელიც კუნძულიდან რამდენიმე დუიმის მანძილზე გაჩერდა და საჭირო გახდა, მამაკაცები შეშველებოდნენ მანდილოსნებს ნაპირზე გადმოსვლაში. ეს ძველმოდური სცენა იყო, რომელიც, თუ უფრო დავაზუსტებთ, აუცილებლად გულისხმობდა კრინოლინს და გალიფე შარვლებს. და როცა საშუალება მისცა, ასე გამოეყვანა ნაპირზე, მისიზ რემზიმ გაიფიქრა (ლილის აზრით), რომ უკვე დროა. დიახ, ახლა უნდა უთხრას. დიახ, თანახმაა, ცოლად გაჰყვეს. და ნელა და დინჯად გადმოაბიჯა ნაპირზე. ალბათ, მხოლოდ ერთ სიტყვას იტყოდა, სანამ ხელით ჯერ კიდევ მის ხელს ეყრდნობოდა. თანახმა ვარ, ცოლად გამოგყვეთო, ეტყოდა ალბათ, სანამ ჯერ კიდევ ხელით ეყრდნობოდა მას; მაგრამ მეტს არაფერს იტყოდა. ხანგამოშვებით, ზუსტად ასეთი მღელვარება ეუფლებოდა ხოლმე ორივეს – უეჭველად ასე იქნებოდა, გაიფიქრა ლილიმ და ჭიანჭველებს გზა გაუხსნა. ის არ იგონებდა არაფერს; მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ გადაეშალა ის, რაც წლების წინ გულში ჩაიხვია; რაღაცა, რაც ნანახი ჰქონდა. ვინაიდან, ყოველდღიურობის რია-რიასა და ფორიაქში, როცა ამდენი ბავშვი და ამდენი სტუმარი ტრიალებდა სახლში, გამუდმებით ეუფლებოდა გრძნობა, რომ რაღაცა მეორდებოდა – რაღაც ისე ხდებოდა, როგორც ადრე მოხდა, და ასე ყალიბდებოდა ექო, რომელიც მუდმივი ჟრიამულივით ჟღერდა ჰაერში.

თუმცა ალბათ შეცდომა იქნება ვიფიქრო იმაზე, თუ როგორ გადიოდნენ ხოლმე ერთად ხელკავგაყრილები, ფიქრობდა ლილი, ჩაუვლიდნენ სათბურს, და ამ გზით სიმსუბუქე შეჰქონდათ ცოლქმრულ ურთიერთობაში. ამას ნეტარების ერთფეროვნებას ვერ უწოდებდით – მისიზ რემზი თავისი იმპულსებითა და მახვილი გონებით; მისტერ რემზი – თავისი უნებური ამრეზილობით და უგუნებობით. სულაც არა! სისხამ დილით საძინებელი ოთახის კარი მიჯახუნდებოდა ხოლმე. მისტერ რემზი სუფრიდან გაცეცხლებული წამოვარდებოდა. დასტაცებდა ხელს თეფშს და პირდაპირ ღია ფანჯარაში მოისროდა. მერე მთელ სახლს კარის ჯახუნის და ფარდების ფრთხიალის ხმა მოიცავდა, გეგონებოდათ, უეცარი ქარიშხალი ამოვარდა და ადამიანები ფართხაფურთხით დაქრიან აქეთ-იქით, რომ კარ-ფანჯარა მყარად ჩარაზონ და წესრიგი დაამყარონ. ერთ ასეთ დღეს პოლ რეილის გადაეყარა კიბეებზე. ორივემ იცინა და იცინა პატარა ბავშვებივით, და ეს იმიტომ, რომ მისტერ რემზიმ თავის რძიან ფინჯანში ყურბელა იპოვა საუზმობისას და ფინჯნიანად გარეთ, ტერასაზე გაუძახა. „ყურბელა", ჩურჩულით თქვა ფრუმ, შეძრწუნებულმა, „მამას ფინჯანში". სხვებს შეიძლება მუხლუხი ეპოვათ. მაგრამ მისტერ რემზი ისეთი შეუვალობის გალავნით იყო შემოზღუდული, და ისე ქედმაღლურად ეჭირა თავი, რომ მის ფინჯანში მოხვედრილი ყურბელა ურჩხულზე უარესი გახლდათ.

მაგრამ ეს, ცოტა არ იყოს, აფრთხობდა მისიზ რემზის – ჰაერში გატყორცნილი თეფშები და კარის გაჯახუნება. და ზოგჯერ მათ შორისხანგრძლივი შეუვალი სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე, როცა მისიზ

რემზის, ისეთი გუნებ-განწყობილება ეუფლებოდა, რომელსაც ლილი ვერ იტანდა მასში, თან ოდნავ ნაღვლიანი, თან აღშფოთებული, რადგან, ეტყობა, არ შეეძლო ამ აფორიაქების მშვიდად გადალახვა, არ შეეძლო გაეცინა, როგორც დანარჩენები იცინოდნენ, მაგრამ ვინ იცის, ამ უღონობაში რაღაც იმალებოდა. იჯდა გულჩახვეული და ხმას არ იღებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მისტერ რემზი ქურდულად მიიპარებოდა მის სიახლოვეს – ბოლთას სცემდა იმ ფანჯრის ქვეშ, სადაც მისი ცოლი იჯდა, წერილს წერდა და ან ვიღაცას ესაუბრებოდა, რადგან მისიზ რემზი ყოველთვის თადარიგს იჭერდა, თითქოს რაღაცით იყო დაკავებული, როცა ქმარი მის სიახლოვეს იწყებდა ტრიალს და ცდილობდა, აერიდებინა მასთან საუბარი და ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერ ამჩნევდა მას. მაშინ მისტერ რემზი აბრეშუმივით დამყოლი ხდებოდა, ლაღად და თავაზიანად იქცეოდა, და ამ გზით ცდილობდა ცოლის გულის მოგებას. მაგრამ მისიზ რემზი მაინც არ თმობდა პოზიციას, და ახლა, ქედმაღლურად და მედიდურად ეჭირა თავი, როგორც მის სილამაზეს ეკადრებოდა, თუმც ეს საერთოდ უცხო იყო მისთვის; თავს მიაბრუნებდა; მხარს უკანიდან გამოგხედავდათ, და ყოველთვის ვინმე ეგულებოდა იქვე – მინტა, პოლი ან უილიამ ბენქსი. დაბოლოს, ამ ჯგუფის გარეთ მდგომი მისტერ რემზი, მგლებზე დაგეშილი ნაგაზივით (ლილი წამოდგა ფეხზე და ახლა იმ კიბეებს უყურებდა, ფანჯრის სიახლოვეს, სადაც მისტერ რემზი იდგა ხოლმე), დაუძახებდა ცოლს სახელით, მხოლოდ ერთხელ, ზუსტად ისე, როგორც მგელი დაიყმუვლებს ხოლმე თოვლიან მდელოზე, მაგრამ მისიზ რემზის თითქოს არ ესმოდა მისი; და მაშინ მისტერ რემზი კიდევ ერთხელ წარმოთქვამდა ცოლის სახელს, და ამჯერად მის ხმაში რაღაც ისეთი გაჟღერდებოდა, რაც გულს უჩუყებდა მისიზ რემზის და ის წამოდგებოდა და მოულოდნელად მიატოვებდა გარშემო მყოფთ და გადიოდა ქმართან ერთად მსხლის ხეებში, კომბოსტოების და ხურტკმლის კვლებში სასეირნოდ. იქ ისინი გულს გადაუშლიდნენ ერთმანეთს. მაგრამ როგორი იყო მათი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ და რას ეტყოდნენ ერთმანეთს? მათ ისეთი დარბაისლური, ღირსებით აღსავსე ურთიერთობა ჰქონდათ, რომ, როცა გადიოდნენ, ლილი და პოლი და მინტა ცნობისმოყვარეობას იკლავდნენ და უხერხულად იწყებდნენ ყვავილების კრეფას, ბურთის თამაშს, ჭორაობას, სანამ სადილობის დრო არ მოაწევდა და მაშინ ისინიც მობრუნებულები ხვდებოდნენ, ცოლი და ქმარი, ერთი სუფრის თავში იჯდა, მეორე კი სუფრის ბოლოში, როგორც ყოველთვის.

„ნეტავი რატომ არ აირჩია რომელიმე თქვენგანმა ბოტანიკა?.. ამდენი ყოჩაღი მკლავი და ფეხი და არც ერთმა არ...?" და ასე იწყებოდა ჩვეულებრივი საუბარი, სიცილი ბავშვებს შორის. ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის, თუ არ ჩავთვლით ერთგვარ თრთოლას, თითქოს ბასრი ორპირი კრთებოდა ჰაერში, და ისე იელვებდა და გაქრებოდა ხოლმე ცოლ-ქმარს შორის, თითქოს მსხლის ხეებსა და კომბოსტოს კვლებში გატარებული ერთი საათის შედეგ ახალი თვალით აღიქვამდნენ შვილებს, წვნიანის მათლაფებს რომ მისხდომოდნენ სასადილო მაგიდის გარშემო. და მისიზ რემზი, ფიქრობდა ლილი, განსაკუთრებით ხშირად ფრუს უყურებდა. ის და-ძმებს შორის იჯდა, და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გაფაციცებული იყო, რომ ყველაფერი რიგზე ყოფილიყო, იმდენად, რომ თავად იშვიათად ლაპარაკობდა. ალბათ როგორ განიცადა და როგორ დაიდანაშაულა თავი, როცა მამამისმა ფინჯანში ყურბელა იპოვა! როგორ წაუვიდა ფერი, როცა მისტერ რემზიმ თეფში ფანჯრიდან მოისროლა! როგორ ჩაქინდრავდა ხოლმე

თავს, როცა ის საშინელი, ხანგრძლივი პაუზები ჩამოვარდებოდა ხოლმე დაძაბულობისას! თუმცა ახლა დედამისი თითქოს ცდილობდა, მისთვის ეს განცდა შეემსუბუქებინა და არწმუნებდა, ყველაფერი კარგადაა; ერთ მშვენიერ დღეს ისიც ასეთივე ბედნიერი იქნება. თუმცა კი ბედნიერებით ტკბობა ფრუს ერთ სრულ წელიწადსაც კი არ დასცალდა.

და კალათიდან განზრახ გადმოყარა ყვავილები, ფიქრობდა ლილი და თვალები მოჭუტა და უკან დაიხია ისე, როგორც ხატვის დროს აკეთებდა ხოლმე, თუმც კი ტილოს არც შეხებია, და ხუთივე გრძნობით ტრანსში ჩავარდნილი, ზედაპირულად უგრძნობი და გაყინული, მაგრამ შინაგანად წარმოუდგენლად გამოცოცხლებული და აფორიაქებული იყო.

ყვავილები განზრახ გადმოყარა კალათიდან, აქეთ-იქით მიმოაბნია ბალახზე და უხალისოდ და ყოყმანით, მაგრამ ისე, რომ ერთი კითხვა ან საყვედურიც არ დასცდენია – მას ხომ სრულყოფილად ჰქონდა მორჩილების უნარი განვითარებული – ისიც წავიდა. მიუყვებოდა მინდვრებს, კვეთდა ჭალებს, თეთრს, ყვავილებით მოჩითულს – აი, როგორ უნდოდა ამის დახატვა. კუშტი გორები. კედლებიანი; ციცაბო. ტალღები შემზარავად ეხეთქება ქვებს იქ, სიღრმეში. ისინი კი მიდიან, სამივე ერთად, მისიზ რემზი ყველაზე სწრაფად მიაბიჯებს წინ, თითქოს ვიღაცასთან შესახვედრად მიიჩქარის გზის მოსახვევში. უეცრად იმ ფანჯარას, რომელსაც ლილი უყურებდა, რაღაცამ თეთრი შუქი მოჰფინა შიგნიდან. მაშ როგორც იქნა, ვიღაცა შევიდა მისაღებ ოთახში; ვიღაცა იჯდა იმ სკამზე. ღვთის გულისათვის, გულში ლოცვასავით აღმოხდა ლილის, ოღონდაც წყნარად ისხდნენ იქ და არ გამოცვივდნენ გარეთ მასთან სალაპარაკოდ. და საბედნიეროდ, ის, ვინც შიგნით იყო, არ გამოსულა გარეთ და უხმაუროდ დარჩა ოთახში; და იღბალმა ინება, ისე დამჯდარიყო, რომ უცნაური, უსწორმასწორო სამკუთხა ჩრდილი კიბის საფეხურს მოეფინა. ამან ოდნავ უცვალა იერი სურათს. ეს საინტერესო იყო. შეიძლება გამოადგეს კიდეც. ლილიმ იგრძნო, როგორ გახალისდა ისევ. ისე უნდა უყუროს, თვალდაუხამხამებლად, რომ წამითაც არ მოუდუნდესგრძნობის სიმძაფრე, ჟინი, რომ არ გადადოს, რომ არ მოცდეს. უნდა დაიჭიროს ამ სცენის ყოველი ნიუანსი – აი, ასე – მარწუხებში მოაქციოს და არ დაუშვას, რომ რამემ შეუშალოს ხელი და გააფუჭოს. და სასურველია, გაიფიქრა ლილიმ და ფუნჯი გამიზნულად ჩააწო საღებავში, ჩვეულებრივ გამოცდილებას ავყვე, უბრალოდ ვიგრძნო, რომ ეს სკამია, ის კი მაგიდა და მაინც, ამავე დროს, – ეს სასწაულია, ეს აღმაფრენაა. და ის, რაც აბრკოლებს, ბოლოს და ბოლოს გადაიჭრება. ჰო, მაგრამ რა ხდება? რაღაც თეთრმა ლანდივით გადაუარა ფანჯრის რაფას. ეტყობა, სიომ თუ დაუბერა და რაღაც შეძრა და აათრთოლა ოთახში. გული საგულედან ამოუვარდა, წაუჭირა და ადგილზე გააშეშა.

„მისიზ რემზი! მისიზ რემზი!“ აღმოხდა ხმამაღლა და იგრძნო, როგორ მოეძალა ოდინდელი შიში – შიში ნდომის და არქონისა. ნუთუ მას ახლაც შესწევს ძალა, ასეთი რამ განაცდევინოს? და მერე, თითქოს უკან დაეხიოს, და ესეც რიგითი გამოცდილების ნაწილად ექციოს, ზუსტად იმ სკამის, იმ მაგიდის სიბრტყეში აღმოჩნდა. მისიზ რემზი – ის ხომ საოცარი დიდსულოვნებით გამოირჩეოდა მუდამ – იჯდა იქ სავსებით ბუნებრივად, უშუალოდ, თავის სკამზე, აწკარუნებდა ჩხირებს წაღმა-უკუღმა თვლებში,

ქსოვდა მოწითალო-ყავისფერ წინდას, და მისი ჩრდილი კიბის საფეხურზე ირეკლებოდა. ის ნამდვილად იქ იჯდა.

და თითქოს რაღაცის გაზიარება უნდოდა, მაგრამ თან უჭირდა მოლბერტის მიტოვება, ისე იყო სავსე მისი სული და გონება საფიქრალით, იმით, რასაც ხედავდა, რომ ლილიმ მისტერ კარმაიკლს ფუნჯით ხელში ჩაუარა და ბუჩქნარის ზღუდესთან მივიდა. სადაა ახლა მათი ნავი? და მისტერ რემზი? ლილის მისტერ რემზი სჭირდებოდა.

თავი 13

მისტერ რემზიმ თითქმის დაამთავრა წიგნის კითხვა. ცალი ხელი გვერდის თავზე ჰქონდა შემართული, გეგონება, საიმისოდ, რომ, როგორც კი ჩაიკითხავს, მაშინვე გადაფურცლოსო. იჯდა სრულიად დაუცველი ყოველგვარი ზემოქმედებისგან, თავშიშველი, და ქარი უწეწავდა თმას. საოცრად დაბერებული ჩანდა. უყურებდა ჯეიმსი მამას და ეჩვენებოდა, რომ მისი თავი, ხან შუქურის, ხანაც მომქანცველი წყლის ტალღების ფონზე, საოცარი სისწრაფით რომ მიქროდნენ ცის თაღქვეშ, ზღვის ნაპირზე მიტოვებულ არქაულ ქვას ჰგავდა; ისე გამოიყურებოდა, თითქოს ხორცი შეესხა იმას, რაც ორივეს, მამასაც და შვილსაც, ქვეცნობიერად არ ასვენებდა – იმ სიმარტოვეს, რომელიც ორივესთვის ერთნაირად ყველგანმსუფევი იყო.

ძალიან სწრაფად კითხულობდა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, ბოლოში გასულიყო. და მართლაც, ახლა უკვე ძალიან მიუახლოვდნენ შუქურას. აი, ისიც ბუნდოვნად ამოისვეტა, კლდესავით მყარი და წელგამართული, თეთრად და შავად ელავდა და უკვე ჩანდა, როგორ ასკდებოდა ტალღები დამსხვრეული მინის წვრილ შხეფებად კლდის ზედაპირს. ფანჯრები უკვე მთლიანად გამოიკვეთა; ერთი მათგანი თეთრ პატარა ლაქად, ხოლო მეორე – მომწვანო ციდა ფოჩივით მოჩანდა კლდეზე. მაშ, აი, როგორი ყოფილაო, გაიფიქრა ჯეიმსმა, ეს შუქურა, რომელსაც ამდენ წელს ყურის გადაღმიდან ხედავდა მხოლოდ; სიპ კლდეზე აშოლტილი კოშკი. ჯეიმსი კმაყოფილი იყო სანახაობით. ამან რაღაცით განუმტკიცა მისივე ბუნდოვანი წარმოდგენა საკუთარ თავზე, საკუთარ ხასიათზე. ხანდაზმული მანდილოსნები, გაიფიქრა მან და თავისი სახლის ბაღი გაახსენდა, გამოალაგებდნენ ხოლმე სკამებს გარეთ, ბალახზე. ხნიერი მისიზ ბექვიზი, მაგალითად, ყოველთვის ამბობს, რა არაჩვეულებრივია, და ეს ხომ საოცარი სანახაობაა და რომ ყველანი უნდა ამაყობდეთ და ამით ბედნიერები იყოთო, მაგრამ ჯეიმსმა იფიქრა, როცა ახლა უყურებდა შუქურას, მის წინ კლდეზე აღმართულს, აი, როგორი ყოფილა სინამდვილეშიო. „სადაცაა შტორმი ამოვარდება – ალბათ ჩავიძირებით", იმეორებდა თავისთვის, ძლივს გასაგონად, ზუსტად ისე, როგორც მამამისი.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს საუკუნე გავიდა სრულ სიჩუმეში. კემს მობეზრდა ზღვის ცქერა. ქერქეჭელას წვრილმა ნაკუწებმა ტივტივით ჩაუქროლა ნავს გვერდით; ნავის ფსკერზე მკვდარი თევზები ეყარა. და მამა ისევ კითხულობდა და ჯეიმსი უყურებდა მას და კემი უყურებდა ძმას და ორივემ შეჰფიცა ერთმანეთს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე

შეებრძოლებოდნენ ტირანიას, მამა კი განაგრძობდა კითხვას, ისე, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რაზე ფიქრობდნენ მისი შვილები. აი, ასე გაურბის სინამდვილესო, ფიქრობდა კემი. დიახ, ფართო, ვეება შუბლით და ვეება ცხვირით, ცხვირწინ უჭირავს მაგრად ჩაბღუჯული პაწაწინა დაწინწკლული წიგნი და ასე გაურბის სინამდვილეს. შეიძლება გეცადათ, ხელი ჩაგევლოთ მისთვის, მაგრამ მაშინ ის ჩიტივით გაშლიდა ფრთებს და გაფრინდებოდა სადმე შორს, რომელიმე უკაცრიელ ხის მორზე, სადაც ვერავინ მისწვდებოდა. კემი ზღვის უშველებელ სივრცეს მისჩერებოდა. კუნძული ისე დაპატარავდა, რომ უკვე იმ ფოთოლსაც კი აღარ აგონებდა. ის ახლა კლდის კენწეროს ჰგავდა, რომელსაც ალბათ რომელიმე, ამ ტალღებზე დიდი ტალღა დაფარავდა მალე. და მაინც, მის სიმყიფეში იმალებოდა ყველა ის ბილიკი, ყველა ის ტერასა, ის საძინებელი ოთახი – ყველა ის უთვალავი რამ. მაგრამ ისე, როგორც ძილის წინ, როცა საგნები ისე მარტივად გვეჩვენება, რომ ყველა უთვალავ წვრილმანთაგან მარტო ერთს ჰყოფნის ძალა, გამოიკვეთოს, ასევე გრძნობდა კემი, როცა ძილ-ბურანში გასცქეროდა კუნძულს, თითქოს ყველა ის ბილიკი და ტერასა და საძინებელი ოთახი თვალს ეფარებოდა, უჩინარდებოდა, და არაფერი რჩებოდა ერთი ღია ცისფერი სასაკმევლის გარდა, რომელიც რიტმულად ირწეოდა აქეთ და იქით მის გონებაში. ეს იყო დაკიდებული ბაღი; ეს იყო ხეობა, ჩიტებით სავსე, და ყვავილებით და ანტილოპებით... ცოტაც, და კემი ჩაიძინებდა.

„მაშ ასე", თქვა მისტერ რემზიმ და მოულოდნელად დახურა წიგნი.

რას ნიშნავს „მაშ ასე"? ნეტავი ახლა რომელი არაჩვეულებრივი თავგადასავალი გველოდება? ნეტავი ახლა სადღა მივყავართ? ფიქრობდნენ ბავშვები. რადგან ამ უსაშველო სიჩუმის შემდეგ მამის სიტყვებმა უცნაურად შეაკრთო ყველა. მაგრამ არა. ეს უბრალო სისულელე აღმოჩნდა. როგორც მისტერ რემზიმ თქვა, მას თურმე მოშივდა. უკვე სადილის დროაო. და თანაც, ნახეთ, აი, შუქურაც აქვეა, თითქმის მოვედითო.

„რა კარგად მართავს ნავს ჯეიმსი", შეაქო ჯეიმსი მაკალისტერმა. „ძალიან მტკიცე ხელი აქვს".

მაგრამ მამა მას არასოდეს შეაქებს, მწარედ გაიფიქრა ჯეიმსმა. მისტერ რემზიმ გახსნა თავისი ფუთა და ყველას სენდვიჩები დაურიგა. ახლა ის ბედნიერი იყო, რადგან ამ მეთევზეებთან ერთად შეექცეოდა პურს და ყველს. სიამოვნებით იცხოვრებდა რომელიმე ქოხში და დანარჩენებთან ერთად გაატარებდა დროს საღეჭი თამბაქოს ფურთხებაში სანაპიროზე, გაიფიქრა ჯეიმსმა, როცა დაინახა, როგორ დათალა მამამ ყველი ჯაყვით ყვითელ თხელ ნაჭრებად. დიახ, სწორიაო, ისევ იმ განწყობით განაგრძო ფიქრი კემმა და მოხარშულ კვერცხს ნაჭუჭი შემოაფცქვნა. ახლა ისე გრძნობდა თავს, როგორც მამამისის კაბინეტში, როცა ხნიერი ჯენტლმენები ისხდნენ და „ტაიმზს" კითხულობდნენ. ახლა კი შემიძლია ვიფიქრო, რაზეც მინდა და დანამდვილებით ვიცი, რომ არც უფსკრულში გადაჩეხა მემუქრება და არცდახრჩობა, რადგან ის აქ არის და თვალი უჭირავს ჩემზეო, ფიქრობდა კემი.

ამავე დროს, ისე სწრაფად ჩაუქროლეს კლდეებს, რომ გული აუჩქროლდა – მოეჩვენა, თითქოს ორ რამეს ერთდროულად აკეთებდნენ; თან სადილს

შეექცეოდნენ აქ, ამ მზეში და თანაც უსაფრთხო ადგილს ეძებდნენ ბობოქარ ქარიშხალში გემის დაღუპვის შემდეგ. ნეტა წყალი თუ ეყოფათ? ან სურსათი? ეკითხებოდა საკუთარ თავს, ამბავს უყვებოდა საკუთარ თავს, ისე, რომ თან იცოდა, რა იყო სინადვილე.

მალე ჩვენ ეს აღარ შეგვეხებაო, ეუბნებოდა მისტერ რემზი მოხუც მაკალისტერს; მაგრამ ჩვენი შვილები კიდევ ბევრ უცნაურ რამეს მოესწრებიანო. მაკალისტერმა თქვა, შარშან მარტში სამოცდათხუთმეტი წლის გავხდიო; მისტერ რემზი კი სამოცდათერთმეტისა იყო. მაკალისტერმა თქვა, ჩემს დღეში ექიმი არ მინახავსო; არც ერთი კბილი არ მაკლიაო. და კემი დარწმუნებული იყო, რომ მამამისი ფიქრობდა, სწორედ ასე მინდა იცხოვრონ ჩემმა შვილებმაცო, რადგან მისტერ რემზიმ დაუშალა, სენდვიჩის ნატეხებს ზღვაში ნუ ყრიო და უთხრა, ისე, თითქოს მეთევზეებზე და მათი ცხოვრების წესზე ფიქრობდა, თუ ჭამა აღარ გინდა, უკან უნდა შეინახო პარკშიო. ტყუილად არ უნდა გააფუჭოო. ეს ისე სერიოზულად უთხრა, თითქოს ყველაზე უკეთ იცოდა ყველაფერი, რაც ამქვეყნად ხდება, და კემმა მაშინვე უკან ჩადო თავისი სენდვიჩი პარკში და მერე მამამ თავისი პარკიდან ჯანჯაფილიანი პატარი კვერი მიაწოდა, რომელიღაც დიდგვაროვანი ესპანელი ჯენტლმენივით, გაიფიქრა კემმა, მანდილოსანს ყვავილს რომ უძღვნის ფანჯრიდანო (ისე დახვეწილად მოძრაობდა მისტერ რემზი). სანამ პურს და ყველს ჭამდა ისეთი საცოდავი და უბრალო ჩანდა; და მიუხედავად ამისა, ასეთ რთულ ექსპედიციას მიუძღოდა, სადაც, რამდენადაც კემმა იცოდა, ყველანი უნდა დამხრჩვალიყვნენ.

„აი, სწორედ აქ ჩაიძირა," თქვა მაკალისტერის ბიჭმა უეცრად. სამი კაცი დაიხრჩო ამ ადგილზე, სადაც ახლა ვიმყოფებითო, დასძინა ბებერმა მაკალისტერმა. საკუთარი თვალით დაინახა, როგორ ებღაუჭებოდნენ ანძას. და მისტერ რემზიმ თვალი მოავლო არემარეს, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ, და ჯეიმსსა და კემს შეეშინდათ, ვაითუ ისევ დაიყვიროს „უფრო ბობოქარმა ტალღებმა ზღვის",

და თუ მართლა ასე მოიქცეოდა, ამას კი ვეღარ აიტანდნენ; ხმამაღლა აკივლდებოდნენ; ვეღარ გაუძლებდნენ იმ ვნების ამოფრქვევას, რომელიც მამას გულში უღვიოდა; თუმცა, მათდა გასაკვირად, მისტერ რემზიმ თქვა, „აჰ", თითქოს რაღაც გაიფიქრა გულში. მაგრამ რა საჭროა ამხელა ამბის ატეხა? ბუნებრივია, ადამიანები იღუპებიან ქარიშხალში, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია და ზღვის წიაღი (მისტერ რემზიმ სწორედ ზღვაში გადაუძახა სენდვიჩის ქაღალდზე მორჩენილ ნამცეცებს) მხოლოდ წყალია და მეტი არაფერი. შემდეგ, როცა ჩიბუხი გააჩაღა და თამბაქოს ცეცხლი მოედო, ჯიბიდან საათი ამოიღო. ყურადღებით დააცქერდა; შესაძლოა, რაღაც მათემატიკური მოქმედება შეასრულა გონებაში, დაბოლოს, საზეიმოდ განაცხადა: „ყოჩაღ! ჯეიმსმა ნამდვილი მეზღვაურივით ატარა ნავი". აი, გაიფიქრა კემმა და გუნებაში ჯეიმსს მიმართა უხმოდ. ბოლოს და ბოლოს, ხომ მიიღე, რაც გინდოდა. რადგან კემმა კარგად იცოდა, რომ ჯეიმსს სწორედ ეს უნდოდა და ხვდებოდა, რომ, რაკი საწადელს მიაღწია, აღარ გამოხედავდა არც თავის დას და არც მამას, და არც არავის. იჯდებოდა იქ, სარივით გაჭიმული, საჭეს ჩაფრენილი, დაღვრემილი და ოდნავ კოპებშეკრული. ისეთი ნასიამოვნები იქნებოდა, რომ არავის დართავდა ნებას, ამ სიამოვნების თუნდაც ერთ ნამცეცში შესცილებოდნენ. ის მამამ შეაქო.

არავის უნდა ეგონოს, რომ ოდნავ მაინც აღელვებს ეს. მაგრამ შენ ხომ მიიღე, რაც გინდოდა, გაიფიქრა კემმა.

ახლა ჰალსი იცვალეს და ნავი მსუბუქად და მარდად მიქროდა გრძელ აქოჩრილ ტალღებზე, რომლებიც ხან აქეთ გადახრიდა ნავს და ხანაც იქით, გამოცოცხლებული და ხალისიანი, როკვით მიიწევდა წინ მეჩეჩებს შორის. ნავის მარცხნივ ყავისფერი მეჩეჩების მწკრივი წამოყოფდა ხოლმე თავს, მერე თანდათანობით შეთხელდა და სიმწვანე შეერია; ერთ შედარებით მაღალ მეჩეჩს განუწყვეტლივ ეხეთქებოდა ტალღა და თანმიმდევრულად ატყორცნიდა ხოლმე წვეთების პაწია სვეტს, რომელიც მერე შხუილით ვარდებოდა ძირს. ისმოდა წყლის ტყლაშუნი და შხეფების ჩხრიალი და ტალღების მოგუდული შიშინი, რომლებიც კოტრიალებდნენ და კუნტრუშებდნენ და ტლაშუნით ასკდებოდნენ კლდეებს თავაწყვეტილი არსებებივით, და ხტოდნენ და სხლტოდნენ, აიტყორცნებოდნენ და ძირს ეცემოდნენ და ონავრობდნენ ასე მარადის.

ახლა უკვე ორი ადამიანი დაინახეს, მათ უყურებდნენ და მათთან შესახვედრად ემზადებოდნენ.

მისტერ რემზიმ საწვიმარზე ღილები შეიკრა და შარვლის ტოტები აიკეცა. აიღო ვეება, ხაოიან ქაღალდში უსწორმასწოროდ გამოკრული ფუთა, რომელიც ნენსიმ გაუმზადა, დაჯდა და მუხლებზე დაიდო. ასე იჯდა, ხმელეთზე გადასასვლელად სრულ მზადყოფნაში, და უკან, კუნძულისკენ იყურებოდა. მისი შორსმხედველი თვალები, შესაძლოა, სავსებით მკაფიოდაც ხედავდნენ ოქროს ლანგარზე ყალყზე შემდგარ, ფოთლისებრად მობუზულ ლანდს. ნეტავი რას ხედავს აქედან? გაიფიქრა კემმა. ის მხოლოდ ლაქად აღიქვამდა კუნძულს. რაზე ფიქრობს ახლა მამა? აინტერესებდა კემს. რას დაეძებს ასეთი გაფაციცებით, ასე გულდასმით, ასე უსიტყვოდ? ისინი უყურებდნენ მამას, – და-ძმა, – უყურებდნენ, როგორ იჯდა თავშიშველი, მუხლებზე ფუთა დაედო და თვალის დაუხამხამებლად გასცქეროდა და გასცქეროდა ფერმილეულცისფერ ლანდს, რომელიც ახლა რაღაცის ანაორთქლს წააგავდა, რომელიც უკვე ბოლომდე ჩამწვარიყო. რა გინდა? უნდოდა ეკითხა ორივეს. რაც უნდა გვთხოვო, ჩვენ გავიღებთ შენთვის. მაგრამ ის არაფერს სთხოვდა შვილებს. იჯდა, უყურებდა კუნძულს და იქნებ ფიქრობდა, „ჩვენ ზღვამ წაგვლეკა, ყველა ცალ-ცალკე", ან იქნებ ფიქრობდა, აი, მივაღწიე საწადელს. მე ის ვიპოვე; მაგრამ თქმით არაფერს ამბობდა.

მერე თავისი ფარფლებიანი ქუდი დაიხურა.

„წამოიღეთ ეგ ფუთები", თქვა მან და თავით იმ ნივთებისკენ ანიშნა, რომლებიც ნენსიმ შუქურაზე წასაღებად გაუმზადა. „ამანათები შუქურის ბინადრებისთვის", თქვა მან. წამოდგა და ნავის წინა ნაწილში დადგა, წელგამართული, მაღალი, და ჯეიმსმა გაიფიქრა, ზუსტად ისე, თითქოს ამბობდეს, ღმერთი არ არსებობსო, ხოლო კემმა გაიფიქრა, თითქოს უნდა, რომ სივრცეში ისკუპოსო, და ორივენი, ჯეიმსიც და კემიც ისე წამოიჭრნენ ფეხზე, თითქოს უკან უნდა მიჰყოლოდნენ მამას, როცა ჭაბუკური შემართებით წამოდგა ფეხზე, ფუთით ხელში, კლდისკენ მიმავალი.

თავი 14

„ალბათ უკვე იქ იქნებიან", ხმამაღლა თქვა ლილი ბრისკომ და უეცრად იგრძნო, რომ სრულიად გამოეცალა ძალა. რადგან შუქურა თითქმის აღარ ჩანდა, მთლად გამლღვალიყო ცისფერ ბურუსში და ლილის დაძაბული მცდელობა, როგორმე დაენახა შუქურა, და ფიქრი იმაზე, მიაღწია თუ არა მისტერ რემზიმ იქამდე – ორივე ზუსტად ერთნაირ ძალისხმევას მოითხოვდა მისგან და უკიდურესად დაძაბა ფიზიკურადაც და სულიერადაც. დიახ, მაგრამ ახლა გულზე მოეშვა. რადგან ის, რის გაღებაც სურდა მისთვის, როცა იმ დილით წავიდა მისგან, როგორც იქნა, ლილიმ ბოლომდე გაიღო.

„მშვიდობით მიადგა ნაპირს", ხმამაღლა თქვა, „ყველაფერი დამთავრდა". და ამ დროს, მის გვერდით მისტერ კარმაიკლი წამოიმართა, ოდნავ ქოშინებდა და ბებერ წარმართ ღმერთს ჰგავდა თავისი გაბურძგნილი, აქა-იქ სარეველაშერეული თმითა და პოსეიდონის სამკაპა შუბით ხელში (ოღონდ ეს მხოლოდ ფრანგული რომანი იყო და სხვა არაფერი). იდგა ლილის გვერდით მდელოს კიდეში, ტანით ოდნავ ირწეოდა, ხელით მოიჩრდილა თვალი და თქვა: „ახლა უკვე მისულები იქნებიან ნაპირზე", და ლილი მიხვდა, რომ მართალი იყო. ამ კაცთან ლაპარაკი ზედმეტი იყო. ისინი ზუსტად ერთსა და იმავეზე ფიქრობდნენ და მისტერ კარმაიკლმა ისე გასცა პასუხი, რომ ლილის კითხვა არც კი დაუსვამს. იდგა იქ ისე, თითქოს სურდა, ხელები გაეშალა და გადაეფარებინა ადამიანთა მოდგმის ყველა სისუსტისა და სატანჯველისათვის; ლილი ფიქრობდა, რომ ის ახლა თვალს ავლებდა შემწყნარებლურად და თანაგრძნობით მათი ბედის დასასრულს. ახლა მან გვირგვინით შეამკო ეს მოვლენა, გაიფიქრა ლილიმ, როცა მოხუცმა ნელა დაუშვა მკლავი, ისე, თითქოს ოდესმე ენახოს, როგორ სტყორცნიდა მიუწვდენელ სიმაღლეზე მდგომი მისტერ კარმაიკლი იების და ასფოდელოების გვირგვინს, რომელიც ნელი ფარფატით დაეშვებოდა ხოლმე მიწაზე.

სხარტად, ისე, თითქოს რაღაცამ უბიძგა ზემოდან, ლილი ტილოს მიუბრუნდა. აი, ისიც – მისი სურათი. დიახ, მწვანე და ლურჯი ფერები მთელი მათი სიხასხასით, და აღმა-დაღმა კვეთილი ხაზების ორომტრიალით, აშკარად თამამ მცდელობას წარმოადგენდა. ამას ალბათ სადმე სხვენში დაკიდებენ, გაიფიქრა, განადგურდება. მაგრამ მერე რა? თქვა თავისთვის და ისევ მოიმარჯვა ფუნჯი. მისაღები ოთახის წინა კიბის საფეხურებს გახედა; იქ არავინ ჩანდა; შეხედა ტილოს; ნათხაპნს ჰგავდა. უეცრად რაღაც ძალამ, თითქოს წამიერად სრულიად მკაფიოდ დანახულმა, ხაზი იქ, სურათის შუაგულში გაავლებინა. ესეც ასე. მორჩა. დასრულდა. სრულიად დაცლილმა და გათანგულმა, ფუნჯი დადო და გაიფიქრა, აი, როგორი ყოფილა ჩემი ხილვაო.